

ზედსართაული სიზჷვანარმოებითი კონსტრუქციების
ნარმოქმნის ტენდენსიები გერმანულ ენაში

ირინა ყრუაშვილი

ზედსართაული
სიზჷვანარმოებითი
კონსტრუქციების ნარმოქმნის
ტენდენსიები გერმანულ ენაში

ISBN 978-9941-17-890-0



9 789941 178900

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
STAATLICHE UNIVERSITÄT SUCHUMI

ირინა ყრუაშვილი

ზედსართაული სიტყვაწარმოებითი
კონსტრუქციების წარმოქმნის ტენდენციები
გერმანულ ენაში

IRINA KRUASCHWILI

ENTSTEHUNGSTENDENZEN DER
ADJEKTIVBILDUNGEN IM DEUTSCHEN



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2013

TBILISSI 2013

UDC(უაკ)811.12.2'373.611
ყ-831

წიგნი წარმოადგენს ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებისადმი მიძღვნილ პირველ მონოგრაფიულ ნაშრომს ქართულ გერმანისტიკაში. იგი განკუთვნილია გერმანული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ასევე გერმანული ენის სიტყვაწარმოებით დაინტერესებული ყველა პირისათვის. წიგნში წარმოდგენილი კომპოზიციებისა და დერივატების სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია, მათი ინტერპრეტაციისას შემუშავებული მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები გარკვეულ დახმარებას გაუწევს ფილოლოგიური პროფილის მკითხველს. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეცკურსების სახით უმაღლესი სასწავლებლების გერმანისტიკის განყოფილებებზე, ხოლო საანალიზო მასალა – სემინარებზე. წიგნის დანართი შეიძლება საფუძვლად დაედოს ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ლექსიკონს.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვიოლა ფურცელაძე**

რეცენზენტები: ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
რუსუდან თაბუკაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ლელა მახვილაძე

ი. ყრუაშვილი, 2013

გამომცემლობა „**UNIVERSAL**“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-890-0

ჭ ი ნ ა ს ი ტ ქ მ ა ო ბ ა

*Ich habe die deutsche Sprache immer
als irrsinnig schön und interessant empfunden.*

*Udo Jürgens
Musiker*

ენის განვითარება და მასში მიმდინარე ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში აისახება. ლექსიკა წარმოადგენს ღია სისტემას და მისი ერთეულების კვდომა თუ წარმოშობა უწყვეტი პროცესია, რომელიც თან სდევს საზოგადოების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. იგი უნდა მოერგოს ცვალებად კომუნიკაციურ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ენა ვერ შეასრულებს თავის ძირითად ფუნქციას.

ახალი ენობრივი ერთეულების წარმოქმნა არ არის ქაოსური პროცესი. მას საფუძვლად უდევს როგორც ენაში არსებული სიტყვაწარმოებითი რესურსების გამოყენება და მათი მოდიფიკაცია, ისევე ნასესხები სიტყვაწარმოებითი საშუალებების მისადაგება მსესხებელი ენის ლექსიკის ბაზისურ კომპონენტებზე.

სიტყვაწარმოება ლექსიკის გამდიდრების ძირითადი საშუალებაა, რომელსაც განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი:

1. ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა ენაში არსებული მოდელების ბაზაზე; 2. ნასესხობების, განსაკუთრებით ტერმინოლოგიის, მძლავრი ნაკადის შემოდინება; 3. ეკონომიის კანონის მოქმედება, რაც გამოიხატება სემანტიკურად ტევადი რთული ერთეულების წარმოქმნაში კომპრესიის საფუძველზე. ხმარებაში შემოდის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა სემანტიკურ ექსპლიკაციას არა თუ ერთი, არამედ რამდენიმე წინადადება ესაჭიროება.

სიტყვაწარმოების საკითხებისადმი არაერთი გამოკვლევაა მიძღვნილი, თუმცა სპეციალური ნაშრომი, რომელიც ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს გლობალურად შეისწავლიდა დინამიკაში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ ენაზე არ გამოქვეყნებულა.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ განგვესაზღვრა სიტყვაწარმოების ადგილი და მნიშვნელობა ენათმეცნიერული დის-

ციპლინების რიგში. მას მიჩენილი აქვს შუაღვდური დონის სტატუსი, რომელიც თავსდება ლექსიკისა და გრამატიკის დონეებს შორის. ნაშრომში განსაზღვრულია ზედსართაული სიტყვაწარმოების ადგილი და მნიშვნელობა გერმანული ენის სიტყვაწარმოების სისტემაში, ნაჩვენებია ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების განვითარების დინამიკა სიმპლექსიდან აფიქსამდე და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილებები, გამოყოფილია კომპონენტების განვითარების საფეხურები, აღწერილია კომპოზიტების ინტერნული სტრუქტურა და სემანტიკა, დასაბუთებულია კვაზიკომპოზიტების შუაღვდურ კლასად გამოყოფა კომპოზიტსა და დერივატს შორის, მთლიანად აღწერილია ზედსართაული დერივატების ინვენტარი, კლასიფიცირებულია ფორმალური და სემანტიკური პარამეტრების მიხედვით, დაყოფილია ნიშებად და ბლოკებად. ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების კორპუსი შეჯერებულია გერმანული ენის ლექსიკონების თავსიტიკებთან და გამოვლენილია ერთეულები, რომლებიც ლექსიკონებში არ არის დაფიქსირებული. ნაშრომში გაანალიზებულია 4500-ზე მეტი ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია, რომლებიც მოპოვებულია ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, მხატვრული ლიტერატურისა და სხვადასხვა ფუნქციონალური სტილის ნიმუშებიდან.

სიტყვაწარმოების ძირითადი სახეობების – თხზვისა და დერივაციის მანიფესტირება ხდება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების სახით და ამიტომ კვლევის ცენტრში ამ კონსტრუქციების ფორმალური, სემანტიკური და ფუნქციური ასპექტები უნდა მოექცეს. კომპოზიტთა დახასიათებისას ჩვენ ძირითადად უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების ანალიზს ვყვრდნობით, ხოლო დერივატების მიმართ ვიყენებთ შინაარსზე ორიენტირებულ მეთოდს. უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების და შინაარსზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენება გამჭვირვალეს ხდის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ფორმალურ და სემანტიკურ სტრუქტურას. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე კვლევის სხვა მეთოდები, კერძოდ, ტრანსფორმაციის, სუბსტიტუციის, დისტრიბუციული და დისტინქციური ოპოზიციის მეთოდები.

ვფიქრობთ, ნაშრომში წარმოდგენილი კომპოზიციებისა და დერივატების სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია, მათი ინტერპრეტაციისას შემუშავებული მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები გარკვეულ დახმარებას გაუწევს გერმანული სიტყვაწარმოებით დაინტერესებულ მკითხველს.

პრაქტიკული ღირებულება აქვს აგრეთვე დანართს, რომელიც წარმოადგენს ნაშრომში გაანალიზებული რთული ზედსართავეების კორპუსს. იგი შედგენილია და ეყრდნობა ცნობილ თეორეტიკოსთა და ლექსიკოგრაფთა ნაშრომებს. მასში შეტანილია ასევე ამა თუ იმ მწერლის მიერ საკუთარი ინდივიდუალური სტილის შესაბამისად გამოყენებული ორიგინალური ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. დანართში სისტემაშია მოყვანილი სტრუქტურის მიხედვით ფორმირებული, უზუალური და ოკაზიონალური წარმონაქმნები.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შხსაპალი	11
01. სიტყვაწარმოების შესწავლის მეცნიერული დონე.....	11
02. სიტყვაწარმოება როგორც თვითმყოფი ენათმეცნიერული დისციპლინა.....	13
03. ზედსართავი სიტყვაწარმოების აქტუალური პრობლემები.....	16
04. ტერმინოლოგია და ძირითადი ცნებები.....	20
თაზო I	25
1. თხზვა (კომპოზიცია) – ზედსართავი სახელის წარმოქმნის პროდუქტიული მოდელი გერმანულ ენაში.....	25
1.1. ზედსართავი კომპოზიტი როგორც სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის სახეობა.....	25
1.2. მართებელი ელემენტი ზედსართავ კომპოზიტებში.....	28
1.3. ზედსართავი კომპოზიტები უცხოური (ნასესხები) სიტყვაწარმოებითი ელემენტებით.....	34
თაზო II	38
2. თხზული ზედსართავი სახელების სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა და კონსტიტუენტთა სემანტიკური მიმართებები.....	38
2.1. დეტერმინატიული კომპოზიტი.....	38
2.1.1. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – არსებითი სახელი.....	39
2.1.2. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – ზედსართავი სახელი.....	53
2.1.3. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – ზმნის ძირი.....	55
2.1.4. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – ნაცვალსახელი.....	58
2.2. კოპულატიური კომპოზიტი.....	59
2.3. პოსესიური კომპოზიტი.....	66
2.4. თხზულ-შერწყმული ფორმა.....	66
2.5. თხზულ-წარმოქმნილი ფორმა.....	80

2.6. კვაზიკომპოზიტი.....	83
2.7. შედარების ხარისხების ფორმები როგორც კომპოზიტების კონსტიტუენტები.....	106
თავი III	110
3. ზედსართავი დერივატი როგორც სიტყვაწარმოებითი კონტრუქციის სახეობა.....	110
3.1. დერივაციის ზოგადი მიმოხილვა.....	110
3.2. შინაარსზე ორიენტირებული სიტყვაწარმოება.....	115
3.3. ზედსართავი სუფიქსური დერივატი. გერმანული სუფიქსები.....	120
3.3.1. -bar ნიშა.....	120
3.3.2. -en ნიშა.....	125
3.3.3. -er ნიშა.....	126
3.3.4. -fach ნიშა.....	128
3.3.5. -haft ნიშა.....	129
3.3.6. -ig ნიშა.....	132
3.3.7. -isch ნიშა.....	136
3.3.8. -lich ნიშა.....	143
3.3.9. -los ნიშა.....	147
3.3.10. -mäßig ნიშა.....	150
3.3.11. -sam ნიშა.....	161
3.4. უცხოური სუფიქსები.....	163
3.4.1. -abel/-ibel ნიშა.....	164
3.4.2. -al/-ell ნიშა.....	165
3.4.3. -ant/-ent ნიშა.....	167
3.4.4. -ar/-är ნიშა.....	168
3.4.5. -esk ნიშა.....	169
3.4.6. -iv ნიშა.....	169
3.4.7. -oid ნიშა.....	170
3.4.8. -os/-ös ნიშა.....	170
3.5. ზედსართავი პრეფიქსული დერივატი. გერმანული პრეფიქსები.....	171
3.5.1. erz- ნიშა.....	172
3.5.2. miss- ნიშა.....	172
3.5.3. un- ნიშა.....	173

3.5.4. ur- ნიშა.....	181
3.6. უცხოური პრეფიქსები.....	182
3.6.1. უარყოფის გამომხატველი პრეფიქსები.....	182
3.6.1.1. a-/an- ნიშა.....	182
3.6.1.2. de-/des-/dis- ნიშა.....	183
3.6.1.3. in-/il-/im-/ir- ნიშა.....	183
3.6.1.4. non- ნიშა.....	184
3.6.2. გაძლიერების გამომხატველი პრეფიქსები.....	185
3.6.2.1. hyper- ნიშა.....	185
3.6.2.2. super- ნიშა.....	185
3.6.2.3. ultra- ნიშა.....	185
3.6.3. პოზიციური მიმართების გამომხატველი პრეფიქსები.....	186
3.6.3.1. anti- ნიშა.....	186
3.6.3.2. pro- ნიშა.....	187
3.6.4. ორიენტაციის გამომხატველი პრეფიქსები.....	187
3.6.4.1. სივრცობრივი ორიენტაცია.....	187
3.6.4.1.1. ex- ნიშა.....	188
3.6.4.1.2. inter- ნიშა.....	188
3.6.4.1.3. para- ნიშა.....	189
3.6.4.1.4. sub- ნიშა.....	189
3.6.4.1.5. trans- ნიშა.....	189
3.6.4.2. დროითი ორიენტაცია.....	190
3.6.4.2.1. post- ნიშა.....	190
3.6.4.2.2. prä- ნიშა.....	190
3.6.5. ko-/kon-/kor- ნიშა.....	191
3.7. კომბინატორული დერივიტი.....	191
3.7.1. ge- -ig ნიშა.....	193
3.7.2. ge-/be- -t ნიშა.....	193
3.7.3. un- -lich/-bar/-sam ნიშა.....	193
3.8. სიტყვათა ბლოკები.....	194
3.8.1. ორნატიული ბლოკი.....	195
3.8.2. შედარების ბლოკი.....	197
3.8.3. უარყოფის ბლოკი.....	198
3.8.4. ლოკალურ-სივრცობრივი ბლოკი.....	199
3.8.5. მიდრეკილების ბლოკი.....	200

3.8.6. ტემპორალური ბლოკი	201
3.8.7. გაძლიერების ბლოკი.....	202
3.8.8. შეზღუდვით-მიმართებითი ბლოკი	203
3.8.9. შესაძლებლობის ბლოკი	204
3.8.10. მოვალეობა-აუცილებლობის ბლოკი	205
3.8.11. პოზიციური მიმართების ბლოკი	206
3.8.12. წარმომავლობის ბლოკი	207
3.8.13. იდენტურობის ბლოკი	208
3.8.14. ერთეულოვანი ნიშების ბლოკი	209
თაზო IV	210
4. ფერის, შედარების და გრადაციის გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები	210
4.1. ფერის გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები.....	210
4.2. შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები.....	221
4.3. გრადაციის გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები.....	235
თაზო V	244
5. კრეატიული ასპექტი ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში	244
5.1. ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები.....	244
5.2. სიტყვათა თამაში სიტყვაწარმოების ფარგლებში.....	253
საერთო დასკვნები	269
ENTSTEHUNGSTENDENZEN DER ADJEKTIVBILDUNGEN IM DEUTSCHEN (KURZFASSUNG)	276
ბამოყენებული და მითითებული ლიტერატურა	292
დანართი	301

შ ე ს ა მ ა ლ ი

01. სიტყვაწარმოების შესწავლის მეცნიერული დონა

გერმანული ენის სიტყვაწარმოება როგორც ენის თეორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქმნებოდა. მან თავის განვითარებაში რამდენიმე საფეხური განვლო.

კლასიკურ გერმანისტიკაში სიტყვაწარმოება წარმოადგენდა ან გრამატიკის ერთ-ერთ ნაწილს (Wilmanns 1899, Paul 1920, Behaghel 1953), ან მეტყველების ნაწილების განხილვისას იძლეოდა დამატებით ცნობებს მათი სიტყვაწარმოებითი თავისებურებების შესახებ (Brinkmann 1971, Erben 1964). განვითარების ამ საფეხურზე სიტყვაწარმოებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომებში იგი არ განიხილებოდა მთლიანობაში როგორც სისტემა, მკვლევართა ყურადღება ცალკეული საკითხებისადმი იყო მიპყრობილი.

გერმანული ენის ლექსიკოლოგიის გამოყოფას დამოუკიდებელ ენათმეცნიერულ დისციპლინად მოჰყვა სიტყვაწარმოების ჩართვა მის შემადგენლობაში, თუმცა უკვე შეიძლება მისი გამოყოფა ენის შესახებ მოძღვრების დამოუკიდებელ დისციპლინად, რადგან ამ დროისათვის შექმნილი იყო სიტყვაწარმოების პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელო (Naumann 1972, Stepanova 1979).

საკითხი სიტყვაწარმოების როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის ადგილის შესახებ დიდხანს დარჩა საკამათო. იგი განიხილებოდა ერთდროულად ორი დისციპლინის ფარგლებში: ლექსიკოლოგიაში, რადგან იკვლევდა ლექსიკურ ერთეულებს, და გრამატიკაში, რამდენადაც განიხილავდა ახალი კომპლექსური სიტყვებისა თუ შესიტყვებების შექმნის ფორმალურ კანონზომიერებებს. თვალსაზრისს, რომ სიტყვაწარმოება განხილულიყო ლექსიკოლოგიის ფარგლებში, იზიარებდნენ ჰ. ჰირტი (Hirt 1921), ვ. შმიდტი (W. Schmidt 1978), კ. ა. ლეკოვსკაია (Lewkowskaja 1968), მ. დ. სტეპანოვა/ი. ი. ჩერნიშევა (Stepanova/Černyševa 1986) და სხვები. გრამატიკული მიდგომა სიტყვაწარმოებისადმი წარმოდგენილი იყო ვ. იუნგის გრამატი-

კაში (Jung 1966), სადაც სიტყვაწარმოება უშუალოდ არის ჩართული მორფოლოგიაში.

ეს ორი მიდგომა სიტყვაწარმოებისადმი გამართლებულია მისი ორგანიზაციული ბუნებით. არ შეიძლება მისი უშუალო კავშირის უარყოფა არც ლექსიკურ სემანტიკასთან, არც მორფოლოგიასა და სინტაქსთან.

იმავედროულად იკვეთებოდა აზრი, რომ სიტყვაწარმოებას შეეძლო დამოუკიდებელი ადგილი დაემკვიდრებინა ენათმეცნიერული დისციპლინების რიგში. გარდა ლექსიკასა და გრამატიკასთან მისი კავშირისა, ხაზი ესმებოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ეს საკვებით კანონზომიერი იყო, რადგან სიტყვაწარმოების კანონები განსხვავდება ენის სისტემის სხვა დონეების კანონზომიერებებისაგან როგორც ხარისხობრივად, ისევე რაოდენობრივად. სიტყვაწარმოება აღწერს და ადგენს მოდელებს, რომელთა მიხედვითაც ხდება სიტყვების რეკონსტრუირება, ინტერნული სტრუქტურირება და ახალი სიტყვების შექმნა.

მნიშვნელოვანი ეტაპი სიტყვაწარმოების თეორიის განვითარებაში აღინიშნა ვ. ჰენცენის კლასიკური ნაშრომით *Deutsche Wortbildung* (1965). ეს წიგნი დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა გერმანული სიტყვაწარმოების სამაგიდლო წიგნად, თუმცა მასში დიაქრონიული თვალთახედვა დომინირებდა და თითქმის არ იყო განხილული თანამედროვე გერმანული ენის სიტყვაწარმოების სტრუქტურული ასპექტები.

თანდათან დამკვიდრდა შეხედულება, რომ სიტყვაწარმოება ენის დამოუკიდებელ სუბსისტემას წარმოადგენს და იგი ენათმეცნიერების თვითმყოფი დისციპლინის რანგში უნდა ავიდეს (Motsch 1965, Κυδριαკова 1965, Dokulil 1968). ამას მოჰყვა მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებმაც სიტყვაწარმოების თეორია განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანეს (Степанова 1979, Fleischer 1983, Kühnhold/Wellmann 1973, Wellmann 1975, Kühnhold/Putzer/Wellmann 1978 და ა.შ.).

სიტყვაწარმოების პრობლემები მუდმივად იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ეჭვს აღარ იწვევს, რომ მაღალგანვითარებულ ენებში შემოჭრილი მძლავრი ნაკადი ახალი სიტყვების აღწერას და სისტემატიზაციას მოითხოვს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ენაში არსებული მოდელების გადასინჯვას, სიტყვა-

წარმოებითი საშუალებების შეფასებას მოტივირების, პროდუქტიულობის და აქტიუობის ხარისხის მიხედვით, გრამატიკასთან და ლექსიკასთან მათი მიმართებების ექსპლიციურებას და ა.შ.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გამოქვეყნებული შრომები მოწმობს, რომ მკვლევართა ყურადღება სიტყვაწარმოების პრობლემებისადმი არ შენელებულა. ერთი მხრივ, მიმდინარეობს ძველი, ტრადიციით დამკვიდრებული შეხედულებების განვითარება, მეორე მხრივ, ხდება მათი გადასინჯვა, ახალი პოსტულატებისა და ვარაუდების წამოყენება, რომლებიც ზოგჯერ ერთი და იმავე ავტორის მიერ ადრეულ შრომებში განვითარებულ დებულებებს უპირისპირდება.

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად სიტყვაწარმოების მეცნიერული კვლევის საკმაოდ მაღალი დონისა, დასახუსტებელი და შესასწავლი კიდევ ბევრი პრობლემა რჩება.

02. სიტყვაწარმოება როგორც თვითმყოფი ენათმეცნიერული დისციპლინა

სიტყვაწარმოების როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინის სტატუსის დადგენისათვის აუცილებელია განისაზღვროს მისი ადგილი ენათმეცნიერული დისციპლინების რიგში და სათანადო საბაზისო ერთეულიც გამოიყოს.

ენა არის რთული წარმონაქმნი, დამოკიდებულებათა სისტემა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ შრეს. ამ შრეების განლაგება ლინგვისტიკური აღწერის სტრატეგიკაციულ მოდელში ხდება იერარქიული პრინციპის მიხედვით. ბუნებრივი ენის შრეს ლინგვისტიკური აღწერის მოდელში შეესაბამება დონე, რომელიც არის ლინგვისტიკური აღწერის ფაზა. მაგრამ ლინგვისტიკური აღწერის პრინციპები იცვლება ენათმეცნიერების განვითარების კვალდაკვალ. ამიტომ დონეების რაგვარობისა და რაოდენობის საკითხი ღიად რჩება. ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად მათი რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ან, პირიქით, შემცირდეს (ფურცელაძე, 1998:36). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დონეების რიცხვი ზუსტად ვერ ასახავს ბუნებრივი ენის სისტემაში არსებულ ყველა შესაძლო შრეს, რის გამოც წამოიჭრა შუალედური დონეების გა-



მოყოფის საკითხი. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია პოსტულირება გრამატიკასა და ლექსიკოლოგიას შორის მდებარე შუალედური დონისა, რომლის საბაზისო ერთეულს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია წარმოადგენს. ამ დაშვების შემაგრება იმ ფაქტითაც შეიძლება, რომ აღიარებულია ლინგვისტიკური ანალიზის შუალედური დონე მორფონოლოგია, რომელზედაც აღიწერება მორფემულ-ფონოლოგიური რეგულირებანი (შდრ. ალოფონი) (Glück 2000:456).

ენათმეცნიერული დისციპლინების და საბაზისო ერთეულების განლაგების მოდელი შეიძლება შემდეგი სახით გამოვსახოთ:

ენათმეცნიერული დისციპლინა	საბაზისო ერთეული
ტექსტის ლინგვისტიკა	ტექსტი
სტილისტიკა	სტილემა
გრამატიკა	გრამემა
სიტყვაწარმოება>>> ლექსიკოლოგია	ლექსემა
გრაფიკა	გრაფემა
ფონოლოგია	ფონემა

<< სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია

სიტყვაწარმოება იკავებს ადგილს გრამატიკასა და ლექსიკოლოგიას შორის, ხოლო მისი საბაზისო ერთეული არის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია. ამ ცნებაში მოქცეულია სიტყვაწარმოების ყველა სახეობის შედეგად მიღებული აბსტრაქტიზებული ინვარიანტი, რომელიც რეალიზდება რამდენიმე ერთეულის სახით. კერძოდ, სიტყვაწარმოების საბაზისო ერთეულია სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია, თხზვის საბაზისო ერთეულია კომპოზიტი და ა.შ. ეს მიმართებები გრაფიკულად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემის სახით (კონვერსია და შემოკლებები ზედსართავის სფეროში ნაკლებად არის გაერცვლებული, ამიტომ მათ მოცემულ სქემაში არ მოვაქცევთ. (იხ. Olsen 1990:185, Kobler-Trill 1994:62):



03. ზედსართაული სიტყვაწარმოების აბტუალური პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ნიშან-თვისების კატეგორიასთან დაკავშირებული დასახელებები თანამედროვე გერმანულ ენაში აშკარად ნაკლებადაა წარმოდგენილი, ვიდრე საგანთა სახელწოდებები, ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს მაინც დიდი წვლილი შეაქვთ ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

სიტყვაწარმოების პრობლემების აბტუალობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა „საუკუნის 100 სიტყვის“ („100 Wörter des Jahrhunderts“ 2002) მიმოხილვა, რომლებიც 7კაციანმა ეიურიმ გამოავლინა „გერმანული ენის საზოგადოებასთან“ (GfdS) ერთობლივი მუშაობით. ეიურის წევრები იყვნენ, სხვათა შორის, გერმანელი მწარალი ვალტერ იენსი, შვეიცარიელი ლიტერატურათმცოდნე პეტერ ფონ მატი და „Zeit“-ის ფელეტონის განყოფილების ხელმძღვანელი ზიგრიდ ლოფლერი. სიტყვები წარმოდგენილი იყო 1999 წლის დეკემბერში ტელეგადაცემაში Kulturzeit. ამ სიტყვებს ერთგვარად უნდა აღეწერათ და დაეხასიათებინათ ამჟამად უკვე ისტორიად ქცეული XX საუკუნე. მოვიყვანო რამდენიმე სიტყვას: Aids, Antibiotikum, Apartheid, Atombombe, Autobahn, Automatisierung, Bolschewismus, Camping, Computer, Eiserner Vorhang, Doping, Cousinenwirtschaft, Pille, Beton, Euroland, Führer, Klimakatastrophe, Kaugummi, Mondlandung, Perestroika, Ökosteuer, Reformstau, Wende.

როგორც ვხედავთ, სიტყვების უმეტესობა არსებითი სახელებია. ისინი XX საუკუნის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახელებენ. მაგრამ მოიძებნება ზედსართავი სახელებიც, როგორცაა, მაგალითად, rot-grün. ეს არის 1998 წლის სიტყვა, რომელიც ბონის ორივე პარტნიორი სახელისუფლებო პარტიის – SPD და Bündnis 90/Die Grünen (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მწვანეები) – შემოკლებულ დასახელებას წარმოადგენს ფერების მიხედვით. აღნიშნული კონსტრუქცია გამოიყენება როგორც ზედსართავად, ასევე არსებით სახელად: rot-grün – Rot-Grün და მკაფიოდ გამოხატავს ორი პარტიის ერთობლიობას.

მომდევნო მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: jahr-2000-fähig (ეს კონსტრუქცია გამოიყენებოდა კომპიუტერების აღ-

სანიშნავად, რომელთაც შეეძლოთ რიცხვის – 2000 წელი – სწორად დალაგება) და ზედსართავი nachhaltig, რომელიც აღნიშნავს მომავლის მქონე, გამძლე მოვლენას, ხანგრძლივ პროცესს.

ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა. ენათმეცნიერული გერმანისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ამ ლექსიკური ერთეულების რაობის გარკვევა და ფუნქციების აღწერა. პრობლემის აქტუალობა განაპირობებს მასთან დაკავშირებული საკითხების ინტენსიურ კვლევას.

გამოვეოფთ ზედსართაულ სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ჩვენს ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული და მსჯელობის ობიექტს წარმოადგენს:

1. დღემდე გადაუჭრელ პრობლემად ითვლება კომპოზიციასა და აფიქსაციას შორის გარდამავალი მოვლენების სტატუსის განსაზღვრა. კერძოდ, ნახევრადაფიქსების (აფიქსოიდების) თაობაზე ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი არსებობს: მეცნიერთა უმრავლესობა შესაძლებლად მიიჩნევს აფიქსოიდების კლასის გამოყოფას კომპოზიტებსა და დერივატებს შორის. მათ რიცხვს მიეკუთვნება ი. კუნპოლდი/ო. პუტცერი/ჰ. ველმანი (Kühnhold/Putzer/Wellmann 1978:108), თ. შიპანი (Schippan 1992:115), ა. მ. კინპონტნერი (Kienpointner 1985:186), ჰ. ორტნერი/ლ. ორტნერი (Ortner H./Ortner L. 1984:77), ი. ფიოგედინგი (Vögeding 1981:110), მ. დ. სტეპანოვა (Степанова 1979:529), მ. რუგე (Ruge 2004:29), მ. ბუესი (Bues 1997:120), ს. შტაინი (Stein 2008:179) და სხვები. გუნტერ დიტრის შმიდტი (G. D. Schmidt 1987:53) კი უარყოფს ამ სიტყვაწარმოებით ფენომენს და ამას იმით ასაბუთებს, რომ აფიქსოიდების სტატუსის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და შუალედური მოვლენების კვლევა უსარგებლოა და პრაქტიკულად გამოუყენებელი.

ეს პრობლემა წამოიჭრა ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი გერმანულ ლინგვისტიკაში. მსჯელობა იყო მორფემებზე, რომლებიც თავდაპირველად თავისუფალ სიტყვებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი დესემანტიზაციის შედეგად სიტყვაწარმოებითი მწკრივების მაწარმოებელი კომპონენტები გახდნენ და ამგვარად

აფიქსის ხასიათი მიიღეს. ვ. ფლაიშერი ადრეულ შრომებში აღიარებს ნახევრადაფიქსების არსებობას და ისინი იმ ერთეულებამდე დაჰყავს, რომლებიც თავისუფალ მორფემებად ჯერაც გამოიყენება. ამ მოვლენას იგი უპირატესად დიაქრონიული ასპექტით განიხილავს (Fleischer 1983:279). მოგვიანებით კი ვ. ფლაიშერი ი. ბარცთან ერთობლივ ნაშრომში გ. დ. შმიდტის აზრს იზიარებს და უარს ამბობს ტერმინზე „აფიქსოიდი“ (Fleischer/Barz 1995:227).

აფიქსოიდების პრობლემა შემდგომ კვლევას საჭიროებს, მით უფრო, რომ ნახევრადაფიქსაცია დაკავშირებულია სიტყვაწარმოებითი პროცესების დინამიკასთან არა მარტო დიაქრონიკაში, არამედ აგრეთვე ენის სინქრონული მონაკვეთის ფარგლებშიც.

2. მომდევნო საკითხი, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, შემდგომში მდგომარეობს: რა განსხვავებაა კომპოზიციასა და აფიქსაციას შორის. არის შემთხვევები, როდესაც სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია ორგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, მაგალითად, *trübsinnig* შეიძლება განხილულ იქნას როგორც ორი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტისაგან შემდგარი კომპოზიტი: *trüb* + *sinnig*, ან ექსპლიციტური დერივატი: *Trübsinn* + *-ig*.

3. საკამათოა საკითხი, პრეფიქსული წარმონაქმნი დერივაციას უნდა მიეკუთვნებოდეს თუ სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ სახეობად ჩაითვალოს. ზოგიერთი მკვლევარი, როგორცაა, მაგალითად, ჰ. მარჩანდი, პრეფიქსაციასა და კომპოზიციას განიხილავს როგორც პროცესს, რომლის შედეგად, სუფიქსაციისაგან განსხვავებით, რომელსაც იგი დერივაციას უწოდებს, მეტყველების ნაწილი არ იცვლება, ხოლო სუფიქსაციას მიიჩნევს ტრანსპოზიციის ერთგვარ სახედ, რომლის შედეგად სიტყვა სხვა მეტყველების ნაწილში ან სხვა სემანტიკურ კლასში გადადის. ამგვარად, სუფიქსაცია ითვლება დერივაციად და იმიჯნება კომპოზიციისა და პრეფიქსაციისაგან.

სხვაგვარად მსჯელობს ვ. შმიდტი, რომლისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ როგორც პრეფიქსაციის, ისე სუფიქსაციისას ანალიზის პირველ დონეზე მხოლოდ ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი წარმოადგენს სიტყვას, ხოლო მეორე არის აფიქსი. იგი აფიქსაციასა და კომპოზიციას ერთმანეთს უპირისპირებს. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ საბჭოთა გერმანისტები, რომლებიც პრეფიქსაციას

სუფიქსაციის მსგავსად დერივაციის ერთ-ერთ ქვესახეობად თვლიან და არა სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ სახეობად.

ვ. ფლაიშერი თავის ადრეულ ნაშრომში პრეფიქსულ წარმოებაში სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ სახეობას ხედავს (Fleischer 1983:289), თუმცა მოგვიანებით ი. ბარცთან ერთობლივ ნაშრომში პრეფიქსაციას ექსპლიციტურ დერივაციად აცხადებს (Fleischer/Barz 1995:269).

4. ზედსართაული სიტყვაწარმოების სპეციფიკა იმას უკავშირდება, რომ ზედსართავის ტიპურ ფუნქციას დეტერმინანტის როლი წარმოადგენს. კონსტიტუენტთა მნიშვნელობებიდან და მათი ურთიერთმიმართებებიდან გამომდინარე, გარკვეულ ზღვრამდე უნდა აიხსნას ახალი კომბინაციები, რადგან მოტივირებულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციათა ახსნაც შეიძლება გართულებული იყოს სხვადასხვა მიზეზით, როგორცაა, მაგალითად, მათი მიმართება სინტაქსურ კონსტრუქციებთან. განსხვავებით შესიტყვებისაგან, სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში მნიშვნელობათა ურთიერთმიმართება ნათლად და მკაფიოდ არ არის გამოხატული, ისე რომ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია სემანტიკური ეკვივალენტობის შემთხვევაშიც კი უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მკითხველს/მსმენელს, ვიდრე შესაბამისი შესიტყვება (Poethe 1988:342).

5. სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში შემავალი კონსტიტუენტები (როგორც დამოუკიდებელი სიტყვები, ასევე აფიქსები) შეიძლება პოლისემანტური იყოს. მაგალითად, სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში schlagbezogen აქტუალიზებულია Schlag-ის 15 მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთი სემა - „mit einer bestimmten Frucht bestellte oder dafür vorgesehene Ackerfläche“ (Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache 1980).

გაუგებრობები, უპირველეს ყოვლისა, იზოლირებულ სიტყვასთან გვხვდება, მაგრამ კონტექსტში ან სიტუაციაში ყველაზე მოულოდნელი შენაერთებიც კი ახსნას პოულობს, მაგალითად:

zuschauerfreundlicher Fußball = eine Art des Fußballspielens, die den Erwartungen und Bedürfnissen der Zuschauer entspricht;

materialsenkende Lösungen = Lösungen, die den Materialverbrauch senken helfen.

ასეთივეა: verwacklungsfreie Bilder, balletgamäße Musik, patentfähige Lösungen, blutenarmer Monat, schlagbezogene Höchstertragskonzeptionen, bügelfeuchte Wäsche.

6. უცხოური ენის სწავლებისას სიტყვაწარმოების კანონზომიერებებზე მუშაობა უპირატესად რეცეფციულად მიმდინარეობს, თუმცა უკვე უფრო მეტად იგრძნობა ორიენტირება სიტყვაწარმოებითი მოდელებისადმი პროდუქტიულ მიდგომაზე (Dreßel 1986:336). ასლადწარმოქმნილი დასახელებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით სიტყვაწარმოების პრობლემებზე მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს თანამედროვე გერმანული ენის პროდუქტიული მოდელებისაკენ, ე.ი. მოდელებისაკენ, რომლებიც მაღალი ალბათობით გამოიყენება ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების შექმნისათვის.

04. ტერმინოლოგია და ძირითადი ცნებები

ნაშრომში გამოყენებულია სიტყვაწარმოების სფეროში საყოველთაოდ მიღებული ტერმინები, თუმცა ბევრი მათგანი სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვანაირად გაიგება. საჭიროდ ვთვლით ძირითადი ტერმინების დაზუსტებას იმ თვალსაზრისით, რომლითაც ჩვენ მათ ვიყენებთ.

ტერმინი „სიტყვაწარმოება“ „გრამატიკის“ ანალოგიით სამი მნიშვნელობით მოიხმარება, როგორც:

1. ბუნებრივ ენაში არსებული სისტემა.
2. მოძღვრება სიტყვაწარმოებით სისტემაზე.
3. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების გამოყენების პრაქტიკული კურსი.

ეს ტერმინი ნაშრომში გამოყენებულია სათანადო კონტექსტში სამივე მნიშვნელობით.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ ტერმინზე „სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია“ (Wortbildungskonstruktion), რადგან იგი ჩვენი კვლევის ფუნდამენტურ ცნებას აღნიშნავს.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია არის აზრობრივი სტრუქტურების ენობრივი რეალიზების ერთ-ერთი სახეობა შესიტყვებისა და სიმპლექსის გვერდით. ამ ტერმინის შემოღებას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი მას შემდეგ დამკვიდრდა სპეციალურ ლიტერატურაში, რაც სიტყვაწარმოების

თეორიამ კვლევის მიმართულებები მკაფიოდ გამოკვეთა. ამ ტერმინის ხმარების ქრონოლოგია შეიძლება დადგინდეს სიტყვაწარმოებისადმი მიძღვნილი სტატიებისა და მონოგრაფიების მიხედვით. თავიანთ შრომებში სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს იხილავენ ვ. ფლაიშერი (Fleischer 1983), ი. ბარცი (Barz 1988), თ. შიპანი (Schippan 1992), მ. დ. სტეპანოვა/ვ. ფლაიშერი (Степанова/Фляйшер 1984) და სხვები. სიტყვაწარმოების თეორიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია სტრუქტურულად წარმოადგენს ცალკეული მორფემების კომპლექსს, რომელიც ხასიათდება სტაბილურობით (Степанова/Фляйшер 1984:65). სტაბილურობას ქმნიან შემდეგი ნიშნები:

1) ფორმალური სტრუქტურის სტაბილურობა, რომელიც გამოირჩევა ატრიბუტების არსებობას, რასაც ადგილი აქვს შესიტყვებაში: Buchausstellung – Ausstellung interessanter Bücher.

2) უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების შეერთება ფლექსიის გარეშე იმ შემთხვევაშიც კი, როცა შესაბამის შესიტყვებაში აუცილებელია სინტაქსური მიმართებების ფლექსიური დახასიათება: fremdwortüberladen – mit/von Fremdwörtern überladen.

3) არარსებობა ნიშნებისა, რომლებიც უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მიაკუთვნებენ. ყოველი სინტაქსური შესიტყვება შედგება მორფემებისაგან, რომლებსაც ახასიათებთ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა ნიშნები. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტებია ბაზისური მორფემები, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ძნელი დასადგენია, რომელ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნებიან ისინი. განსაკუთრებით ეს ეხება ნასესხებ ელემენტებს, მაგალითად, fanat -isch/-iker/-ismus/-isieren, აგრეთვე თვით გერმანულ მორფემებსაც, რომლებიც მთლიანი სიტყვის შემადგენლობაში შედიან, მაგალითად, les(e)-buch/-er/-en/-bar.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ზოგადი ნიშნები სიტყვაწარმოების ყველა სახეობას და ყველა მეტყველების ნაწილს ახასიათებს. თუ ამ ნიშნებს გადავიტანთ რთულ ზედსართავებზე, აღმოჩნდება, რომ მეორე და მესამე ნიშანია რეგულარ-

ტური, პირველი კი – არა, რამდენადაც ზედსართავი თავად ატრიბუტს წარმოადგენს.

შემდეგი ტერმინები, რომლებსაც ნაშრომში ვიყენებთ, არის „კვაზიკომპოზიცია“ (Quasikomposition) პროცესის აღსანიშნავად და „კვაზიკომპოზიტი“ ანუ „აფიქსოდიანი კომპოზიტი“ (Quasikompositum) შედეგის აღსანიშნავად. კვაზიკომპოზიცია დაიკავებს ადგილს კომპოზიციასა და დერივაციას შორის, რომელთა საბაზისო ერთეულები შესაბამისად იქნება: კომპოზიტი, კვაზიკომპოზიტი, სუფიქსური დერივატი, პრეფიქსული დერივატი, კომბინატორული დერივატი.

გვინდა განვმარტოთ ასევე ტერმინი „სიტყვაწარმოებითი მოდელი“ (Wortbildungsmodell). მასში იგულისხმება მორფოლოგიურად და ლექსიკურ-სემანტიკურად განსაზღვრული სტრუქტურული სქემა, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეიქმნას მსგავსი სტრუქტურის მქონე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების მწკრივები (Степанова/Фляйшер 1984:79). განასხვავებენ პროდუქტიულ, აქტიურ და არაპროდუქტიულ სიტყვაწარმოებით მოდელებს. პროდუქტიულია ისეთი სიტყვაწარმოებითი მოდელები, რომელთა მიხედვითაც გარკვეულ დროში მასობრივად იქმნება ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. აქტიურია მოდელები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეიქმნას ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, მაგრამ მასობრივ წარმოქმნაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ხოლო არაპროდუქტიულია ისეთი სიტყვაწარმოებითი მოდელები, რომელთა ნიმუშის მიხედვით ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები უკვე აღარ წარმოიქმნება.

რაც შეეხება „სიტყვათა ბლოკს“ (Wortstand), ეს ლ. ვაისგერბერის ტერმინია და აღნიშნავს სიტყვაწარმოების განსხვავებული ხერხებით მიღებულ და სემანტიკურად მონათესავე დერივატთა ჯგუფს. Wortstand-ს რუსულად თარგმნიან როგორც блок. უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო იძულებული ვიყავით Wortstand ჩვენც „ბლოკად“ გადმოგვედო, მით უფრო, რომ „ბლოკი“ ინტერნაციონალური სიტყვაა და ქართულშიც ზოგადად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სხვა ენებში.

ნაშრომში ორი მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი „წარმონაქმნი“. კერძოდ: 1. დერივატი, ანუ დერივაციის (წარმოქ-

მნის) შედეგი; 2. ზოგადად სიტყვაწარმოების ყველა სახეობის შედეგად მიღებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია (კომპოზიტი, კვაზიკომპოზიტი, დერივატი).

ზოგიერთი მეცნიერის აზრით (Fleischer/Barz 1995:42, Степанова/Фляйшер 1984:98), სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციის დაყოფას უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებად. როგორც ცნობილია, უშუალო შემადგენლური ანალიზი ინგლისურიდან მომდინარეობს (IC Analyse). უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები არის კომპონენტები, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობენ კონსტრუქციის შედგენაში და რომლებაც იყოფა იგი უფრო დაბალ საფეხურზე. დაყოფისათვის მთავარია სემანტიკური კრიტერიუმი, რომელიც ემყარება დისტრიბუციულს. მაგალითად, შემდეგი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტებია: hochwissenschaftlich – hoch + wissenschaftlich; kunstwissenschaftlich – Kunstwissenschaft + -lich.

ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია ორმაგი ინტერპრეტაციის საბაზს იძლევა, რაც იმით აიხსნება, რომ ერთსა და იმავე კონსტრუქციას ორი განსხვავებული სიტყვაწარმოებითი მოდელი შეიძლება მიესადაგოს, მაგალითად, drogensüchtig: Drogensucht + -ig, ან Drogen + süchtig.

როგორც უშუალო შემადგენლური ანალიზი გვიჩვენებს, სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის იერარქიული სტრუქტურა ბინარულია. ამასთან, ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი, გარდა კოპულატიური კომპოზიტის შემთხვევისა, თანასწორი კი არ არის, არამედ ერთმანეთთან დეტერმინატიულ მიმართებაში იმყოფება.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის სემანტიკური მიმართებების გამოხატვის ნაკლები ხარისხით ხასიათდება. შესიტყვების ერთსა და იმავე სტრუქტურულ მოდელს შეიძლება ახასიათებდეს განსხვავებული სემანტიკური მიმართებები, მაგრამ მათი დადგენა შეიძლება, რაც შეუძლებელია სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში. მის ერთსა და იმავე სტრუქტურულ მოდელს, როგორც წესი, აქვს მთელი რიგი სემანტიკური ვარიანტები და უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების რომელიმე სემანტიკური მიმართება შეიძლება ექსპლიციტურად გამოიხატოს მხოლოდ შე-

სიტყვებად ან წინადადებად ტრანსფორმაციის საშუალებით, მაგალითად,

publikationsreif – reif für die Publikation;

besichtigungsreif – reif zur Besichtigung.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ლინეარულ სეგმენტირებას მინიმალურ ნიშნებად მივყავართ მორფემათა იზოლირებაში.

სრულად დემოტივირებულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში უშუალო შემადგენლური ანალიზი არ ხერხდება, რადგან ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების მნიშვნელობები არ აიხსნება რეგულარულად უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მნიშვნელობებით, მაგალითად, selbstverständlich.

სხვა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ტერმინებსა და ცნებებს სათანადო კონტექსტებში განვმარტავთ.

თავი I

1. თხზვა (კომპოზიცია) – ზედსართავი სახელის წარმოქმნის პროდუქტიული მოდელი ბერმანულ ენაში

1.1. ზედსართავი კომპოზიტი როგორც სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის სახეობა

ზედსართავი სახელები შეადგენს გერმანული ენის სიტყვათა საერთო მარაგის დაახლოებით 15%-ს. აქედან თითქმის ერთი მესამედი სიმპლექსური ფორმებია, ხოლო უმეტესობა კომპლექსურია და იმავე ან სხვა ენობრივი ერთეულების კლასების რამდენიმე ლექსემისა და მორფემისაგან არის მიღებული.

ზედსართავის სფეროში კომპოზიცია სიტყვაწარმოების ერთ-ერთ ძირითად ხერხს წარმოადგენს. გერმანულ ლექსიკაში უამრავი ზედსართავი კომპოზიტი გვხვდება, რომელთა მოდელის მიხედვითაც ახალი ერთეულები იქმნება (Schröder 1985:81).

ზედსართავი კომპოზიტი წარმოადგენს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც რეალურად ვარიანტების სახით გვხვდება. ტერმინ „ვარიანტი“ ვგულისხმობთ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის მოდელის შესაძლო კონკრეტულ გამოხატულებას. კომპოზიტი როგორც სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის სახეობა რეალიზდება ისეთი ვარიანტების სახით, როგორიცაა დეტერმინატიული კომპოზიტი, კოპულატიური კომპოზიტი, პოსესიური კომპოზიტი.

ინდოგერმანიკულ ენებში განასხვავებენ კომპოზიტთა ორ ფენას: ძველსა და ახალს. ძველ ფენას მიეკუთვნება ის კომპოზიტები, რომლებიც უშუალოდ გადმოვიდნენ წინარე ენიდან ან შექმნილი არიან უძველესი ნიმუშების მიხედვით, ხოლო ახალ ფენას წარმოადგენენ ის კომპოზიტები, რომლებიც დამოუკიდებლად განვითარდნენ ცალკეული ენების ნიადაგზე და თანამედროვე ენებში დიდი ადგილი დაიკავეს (Paul 1970:326). ამგვარი კომპოზიტები ჩვენს თვალწინ მრავლად წარმოიქმნება, კერძოდ, დამოუკიდებელი სინტაქსური შენაერთებისაგან. კომპოზიცია როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეობა სწორედ რამდენიმე სიტყვის თავისუფალი სინტაქსური შესიტყვებისაგან

ვითარდება. ორი მეზობელი სიტყვის სინტაგმატური ერთიანობა კომპოზიციის შექმნის საფუძველია.

კომპოზიციისა და შესიტყვებას შორის არსებობს როგორც ფორმალური, ასევე სემანტიკური სხვაობა:

1. კომპოზიტი ერთ სიტყვად იწერება. მაგალითად, röstfrisch, hellgrün.

2. მთავარი აქცენტი ნომინალურ კომპოზიტებში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტზე მოდის, შესიტყვებაში კი მერყეობს. მაგალითად, sorgenfrei – frei von Sorgen.

3. კომპოზიტში უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტთა თანმიმდევრობა უცვლელია, დეტერმინებადი კონსტიტუენტი დგას დეტერმინირებულის წინ. შესიტყვებაში კი თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს. უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტთა ურთიერთმიმართება შესიტყვებაში გამოიხატება ფლექსიით ან წინდებულებით, კომპოზიტში კი უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტთა თანმიმდევრობით. მაგალითად,

arbeitsfähig – fähig zur Arbeit.

rachedurstig – durstig nach Rache.

diensteifrig – eifrig beim Dienst.

fieberkrank – krank an Fieber. და ა.შ.

კომპოზიტი ფლექსიას ამარტივებს, მხოლოდ მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის ფლექსიური. მაგალითად, weißbärtiger Mann – der Mann, der einen weißen Bart hat.

კომპოზიტთა დახასიათებისას, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების ანალიზს ვიყენებთ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სხვა მეთოდებსაც ვიშველიებთ. უშუალო შემადგენლური ანალიზი მკაფიოდ გვიჩვენებს კომპოზიციის სიტყვაწარმოებით სტრუქტურას. კომპოზიციის სტრუქტურა ჩვეულებრივ განისაზღვრება ორი კონსტიტუენტით, რომელთაგან თითოეული შეიძლება კომპლექსური იყოს. მაგალითად, bienenfleißig, dünnflüssig. ნებისმიერი კომპოზიტი ანალიზის პირველ ეტაპზე ორ შემადგენელ ნაწილად იყოფა. მაგალითად, rostwiderstands|fähig, witterungs|beständig, verständigungs|feindlich. შემდგომ ეტაპზე კი თვით ეს ბინარული კონსტიტუენტებიც დაიშლება: rost-widerstands|fähig, witterungs|beständig-ig და ა.შ.

ისტორიული სიტყვაწარმოება განასხვავებს ნამდვილ და არანამდვილ (eigentliche und uneigentliche) კომპოზიტებს. კონსტრუქციები მაერთებელი ელემენტის გარეშე (Nomina in reiner Stammform) იწოდება ნამდვილ კომპოზიტებად: hellgrün, wasserscheu, umweltbewusst. ხოლო კომპოზიტები ძველი ფლექსიის დაბოლოებით, რომელიც შეესატყვისება წინამორბედი მორფემის სინტაქსურ მიმართებას მომდევნოსადმი, იწოდება არანამდვილ კომპოზიტებად. ი. გრიმი წერს: „არანამდვილი კომპოზიტი არასოდეს არ არის თავდაპირველი, პირიქით, ის მხოლოდ თანდათან განვითარდა მეორე სიტყვის უშუალოდ წინმდგომი ბრუნვისაგან“ („Die uneigentliche Zusammensetzung ist nie ursprünglich, vielmehr überall erst aus einem dem zweiten Wort unmittelbar voranstehenden casus allmählig hervorgegangen.“) (Grimm, J. 1878:597). ეს ნიშნავს, რომ არანამდვილ კომპოზიტებს პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტში ბრუნვის დაბოლოება აქვთ, რაც მოწმობს მათ თანდათან განვითარებას სინტაქსური კონსტრუქციისაგან: landesüblich, bundesweit, willensschwach, herzensgut.

ფორმალურ დონეზე კონსტიტუენტებს შორის შეიძლება გამოიყენებოდეს მაერთებელი ელემენტი, დეფისი ან ინფიქსი. მაგალითად, erziehungsberechtigt – სადაც -s- მაერთებელი ელემენტია, arbeitsunfähig – სადაც -un- ინფიქსია, gotisch-spitzbogiger Eingang – სადაც დეფისია გამოყენებული.

გარეგანი სტრუქტურის მიხედვით არსებობს ე.წ. წმინდა კომპოზიტი, ე.ი. ისეთი, რომელიც ორი ან მეტი სიმპლექსისაგან შედგება: kreuzdumm, kampffroh, taufriech, wandfest, ან დერივატიანი კომპოზიტი, რომლის ერთ-ერთი ან ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი დაყოფის მომდევნო ეტაპზე დერივატია: regierungsfreundlich, aufopferungsfreudig, glockenförmig.

ზედსართაულ კომპოზიტებში მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი აუცილებლად არის ზედსართავი ან გაზედსართავებული პარტიციპი: hellrot, frohgestimmt, ხოლო პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად შეიძლება გამოდიოდეს ყოველი მეტყველების ნაწილი, თუმცა ძირითადად არსებითი სახელი, ზედსართავი და ზმნა გვხვდება: reaktionsschnell, frühreif, treffgenau.

კომპოზიტი ისე უნდა დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად, რომ შესაძლებელი იყოს მისი სინტაქსურ შესიტყვებაში გადაყვანა: weltbekannt – in der Welt bekannt.

შინაარსის მიხედვით კომპოზიტები იყოფა დეტერმინატიულ, კოპულატიურ და პოსესიურ ვარიანტებად.

12. მამართებელი ელემენტი ზედასართავ კომპოზიტებში

გერმანულ სიტყვაწარმოებაში გვხვდება ფონემური ელემენტები, რომელთაც სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი წარმოადგენენ ერთგვარ ფონეტიკურ „ჩამატებას“ კომპოზიტის უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის (ე.წ. leeres Morph) და ერთმანეთთან კომბინირებული კონსტიტუენტების „მორფონოლოგიური მისადაგების“ მიზნით გამოიყენება (Fleischer/Barz 1995:32), მაგალითად, landesüblich, einkaufseilig. მათი საერთო ფუნქციიდან გამომდინარე და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი მნიშვნელობის არ მქონე სემენტებს წარმოადგენენ, ამგვარი სიტყვაწარმოებითი ელემენტები ინტერფიქსის ცნებაში ერთიანდება. ინტერფიქსებად განიხილება ფონემები ან ფონემათა კომბინაციები, როგორებიცაა, მაგალითად, -s-, -(e)s, -(e)n, -o-, -i-, რომლებიც კომპოზიტებში კონსტიტუენტების გადაბმის ადგილას გვხვდება. ინტერფიქსის ნაცვლად დღესდღეობით უფრო ფართოდ გამოიყენება ტერმინი „მამართებელი ელემენტი“ (Duden. Grammatik 2006:721; Fuhrhop 1996:525; Naumann 1986:24). ი. ერბენი კი იყენებს ტერმინს „მამართებელი ნიშანი“ (Fugenzeichen) (Erben 2006:30).

თანამედროვე გერმანულში კომპოზიტების ორ მესამედზე მეტი მამართებელი ელემენტის გარეშეა წარმოდგენილი, დანარჩენი დაახლოებით 30 % კი მამართებელ ელემენტს მოითხოვს. ყველაზე მეტად მამართებელი ელემენტი სუბსტანტიურ და ადიექტიურ კომპოზიტებში გვხვდება: Hochzeitstorte, Heiterkeitsausbruch, emotionsstark.

ისტორიულად მამართებელი ელემენტები ფლექსიის დაბოლოებებიდან წარმოიშვნენ, კერძოდ კი, მათ წინ მდგომი გენიტის ატრიბუტისაგან, რომელიც ენის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე მიმართებით სიტყვას შეერწყა. მა-

გალითად, des Krieges müde →kriegsmüde, des Tages Licht→Tageslicht. დღეს უკვე მაერთებელ ელემენტებს ფლექსიის ფუნქცია არ გააჩნიათ, რადგან დროთა განმავლობაში ფლექსიის სუფიქსებმა დამოუკიდებელი სახე მიიღეს და თავდაპირველი წმინდა გრამატიკული ფუნქცია დაკარგეს. ამის ნათელსაყოფად მოვიხმობთ მაერთებელ ელემენტს -s-, რომელიც სუბსტანტიური კონსტიტუენტის შემდეგ ცალსახად მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით გვხვდება, მაგალითად, Freundeskreis = Kreis von Freunden, Bischofskonferenz = Konferenz von Bischöfen. მაერთებელი ელემენტი -s- გამოიყენება მდებრობითი სქესის არსებითი სახელების შემდეგაც, რომელთაც მორფემა -s- ბრუნებისას, როგორც წესი, საერთოდ არა აქვთ: Liebespaar, Freundschaftsgeschenk, Zeitungsartikel (Stepanova/Fleischer 1985:113). -s- ფლექსიის ნიშანს არ წარმოადგენს არც ზედსართაულ კომპოზიტებში: geisteskrank, kriegsgefangen, blutsverwandt, vaterlandsliebend. პ. გალმანის მიხედვით იგრძნობა ტენდენცია, რომ კომპოზიტების სტრუქტურა გამჭვირვალე გახდეს, რისთვისაც კონსტიტუენტებს შორის საზღვრის მარკირება მაერთებელი ელემენტით ხორციელდება (Gallmann 1999:187). ასევე ევფონიური მოსაზრებებიც გარკვეულ როლს თამაშობენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ კომპოზიტში ბგერების ჩამატება ხდება წარმოთქმის გასაადვილებლად ან კეთილხმოვნების მისაღწევად: Geburtstag, Blutstropfen. თუმცა ამის საპირისპიროდ მეტყველებს წარმონაქმნები მაერთებელი ელემენტის გარეშე: Blutdruck, Nachttisch. ზოგჯერ ერთი და იმავე მეორე კონსტიტუენტის შემთხვევაში გვაქვს პარალელური წარმონაქმნები მაერთებელი ელემენტით და მის გარეშე: wortbrüchig – vertragsbrüchig, schreiblustig – badelustig, kaufflustig – angriffslustig, goldähnlich – menschenähnlich – todesähnlich. ფაქულტატიურ ვარიანტებს ავლენენ კონსტრუქციები kampflustig – kampfeslustig, sieggewohnt – siegesgewohnt, anlehnungbedürftig – anlehnungsbedürftig, liebebedürftig – liebesbedürftig. ზოგჯერ არასტაბილურობა შეინიშნება ერთი და იმავე პირველ კონსტიტუენტთანაც, რასაც ახსნა ძნელად თუ მოეძებნება. ერთი მხრივ გვაქვს Meeresspiegel და მეორე მხრივ Meerenge, ერთი მხრივ Feindesland და მეორე მხრივ Feindbild.

მიუხედავად იმისა, რომ მაერთებელი ელემენტები მნიშვნელობებს არ ფლობენ, მათ სემანტიკური განსხვავებების წარმოჩენა ძალუბთ (დისტინქტიური ფუნქცია): *Storchschnabel* („სახაზავი ხელსაწყო“) – *Storchenschnabel* („ყანის ნისკარტი“), *Landmann* („გლეხი“) – *Landsmann* („თანამემამულე“). ასეთივეა: *Geisterstunde* – *Geistesblitz*, *Geschichtsbuch* – *Geschichtenbuch* (Kessel/Reimann 2005:203). მაერთებელი ელემენტი შესაძლოა სტილისტიკურ დიფერენციაციასაც იწვევდეს. მაგალითად, *Waldrand* (ნეიტრალური, ნორმალური სტილი) – *Waldesrand* (ამაღლებული სტილი).

აღნიშნული თავისებურებები ცხადყოფენ, თუ რაოდენ რთულია მაერთებელი ელემენტების გამოყენებისათვის მკაცრად დადგენილი წესების შემუშავება. თუმცა მათი ხმარება თვითნებურად არ ხდება. უზუაღურ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში მაერთებელ ელემენტებს ვერც გამოვტოვებთ და ვერც სპონტანურად ჩავამატებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მაერთებელი ელემენტი კომპოზიტის ბრუნებისას უცვლელი რჩება და არც რომელიმე განსაზღვრული ბრუნვის მარკირებას ახდენს, მაინც არსებობს გარკვეული მიმართებები კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ფლექსიურ კლასსა და მაერთებელი ელემენტის გამოყენებას შორის. ამ მიმართებების მიხედვით, სუბსტანტიურ პირველ კომპონენტთან განსახვავებენ პარადიგმატულ და არაპარადიგმატულ მაერთებელ ელემენტებს.

პარადიგმატულია ისეთი მაერთებელი ელემენტები, რომლებიც ფორმალურად კომპოზიტის პირველი კონსტიტუენტის ფლექსიურ დაბოლოებას ემთხვევა. მაგალითად, *Die Bearbeitung des Antrags* – *Antrag-s-bearbeitung*. არაპარადიგმატული მაერთებელი ელემენტები კი არ გვხვდება პირველი კონსტიტუენტის ფლექსიურ პარადიგმაში. მაგალითად, *Schönheit-s-ideal*.

როგორც აღვნიშნეთ, მაერთებელი ელემენტი და მისი ვარიაცია დამოკიდებულია კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ანუ მსაზღვრელი სიტყვის ხასიათზე. ამასთან, რელევანტურია პირველი კონსტიტუენტის შემდეგი მახასიათებლები:

1. მეტყველების ნაწილი (მაერთებელი ელემენტი, გამონაკლისების გარდა, გვხვდება მხოლოდ სუბსტანტიური და ზმნური კონსტიტუენტის შემდეგ).
2. ფლექსიური კლასი (გენტივისა და მრავლობითი რიცხვის მარკირება).
3. ბგერითი სტრუქტურა (მარცვლების რაოდენობა, ბოლოკიდური ბგერა, სუფიქსის ხასიათი).
4. სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა (სიმპლექსი, კომპოზიტი, დერივატი).
5. რეგიონალური თავისებურებები გერმანულენოვან სივრცეში (Lohde 2006:23).

საინტერესო მოსაზრებები აქვს მაერთებელ ელემენტთან დაკავშირებით ე. დონალიზს. იგი იმ ერთეულებს, რომლებიც კომპოზიტის პირველი კომპონენტის ფლექსიურ პარადიგმაში არიან წარმოდგენილი, მაერთებელ ელემენტებად არ მიიხნევს. მისი აზრით, მაერთებელ ელემენტს არ წარმოადგენს -er- კომპოზიტებში *kinderreich*, *Kindergarten*, ან -e- კომპოზიტებში *nächtelang*, *Ärztelhaus*, რადგან მათ ფლექსიურ პარადიგმაში მოიპოვება შესაბამისი ფორმები *Kinder*, *Nächte* და *Ärzte* (Donalies 2005:46).

ე. დონალიზი სამართლიანად შენიშნავს, რომ მაერთებელ ელემენტებთან მიმართებაში გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია:

1. კომპოზიტებს ქმნიან მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის ფუძეები და არა ფლექსიური ფორმები. ყველაფერი, რაც პირველსა და მეორე ფუძეს შორის გვხვდება, არის მაერთებელი ელემენტი.

2. კომპლექსური სიტყვის პირველი ერთეული შეიძლება იყოს როგორც სიტყვის ფუძე, ასევე ფლექსიური ფორმა. პირველი ერთეული ყოველთვის ფლექსიური ფორმაა, თუკი პირველი ერთეულის ფლექსიური პარადიგმა აღნიშნულ ფორმას შეიცავს (Donalies 2005:46).

ავტორი მეორე პოზიციას ემხრობა და ამას შემდგენაირად ასაბუთებს: თუკი მაერთებელ ელემენტებად განვიხილავთ იმას, რაც სუბსტანტიური დეტერმინანსის მხოლოდობითი რიცხვის *Nominativ*-ის ფორმის ფარგლებს სცილდება, (შდრ.

Eisenberg 1998, 227), მაშინ მაერთებელი ელემენტების რიცხვი საგრძობლად გაიზრდება (Donalies 2005:48). შესაბამისად, იგი მაერთებელ ელემენტებად მიიჩნევს მხოლოდ -o-, -i- და -s-ს (როცა ეს უკანასკნელი ფლექსიის დაბოლოება არ არის). ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან მიგვაჩნია, რომ მაერთებელი ელემენტის ცნება უფრო ფართოა და იგი ვერ შემოიფარგლება რამდენიმე, ძირითადად უცხოური წარმოშობის ელემენტით (-o- ბერძნული, ხოლო -i- ლათინური წარმოშობის). მით უფრო, რომ მეცნიერთა უმრავლესობა კომპოზიტის კონსტიტუენტებს შორის არსებულ ფონემურ საზღვარს მაერთებელ ელემენტად მიიჩნევს.

გერმანულ ზედსართაულ კომპოზიტებში ყველაზე ხშირად გვხვდება მაერთებელი ელემენტი -s-. ის ძირითადად გამოიყენება სუბსტანტიური პირველი კონსტიტუენტის შემდეგ, რომელიც მთავრდება სუფიქსებზე -heit, -schaft, -ung, -tät, -tion. მაგალითად, mehrheitsfähig, gesundheitsförderlich, gemeinschaftsbezogen, geltungsbedürftig, realitätsfern, universitätseigen, traditionsbestimmt, traditionsbewusst. -s- გვხვდება გაარსებითებელი ინფინიტივის შემდეგაც: erstrebenswert.

კონსტიტუენტები, რომელთაც სუბსტანტიურ კომპოზიტებში მაერთებელი ელემენტი -s- აქვთ, ზედსართაულ კომპოზიტებშიც იმავე მაერთებელ ელემენტს ინარჩუნებენ: arbeitsaufwendig, einkaufseilig, verbandseigen, geschlechtsspezifisch.

უფრო იშვიათია მაერთებელი ელემენტი -es-. მაგალითად, landesüblich, tagesaktuell.

თუკი ზედსართაული კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი -e-ზე დაბოლოებული მდებრობითი სქესის არსებითი სახელია, მაშინ მაერთებელ ელემენტად უპირატესად გამოიყენება -(e)n: sonnenbeschienenes Fenster, brillenähnlich, maschinengenau, erbsengroß, hymnenartig, seitenrichtig, schokoladenüberzogen. თუ პირველი კონსტიტუენტი ზინგულარიტანტუმია, მაშინ, როგორც წესი, არ გამოიყენება მაერთებელი ელემენტი -n-: rachedurstig, wärmespeichernd.

პარტიციპ I-იან კომპოზიტებში მაერთებელი ელემენტები ხშირად პირველი კონსტიტუენტის მრავლობით რიცხვს გამოხატავენ. მაგალითად, händereibend; die nestersuchenden Schwalben.

მდებრობითი სქესის ზოგიერთი არსებითი სახელის შემთხვევაში იკვეცება ბოლოკიდური -e: Friede → friedliebend, Strafe → strafmildernd, Sprache → sprachvergleichend. (მაგრამ გვაქვს hilferufend, gewerbetreibend). პარტიციპ II-იან კომპოზიტებში ძირითადად გამოიყენება მართებელი ელემენტი -s-: bezugsberechtigt, aufbruchsgestimmt, bewusstseinsgetrüb, zukunftsverpflichtet.

ზედსართაულ კომპოზიტებში მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ხშირად გვხვდება სიტყვაწარმოებითი ელემენტი -wert, მასთან კი ყოველთვის გამოიყენება მართებელი ელემენტი, ძირითადად -s-. პირველი კონსტიტუენტი უმეტესად არის გაარსებითებული ინფინიტივი: lebenswert, liebenswert, erstrebenswert, dankenswert, wünschenswert, verdammenswert. ზოგჯერ მასთან კონკურირებს -ung-ზე დამთავრებული პირველი კონსტიტუენტი: erwägenswert – erwägenswert.

მართებელ ელემენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს -ი-ს. იგი არის ბერძნულიდან ნასესხები მართებელი ელემენტი და უპირატესად გამოიყენება უცხოური ზედსართაული ელემენტების შეერთებისას: audiovisuell, anglo-amerikanisch, morphosyntaktisch, germano-slawistisch, magneto-optische Speicher, agro-industrielle Komplexe. ხშირად კომპოზიტებში -ი-ს ჩართვა ევფონიური მოსაზრებებით არის განპირობებული, კერძოდ, მისი მეშვეობით შეიძლება თავიდან ავიცილოთ -isch სუფიქსიანი ორი ზედსართავის ზედიზედ ერთმანეთზე მიყოლებით გამოყენება. მაგალითად, germanisch-romanisch → germano-romanisch, mechanisch-chemisch → mechanochemisch, magnetisch-optisch → magneto-optisch, finnisch-ungarisch → finnoungarisch.

ზოგიერთ შემთხვევაში მართებელი ელემენტი -ი- ორ კონფიქსს აკავშირებს ერთმანეთთან (Elsen 2005:133): anglophil, slawophil, anglophob. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ კომპოზიტის პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ფუძე -ი-ზე ბოლოვდება. ამ შემთხვევაში -ი- მართებელ ელემენტს არ წარმოადგენს. მაგალითად, homophil, retrospektiv, egozentrisch, egoman.

1.3. ზედსართავი კომპოზიტი უცხოური (ნასესხები) სიტყვაწარმოებითი ელემენტებით

გერმანულ ენაში უცხოური ლექსიკის შემოსვლის ორი გზა არსებობს: მზა სიტყვების სესხება და უცხოური ელემენტების გამოყენებით ახალი სიტყვების წარმოქმნა. ამ ორი პროცესის ერთმანეთისაგან გამოიჯენა ხშირ შემთხვევაში ძალიან რთულია. მაგალითად, *idolisieren* გერმანულში შეიძლება მომდინარეობდეს არსებითი სახელიდან *Idol*, მაგრამ ამავდროულად იგი შეიძლება იყოს ნასესხები სიტყვა ინგლისურიდან *idolize*.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა უცხოური ელემენტების მასიური შემოჭრა გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში. სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ გერმანული და უცხოური ანუ ნასესხები ელემენტების „ნაზავს“, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში, ტექნიკურ და სამეცნიერო ლექსიკაში, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში, რეკლამებში, პრესისა და ტელევიზიის ენაში.

უცხოურ ელემენტებში იგულისხმება როგორც ძირეული, ისევე სიტყვაწარმოებითი მორფემები, რომლებიც ფონემური სტრუქტურის, წარმოთქმის და მართლწერის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებ გადახრებს ავლენენ ენაში უკვე არსებული ანუ ინდიკენური კანონზომიერებებისაგან.

გერმანული და უცხოური სიტყვაწარმოებითი ელემენტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება კომბინირებული იყოს. ამგვარად ვღებულობთ ჰიბრიდულ წარმონაქმნებს (*Sommerfeldt* 1988:185). ჰიბრიდული სიტყვაწარმოება ხორციელდება გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი სტრუქტურების ბაზაზე უცხოური ელემენტების გამოყენებით. გერმანულ ენაში პოტენციურად აქტიური უცხოური სიტყვაწარმოებითი ელემენტების ნაწილი მიღებულია მთლიანი მორფემის ავტონომიური გადმოტანით, მაგალითად, *super*, *inter*. ნაწილი კი კომპლექსური უცხოური სიტყვების სეგმენტების მორფმატიზების შედეგად იქცევა აქტიურ უცხოენოვან ელემენტად, მაგალითად, *tele-* სიტყვებიდან *Telefon*, *Telegraf*. შემდგომში აქედან მივიღეთ *Television*, *Teleklub*, *Telebrücke*, *televorbunden*. აქ ძირითადად საუბარია ბერძნულ და ლათინურ ფუძეებზე, რომლებიც გერმანულში ხშირად სხვა ენების გავლით შემოვიდა. მაგალითად, *mini-* სიტყვიდან

Minimum, რომელიც გერმანულში XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ანგლოამერიკული ენობრივი სივრციდან გავრცელდა. ამგვარი სიტყვაწარმოებითი ელემენტები ლექსიკის ინტერნაციონალიზაციას უწყობენ ხელს.

სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში შემავალი უცხოური სიტყვების ცოდნა, რა თქმა უნდა, გვეხმარება მოტივაციის ხარისხის დადგენაში, ისე რომ გარკვეულწილად სოციოლოგიურ დიფერენციაციაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ.

თანამედროვე ენაში გერმანული და უცხოური სიტყვაწარმოებითი ელემენტების თანაარსებობა პარალელური სემანტიკური ჯგუფების წარმოშობამდე მიდის. აღნიშნული პარალელიზმი გარკვეულწილად კონკურენციასა და სინონიმის იწვევს (Stepanova/Fleischer 1985:74), თუმცა გერმანული და უცხოური სიტყვაწარმოებითი ელემენტების სემანტიკა, ჩვეულებრივ, მთლიანად არ ფარავს ერთმანეთს. მათ მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ შეხების წერტილები.

გერმანულ ენაში ჰიბრიდული წარმონაქმნების შექმნის ტენდენციას ყველაზე მეტად ავლენენ სუბსტანტიური და ადიექტიური კომპოზიტები. უცხოური ელემენტები შეიძლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, პირველი ან მეორე კომპოზიციური წევრის სახით დაუკავშირდეს გერმანულ ლექსემებს, მაგალითად, Computeranlage, Cocktailkleid, Zaubersformel, SchwimmsHORTS, Trainingsfleßig, reklamebunt, korrosionsfest, therapiebedürftig, alltagskompetent, überlebensadäquat, rosagelb, gleichgewichtsindifferent, schwarz-voilett, fahrorientiert, sicherheitsallergisch, arbeitskonzentriert.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ძირითადად განმარტავს მეორე კომპონენტის მნიშვნელობას. პირველ კონსტიტუენტად ყველაზე ხშირად გვხვდება არსებითი სახელი. მაგალითად, investitionsfreundlich, alkoholabhängig, korrosionsbeständig, phantasiefaul, repressionsfrei, reaktionsschnell, happeningähnlich. გვაქვს აგრეთვე ისეთი მაგალითები, სადაც პირველ კომპონენტად გვხვდება ნასესხები აბრევიატურა: natokritisch.

ჰიბრიდული კომპოზიციის ფარგლებში განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ე.წ. განმარტებითი ანუ ტავტოლოგიური წარმონაქმნები, რომელთა მიზანია ექსპლიციტური მოტივაციის, ფორმალური და სემანტიკური კავშირის უკეთ წარმონაჩენა. ამასთან, უცხოური ელემენტი, ძირითადად, სემანტიკურად

მეტ-ნაკლებად ეკვივალენტურ გერმანულ სიტყვას უკავშირდება. ენაში არსებული ნასესხები სიტყვების უმრავლესობას თავდაპირველად ბუნდოვანი შინაგანი ფორმა აქვს. ადამიანები, რომელთათვისაც გერმანული მშობლიური ენაა, უცხოურ სიტყვას უკავშირებენ გერმანულ სიტყვას და ამგვარად ცდილობენ აღმოფხვრან ეს ხარვეზი, თითქოს ისინი ამით განმარტავენ უცხოურ კომპონენტს. ამასთან, ენის მატარებელი ვერ გრძნობს, რომ გერმანული კომპონენტი კი არ განმარტავს, არამედ იმეორებს ნასესხები ლექსემის სემანტიკას. მაგალითად, farbigholoriert, რომელიც მიღებულია გერმანული ზედსართავი სახელისა და ნასესხები ზმნის მიმღეობა II-ის შეერთებით. ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ყველაზე ხშირად ყოველდღიურ სასაუბრო ენაში გვხვდება, ასევე ფართოდ გამოიყენება ისინი პრესაში.

კომპოზიცია ისეთ შემთხვევებშიც კი შესაძლებელს ხდის უცხოური ელემენტების სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში ჩართვას, როცა თავისუფალი სინტაქსური სიტყვათშენაერთი სინტაქსური მიმართების ფლექსიური გამოხატვის გამო ამის საშუალებას არ იძლევა. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია თავისი ჩაკეტილი სტრუქტურით იმდენად გარდაქმნის უცხოურ ელემენტს, რომ იგი წინადადებაში დამოუკიდებელ სინტაქსურ სიდიდედ გვევლინება. მაგალითად, auto-didaktisch, bio-technisch. გერმანული ზედსართავი -isch სუფიქსის საშუალებით შესაძლებელია შესაბამისი უცხოური ელემენტების ნაწილი დამოუკიდებელ ზედსართავად ჩამოყალიბდეს. მაგალითად, ერთმანეთის პარალელურად არსებობს Pneumo-bahn და pneumatische Bahn.

ჰიბრიდული კომპოზიტები გერმანულ ენაში აფიქსიდიების მეშვეობითაც მიიღება. ზედსართავის სფეროში პროდუქტიულია სუფიქსიდიები -arm, -leer, -frei, რომლებიც ერთმანეთის სინონიმურია და ყველაზე ხშირად გამოიყენება უცხოურ ელემენტებთან. -arm მიუთითებს საგანში რაიმე ნიშნის უმნიშვნელო რაოდენობით არსებობას, მაგალითად, aktionsarm, allergenarm, cholesterinarm, nikotinarm. -leer და -frei გამოხატავენ ამა თუ იმ ნიშნის არარსებობას: akustikfrei, alkoholfrei, alkaloidfrei, biozidfrei, koffeinfrei, touristenleer. რაღაცის დიდი რაოდენობით არსებობას გვიჩვენებენ ზედსართავი სუფიქსიდიები -reich და -voll, მაგა-

ლითად, humorvoll, charakternvoll, niveauvoll, initiativreich, vitamin-c-reich, rezonanzreich. სუფიქსიდი -haltig ზედსართავს აძლევს რაღაც ნივთიერების შემცველობის მნიშვნელობას. შესაბამისად, იგი ნივთიერებათა აღმნიშვნელ ნასესხებ სახელებს უკავშირდება: bromhaltig, jodhaltig, koffeinhaltig, gashaltig. რაღაცასთან შეუსაბამობას გამოხატავს სუფიქსიდი -widrig: reformwidrig, formwidrig, disziplinwidrig. შედარებით იშვიათად გამოიყენება უცხოურ ელემენტებთან ზედსართავი სუფიქსიდეები -kräftig და -lustig: finanzkräftig, kapitalkräftig, sensationslustig.

რაც შეეხება ზედსართავ პრეფიქსიდეებს, მათ შორის ყველაზე აქტიურია hoch-, über-, stock-, brand-. ისინი ნასესხებ ზედსართავ სახელებთან გამოიყენება და გამაძლიერებელი მნიშვნელობით ხასიათდება. მაგალითად. hochproduktiv, hochintelligent, hochaktuell, überlegant, übertrainiert, stockkonservativ, stockreaktionär, brandaktuell. ამგვარ წარმონაქმნებს ჩვენ კვაზიკომპოზიტების განხილვისას უფრო დაწვრილებით შევხებით.

თაზი II

2. თხზული ზედსართავი სახელების სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა და კონსტიტუენტთა სემანტიკური მიმართება

2.1. დეტერმინატიული კომპოზიტი

კომპოზიტიში, როგორც წესი, მეორე (ზოგადად ბოლო) კონსტიტუენტი გამოხატავს სიტყვის გრამატიკულ კატეგორიებს და იმავდროულად წარმოადგენს კომპოზიტის სემანტიკურ ცენტრს. პირველი კონსტიტუენტი ზღუდავს მეორის მასშტაბს, იგი მეორის მოდიფიკატორია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განსაზღვრავს მას ანუ ახდენს მის დეტერმინირებას. პირველს უწოდებენ დეტერმინანსს (Determinans), მეორეს დეტერმინატუმს (Determinatum). ასეთი წარმონაქმნი დეტერმინატიულ კომპოზიტად იწოდება, მისი ორი კონსტიტუენტი ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ დამოკიდებულებაშია: erdnah, engelfromm, faustgroß, marmorglatt.

თუ რომელ კონსტრუქციებს უნდა დაუკავშიროთ კომპლექსური რთული სიტყვები და რომლებთან შედარებაა ყველაზე ოპტიმალური, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საკამათო რჩება. თუმცა ვარაუდობენ, რომ გამჭვირვალე კომპოზიტები ეკვივალენტურ მიმართებაშია როგორც შესაბამის შესიტყვებებთან, ასევე წინადადებებთან და მათი პერიფრაზირება შესაძლებელია. მაგრამ მაინც სრული მსგავსება შესიტყვებასა და პერიფრაზს შორის არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ამ უკანასკნელში გამოხატულია სინტაქსური მანევრებლები, როგორცაა დრო და კილო, შენაერთში კი ისინი არ ჩანს. იგივე ითქმის მათ სემანტიკურ სხვაობებზე. ზუსტი კრიტერიუმები, თუ ყველაზე უკეთ როგორ გამოიხატოს ამ ელემენტებს შორის მიმართებები, დაზუსტებას მოითხოვს.

ზედსართავი კომპოზიტები და ექსპლიციტური დერივატები, რომლებიც წარმოქმნილია რთული არსებითი სახელებიდან, შეიძლება ფორმით შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. დაქვემდებარების ნათელსაყოფად საჭიროა ტრანსფორმაციის მეთოდით განისაზღვროს მოცემული სემანტიკური მიმართებები.

kunstwissenschaftlich არის დერევატი Kunstwissenschaft-დან, ხოლო hochwissenschaftlich – კომპოზიტი hoch + wissenschaftlich.

გადავიდეთ კონკრეტულად კომპოზიტთა დახასიათებაზე სიტყვაწარმოებითი შემადგენელი ნაწილების მიხედვით.

2.1.1. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – არსებითი სახელი

ზედსართავების კლასში უდიდესი ხვედრითი წილი მოდის დეტერმინატიულ კომპოზიტებზე. ზედსართავი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად არსებითი სახელი აქვთ, დეტერმინატიულ კომპოზიტებს წარმოადგენენ. ზედსართავი კომპოზიტების 40 %-ს სუბსტანტიური დეტერმინანსი აქვს.

ზედსართავი დეტერმინატიული კომპოზიტებში, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად არსებითი სახელი აქვთ, ფორმის მხრივ შეიძლება არსებობდეს შემდეგი სტრუქტურები: (აქვე განვმარტავთ შემოკლებებს:

A = ზედსართავი სახელი,

Adv = ზმნიზედა,

D = დერევაციული სუფიქსი,

F = მავრთებელი ელემენტი,

P = პრეფიქსი,

S = არსებითი სახელი,

V = ზმნა)

1) ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი მარტივი სიტყვაა: trübgrau, feldgrau, morgenschön, მოდელი $S \cdot A$.

2) პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი თავად არის კომპოზიტი: kornblumenblau, zigarrenkistengroß, მოდელი $S(S_1S_2) \cdot F \cdot A$.

3) პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის კომპოზიტი, ხოლო მეორე – სუფიქსური დერევატი: rüstungskontrollpolitische Verhandlungen, მოდელი $S(S_1FS_2) \cdot A(S_3D)$.

4) ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი სუფიქსური დერივატია: *bildungsfeindlich*, *fischereischädlich*, მოდელი $S(VD_1) \cdot F \cdot A(S_1 D_2)$.

5) ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის პრეფიქსული სიტყვა: *arbeitsunfähig*, მოდელი $S \cdot F \cdot A(PA_1)$; *unglücklich*, მოდელი $S(PS_1) \cdot A$.

6) ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი უცხოურ ელემენტს შეიცავს: *systemimmanent*, *medienproportional*, მოდელი $S \cdot A(S_1 D)$.

7) პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის საკუთარი სახელი: *castrobärtig*, *goethefreundlich*, მოდელი $S \cdot A(S_1 D)$.

8) აფიქსიდიანი კომპოზიტები: *brandeilig*, მოდელი $S \cdot A(VD)$; *blitzeinfach*, *bombenfest*, *blutleer*, მოდელი $S \cdot A$.

არაერთი ძველი გრამატიკა მიუთითებს იმაზე, რომ კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს შორის სემანტიკური მიმართებები ბევრად უფრო გაურკვეველია, ვიდრე ატრიბუტთან. ვ. ვილმანსი მსჯელობს „მრავალგვარ მიმართებებზე“ კონსტიტუენტებს შორის: „კომპოზიტი კავშირს მხოლოდ ზოგადად გამოხატავს“ (Wilmanns 1899:530). ჰ. პაულიც აღნიშნავს, რომ სემანტიკური მიმართებების ამომწურავი სახით დაჯგუფება თითქმის შეუძლებელია (Paul 1920:8). მისი აზრით, კომპოზიტების სემანტიკური სპექტრი ბევრად აღემატება გენტივის ატრიბუტის სპექტრს.

ძველი გრამატიკების ამგვარი თვალსაზრისი შემდგომში შეიცვალა, მეცნიერები ცდილობდნენ, ზოგადი დეტერმინაციული მიმართებები დაეყვანათ რამდენიმე ძირითად ტიპზე, მაგრამ მათ ისევ და ისევ უხდებოდათ იმის მტკიცება, რომ კომპოზიტის მნიშვნელობა არ შეიძლება წმინდა ფორმალურად აიხსნას, და რომ იგი არ დაიყვანება რამდენიმე შეზღუდულ ტიპზე.

სინტაგმურ-ინტერნული სემანტიკური მიმართებები სუბსტანტიურ პირველ კონსტიტუენტთან ყველაზე ნათლად ჩანს სემანტიკურად ეკვივალენტურ სინტაქსურ შესიტყვებად ტრანსფორმირებისას. ხერხდება მხოლოდ მოტივირებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ასეთი ტრანსფორმირება. ამასთან,

ეკვივალენტურ სინტაქსურ შესიტყვებას ემატება მიმართებითი სიტყვები (კავშირები, წინდებულები), რომლებიც გამოტოვებულია კომპოზიტში. მაგალითად, schlüsselfertige Häuser – Häuser, die zur Schlüsselübergabe fertig sind.

სუბსტანტიური მსაზღვრელი სიტყვები შეესატყვისებიან წინდებულებიან ჯგუფებს, რომელთა ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ უფრო დაზუსტებით გადმოსცენ ძირითადი ზედსართაული სიტყვის შინაარსი.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ზედსართაულ კომპოზიტებში, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად არსებითი სახელი აქვთ, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი სიტყვაწარმოებითი სემები:

1. ლოკალური სება (lokal):

stadtbekannt – jemand ist in der Stadt bekannt.

formgewandt – etwas ist gewandt in der Form.

augenkrank – jemand ist an Augen krank.

ანალოგიურადვე ტრანსფორმირდება: brustkrank, lungenkrank, kreuzlahm, gliederlahm, schulterlahm, unterleibskrank, weltbekannt, fieberkrank, grippekrank, äquatornah.

პერიფრაზში მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი პრედიკატივის სახით გვხვდება სტატიკურ ზმნასთან, რომელიც ყველაზე ხშირად შეიძლება იყოს sein ან sich befinden.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის ადგილის გარემოება წინდებულებით in, auf, an ან bei; მაშასადამე, მისი სემანტიკური ფუნქციაა ადგილის გამოხატვა: stadtnahe Loipen – Loipen, die nahe an der Stadt sind/sich befinden.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება აღნიშნავთა შემდეგ კლასებს განეკუთვნებოდეს:

ა) ადგილის დასახელება: landesüblicher Fahrstil, großstadtübliche Baugruben.

ბ) ციური სხეულის აღნიშვნა: sonnennah, mondnah, erdnahe Weltraum.

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება კომპოზიტები, რომლებიც ტანსაცმლის ცნებას უკავშირდება: halsfrei, schulterfrei, kniefrei, halsnaher Halsausschnitt, taillenenge Bluse. მსგავს სიტყვაწარმოებით

კონსტრუქციებში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ყოველთვის აღნიშნავს სხეულის ნაწილს.

მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება გამოხატავდეს სივრცობრივ განფენილობას (fesselenge Schafstiefel), სივრცობრივ განლაგებას (Opec-ferne Gebiete), ტემპერატურას (felskühle Nacht), სინათლის ინტენსივობას (randhelles Bild), ბგერის სიძლიერეს (sonnenstille Mauern).

ისეთი ტიპის წარმონაქმნების პერიფრაზირება, როგორცაა, მაგალითად, allgäufrisch, ხერხდება წინდებულებით von, aus. ამასთან გვაქვს მიმართულების გამომხატველი ზმნები kommen ან stammen, ხოლო მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი -frisch მნიშვნელობით „სწორედ ახლა“, „ეს ეს არის“, გამოიყენება როგორც ზმნიზედა: baumfrische Marillen – Marillen, die frisch vom Baum kommen; marktfrische Äpfel – Äpfel, die frisch vom Markt kommen. ხშირად პირველი კონსტიტუენტი მიმართულებასთან ერთად წარმომავლობასაც გვიჩვენებს, მაგალითად, gartenfrisch, mühlenfrisch, fabrikfrische Hefe.

ლოკალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტებში გვაქვს ანტონიმური წარმონაქმნები: halsfern – halsnah, zentrumsnah – city-fern, erdnah – erdfern, küstenfern - küstennah.

2. ზომა-წონის აღმნიშვნელი სემა (maßangehend):

meterlang – etwas ist mehrere Meter lang.

ამ ჯგუფის კომპოზიტებში წარმოდგენილია მიმართებითი სიტყვით დასახელებული სიდიდის სხვადასხვა განზომილება, კერძოდ, სიგრძე (kilometerlanger Ackerstreifen), სიღრმე (metertiefe Panzergräben), ხანგრძლივობა (generationenlange Kämpfe), ასაკი (jahrhundertealte Fähigkeit), წონა (tonnenschweres Fahrzeug), სიმძლავრე (tonnenstarker Zug).

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი უპირატესად სხეულის ნაწილს აღნიშნავს:

brusthoch – etwas ist bis zur Brust hoch.

knielang – etwas ist bis zum Knie lang.

ამგვარი კომპოზიტების პერიფრაზში გამოხატულია მიმართება „bis zu“. უმეტეს შემთხვევაში მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება ჩავანაცვლოთ მიმართულე-

ბის გამოხატველი ზმნით reichen: bodenlanges Trägerhemd – Trägerhemd, das bis zum Boden lang ist/das bis zum Boden hinunterreicht. ასეთივეა: kopfhoher Steinschacht, knietiefes Wasser, deckenhohe Spiegel, kragenlanges Haar, hüfthohe Mauer, wadenkurze Hosen, knöcheltief, fußhoch, kniehoch, wadenlang.

ზოგჯერ კომპოზიტებში განზომილება სხვადასხვა პერსპექტივიდან არის შეფასებული. მაგალითად, brusttief გულისხმობს bis zur Brust hinuntersinken, ხოლო brusthoch – bis zur Brust hinaufreichen. ასეთივე წარმონაქმნებია: taillenkurze Pullis და taillenlange Jacke, Oberschenkelkurze Capes და Oberschenkel lange Oberkörperbekleidungsstücke, knöcheltiefer Ölschlamm და knöchelhohe Sommerstiefeletten, kniekurze Baumwollhemdchen და knielange Tuniken, knietief Schnee uns überschwemmte და kniehohe Gestrüpp, fußhoch და fußtief, meterhoch და metertief, zollhoch და zolltief.

მეორე კონსტიტუენტის სახით წარმოდგენილი ზედსართავი სინტაგმაში შეიძლება იმავე ზედსართავის იდენტური არ იყოს მნიშვნელობის მხრივ. ასე მაგალითად, halbsekundenlanges Blinken არ არის langes Blinken, ein halbmillimetergroßer Einstich არ არის großer Einstich, ein fußtiefes Loch არ არის tiefes Loch. თუმცა halbmetergroße Früchte შეიძლება განვიხილოთ როგორც große Früchte, jahrhundertealte Ruinen – როგორც alte Ruinen.

განზომილება შეიძლება სინტაგმურ-ინტერნულად პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის მიხედვით დავადგინოთ. მაგალითად, epochelange Diktatur. სინტაგმურ-ექსტერნულად არის გამოხატული იგი კომპოზიტებში dreiviertellanger Ärmel, dreiviertellange Jacke.

სიტყვაწარმოებითი სტატუსის თვალსაზრისით ამგვარი კომპოზიტები თხზულ-შერწყმულ სიტყვებს (Zusammenrückungen) უახლოვდებიან, მაგრამ მათგან არსებითად იმით განსხვავდებიან, რომ იმპლიციტურად გამოხატავენ რაოდენობის მახვენებელს (einige, mehrere, viele), რაც თავისუფალ სინტაქსურ შესიტყვებაში ყოველთვის უნდა იყოს გამოხატული. მაგალითად, vier Tage lang.

მთელ რიგ წარმონაქმნებში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს:

seitenlange Beschreibungen, meterweit danebenschließen, kilometerlange Stauungen.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი დროის ან ზომა-წონის ერთეულს გამოხატავს შემდეგ კონსტრუქციებში: pfundschwer, tonnenschwer, kilometerhohe Bauten, meterbreite Besen, millimeterfeiner Draht, monatealte Radschienen, das Wasser stand zollhoch.

მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება გამოხატავდეს:

ა) სივრცობრივ განფენილობას: meterhoher Schlamm, zentimeterdicke Schicht, spaltenlanger Artikel.

ბ) დროის ხანგრძლივობას: jahrelange Vertraute, sekundenkurze Verspätungen.

გ) წონას: kiloschweres Goldgerät.

3. ტემპორალური სემა (temporal):

morgenmüde – jemand ist am Morgen müde.

პერიფრაზში გვაქვს ზმნა sein და ტემპორალური წინდებულები in, an, während ან nach. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი გამოხატავს დროის გარკვეულ მომენტს. სწორედ ამ მომენტში ხდება ის მოვლენა, რომელიც ნახსენებია მეორე კონსტიტუენტში. მაგალითად, nachmittagsstiller Platz – Platz, der am Nachmittag still ist; dämmerungsaktive Schlange – Schlange, die in der Dämmerung aktiv ist. ასეთივეა: nachtaktiv, tagesaktuell, nachmunteres Tier, winterkahle Pflanzen. ლექსიკალიზებულ წარმონაქმნად ითვლება nachtblind, რომლის ინტერპრეტაცია შემდეგნაირად შეიძლება: unfähig, bei Dunkelheit etwas zu sehen.

ტემპორალური მნიშვნელობის კომპოზიტები ზოგჯერ ძალიან უახლოვდებიან კაუზალურ ანუ მიზეზის გამომხატველ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს. მაგალითად, frühlingsnärrischer Pudel შეიძლება გავიგოთ როგორც ტემპორალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის კომპოზიტი: Pudel, der im Frühling närrisch ist, და როგორც კაუზალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის კომპოზიტი: Pudel, der närrisch wird, weil Frühling ist. ეს განსაკუთრებით შეეხება წარმონაქმნებს, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად აქვთ კომპონენტი alters-, მაგალითად, altersmüde Beine, altersmürbe Garderobe, altersprächtige Gestalt,

altersmorsche Säufte. ორმაგ ინტერპრეტაციას ექვემდებარება აგრეთვე სიტყვები *abendfeucht* და *abendrot*: *abendfeuchter Park* – Park, der am Abend feucht ist (ტემპორალური სემა); *Park, der vom Abendtau feucht ist* (კაუზალური სემა).

ტემპორალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტების დაახლოებით 90 %-ს პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად აქვს დროის აღნიშვნა. მაგალითად, *weihnachtsweiß*, *zeitreversible Gesetze*, *zukunftsoffene Aussage*, *wintergelbes Gras*, *dezemberrissiges Eichenlaub*, *sonntagschick mit Ferienflair*, *nachtkühl gewordene Hand* (Pümpel-Mader /Gassner-Koch /Wellmann 1992:131).

მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება გამოხატავდეს:

ა) ფერებს: *dämmergraue Zelle*, *abendblauer Garten* (Trakl), *morgengoldene Luft*, *tagweiße Luft* (Seghers).

ბ) ფიზიკურ მდგომარეობას: *abendmüde*, *winterfit*, *silvestertrunkene Menschen*, *winterträge Krähen* (Strittmatter).

გ) სინათლის ინტენსივობას: *dämmerdunkle Küche*, *morgenblasse Städte*.

დ) ბგერის სიძლიერეს: *nachtleise*, *nachtstille Straße*.

ე) ტემპერატურას: *sommerwarme Seen*, *wintermildes Klima*.

4. კაუზალური სემა (kausal):

arbeitsmüde – jemand ist von der Arbeit müde.

altersschief – jemand ist schief vom Alter.

ასეთივეა: *altersschwach*, *regenfeucht*, *staubstumpf*, *taunass*, *tränenass*, *schreckensbleich*.

ამგვარი კომპოზიტების პერიფრაზირება შეიძლება წინდებულისანი გარემოებით ან მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულები წინადადებით: *angststarre Augen* – Augen, die vor Angst starr sind/Augen, die starr sind, weil jemand Angst hat.

მიმართება შეიძლება სხვადასხვა წინდებულებით იყოს გამოხატული, კერძოდ, *aus*, *vor*, *durch*, *wegen*, *aufgrund von*, *infolge*. მაგალითად, *angstkaltes Herz* (Marquez) – Herz, das vor/aus Angst kalt ist; *klischeeflach* – etwas, das durch/wegen der/infolge von Klischees flach ist.

აღნიშნულ ჯგუფში გვხვდება ელიფსური კომპოზიტები. ამ შემთხვევაში მიზეზი დასახელებულია პერიფრაზში. მაგალითად, atomkrank – jemand ist krank infolge von/durch die Strahlung bei der Spaltung von Atomen; bergkrank – krank von den Luftdruckverhältnissen auf dem Berg; pflastermüde Füße – Füße, die vom Gehen auf Pflaster müde sind. ასეთივე წარმონაქმნებია: autokrank, seekrank, bierseliges Lachen, weinselige Abendfeiern.

სემანტიკურ მოდიფიკაციას ავლენენ წარმონაქმნები: raumbequemer Wagen (durch viel/großen Raum bequem), kommandostumpfes Menschentier (Werfel) (durch dauernde Kommandos stumpf). ასეთივეა: weinschweres Haupt, dampfdunstige Hafenstädte.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი დიფერენცირებულად გამოხატავს მიზეზს. იგი შეიძლება გვინვენებდეს:

ა) გამომწვევ მიზეზს: schlagkaputt, alkoholkrank, regenfeuchte Blätter, sonnentolle Bauchschmerzen (Grass), salzscharf gewürzte Speisen.

ბ) მოტივს, მამოძრავებელ მიზეზს: schreckensstarr, schamrot, angstfeuchte Hand, zornrote Köpfe, schuldkranker Körper (Wohmann).

გ) ლოგიკურ დასაბუთებას: ruhrkrank, suchtkranke Männer, trauerschwärze Gewänder, sonnensüße Apfelsinen, torftrübes Wasser.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება აღნიშნათა სხვადასხვა კლასს განეკუთვნებოდეს, კერძოდ, იგი გამოხატავს:

ა) ბუნების მოვლენებს: sturmöd, gewitterdunkel, wolkendunkel, hitzeweisse Zementbahn, nebelfeuchter Urwald, regendunkle Fugen (Johnson), schneenasse Straßen, taugraues Gras, frostkalte Winternacht.

ბ) ფიზიკურ მდგომარეობას: krampfkrumm, schwindelschwach, fieberheiße Hände.

გ) დაავადებას: malariakrank, tuberkulosekrank, gichtkranke Hände.

დ) გრძობას/შეგრძობას: angstklein, heimwehkrank, hungerdünn, schamstumm, erregungsnasse Hand.

ე) სურვილს/მისწრაფებას: ehrgeizblass, begierdeschmal, neugierstill, sehnsuchtsschlang, eiferwarmes Gesicht.

ასეთივე განსხვავებული შეიძლება იყოს მეორე კონსტიტუენტის აღნიშნათა კლასები:

ა) ფერი/სინათლის ინტენსივობა: schreckensbleich, wutblass, frostrote Ohren.

- ბ) ფსიქიკური მდგომარეობა: schlafbenommen, angstbesessen.
 გ) ფიზიკური მდგომარეობა: angstlahm, tabakheiser, fiebermatt.

5. ფინალური სემა (final):

- diensttauglich – jemand ist tauglich zum Dienst.
 hitzebeständig – etwas ist beständig gegen Hitze.
 hilfsbereit – jemand ist bereit zur Hilfe.
 abmarschbereit – jemand ist zum Abmarsch bereit.
 fronttauglich – jemand ist tauglich für die Front.

ასეთივეა: feuersicher, wasserdicht, schlagempfindlich, krisenfest, einsatzbereit, kampfbereit, flugfertig, schussfertig, arbeitswillig, gesundheitsgefährlich, publikationsreif, zuchttauglich.

6. შეზღუდვით-მიმართებითი სემა (limitativ-relationell):

- funktionsgleich – gleich in bezug auf die Funktion.
 lebensfremd – jemand steht dem Leben fremd (gegenüber).
 diensteifrig – jemand ist eifrig beim Dienst.
 pflichteifrig – jemand ist eifrig bei der Pflichterfüllung.
 ressortverantwortlicher Direktor – Direktor, der in bezug auf/für ein (bestimmtes) Ressort verantwortlich ist.
 störanfällige Geräte – Geräte, die anfällig sind für Störungen.
 bundeseinheitliche Empfehlung – Empfehlung, die für das Bundesgebiet einheitlich ist/gilt.

მსგავსი წარმონაქმნებია: figurschädlich, fieberwirksam, fischgiftiges Pflanzenschutzmittel, griffbequemer Aktenordner, lichtstabile Farben, frostresistente Apfelsorte, babyrichtige Bettwäsche.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ზედსართავის ვალენტობაზეა დამოკიდებული, ამიტომ პერიფრაზირების სხვადასხვა შესაძლებლობები არსებობს, კერძოდ, კონსტრუქციები გენიტივით, დატივით და აკუსატივით. შდრ. verantwortungsbewusste Eltern – Eltern, die sich der Verantwortung bewusst sind.

- schahtreue Offiziere – Offiziere, die dem Schah treu sind.
 erfolgsgewohnte Regisseure – Regisseure, die Erfolg gewohnt sind.

მაგრამ ყველაზე ხშირია ინტერპრეტაცია წინდებულებით: von (exportabhängiges Land), für (existenznotwendige Schutzbehauptung), in (vereinsübliche Formalitäten), auf (marktmächtiger Hersteller), mit (erwartungskonforme Haltung), gegen (antibiotikaresistente Stämme).

ზოგჯერ ერთსა და იმავე კომპოზიტან მიმართებაში რამდენიმე წინდებულის გამოყენება შეიძლება: theaterwirksame Konstellation – Konstellation, die auf/für/beim Theater wirksam ist.

აღნიშნულ ჯგუფში გვხვდება ელიფსური წარმონაქმნები. მაგალითად, eheerfahrener Dipl.- Psychologe – Dipl.-Psychologe, der in Eheangelegenheiten erfahren ist.

lippensynchrone Vertonung – Vertonung, die synchron mit der Lippenbewegung ist.

napalmmitschuldig werden – am Napalmbombenabwurf mitschuldig werden.

შეზღუდვით-მიმართებითი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტებს შეხების წერტილები აქვთ ლოკალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის წარმონაქმნებთან. ასე მაგალითად, landestypische Meeresfrüchte ორგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება: 1) Meeresfrüchte, die typisch sind für das Land (შეზღუდვით-მიმართებითი სემა), და 2) Meeresfrüchte, die typisch sind in dem Land (ლოკალური სემა).

ზოგჯერ ინტერპრეტაცია მიმართებით სიტყვაზეა დამოკიდებული. მაგალითად, fußgesundes Pflegemittel – Pflegemittel, das gesund ist für die Füße; fußgesunder Wanderer – Wanderer, der gesunde Füße hat. ასევეა: geschmacksneutrale Form და geschmacksneutrales Öl.

სიტყვაწარმოებითი სტატუსის თვალსაზრისით ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ზედსართაულ კომპოზიტად, ასევე სუბსტანტიური კომპოზიტიდან ნაწარმოებ დერივატად. მაგალითად, selbstkritische Stellungnahme. თუ ჩავთვლით, რომ იგი კომპოზიტია, მაშინ გვექნება: Stellungnahme, die kritisch gegenüber sich selbst ist. მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ დერივატია, მაშინ პერიფრაზს შემდეგი სახე ექნება: Stellungnahme, die durch Selbstkritik gekennzeichnet ist. ასეთივე წარმონაქმნებია: bezeichnungsökonomischer Vorteil (Bezeichnungsökonomie), kampfesmutig (Kampfesmut), sprachexperimentelle Texte (Sprachexperiment).

კომპოზიტები მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტით -scheu სემანტიკურად უახლოვდება ისეთ წარმონაქმნებს, როგორცაა familienfeindlich, kommunikationsfeindlich, თუმცა მათში მოლაპარაკის ნეგატიური შეფასება უფრო სუსტად არის გამოხატული: menschenscheu, publizitätsscheuer Presse-Kaufmann.

მეტად გავრცელებულია მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი -bewusst. იგი კომპოზიტებში ძირითადად ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1) „რადაცის მცოდნე, რადაცის შესახებ ინფორმირებული“: pflichtbewusster Mensch, schuldbewusste Miene, verantwortungsbewusste junge Mütter; 2) „რადაცაში დარწმუნებული და მისთვის მებრძოლი“: bildungsbewusste Eltern, dynastiebewusste Familien, kulturbewusste Bürgerschaft. განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მას შემდეგ კონტექსტში: Damen sind haarbewusster geworden – großen Wert auf gepflegtes Haar legend. შდრ. ასევე: hautbewusstes Oberteil, modebewusste Damen.

შეზღუდვით-მიმართებითი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტები უცხოური ლექსემების მოჭარბებული გამოყენებით გამოირჩევიან (კონსტიტუენტების დაახლოებით 20 %-ს უცხოენოვანი მორფემა აქვს). მაგალითად, kontextsensitiv, koloraturgewandt, realitätskräftig, kompositionsrelevant, parteienpluralistisch. ზოგიერთი უცხოური კონსტიტუენტი იმდენად დამკვიდრდა გერმანულ ენაში, რომ იგი მთელი რიგი მწკრივების წარმოქმნაში მონაწილეობს. ასეთია მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები -spezifisch, -typisch, -relevant, -adäquat, -offiziell და ა.შ.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება აღნიშნათა სხვადასხვა კლასს განეკუთვნებოდეს. მათ შორის გამოვეყოფთ:

ა) პიროვნებათა (კოლექტივის) აღნიშვნები: frauentypische Beschäftigungen, freundestreu sein, menschenunwürdiger Lebensstandard, klassenbewusste Arbeiter, adressatenspezifische Mitteilungen, gemeinschaftsschwieriges Kind.

ბ) სხეულის ნაწილის აღნიშვნა: fußkalt, gaumenmildes Eis, handmildes Spülmittel, magenverträgliches Boxazin S, herzwirksames Heilmittel, hautverträgliche Seife.

გ) მეცნიერება/კულტურა: theorieabhängige Kategorien, wissenschaftstypisches Streben, kulturkonservativ bekennen, theatererfahrener Musiker.

დ) ეკონომიკა: exportabhängiges Land, landschaftsspezifisches Material, marktgünstige Bedingungen, marktkonforme Entwicklungsprojekte, konsumabhängige Bereiche, marktgängiger Titel.

ე) მოქმედება/აქტივობა: bewegungsaktiver Freizeitsportler, handlungsrelevant, beschreibungsrelevant, arbeitsaufwendig, bedienerbequem, handelsattraktive Erzeugnisse.

ასევე განსხვავებულ სემანტიკურ კლასებს შეიძლება განეკუთვნებოდეს მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი. ესენია:

ა) შესაბამისობა/შესატყვისობა: emotionssynchron, erwartungskonforme Haltungen, gegenstandsadäquate Klassifizierungskriterien, sprecherkongeniale Wortschöpfung.

ბ) შეფასების გამოსატყვა: geschichtsindifferente Betrachtung, wertneutrale Auslegung, wirklichkeitsoptimal, interessenindifferent.

გ) სიმყარე/გამძლეობა: stellungsfest, kälteflexibler Gartenschlauch, kontextinvariante Verwendung, sturzkonstante Radführung.

დ) პოზიცია/დამოკიდებულება: liebesmunter, modemutige Jugend, fortschrittsoptimistisch, obrigkeitsstumpfe Dummheit, staatstreues Bürgertum.

7. შედეგობრივი სემა (konsekutiv):

erwägungswichtige Frage – Frage, die so wichtig ist, dass sie erwogen werden muss.

პერიფრაზირება შეიძლება შედეგის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით, რომელშიც გამოყენებულია კავშირი so....dass:

kaffeeduftfrischer Kaffee – Kaffee, der so frisch ist, dass er nach Kaffee duftet.

ზოგჯერ შედეგი საკმარისად ნათლად არ არის გამოსატყული, მაგალითად,

grundklare Bäche – Bäche, die so klar sind, dass man den Grund sehen kann.

პერიფრაზირება ხშირად მოდალობის გამომხატველი საშუალებებით, კერძოდ, შესაძლებლობის, აუცილებლობის ან სურვილის გამომხატველი მოდალური ზმნებით ხერხდება: gästefine Bandnudeln – Bandnudeln, die so fein schmecken/aussehen, dass sie Gästen serviert werden können.

შედეგობრივი სემა წარმოდგენილია აგრეთვე კონსტრუქციებში: gewitterschwüle Atmosphäre, stadtfines Kleid, hotelfeines Etui.

8. ინსტრუმენტალური სემა (instrumental):

spraysteife Haare – Haare, die mit einem Spray steif werden.

maschinenwaschbare Wolle – Wolle, die mit der Waschmaschine waschbar ist.

neongrelle Kneipen – Kneipen, die durch das Neonlicht grell sind.

პერიფრაზირება შესაძლებელია წინდებულების mit, durch, mit Hilfe von მეშვეობით:

prilweiches Wasser – Wasser, das mit/durch/mit Hilfe von Pril weich ist.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ჩვეულებრივ გამოხატავს საშუალებას, რომელიც მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტით გამოხატული მდგომარეობის მისაღწევად გამოიყენება: chemikalienblond, lampenhell.

გვხვდება ელიფსური წარმონაქმნები, რომლებშიც ინსტრუმენტალური სიდიდე დასახელებული არ არის. მაგალითად, viersternekalt gefrieren – mit einem Viersternekühlschrank kalt/gefrieren. ასეთივეა: servoleicht lenken.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ძირითადად კონკრეტულ არსებით სახელს წარმოადგენს. იგი შეიძლება აღნიშნათა შემდეგ კლასებს განეკუთვნებოდეს:

ა) ხელსაწყოს ან მისი რომელიმე ნაწილის აღნიშვნას: scheinwerferhell, klingenglatte Rasur, kerzenhell glänzen.

ბ) ნივთიერების/ქიმიური სუბსტანციის აღნიშვნას: wasserstoffblond, mentholfrische Zigarette, mineralharte Zähne.

გ) ინტერიერის საგნების აღნიშვნას: eisschrankharte Butterkugelchen, teppichdumper Treppenabsatz.

9. შედარების გამომხატველი სემა (komparativ):

კომპოზიტები გამოხატავენ შედარებას. მაგალითად,

bananengelbes Straßenkleid – Straßenkleid, das so gelb ist wie Bananen.

marmorblasses Gesicht – Gesicht, das blass ist wie Marmor (wieß ist).

nordpolharte Kälte – Kälte, die hart wie die Kälte am Nordpol ist.

eisblaues Augenpaar – Augenpaar, das kaltblau ist wie Eis.

lilienweiße Seidenflocken – Seidenflocken, die weiß wie Lilien sind.

glockenhelles Lachen – Lachen, das hell wie Glockenklang ist/klingt.

10. გრადაციის სემა (Gradation):

ეს სემა გამოიყოფა იმ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში, რომლებიც არსებითი სახელით გამოხატული სიდიდის გაძლიერებას, მატებას, ნორმის გადამეტებას ან, პირიქით, შეზღუდვა-შემცირებას, დასუსტებას აღნიშნავენ.

გაძლიერების გამოსახატავად გამოიყენება კომპონენტები: -stark, -intensiv. მაგალითად, willensstark, gedächtnisstark, nervenstark, arbeitsintensiv.

თვისების შეზღუდვა-შესუსტების გამოსახატავად გამოიყენება მორფემა -schwach: leistungsschwach, charakterschwach, ausdruckschwach.

სუფთა გამაძლიერებელი კონსტრუქციის ტრანსფორმაცია არ ხერხდება: blutwenig, todunglücklich, nagelneu, brandgefährlich. ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს ელვატიურ ნაერთებს უწოდებენ (Helbig/Buscha 1998:307).

განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ფერთა აღმნიშვნელი ზედსართაული კონსტრუქციები. მაგალითად, apfelsinengelbe Blüte – Blüte, die apfelsinengelb ist. ასეთივე წარმონაქმნებია: mondweißes Haar, safirblauer Seidenschal, pflaumendunkler Wallach, signalroter Abstandhalter, bonbonrosa Kapuzenjacke.

მორფოლოგიურად მსგავსი სტრუქტურის მქონე ზედსართაული კომპოზიტებში შესაძლო სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობების სიმრავლისა და სათანადო პერიფრაზირების წესების ნაკლებობის გამო სიტყვაწარმოებითი მოდელები მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება დაგვეხმაროს მნიშვნელობის დადგენაში. ზოგადად კი მკითხველის ან მსმენელის წინარეცოდნა და ზედსართაული კომპოზიტების კონტექსტი იძლევა სემანტიკურად ეკვივალენტურ შესიტყვებად მათი სწორი ტრანსფორმაციის საშუალებას. ამასთან, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მკაფიო სხვაობები გამოყენების სიხშირეში. ასე მაგალითად, თანამედროვე გერმანულ ენაში განსაკუთრებით პროლუპტიულია სტრუქტურული მოდელები: არსებითი სახელი + ზედსართავი, შეზღუდვით-მიმართებითი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობით: „X არის A S-თან მიმართებაში“ (სუბსტანტიური მიმართებითი სიდიდე არის ზედსართავი არსებით სახელთან მიმართებაში): lebensfremder Mensch – der Mensch ist fremd in bezug auf das Leben. ასე-

თია შემდეგი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები: halsfern, formschön, plantreu, erzeugniskonkret, kostengünstig, störungssicher, pflegeleicht და ა.შ.

საგნობრივი ლექსიკის სფეროში ზოგიერთი ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია სემანტიკური შემჭიდროების მაღალ ხარისხს ავლენს (Poethe 2000:199). ამგვარი ლექსიკალიზებული კომპოზიტების ტრანსფორმირება დიდ ძალისხმევას მოითხოვს:

- ein lohnintensives Produktionsverfahren – ein Produktionsverfahren, das mit einem hohen Anteil der Lohnkosten an den Gesamtkosten verbunden ist.
- ein datenschutzsensibles Thema – ein Thema, bei dem es um Daten geht, die besonders gut geschützt werden müssen.

ანალოგიური კონსტრუქციები გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც:

- eine sternklare Nacht – eine Nacht, die so klar ist, dass man die Sterne sehen kann.
- hauchschmale Mondsichel – so schmal, dass sie wie ein Hauch kaum wahrzunehmen ist.

2.1.2. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – ზედსართავი სახელი

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ზედსართავი სახელი აქვთ, შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც დეტერმინატიულ, ასევე კოპულატიურ კომპოზიტებს, განსხვავებით არსებით სახელიანი კონსტრუქციებისაგან, სადაც მხოლოდ დეტერმინატიულ კომპოზიტებზე შეიძლება მსჯელობა.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ზედსართავი სახელი აქვთ, შეიძლება მიჩნეულ იქნას სტრუქტურულ ტიპად: „ზედსართავი ატრიბუტი + ზედსართავი მიმართებითი სიტყვა“, სადაც ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის სიმპლექსი: მოდელი $A_1 + A_2$. მაგალითად, schwerkrank, leichtkrank,

frühreif, altklug, hellgrün, dunkelrosa, blassgelb, lauwarm, neureich, gelbreif.

ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში ზედსართავი მსახდრედად ხშირად იმისათვის გამოიყენება, რომ ამა თუ იმ ზედსართავის მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად დახვეწილად, და-ზუსტებულად წარმოაჩინოს. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი, როგორც წესი, მეორე კონსტიტუენტის ატრიბუტს წარმოადგენს. ამდენად, სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები სემანტიკურად შეესატყვისებიან ალტერნატიულ სინტაქსურ შესიტყვებებს: frühreif – früh reif; leichtkrank – leicht krank.

1. დეტერმინატიულ კომპოზიტში ფერთა აღნიშვნა **ნიუანსირების სემით (Nuancierung)** რეალიზდება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მორფემები: hell-, dunkel-, zart-, fahl-, blass-, matt: hellgrün, dunkelblau, zartgelb, fahlgrün, blassrosa, mattweiß.

მთელ რიგ დეტერმინატიულ კომპოზიტებში პირველი და მეორე კონსტიტუენტი ერთსა და იმავე აღნიშვნათა კლასს განეკუთვნება. ხშირია შემთხვევები, როცა ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ფერის აღმნიშვნელი ზედსართავია: blaugraues Steintöpfchen, grellbuntes Material, hellviolette Amethystkugeln, silbrig-lila Überzug. ზოგჯერ ერთ-ერთი კონსტიტუენტია ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი: frohweiß, gelbblasser Stirn, mattblaues Kleid, schmutzige Dächer.

2. შემდეგ სემად დეტერმინატიულ კომპოზიტებში შეიძლება გამოვეყნოთ **გრადაცია (Gradation)**.

აქ გამოიყოფა ზედსართავები მორფემით halb-: halbbitter, halbdunkel, halbseiden, halbfertig, halbfett, halbwach, halbtot.

3. შედარებით მცირეა ზედსართავები **ტემპორალური მნიშვნელობით (temporal)**: frühreif, frühklug, spätreif, frühinvalid.

frühreifer Junge – Junge, der früh/vorzeitig reif ist.

კონსტრუქციაში ewig-warme Sonne პირველი კონსტიტუენტით გამოხატული სიდიდე ახასიათებს მეორე კონსტიტუენტით დასახელებულ მდგომარეობას როგორც დროითი საზღვრის გარეშე არსებულს:

ewig-warme Sonne – Sonne, die ewig-warm/ewig/immerwährend warm ist.

თუ ზედსართაულ კომპოზიტში ზედსართაული ძირითადი სიტყვა თავის მხრივ კომპლექსური, უკვე სუფიქსიანი ენობრივი ნიშანია, როგორცაა, მაგალითად, kleinbürgerlich/großbürgerlich, kleinstädtisch/großstädtisch, მაშინ ცალსახად შეუძლებელია ითქვას, აღნიშნული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია ორი ზედსართავისაგან შემდგარი კომპოზიცია (klein + bürgerlich), თუ ნომინალური კომპოზიტის სუფიქსური დერივატი (Kleinbürger + -lich).

2.1.3. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – ზმნის ძირი

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ზმნური თავისუფალი მორფემა აქვთ, ხშირია ტექნიკურ ენასა და რეკლამის სფეროში. ზმნურ მორფემას ხშირად უკავშირდება ზედსართავები: fest, kundig, sicher, faul, echt. მაგალითად, trinkfest, pumpfest, knitterfest, bügelfest, lesekundig, schreibkundig, kochecht, waschecht, schreibfaul, sprechfaul, denkfaul, kochsicher, störsicher, treffsicher, gleitsicher.

გვხვდება სხვა ზედსართავებიც: triefnass, röstfrisch, schlachtwarm, sitzmüde, lernwillig, siedewarm, schüttelreif, fahrbereit.

ფორმალური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ, განსხვავებით სუბსტანტიური კომპოზიტებისაგან, ზედსართაულ კომპოზიტებში ზმნური პირველი კონსტიტუენტი არასოდეს არ უკავშირდება მეორე კონსტიტუენტს მკერთებელი ელემენტით. (მოდელი $V \cdot A$).

უმეტესად გვხვდება ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებშიც ძირითადი ანუ მეორე ზედსართაული უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი გამოხატავს მიდრეკილებას ან დამოკიდებულებას რაიმესადმი. თავისი ზმნური მსაზღვრელი სიტყვით იგი უკავშირდება პირველი კონსტიტუენტით გამოხატულ მოქმედებას.

მსაზღვრელი სიტყვის ზმნური შინაარსიდან გამომდინარეობს შემდეგი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობები:

1. შედეგობრივი სება (konsekutiv):

tropfnass – so nass, dass es tropft.

rascheldürre Blätter – Blätter, die so dürr sind, dass sie rascheln.

ასეთივეა: klapperdürre, bettelarm, siedeheiß, triefnass, hüpfgesund, treffgenau, fallreif, sterbenskrank, regenschwül, badewarmes Wasser, drehrunde Stengel, erntereife Zuckerrüben, glanzklar getrocknet, schwindelschnelle Kreiselei, knackfrische Essiggurken, krachtrockene Kräuter, kuschelwarmer Mantel, tanzweite Röcke, knusperfrische Kekse.

პერიფრაზში ხშირად მოდულური ზმნაა წარმოდგენილი: streichelfeiner Mohair-Flausch – Flausch, der so fein ist, dass man ihn streichen möchte;

wohnkomplettes Haus – Haus, das so komplett ist, dass man darin wohnen kann.

თუ პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი მეორე კონსტიტუენტით დასახელებული მოვლენის გაძლიერებას ან ინტენსივობას გამოხატავს, მაშინ პერიფრაზირება ხდება ზმნიზებით sehr. მაგალითად, flatterleichte Mousselin-Schöpfungen – Mousselin-Schöpfungen, die so leicht sind, dass sie flattern ან sehr leichte Mosselin-Schöpfungen.

მოტივაციის დაკარგვის შედეგად პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი პრეფიქსიდი სტატუსს ღებულობს. მაგალითად, glührot, glühheiß, glühbunt, sterbenskrank, sterbenslangweilig.

პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ძირითადად წარმოდგენილია მოქმედების, პროცესის გამომხატველი ზმნები: glitzerklar, bügeltrocken, pflückreif, blutfrisches Fleisch, knautschweiche Kissen, mucksstille Bauern, platzvolle Reife (Grass), sprungelastisches Gewebe, streichelglatte Haut.

მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება აღნიშნათა სხვადასხვა კლასს განეკუთვნებოდეს. მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება:

ა) კონსისტენციის აღნიშვნა: rollelastischer Schuh, beißfest gekochte Birnen.

ბ) ტემპერატურის აღნიშვნა: brennheiß, brühwarm, badewarm.

გ) ფიზიკური მდგომარეობის აღნიშვნა: sterbenselend, todwund.

2. მიზეზობრივი სება (kausal):

röstfrisch – frisch, weil (gerade) geröstet.

სმირად პერიფრაზირება შესაძლებელია გაარსებითებული ინფინიტივით. მაგალითად, sitzmüder Rücken – Rücken, der vom Sitzen müde ist.

hungertolle Krähen (Trakl) – Krähen, die vom Hungern toll sind.

ასეთივეა: schlafrot, schlafwarm, sitzwarm, fernsehmüde, lachheiße Wangen, backrotes Gesicht.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ძირითადად გამოხატავს რაიმე მოქმედებას, აქტივობას. მაგალითად, backwarmer Ziegelstein (Grass), saufselig heimkehren; sie ist reiseruñig (Strittmatter).

3. შეზღუდვით-მიმართებითი სება (limitativ-relationell):

schreibgewandt – gewandt in bezug auf das Schreiben.

ასეთივეა: treffsicher, bremssicher, denkfaul, lerneifrig, werbewirksam, fahrtüchtig, lernfreudig, tragfähig, gehfähig, denkfähig, lieferfähig, wehrfähig, schreiblustig, badelustig, lebensbedrohlich, schaffensnotwendig, sprechscheuer Schüler.

ზოგჯერ პერიფრაზირება მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის მეტყველების ნაწილის შეცვლით შეიძლება: lernqualitative Einrichtungen – Einrichtungen, die qualitativ gut sind beim Lernen.

რადგანაც ასეთი ზედსართაული კონსტრუქციები ნაწილობრივ მიდრეკილი არიან სერიული წარმოებისაკენ, სადაც ზედსართავის მნიშვნელობა რამდენადმე სუსტდება, ამიტომ ისინი გარდამავალ საფეხურს ქმნიან სუფიქსოიდებისაკენ.

ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს სმირად არა აქვს ის მნიშვნელობა, რაც მას, როგორც ჩვეულებრივ ზედსართავს, მიეწერება, ე.ი. ის ამჟღავნებს ტენდენციას, სუფიქსოიდის ხასიათი მიიღოს. მაგალითად, კონსტრუქციის – lauffreudig პერიფრაზირება ამგვარად შეიძლება: läuft gern. სხვა კონსტრუქციით, სადაც freudig-ს გამოიყენებთ, პერიფრაზირება შეუძლებელია. მაგალითად, არ შეიძლება *läuft freudig. ასევეა ზედსართავებში: kritisierfreudig, denkfreudig, trinkfreudig, spendierfreudig და ა.შ. აქ მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი დებულობს ადგერ-

ბიალურ მნიშვნელობას „gern“ („სიამოვნებით“). ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები განსაკუთრებით ხშირია რეკლამის სფეროში, სადაც ზედსართავები, რომლებიც თავდაპირველად ადამიანის თვისებებს გამოხატავენ, შემდგომ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის მეორე კონსტიტუენტად გამოდიან და საგნებთან მიმართებითაც გამოიყენებიან: rieselfreudiges Salz – Salz, das leicht rieselt.

2.14. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – ნაცვალსახელი

პირველ კონსტიტუენტად ნაცვალსახელიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შედარებით ნაკლებად გვხვდება. იგულისხმება ნაცვალსახელები, რომლებსაც ზედსართავთან კონტექსტუალურ მეზობლობაში ლექსემატური მნიშვნელობა აქვთ.

გამოიყოფა პირის ნაცვალსახელიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები: ichbezogen, ichsüchtig, wirbezogen.

ძალიან აქტიურია ნაცვალსახელი selbst: selbstsicher, selbstherrlich, selbsttätig, selbstverständlich, selbstzufrieden, selbstgefällig, selbstkritisch, selbstzerstörerisch, selbstgenügsam.

ასეთ კონსტრუქციებში სემანტიკური მიმართებები განსხვავებულია. მათი დიდი ნაწილი იდიომატიზებულია: selbstverständlich, selbstständig.

ზოგჯერ შესაძლებელია von selbst + ზედსართავად ტრანსფორმირება: selbsttätig – von selbst + tätig.

სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს selbst-ითა და პარტიციპით ჩვენ თხზულ-შერწყმულ სიტყვებს მივაკუთვნებთ. მათი უმეტესობა შეიძლება ეკვივალენტური ფორმით გადმოიცეს: selbstgeschrieben – selbst geschrieben haben.

კომბინაციები მორფემით all- არც ისე ბევრია. მათი ერთი ნაწილი თხზულ-წარმოქმნილ ფორმებს (Zusammenbildung) მიეკუთვნება: alljährlich, allabendlich, allnächtlich, allmonatlich, alltäglich, allsonntäglich, დანარჩენებში კი all- ნაწილობრივ გამაძლიერებელი ელემენტია და პრეფიქსოიდად იქცა: allbekannt – allen bekannt. ასეთივეა: allbeliebt, alldeutsch, allweise, allwissend.

2.2. კოპულატიური კომპოზიტი

ზედსართაული კომპოზიტების 25%-ს წარმოადგენს კოპულატიური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები.

თუ რთული სიტყვის კონსტიტუენტები არა სუბორდინაციულ, არამედ კოორდინაციულ მიმართებაშია ერთმანეთთან, მაშინ ლაპარაკია კოპულატიურ კომპოზიტზე. ასეთ შემთხვევაში ადეკვატურ სინტაქსურ შესიტყვებად ტრანსფორმაციისას გამოიყენება კავშირი und. კომპოზიტში დასახელებულია ორ-ორი თვისება, ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს წარმოადგენს და ინარჩუნებს საკუთარ მნიშვნელობას. მაგალითად,

feuchtwarm – feucht und warm.

nasskalt – nass und kalt.

ასეთივეა: taubstumm, dummdreist, taubblind, dummstolz, dummfaul, dummfrech.

კოპულატიურ კომპოზიტში უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების ურთიერთგადაადგილება შეიძლება მნიშვნელობის ცვლილების გარეშე. მაგალითად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვიტყვით schwarzweißes Schachbrett თუ weißschwarzes Schachbrett. ასეთივეა: blindtaub = taubblind, trocken-spritzig = spritzig-trocken.

კოპულატიური კომპოზიტისაგან განსხვავებით, უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების გადაადგილება სემანტიკური ცვლილების გარეშე ვერ ხერხდება დეტერმინატიულ კომპოზიტში: fingerlang არ არის Langfinger, haushoch არ არის Hochhaus. მაგრამ თვით კოპულატიურ კომპოზიტშიც კი სემანტიკური მოსაზრებების გამო ყოველთვის არ არის შესაძლებელი კონსტიტუენტების ურთიერთგადაადგილება, რათა არ დაირღვეს გარკვეული თანმიმდევრობა. მაგალითად, eine rot-gelb-grüne Ampel, Armeniens rot-blau-aprikosenfarbene Flagge. მომდევნო წინადადების ავტორისათვის ნამდვილად რელევანტურია, თუ რა თანმიმდევრობა აქვს კომპოზიტში ზედსართაუებს: In seinem grünbraunen Anzug – oder ist er braungrün? Wer weiß – sieht er aus wie ein Hundedompteur (Picouly).

უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების ურთიერთგადაადგილება არ შეიძლება ასევე კომპოზიტებში rotweißbrote und schwarzrotgoldene Kokarden. არასწორია *rotrotweiße und goldschwarzrote Kokarden. ასევე არ შეიძლება კონსტიტუენტთა რიგითობის დარღვევა კომპოზიტში antik-fränkisch-christliches Europa, რადგან მასში მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა გადმოცემული.

ამრიგად, კოპულატიური კომპოზიტის კონსტიტუენტები შეიძლება გამოხატავდნენ დროით თანმიმდევრობას ან სივრცობრივ თანმიმდევრობას: klassisch-romantisch-moderner Sonatenabend, spätgriechisch-byzantinische Quellen (დროითი თანმიმდევრობა), unsterbliche Kombination Blau-Weiß-Rot (სივრცობრივი თანმიმდევრობა).

როგორც აღვნიშნეთ, კოპულატიურ კომპოზიტში თანაბარი რანგის კონსტიტუენტები გვხვდება და არა გვაქვს დეტერმინატიული მიმართება. შესაბამისად, ამ ტიპის სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში, თუკი ისინი ორზე მეტი სიტყვისაგან შედგება, ბინარული სტრუქტურა დარღვეულია. მაგალითად, blau-rot-grün tätowierte Augen – Augen, die blau und rot und grün tätowiert sind.

und კავშირს, როგორც პერიფრაზირებისათვის საჭირო ელემენტს, უპირატესად ადიტიური ფუნქცია აქვს: sandig-humoses Erdgemisch, mystisch-exotische Mischung, lustig-attraktive Jugoslawin.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ე.წ. ოქსიმორონები. ასე იწოდებიან კოპულატიური კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ზედსართავეები ერთსა და იმავე სემანტიკურ ველს განეკუთვნებიან, მაგრამ მის ფარგლებში ანტონიმური მნიშვნელობა აქვთ: engweit, nahfern, helltrüb, ernstheiter (Goethe), heißkühl (Broch), herzlichbarsch (Schulz), eine bittersüße Romanze, eine schaurigschöne Geschichte, schaurig-schönes Schauspiel, erschütternd-schöner Dokumentarfilm, traurig-schöne Ausstellung, herb-schöne Mittelmeerlandschaft, helldunkler Himmel (Handke), klassisch-sportliche Hemdbluse, sportlich-elegante Kleidung, elegant-saloppe Vollpolster-Klapp-Couch-Garnitur.

ამგვარი მეტ-ნაკლებად პარადოქსული მიმართებით შესაძლებელია განსაკუთრებული სტილისტიკური ეფექტის მიღწევა. მსგავსი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები უპირატესად ბე-

ლექტრისტიკაში გვხვდება ექსპრესიული ზემოქმედების მიზნით. ასევე ფართოდ გამოიყენება ისინი რეკლამის სფეროში.

ამ ტიპის კოპულატიური კომპოზიტების პერიფრაზირებისას უნდა გამოიყენოთ: aber auch/aber trotzdem/dennoch/dafür. მაგალითად, süßsaure Delikateßgurken – Delikateßgurken, die süß aber auch sauer sind;

fern-nahe Freundin არ უნდა გავიგოთ როგორც *Freundin, die nahe, aber auch fern ist, არამედ როგორც Freundin, die zwar räumlich (ent)fern(t), aber trotzdem/dennoch/dafür gedanklich/seelisch nahe ist.

მორფოლექსიკურად ანტონიმურ კონსტიტუენტებს შეიცავენ კომპოზიტები: unbekanntes-wohlbekanntes Mädchen, gezügelte-ungezügelte Leidenschaft, bleibt aufmerksam-unaufmerksam, unvirtuose-virtuose Instrumenten- und Gesangsformen, politisch-apolitische Radikalität (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:40). ზოგჯერ კონსტიტუენტები ერთმანეთის მიმართ ანტონიმურ მიმართებაშია, რადგან მათ ანტონიმური ბაზისები აქვთ. მაგალითად, menschlich-göttlicher Sinn, aktivisch-passivische Opposition, heidnisch-christliche Tanzfeste.

ზოგიერთი კომპოზიტი, რომლის ძირითადი ანუ მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი მიმართებით ზედსართავადაც შეიძლება ჩაითვალოს, სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის თვალსაზრისით ორაზროვანია. იგი შეიძლება ორგვარად გავიგოთ: როგორც კომპოზიტი ან როგორც დერივატი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თხზულ-წარმოქმნილი ფორმა (Zusammenbildung). მაგალითად, grüngrau filziger Überzug (Helm) – 1) Überzug, der grüngrau und filzig ist (კომპოზიტი); 2) Überzug, der wie grüngrauer Filz ist (დერივატი). ასეთივეა: feuchtklumpiges Salz (Grass).

თუ კომპოზიტის ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი მიმართებით ზედსართავია, რომლებიც პრედიკატივის სახით გამოიყენება, მაშინ პერიფრაზში, ჩვეულებრივ, დამატებითი ლექსემები უნდა მოვიშველიოთ. მაგალითად, fränkisch-alemannische Grenze – Grenze, die zwischen den Franken und den Alemannen besteht/Grenze, die zwischen dem fränkischen und dem alemannischen Gebiet besteht.

კოპულატიური შეიძლება იყოს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ფერთა აღმნიშვნელი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები.

კომპოზიტები rotweiß, schwarzgelb გამოიყენება ობიექტების დასახასიათებლად, რომლებშიც ორი ან მეტი ფერი იზოლირებულიად არის წარმოდგენილი, კერძოდ, ზოლების ან კუბოკრული სახით. კონსტიტუენტები გამოხატავენ ფერებს, რომლებიც ფერთა სპექტრში ერთმანეთის გვერდიგვერდ არ არიან განლაგებული. მაგალითად, grünrote Wollsocken, schwarzgelbe Binden, orangeschwarz gemustertes Baumwollkleid.

ზოგჯერ ერთმნიშვნელოვნად ვერ ხერხდება იმის დადგენა, მოცემული კომპოზიტი დეტერმინატიულია თუ კოპულატიური. მსგავს შემთხვევებში სინტაგმურ-ექსტერნული მიმართება გვეხმარება მნიშვნელობის ცალსახად გამოვლენაში. კონტექსტის, ძირითადად კი მიმართებითი სიტყვის საშუალებით, შეიძლება ფერთა ურთიერთმიმართების სწორად წარმოდგენა. მაგალითად, beige-braune Oxford Karos; Mit Unmengen von Petersilie und 10 Eiern gekochte Grießklöße stehen grüngelb; dunkelbraungoldene, ... quergestreifte Röhren (Lem); schwarz-grau umwuchs ihn Bart (Johnson).

კოპულატიური კომპოზიტების დაახლოებით 15 %-ს წარმოადგენს ისეთი ტიპის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, როგორიცაა ägyptisch-israelisch (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:46). სინტაგმურ-ექსტერნული სახის სემანტიკური მიმართებები ნათლად ვლინდება პერიფრაზში, რომელშიც წარმოდგენილია წინდებულები. ისინი შეიძლება გამოხატავდნენ შემდეგ მიმართებებს:

1) წარმომავლობას/გავრცელების არეალს: englisch-amerikanische Popmusik – Popmusik, die aus England und aus Amerika stammt/von Engländern und Amerikanern gemacht wird/Popmusik, die in England und in Amerika üblich ist.

2) ინტერაქტიურ პროცესებს: deutsch-brasilianischer Warenaustausch – Warenaustausch, der zwischen Deutschland und Brasilien besteht/stattfindet. ასეთივეა: amerikanisch-chinesische Annäherungsversuche, französisch-chinesischer Waffenhandel, indisch-deutscher Kulturaustausch, afrikanisch-asiatische Solidarität, israelisch-amerikanische Beziehungen, deutsch-amerikanische Begegnung, israelisch-arabischer Konflikt.

3) შესაბამისობას: chinesisch-japanisches Lebensgefühl – Lebensgefühl, wie es die Chinesen und die Japaner haben.

4) კუთვნილებას: griechisch-karthagische Insel – Insel, die Griechen und Karthagern gehört/besetzt halten.

ზოგიერთ სპეციალურ დარგობრივ ტექსტში კომპოზიტები ორახროვანია და მხოლოდ კონტექსტში ნახსენები საგნობრივი ინფორმაციის მეშვეობით ხდება გასაგები. მაგალითად, ein folgenschweres Ereignis, ... die Eroberung Englands durch Herzog Wilhelm von der Normandie (1066)... Ja, die neue normandisch-angelsächsische Herrschaft (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:47).

ჩვეულებრივ, კოპულატიური კომპოზიტის ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი მეტ-ნაკლებად ჰომოგენურ სფეროებს უკავშირდება, კერძოდ, გეოგრაფიულ სიდიდეებს, კონტინენტებს, ლანდშაფტებს, ქვეყნებს, მათ ენებს, ეროვნებებს: nordpolnisch-kaukasischer Bereich, italienisch-österreichische Front, hebräisch-aramäische Wörter, deutsch-französischer Fabrikant.

კონსტიტუენტთა მნიშვნელობები შეიძლება ძლიერ დიფერენცირებულიც იყოს. მაგალითად, burgundisch-demokratische Partei, slavisch-heidnische Bevölkerung, katholisch-vietnamesischer Priester.

კოპულატიური კომპოზიტი შეიძლება საქციელს, ხასიათს, მანერებს გამოხატავდეს. მაგალითად, aufgeschlossen-lockerer Typ, ehrgeizig-selbstbewusster Mensch, feig-schlapper Kerl, spöttisch-hochmütige Haltung (Seghers), frommwilliger Vormann (Strittmatter).

ინტელექტუალურ მდგომარეობას გამოხატავენ კონსტიტუენტები შემდეგ კომპოზიტებში: naiv-gewitzter Gegenspieler, intelligent-telegene Blödelei, aufgeblasen-dummer Kritiker, nüchtern-schlauer Burri (Frisch), behaglich und dummschlau (Auerbach).

უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები შეიძლება მასალის რაგვარობას გამოხატავდნენ. მაგალითად, cremig-elastischer Teig, flaumig-samtene Kleinteppiche, fleischig-butterzarte Hülsen, dicksüßer Likör, feucht-weicher Untergrund, glitschig-warme Schnecken (Schattschneider), nassschlapper Tannenzweig (Wohmann).

სტილის მიმართულებაა მოცემული შემდეგ კონსტიტუენტებში: elegant-legere Kreuzfahrten, gediegen-nobler Stil, jazzig-klassische Ebene, jazzig-intellektuelle Musik, festlich-romantisches T-Shirt.

კომპოზიტებში უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები ზოგჯერ გარკვეული ფორმის გამოსახატავად გამოიყენება. მაგალითად, kantig-spitze Glasscherben, länglich-grobmaschiges Netz,

rundspitz zulaufendes Stück Eisen (Böll), straff-blankes Gesicht (Knef), harmlos-runde Erdfrüchte (Strittmatter).

როგორც ვხედავთ, კოპულატიური კომპოზიციების უმეტესობაში (დაახლოებით 80 %) გვხვდება დეფისი (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:51). დეფისიანი კოპულატიური კომპოზიციები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში, კერძოდ, ფილოსოფიაში, მედიცინაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ენათმეცნიერებაში, ტექნიკაში (Sommerfeldt 1987:64). მაგალითად, physikalisch-technische Assistentinnen, die chemisch-pharmazeutische Industrie, wissenschaftlich-technische Revolution, praktisch-politische Erfahrungen, mathematisch-naturwissenschaftliche Zusammenarbeit, anthropologisch-psychologische Rückwendung, soziologisch-sozialpsychologisches Gedankensystem, physikalisch-technische Verfahren, mechanisch-chemische Eingriffe, wissenschaftlich-theoretische Erkenntnisse.

დეფისიანი კოპულატიური კომპოზიციები ასევე ემსახურებიან პოლიტიკური ან სოციალური ღირებულებების აღნიშვნას. მაგალითად, die christlich-soziale Union, anarchisch-despotische Autoritätsstruktur, demokratisch-bürgerlich-liberale Kräfte, politisch-soziales System, technisch-industrieller Fortschritt.

ენების აღნიშვნისას დეფისიანი კოპულატიური კომპოზიციები მიმართულებას გამოხატავენ: das georgisch-deutsche Wörterbuch ნიშნავს, რომ საწყისი, ამოსავალი ენა არის ქართული. კონსტიტუენტების ურთიერთგადაადგილება შეიძლება, მაგრამ ამით შინაარსი შეიცვლება: das deutsch-georgische Wörterbuch. აქ უკვე საწყის ენას გერმანული წარმოადგენს.

ხშირია დეფისიანი კოპულატიური კომპოზიციები რეკლამის სფეროში: ein modisch-eleganter Mantel, jugendlich-sportlicher Stil.

კომპოზიციების ანალიზი გვჩვენებს, რომ დეფისი თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია ისეთ კოპულატიურ წარმონაქმნებში, რომელთა უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები ექსპლიციტურ დერივატებს ან პარტიციპებს წარმოადგენენ. მაგალითად, gotisch-spitzbogiger Eingang, geistig-psychische Struktur, dänisch-norwegischer Vertrag, lockend-belehrenden Auslagen, kräftigend-schmeidigender Spiele (Th. Mann). გარდა ამისა, ზედსართავები და პარტიციპები (პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად) დეფისით უერთდება ერთმანეთს, როცა ლაპარაკია უჩვეულო,

იდომაციზებულ წარმონაქმნებზე. მაგალითად, drückend-schwüle Sommersonne, der feierlich-ernste Bräutigam, grausam-harte Kriegszeit, knusprig-braunes Spanferkel, strahlend-heiter, heiter-sinnlicher Kleriker (Fleischer 1983:242).

დეფისიან კოპულატიურ კომპოზიტებში გვხვდება სინონიმური წარმონაქმნები. მაგალითად, britisch-amerikanisch = englisch-amerikanisch = anglo-amerikanisch; israelisch-amerikanisch = jüdisch-amerikanisch; saudisch-amerikanisch = arabisch-amerikanisch; jüdisch-byzantinisch = hebräisch-byzantinisch; griechisch-keltisch = hellenisch-keltisch; ökonomisch-sozial = wirtschaftlich-sozial; geistig-praktisch = theoretisch-praktisch.

ერთმანეთის პარალელურად გვაქვს წარმონაქმნები, რომლებიც წარმოდგენილია სრული და შეკვეცილი ფორმებით: semanto-syntaktische Fragen – semantisch-syntaktische Gesichtspunkte; morphologisch-syntaktische Indikatoren – morpho-syntaktischer Aspekt; polit-ökonomische Revolution – politisch-ökonomische Interessenbestimmtheit.

არსებობს ასევე პარალელური წარმონაქმნები დეფისითა და მის გარეშე. მაგალითად, audio-visuelle Lehrmittel და audiovisuelles Vorwort, fremd-vertraute Welt და fremdvertraute Fleischklößchen (Wohmann), gelb-orange და gelborange, süß-sauer abgeschmeckt და süßsauer.

მცირე რაოდენობით გვხვდება ტავტოლოგიური კოპულატიური კომპოზიტები, როგორებიცაა zierlich-zart და winzig-klein, სადაც ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი სინონიმურ მიმართებაშია ერთმანეთთან.

კოპულატიურ ზედსართაულ კონსტრუქციებს მიეკუთვნება აგრეთვე რიცხვითი ზედსართავი სახელები: dreizehn, vierzehn, neunzehn და ა.შ.

კოპულატიური ზედსართავების მოდელი მეტად პროლექტიულია, რასაც მოწმობს არაერთი არაუშუალო სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია, მაგალითად, **schwarz-staubiger Hydrant**, **nassdunkler Sand**, **feingraue Schuhe**, **deutsch-ordinäre Bierflaschen** (Grass), **nassglatte Zöpfe** (Seghers), **kühldunkler Tunnel** (Grass).

2.3. პოსესიური კომპოზიტი

კომპოზიტის მომდევნო სახეობას წარმოადგენს პოსესიური კომპოზიტები, რომელთაც ძველი ინდური გრამატიკის მიხედვით Bahuvrihi ეწოდებათ. ისინი უმეტესწილად გამოიყენება ცოცხალი არსების Pars pro toto პრინციპით დახასიათებისათვის (ნაწილის დასახელება მთელის აღსანიშნავად) (Eisenberg 1998:224). კომპოზიტის ძირითადი სიტყვა წარმოადგენს სხეულის ნაწილის აღნიშვნას (ამიტომაც ეწოდება პოსესიური), რომელსაც დეტერმინანსი უფრო დაზუსტებით განსაზღვრავს. მაგალითად, Dickwanst – jemand, der einen dicken Wanst hat; Rothaut – jemand, der rote Haut hat (Knobloch 1997:249). აქ უპირატესად იგულისხმება პიროვნებათა, მცენარეთა და ცხოველთა აღნიშვნები: Dickkopf, Langbein, Spitzbauch, Hasenfuß, Rotkehlchen, Löwenzahn.

ზედსართავი სიტყვაწარმოების სისტემაში იშვიათი გადმონაშთია პოსესიური კომპოზიტი barfuß – „einen baren (= nackten) Fuß habend“. მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის არსებითი სახელი, და მაინც, მთლიანი კონსტრუქცია განიხილება არა როგორც არსებითი სახელი, არამედ როგორც ზედსართავი.

ძველ ინდოევროპულ ენებში ეს ტიპი ხშირი იყო, მაგრამ უკვე ძველ და საშუალო ზემოგერმანულში მხოლოდ მცირე გადმონაშთის სახით შემორჩა (ahd. langmuot – „langmütig“, mihhilmuot – „großmütig“, mhd. barhoubet, barschenkel, barbein) (Fleischer 1983:248). დღეს კი პოსესიური კომპოზიტებიდან მხოლოდ barfuß, barhaupt და lauthals გვხვდება. მათი გამოყენებაც შეზღუდულია (გვხვდება მხოლოდ პრედიკატიული ან ადვერბიული გამოყენება, ატრიბუტული კი არა).

2.4. თხზულ-შერწყმული ფორმა

თხზულ-შერწყმული ფორმა (Zusammenrückung) წარმოადგენს სინტაქსური შესიტყვების შერწყმას ერთ სიტყვად, ამასთან, ამგვარი წარმონაქმნი სინტაქსური შესიტყვების ნიშნებს ჯერაც ავლენს და მასში ფლექსიის ელემენტები შენარჩუნებულია.

ლია. თხზულ-შერწყმულ ფორმებში ბოლო კონსტიტუენტის მიხედვით არ განისაზღვრება კომპოზიტი როგორც მეტყველების ნაწილი. კომპოზიტის ეს ვარიანტი უფრო არსებით სახელებშია წარმოდგენილი: Hohepriester, Waldesruhe, Sonnenwende, Bücherkiste, Vaterunser, Dreikäsehoch.

ზედსართავის სფეროში თხზულ-შერწყმული ფორმები წარმოდგენილია ისეთი კონსტრუქციების სახით, რომლებიც წარმოიშვა არსებითი ან ზედსართავი სახელის პარტიციპულ კონსტრუქციასთან უშუალო მეზობლობის შედეგად: preisgesenkt(e Waren) – im Preis gesenkt(e Waren).

praxisbewährt(e Methode) – in der Praxis bewährt(e Methode).

ასეთივეა: schwerbeschädigt (schwer beschädigt), neugeboren, tiefbewegt, heißgeliebt, schwerbewaffnet, dichtgedrängt, neueröffnet, halbverhungert და ა.შ.

მსგავსი პრინციპით არის აგებული პარტიციპიანი კონსტრუქციები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ზმნიზედა, ნაცვალსახელი ან რიცხვითი სახელი აქვთ: minderbegabt, obengenannt, untenerwähnt, obenerwähnt, untenstehend, minderbemittelt, untenliegend, anderslautend, andersgeartet, minderbelastet, selbstgebacken, wohlbedacht და ა.შ. თუმცა ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები თანამედროვე გერმანულ ენაში შედარებით ცოტაა.

თხზულ-შერწყმული ფორმები კომბინაციური მრავალფეროვნების შესაძლებლობას იძლევიან. ზმნიზედები, რომლებიც ზმნასთან გვხვდება, პარტიციპს შეიძლება მაშინაც დაუკავშირდნენ, როცა ისინი „ნამდვილ“ ზედსართავთან იშვიათად ან საერთოდ არ გვხვდებიან: weitreichend, weitgreifend, weitblickend, weitgehend, fernbeheizt, schwerwiegend, schwachbegabt, schwerbewaffnet, frohgelaunt, ferngesteuert, schwerbehindert, schwachbetont, schwachbewegt, schwachbesetzt, schwachbesucht, schwerverwundet, schwerbeladen.

ამ ზედსართავი კონსტრუქციების წარმოქმნის პროცესი ძალზე დინამიკურად მიმდინარეობს. ტრადიციად არის ქცეული თხზულ-შერწყმული ფორმების ერთად დაწერა, რამდენადაც ისინი კომპოზიციის ერთ-ერთ სახეობად ითვლება. ახალი ორთოგრაფიული წესების მიხედვით კი იგრძნობა ტენდენცია, რომ ამ ფორმების ერთი ნაწილი ცალ-ცალკე დაიწეროს, კერძოდ,

პარტიციპიანი სიტყვები, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი შედარების ხარისხების ფორმებს აწარმოებს ან განიცრცობა (Rechtschreibung 2008:605), მაგალითად, schlecht gelaunt, dünn besiedelt, ernst gemeint, unten erwähnt, weit verbreitet, blank gebohnt, blond gefärbt, braun gebrannt, breit gefächert, dicht behaart, fett gedruckt, schlecht gelaunt, weich gekocht და ა.შ. თუმცა მათ პარალელურად გამოიყენება ფორმები, სადაც ეს სიტყვები ერთად იწერება.

პარტიციპიანი ძველი ზედსართაული კომპოზიტების მცირე ჯგუფს არა აქვს პარტიციპის მაწარმოებელი -ge- როგორც ინფიქსი. მაგალითად, neubacken (Stieler-თან 1691 neugebacken brot. დღეს იგი გადატანითი მნიშვნელობით იხმარება: ein neugebackener Professor) (Fleischer 1983:240).

ბოლო დროს ძლიერ იმატა ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების რიცხვმა, რომელთა მეორე კონსტიტუენტია პარტიციპ I ან პარტიციპ II. მაგალითად, schmerzlindernd, energiesparend, friedliebend, schadstoffbelastet, sensorgesteuert, praxisverbunden (Wilss 1983:230).

ჩვენ აქ ისეთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებსაც ვაერთიანებთ, რომლებშიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საქმე გვაქვს ზმნური შესიტყვებისაგან -d სუფიქსის დახმარებით განხორციელებულ ექსპლიციტურ დერივაციასთან:

gewinnbringend – Gewinn bringen + -d (Fleischer 1983:282).

ზუსტი გამიჯვნა კომპოზიციასა და დერივაციას შორის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი. მაგრამ უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების ანალიზის მიხედვით, სადაც დაყოფა ბინარულია, და თვით თხზულ-შერწყმული ფორმების არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამგვარი კონსტრუქციები თხზულ-შერწყმულ ფორმებად განვიხილოთ: Gewinn + bringend.

თხზულ-შერწყმული ფორმები წარმოადგენენ სინტაქსური შესიტყვების სემანტიკურად იდენტურ ალტერნატიულ კონსტრუქციებს. ამდენად, მათი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობები არსებითად შეესატყვისება ალტერნატიული სინტაქსური ზმნური კონსტრუქციების სინტაქსურ-სემანტიკურ მიმართებებს. თხზულ-შერწყმულ ფორმებში გამოიყოფა შემდეგი სიტყვაწარმოებითი სემები:

1. ორნატიული სემა (ornativ):

raketenbestückt – mit Raketen ausgestattet.

schneebedeckter Berg – Berg, der mit/von Schnee bedeckt ist/Berg, den Schnee bedeckt.

chloroformgetränktes Tuch – Tuch, das mit Chloroform getränkt (worden) ist.

ringgeschmückte Hand – Hand, die mit einem Ring/mit Ringen geschmückt ist/Hand, die ein Ring schmückt/Ringe schmücken.

efeuumranktes Haus – Haus, das von Efeu umrankt ist.

problemgeladener Film – Film, der mit Problemen geladen ist.

ასეთივეა: diamantenbesetzte Uhr, goldgetupfte Organzaschals, antibiotikaverseuchtes Kalbfleisch, schmutzbedeckt, schuldbeladen, pelzgefüttert, efeubewachsen, läuferbelegt, fetzengekleidet, schuldbelastet, staubbedeckt, waldbedeckt, schilfbedeckt, moosbedeckt, schaumbedeckt, rasenbedeckt, eisbedeckt, blumengeschmückt, ordengeschmückt, schmutzüberzogen, rosenbepflanzt.

მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი როგორც ეგზისტენციალურ-ორნატიული ნიშნების მატარებელი, ლოკალურ მიმართებას ამყარებს მიმართებითი სიტყვით გამოხატულ სიდიდესთან. „ქონა-ყოლის“ მიმართება უფრო მკაფიოდ ვლინდება, როცა პერიფრაზში მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს ფინიტური ან პარტიციპული კვაზი-არქილექსემატური კონსტრუქციით შეეცვლით: wassergefüllte Fässer – Fässer, die Wasser enthalten; angsterfüllt – jemand, der Angst hat/empfindet; freskenverzierte Straßen – Straßen, die mit Fresken versehen sind.

ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების პერიფრაზში შემდეგ სტრუქტურულ ნიმუშს ვიყენებთ: „მიმართებითი ნაცვალსახელი + წინდებუდიანი ფრაზა + პარტიცი II + ზმნა „sein“: blumenbepflanzter Mauersockel – Mauersockel, der mit Blumen bepflanzt ist. რაც შეეხება პერიფრაზირებისათვის საჭირო წინდებულს, აქ გამოიყენება მხოლოდ ორნატიული წინდებული mit: häuserbebauter Straßenteil – Straßenteil, der mit Häusern bebaut (worden) ist. ზედსართავების მცირე ნაწილში mit-ის პარალელურად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე წინდებული von. მაგალითად, efeubewachsene Mauer – Mauer, die mit/von Efeu bewachsen ist. von წინდებუდიანი პერიფრაზი სტილისტიკურად მარკირებულია, ვინაიდან იგი მაღალ, პოეტურ სტილს შეესატყვისება.

ორნატიული მნიშვნელობის მქონე თხზულ-შერწყმულ ფორმებში მეორე კონსტიტუენტი ავლენს მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას, სუფიქსოიდის ხასიათი მიიღოს. ასეთი კონსტიტუენტებია: -geladen, -überladen, -besät, -übersät, -durchtränkt, -erfüllt, -gesättigt, -verseucht, -besetzt, -bewehrt, -umwittert, -verhangen, -getönt, -gefärbt. მაგალითად, gefühlsgeladene Verse – Verse, die viel Gefühl enthalten; stachelbewehrte Flächen – Flächen, die mit Stacheln versehen sind; geheimnisumwitterte Burgruine – Burgruine, die von Geheimnissen umgeben ist.

ზოგჯერ პარტიციპული კონსტიტუენტი სინონიმურ მიმართებაშია ზედსართაულ სუფიქსებთან და სუფიქსოიდებთან. მაგალითად, schmutzbedeckt, schmutzverschmiert – schmutzig; verantwortungsbeladen – verantwortungsvoll; gefühlbeladen – gefühlvoll, gefühlbetont.

სტრუქტურულ სქემას „თხზულ-შერწყმული ზედსართავი + არსებითი სახელი“ ხშირად შეესაბამება სუბსტანტიური კომპოზიტი. მაგალითად, daunengefüllte Mäntel – Daunenmäntel; golddurchwirkter Brokat – Goldbrokat; kiesbestreuter Weg – Kiesweg; kastanienbestandene Allee – Kastanienallee.

2. ინსტრუმენტალური სემა (instrumental):

batteriebetrieben – durch eine Batterie betrieben.

kerzenerhellter Raum – Raum, der mit/durch/von Kerzen erhellt ist.

gefriergetrockneter Kaffee – Kaffee, der durch/mittels Gefrieren getrocknet (worden) ist.

handbetriebener Apparat – Apparat, der mit der Hand betrieben wird.

ასეთივეა: handgeschrieben, handgemalt, handgeschöpft, handgenäht, handgestrickt, handgeschneid, maschinengestrickt, medienberieselt, kontextdeterminiert, abhängertransportiert, luftgekühlt, lichtverklärt და ა.შ.

ზოგჯერ აგენსი უშუალო კონტექსტით არის გამოხატული. მაგალითად, Hitparade, computerausgewertet durch „media-control“ – Hitparade, die von (der Firma)/durch (die Firma) „media-control“ mittels/mit Hilfe eines Computers ausgewertet ist.

პერიფრაზში ინსტრუმენტალური ფუნქციით გამოიყენება წინდებული mit, ზოგჯერ გვხვდება mit Hilfe (von) და unter Zuhilfenahme (von). მაგალითად, der computeroptimierte Winterreifen –

Winterreifen, der mit Hilfe/unter Zuhilfenahme eines Computers optimiert worden ist. პერიფრაზში შეიძლება გამოვიყენოთ ასევე წინდებულებები durch და von. მაგალითად, prämiabegünstigt – durch Zahlung von Prämien begünstigt; autobefahrener Talweg – Talweg, der von Autos befahren wird.

არსებობს როგორც პერფექტულ-რეზულტატიური, ასევე იმპერფექტულ-დურატიული ინტერპრეტაციის შესაძლებლობები. შდრ. salmiakwassergeputzte Uniform – Uniform, die mit Salmiakwasser geputzt worden ist; erdgasbefeuert Kachelofen – Kachelofen, der mit Erdgas beheizt wird.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება ელიფსური იყოს. მაგალითად, solarbetriebener Rechner – Rechner, der mit Solarenergie/-zellen betrieben wird; klimagekühlter Zug – Zug, der mittels einer Klimaanlage gekühlt wird; neonbeleuchtete Räume – Räume, die mit Hilfe von Neonröhren beleuchtet werden.

ინსტრუმენტალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციებში ძალზე ხშირად მწკრივების წარმომქმნელად გამოვიყენება პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი hand- მნიშვნელობით „von Hand/händisch/nicht maschinell“. მაგალითად, handgetrieben – mit der Hand, nicht maschinell betrieben. იგი ოპოზიციაში დგას უფრო იშვიათად გამოყენებულ პირველ კონსტიტუენტთან maschinen-. მაგალითად, handgeschrieben – maschinengeschrieben, handgestrickt – maschinengestrickt.

პირველი ან მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ხშირად ტექნიკისა და მეცნიერების სფეროს სპეციალურ ლექსიკას განეკუთვნება. მაგალითად, graphitmoderiert, hirnwellenstimuliert, vakuumisoliert.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი შეიძლება აღნიშნავდეს:

- ა) ხელსაწყო ან მის რაიმე ნაწილს: propellergetriebenes Ultraleicht-Flugzeug.
- ბ) სხეულის ნაწილს: mundgeblasen, fingerbetätigt.
- გ) ნივთიერებას: gasbeheizter Warmwasserbereiter, bleigelötete Lebensmittelverpackungen.
- დ) ბუნების მოვლენებს: windgetriebene Boote.

3. მასალის აღმნიშვნელი სება (material):

blechgestanzt, holzgeschnitzt, weidengeflochten, lehmgeformt.

4. ლოკალური სება (lokal):

baumgereifte Orange – Orange, die am Baum gereift ist.

irregeleitete Massen – Massen, die in die Irre geleitet werden/sind.

luftkontrollierte Ostsee – Ostsee, die von der Luft aus kontrolliert wird.

sohlenverstärkte Strümpfe – Strümpfe, die an der Sohle verstärkt sind.

ასეთივე წარმონაქმნებია: hausgemacht, kampferprobt, postlagernd, wasserlebend, beinverletzt, knieverletzt, hirnverletzt, kampfgestählt, magenstärkend.

პერიფრაზში უმეტესად გამოიყენება ლოკალურ-სიტუაციური წინდებულები: in, an, auf. მაგალითად, fabrikverpackt, stativbefestigte Kamera. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ფუნქციაა ადგილის გამოსატყობა. პირველი კონსტიტუენტი შეიძლება მიმართულებასაც გამოხატავდეს, რომელიც მორფოლოგიურად ექსპლიციტურად არის მოცემული. მაგალითად, nebeneinandergesetzte Sprachblöcke – Sprachblöcke, die nebeneinander gesetzt werden; dazwischengelegtes Tuch – Tuch, das jemand dazwischen gelegt hat.

მიმართულება შეიძლება შეკვეცილი ფორმითაც იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, rückwärtsgewandte Intellektuellenstreitigkeiten – Intellektuellenstreitigkeiten, die nach rückwärts gewandt sind; gegengerichtete Pfeile – Pfeile, die gegeneinander gerichtet sind.

5. მიზეზობრივი სება (kausal):

angstbebend – vor Angst bebend.

hungergeschwächter Organismus – Organismus, der durch Hunger geschwächt ist/Organismus, der geschwächt ist, weil jemand hungerte;

hassverzerrtes Gesicht – Gesicht, das vom/vor Hass verzerrt ist.

ასეთივე წარმონაქმნებია: sturmzerfetzt, bombengeschädigt, kriegsverletzt, zorngerötet, sonnengebräunt, schmerzversteinert, sorgenzerfurcht, angstzitternd, schmerzverzerrt, freudestrahlend.

ამ ტიპის სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის სემანტიკური ფუნქციას იმ მიზეზის წარმოჩენა, რამაც გამოიწვია მეორე კონსტიტუენტით ან მიმართებითი სიტყვით გამოხატული მოვლენა. მაგალითად, windzerzaustes Haar – Haar, das vom Wind zerzaust ist; altersbedingte Krankheit – Krankheit, die durch das Alter bedingt ist; menschengemachte Katastrophen – Katastrophen, die von Menschen gemacht/verursacht sind.

კაუზალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების პერიფრაზირებისას ძირითადად გამოიყენება წინდებული von: altersgebeugte Gestalt – Gestalt, die vom Alter gebeugt ist. მაგრამ ზოგჯერ პერიფრაზში უნდა გამოვიყენოთ წინდებული durch: altersbedingt – durch das jeweilige Alter bedingt; unfallgeschockte Ehepaare – Ehepaare, die durch einen Unfall geschockt worden sind.

შესაძლებელია პერიფრაზირების სხვაგვარი ვარიანტებიც, კერძოდ, ისეთი ერთეულების გამოყენებით, როგორიცაა aufgrund, wegen, infolge ან weil: frostgerötetes Gesicht – Gesicht, das vom Frost/aufgrund/infolge von/wegen Frost(einwirkung) gerötet ist/Gesicht, das gerötet ist, weil Frost herrscht; windverkrümmte Kiefern – Kiefern, die sich aufgrund (der Einwirkung) des Windes verkrümmt haben; mit tränenerstickter Stimme – Stimme, die erstickt (klingt), weil jemand viele Tränen vergießt.

ძალიან ხშირად კაუზალურ წარმონაქმნებში მეორე კონსტიტუენტი მეტაფორულად გამოიყენება. მაგალითად, regengepeitschte Fenster (Wolfe), granatenerbissene Erde (Bächler), frostverbrannte Faust (Huchel), schlafverschnürte Augen (Wolfe).

ერთმანეთის კონკურენტულია და მთელ რიგ სიტყვაწარმოებით მწკრივებს აწარმოებენ პარტიციპული კონსტიტუენტები -bedingt, -gebunden და -bestimmt. ისინი იმის სიგნალიზებას ახდენენ, რომ პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის მიმართებით სიტყვაში დასახელებული მოვლენის მიზეზი/წინაპირობა, ე.ი. კაუზალური მიმართება მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტით ექსპლიციტურად არის გამოხატული.

შდრ. *altersbedingt* – durch Alter verursacht, hervorgerufen; *saisonbedingt* – von einer bestimmten Jahreszeit abhängig. ასეთივეა: *saisongebunden*, *zweckbedingt*, *zweckbestimmt*, *zweckgebunden*.

მიზეზობრივი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე თხზულ-შერწყმული ზედსართავები კონკურენციას უწევენ სუფიქსურ დერივატებსა და კომპოზიტებს. მაგალითად, *sturm bewegte See* – *stürmisch*, *sternenerhellte Nacht* – *sternenhell*.

კაუზალურ წარმონაქმნებში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი სემანტიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი შეიძლება გამოხატავდეს:

ა) ბუნების მოვლენებს: *windzerfetzte Wolken*, *sturmerschütterte Fenster*, *wettergegerbte Haut*.

ბ) ფსიქიკურ მდგომარეობას: *gefühlbedingte Reaktion*, *angstgeweitete Augen*, *wutverzerrt*.

გ) ფიზიკურ მდგომარეობას, განსაკუთრებით კი ავადმყოფობას: *grippegefährdete Sport-Stars*, *kopfschmerzgeplagte Frau*.

დ) ციურ სხეულებს: *mondversilbert*, *mondbegläntzt*, *sonnenumglänzt*, *der sternenerleuchtete Ort*.

რაც შეეხება მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს, იგი შეიძლება მდგომარეობის ცვლილებაზე მიანიშნებდეს. ეს შეიძლება იყოს ფსიქიკურ-ინტელექტუალური ან ფიზიკური მდგომარეობის ცვლილება ფორმის თუ კონსისტენციის მიხედვით. მაგალითად, *-durchweicht*, *-durchnässt*, *-gekrümmt*, *-gebeugt*. მდგომარეობის ცვლილებას უარყოფით ელფერს აძლევენ პარტიციპული კონსტიტუენტები: *-geplagt*, *-gepeinigt*, *-gequält*, *-strapaziert*, *-beschädigt*, *-geschädigt*, *-verletzt*, *-versehrt*, *-bedrängt*, *-bedroht*, *-gefährdet* და ა.შ. მოძრაობის დასახასიათებლად გამოიყენება მეორე კონსტიტუენტები: *-bewegt*, *-durchflossen*, *-durchflutet*, *-durchschwommen*, *-erschüttert*, *-geschüttelt*.

6. ტემპორალური სემა (temporal):

ტემპორალური სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის მქონე წარმონაქმნები შეიძლება გამოხატავდნენ დროის გარკვეულ მონაკვეთს ან ხანგრძლივობას. მაგალითად,

sommerblühend – im Sommer blühend.

herbstentlaubte Wälder – Wälder, die im Herbst entlaubt sind.

frischgepflücktes Gänseblümchen – Gänseblümchen, das frisch gepflückt ist/eben erst gepflückt.

kurzzeiterhitzt – etwas, das für kurze Zeit erhitzt wird.

dauerfrostgesicherte Flüssigkeits-Kühlung – Flüssigkeits-Kühlung, die auf Dauer/dauernd frostgesichert ist.

langbefeundetes Ehepaar – Ehepaar, das schon lange (Zeit) befreundet ist.

jungverheiratetes Paar – Paar, das (erst) kurze Zeit verheiratet ist.

ტემპორალურ სემას შეიცავს ასევე წარმონაქმნები: nachtschlafend, frischbereitetes Kartoffelpüree, neugeborenes Kind, niegeöffnete Fenster.

მწკრივებს აწარმოებენ პირველი კონსტიტუენტები: frisch-, neu-, lang-. მაგალითად, frischgewaschen, frischgestrichen, frischgebacken, neubearbeitet, neugeboren, langgehegt, langgestreckt, langgezogen, neugeschaffen, neuverheiratet.

7. შედარების გამომხატველი სება (komparativ):

zebragestreift – etwas, das wie ein Zebra gestreift ist.

grabgehöhlte Wangen – Wangen, die wie ein Grab ausgehöhlt sind.

8. შეზღუდვით-მიმართებითი სება (limitativ-relationell):

wintersportaufstrebend – aufstrebend in bezug auf Wintersport.

ასეთივეა: wirklichkeitsverpflichtet, traditionsverhaftet, steuerbegünstigt, arbeitsprozessorientiert, zinsverbilligt.

9. შედეგობრივი სება (konsekutiv):

vakuumverschlossene Dose – Dose, die so verschlossen ist, dass ein Vakuum entsteht.

პერიფრაზირება ხერხდება შედეგის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით, რომელშიც გვაქვს „so..., dass“. ზოგჯერ შეიძლება წინდებულებიანი შესიტყვება გამოვიყენოთ: hochglanzpolierte Tomaten – Tomaten, die auf Hochglanz poliert sind. ასეთივეა: hochglanzverchromt, glanzgestoßen.

10. მოდალური სება (modal):

ამ შემთხვევაში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად უპირატესად გვხვდება მდგომარეობის აღმნიშვნელი

ზედსართავები, რომლებსაც ანტონიმური წყვილების შექმნისაკენ აქვთ მიდრეკილება. მაგალითად, hartgekocht – weichgekocht, gutgehend – schlechtgehend, leichtverletzt – schwerverletzt, hellgefärbt – dunkelgefärbt, leichtverwundet – schwerverwundet, leichtbewaffnet – schwerbewaffnet, gutgesinnt – übelgesinnt, gutgelaunt – schlechtgelaunt.

თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. ანტონიმურ წყვილებს არ ქმნიან: wildwachsend, engverwandt, heißgekocht, festgewurzelt, glattgekämmt.

თხზულ-შერწყმული ზედსართავები შეიძლება აღნიშნავდნენ ფერებს, თუ პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელია. მაგალითად, rotglühend, weißgekleidet, schwarzgestreift, schwarzgefärbt, graumeliert.

მწკრივებს აწარმოებს ზმნიზედა viel მნიშვნელობით „sehr“. მაგალითად, vielbefahren, vielgelesen, vielgefragt, vielbeschäftigt, vielgekauft, vieldiskutiert, vielsagend, vielbesprochen, vielversprechend, vielzitiert.

ხშირად პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი თხზულ-შერწყმულ ზედსართავებში ინარჩუნებს ფუნქციას, რაც მას საერთოდ დაკარგული აქვს. აღსანიშნავია სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ზმნიზედით wohl, რომლებიც იმ დროიდან მომდინარეობენ, როცა wohl ჯერაც gut-ის აღმნიშვნელი ზოგადი ზმნიზედა იყო. ამიტომაც ზმნიზედა wohl შეესატყვისება ზედსართავს gut და მას გაძლიერების ნიუანსიც აქვს. მაგალითად, wohlbedacht, wohlbehalten, wohlbehütet, wohlbekannt, wohlbezogen, wohlgeformt, wohlgenährt, wohlgesinnt, wohlschmeckend, wohlverdient, wohlberaten, wohldurchdacht, wohlgeordnet, wohlgestaltet, wohlklingend, wohlriechend, wohlüberlegt, wohlunterrichtet, wohlversorgt, wohlgemeint, wohlgesetzt, wohlsituiert.

ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში თითქმის არ შეინიშნება სემანტიკური დიფერენცირება wohl ზმნიზედიანი შესიტყვებისაგან:

wohlüberlegt – wohl überlegt.

როგორც პირველი კონსტიტუენტი halb- გამოხატავს არასრულყოფილებას, არასრულფასოვნებას როგორც ნაკლს: halbverhungert, halbgebildet.

პარტიციპ II-თან ხშირად გვხვდება მწკრივების წარმომქმნელი მორფემა alt- მნიშვნელობით „seit langem“. მაგალითად,

altberühmt, altgedient, altüberliefert, alteingessessen, altbewährt, altgewohnt, altbekannt, alteingewurzelt, altvertraut.

თხზულ-შერწყმულ ზედსართავებში პირველ კონსტიტუენტად ასევე ხშირად გვხვდება ნაცვალსახელი selbst: selbstgebacken, selbstgemacht, selbstverdient, selbstklebend, selbsternannt, selbstgezogen, selbstverliebt, selbstheilend, selbsthaftend, selbstgeschrieben, selbstredend, selbstvergessen.

თხზულ-შერწყმული ფორმების ხშირი გამოყენება აიხსნება მათი უპირატესობით. ისინი უაღრესად ეკონომიურნი არიან სინტაქსური კონსტრუქციის (შესიტყვების ან დამოკიდებული წინადადების) ერთ სიტყვად რედუცირების გამო: წინდებული და არტიკლი ამოვარდება, ერთმანეთზე ზედიზედ მიყოლებული რამდენიმე არტიკლი მოისპობა, ფლექსია გამარტივდება და კონსტრუქცია ერთ სიტყვად დაიწერება. მსგავსი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ძლიერი სინტაქსური შემჭიდროების საშუალებას გვაძლევენ ინფორმაციული დანაკარგის გარეშე.

შესიტყვების ერთ სიტყვად შერწყმით ხშირად ცნებითი კონსოლიდაციაც მიიღწევა, ზედსართავები აღნიშნავენ მუდმივ თვისებებს: bezirksgeleitet, metallverarbeitend, hautschonend, rechnergestützt.

პარტიციპიანი მოდელები არ განიცდიან მორფოლოგიურ შეზღუდვებს. პარტიციპებს მწკრივთა წარმოქმნა შეუძლიათ და აქვთ მნიშვნელობის ფართო სპექტრი. ასეთ პარტიციპებს მიეკუთვნება: -bestimmend, -fördernd, -hemmend, -gefährdend, -schonend, -bedingt, -bezogen, -orientiert, -gestützt. ისინი წარმოადგენენ მეორე კონსტიტუენტს ისეთი თხზულ-შერწყმული ზედსართავებისა, როგორცაა: gegenwartsbezogen, betriebsbedingt, erfolgsorientiert, konjunkturbedingt, praxisbezogen, witterungsbedingt და ა.შ.

თხზულ-შერწყმული ზედსართავები ჩვეულებრივ სემანტიკურად ადვილად აღიქმება. ატრიბუტული ხმარებისას ხშირად სათანადო არსებითი სახელისადმი მიმართებაც კმარა.

რადგან პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ხშირად არსებითი სახელია, რომელიც განპირობებულია იმ ზმნის ვალენტობით, საიდანაც ნაწარმოებია პარტიციპი, მნიშვნელობათა მიმართებები უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის ადვილად არის გასაგები მაშინაც კი, როცა ისინი ექსპლიციტურად არ არის გამოხატული. ასე მაგალითად,

schützen-ის პარტიციპ II-ით მიღებულ კომბინაციაში ყველა შესაძლო სემანტიკური მიმართება აიხსნება ზმნის ვალენტობით. schützen-ის აქტანტები შეიძლება იყოს: Sn, Sa, pS(p=vor) (Helbig/Schenkel 1978:451). ყოველი აქტანტი თეორიულად შეიძლება არსებობდეს როგორც პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი:

Sn: Das Penicillin schützt... → penicillingeschützt.

Sa: ... schützt die Umwelt → umweltgeschützt.

pS: ... schützt vor Erosion → erosionsgeschützt.

ატრიბუტული გამოყენებისას მიმართებითი კომპონენტი ზმნის პოტენციურ აქტანტს წარმოადგენს. პარტიციპ II-იან სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში აქტიური და პასიური მნიშვნელობის შესაძლებლობის გამო პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ყველა აქტანტია დასაშვები. პარტიციპ I-თან კი, როგორც წესი, მხოლოდ თავისუფალი შესიტყვების Sa გვხვდება კომპოზიტის პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად. ამიტომაც პარტიციპ I-იანი ან მისი ნიმუშის მიხედვით მიღებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები უმეტესად ერთმნიშვნელოვნად შეიძლება გადავიყვანოთ შესიტყვებაში, რომელიც გამოსატყვის შემასმენლისა და ობიექტის მიმართებას:

friedenserhaltende Maßnahmen – die Maßnahmen erhalten den Frieden.

სინტაქსური სტრუქტურების შემჭიდროებაში მათი დიდი წვლილის გამო ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები უპირატესად ატრიბუტულად გამოიყენება.

თხზულ-შერწყმულ ზედსართავებთან დაკავშირებით მსჯელობენ ხოლმე მეტნაკლებად ოკაზონალურ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებზე, რომელთა პარადელურად ეკვივალენტური სინტაქსური შესიტყვებები მათზე უფრო ხშირად გვხვდება, მაგალითად,

aus der Haft entlassene Kriegsverbrecher – haftentlassene Kriegsverbrecher.

ein nach Effekt haschender Tagesschriftsteller – ein effekthaschender Tagesschriftsteller.

in der Fabrik verschlossene Originalpackungen – fabrikverschlossene Originalpackungen.

პარტიციპიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის იდიომატიზება ნაკლებად შეინიშნება. პარტიციპიან მყარად დაკავშირებული არსებითი სახელი პატარა ასოთი იწერება, მთელი კონსტრუქცია კი ზედსართავად აღიქმება. ერთგვარი თავშეკავება იგრძნობა საკუთარი სახელების ამ ფუნქციით გამოყენებაში: berlinbegeisterte Jugendliche, frankreichinteressierte Intellektuelle, Brecht-geschulte Leser, Olympia-erfahrene Sportler.

თხზულ-შერწყმული ზედსართავების გამოყენება დიდად არის დამოკიდებული ტექსტის ჟანრზე. ისინი გვხვდება როგორც პრესასა და პუბლიცისტიკაში, ასევე ბელეტრისტიკაშიც. მაგალითად, **praxisorientierte** Verknüpfung, **alleinregierende** Christlich Demokratische Union (Deutschland 3/1999), **technologieorientierte** Wirtschaftspolitik, **länderübergreifende** Kooperation (Deutschland 1/2000), **entwicklungsorientierte** Institute, **systemverändernde** Dynamik, **flächendeckende** Tarifverträge, **gegenwartsbezogene** Orientwissenschaft (Deutschland 4/2000), **eisendornbesetzte** Drähte, **letztgewünschter** Segen, **blicksprengende** Größe (Maurer), **parfümgetränktes** Taschentuch (Bienek), **schwarzverhängter** Ackerwagen, **gottverlassenes** Nest, **blankgeputzte** Sparkasse, **herzerfrischendes** Fest, **buntbemalte** Teller, **gelbverschlungene** Muster (Korschunow), **goldgefaste** Brille, **vielsagendes** Lächeln (Treichel), **hasserfüllte** Menschen, **dickgepolsterte** Armlehne, **blumenüberwachsender** Balkon, **leergesungener** Opernstar (G. Hofmann), **gottbegnadigtes** Geschöpf, **grügestickter** Tischläufer, **furchtgebietende** Charakterfigur, **glattrasiertes** Gesicht, **tiefliegende** Augen (Th. Mann), **wappengezierte** Kutschen (Wolfe), **regendurchtränkte** Bäume (Chandler), **kaffeeübertropfte** Decke (Borchert), **sklavenbewohnte** Bergwerke (Maurer), **klanggefüllte** Nacht (Adler), **blechgedeckte** Hütten (Lessing), **unkrautüberwucherte** Einfahrt (Ballard), die **bändergeschmückten** Whiskyflaschen (Steinbeck), **perlenbehängten** Drähten (Hesse), **zwiebelbestreuten**, **ölübergossenen** Nudelhaufen (Nöstlinger), in **tulpenüberstickten** Festgewändern (Heym), auf den **laubverschwemmten** Wegen (Huchel), **angstzerglühte** Herzen (Stramm), **zigarrenvergilbte** Lippen (Wohmann), **tabakverfärbte** Hände (Highsmith), das **schmalzgeschädigte** Zeitungsblatt (Nicklisch), des **sonnenedörreten** Laubes (Lessing), **bärenfellgefütterte** Kapuzenmäntel (Morgner).

თხზულ-შერწყმულ ზედსართავებში მსაზღვრელ სიტყვად შეიძლება იყოს შემოკლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დეფისი:

eine EDV-unterstützte Planung (EDV – „elektronische Datenverarbeitung“).

die SPD-regierten Bundesländer (SPD – „Sozialdemokratische Partei Deutschlands“).

2.5. თხზულ-წარმოქმნილი ფორმა

გარდამავალ ზღვარს კომპოზიციასა და დერივაციას შორის ქმნის ე.წ. თხზულ-წარმოქმნილი ფორმა (Zusammenbildung). თხზულ-წარმოქმნილ ზედსართავებში სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა ერთმნიშვნელოვანი არ არის. მაგალითად, herrschsüchtig შეიძლება გავიგოთ როგორც კომპოზიტი herrsch(en) + süchtig ან ექსპლიციტური დერივატი Herrschsucht + -ig.

თხზულ-წარმოქმნილი ზედსართავი არის დერივაციის ნიმუშის მიხედვით შექმნილი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია, მაგრამ დერივაციისაგან განსხვავებით აქ სუფიქსი დაერთვის არა თავისუფალ მორფემას, არამედ მხოლოდ სინტაქსურ შეიტყვებას:

diesjährig – dies Jahr + -ig.

ე. ფლაიშერი/ი. ბარცი ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს ექსპლიციტურ დერივატებად მიიჩნევენ და უარს ამბობენ ტერმინზე Zusammenbildung (Fleischer/Barz 1995:47). ამ მოსაზრებას იხინი იმით ასაბუთებენ, რომ მსგავსი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ბაზისია შესიტყვება, რომელსაც დაერთვის დერივაციული სუფიქსი. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილია მსგავსი სტრუქტურის მქონე ზედსართავი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ცალკე გამოყოფა თხზულ-წარმოქმნილი ფორმების სტატუსით. ექსპლიციტურ დერივატებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა ბაზისია არა შესიტყვება, არამედ თავისუფალი მორფემა.

თხზულ-წარმოქმნილი ზედსართავების სტრუქტურა ასეთია: rotwangig – rote Wangen + -ig.

vielgliedrig – viele Glieder + -ig.

ასეთივეა: vielseitig, dreifenstrig, blauäugig, vielweibig, mehrsilbig, vielbändig, eigenhändig, breitrandig, dickwandig და ა.შ.

თხზულ-წარმოქმნილ ზედსართავებში გამოკვეთილია შემდეგი სიტყვაწარმოებითი სემები:

1. ლოკალური სემა (lokal):

krummbeinig – krumme Beine + -ig.

ასეთივეა: dünnbeinig, rotbäckig, blauäugig, langarmig, bleichwangig, breitschultrig, schmallippig, dünnlippig, rotnasig, spitznasig, flachköpfig, dickadrig, kurzhalstig, dünnhäutig.

აღნიშნულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში დაწვრილებით არის დახასიათებული სხეულის ესა თუ ის ნაწილი.

2. ტემპორალური სემა (temporal):

einwöchig – eine Woche + -ig.

ასეთივეა: zweistündig, fünftägig, dreimonatig, zehnminütig, letztjährig.

3. მოდალური სემა (modal):

თხზულ-შერწყმული ფორმების მსგავსად აქაც გვხვდება მდგომარეობის აღმნიშვნელი ზედსართავები, რომლებსაც ანტონიმური წყვილების შექმნის მიდრეკილება აქვთ: langatmig – kurzatmig, kleinkalibrig – großkalibrig, langlebig – kurzlebig, dickwandig – dünnwandig, dunkeläugig – helläugig, weitmaschig – engmaschig, hartmäulig – weichmäulig, dickblättrig – schmalblättrig, langstengelig – kurzstengelig, kurzärmelig – langärmelig.

თხზულ-წარმოქმნილ ზედსართავებში მწკრივების წარმომქმნელად გვხვდება მზნიზედა viel „ბევრის“ მნიშვნელობით: vielzeilig – viele Zeilen + -ig.

ასეთივეა: vielsprachig, vielehig, vielnamig, vielarmig, vielgliedrig, vielstimmig, vielzünftig, vieljährig, vielblättrig, vielseitig, vielgattig, vieleckig, vielschichtig და ა.შ.

განსაკუთრებით ხშირია რიცხვით სახელიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. მაგალითად, einhändig, vierfüßig, zweiseitig, vierfädig, zweiköpfig, zweihufig, zwölfreihig, zweihenkelig,

einäugig, zweigabelig, achtstempelig, fünfsäulig, tausendstimmig, zweischläfig, dreisprachig, zweiflügelig, hundertteilig, hundertarmig.

მოელ რიგ ზედსართავებში მწკრივების წარმომქმნელად აგრეთვე გვხვდება:

ა) თავისუფალი მორფემა *mehr* მნიშვნელობით „რამდენიმე“, „არაერთი“:

mehrjährig – mehrere Jahre + -ig.

ასეთივეა: *mehrwöchig*, *mehrschiffig*, *mehrstellig*, *mehrrarmig*, *mehrsprachig*, *mehrstündig*, *mehrreihig*, *mehrsilbig*, *mehrflügelig*, *mehrpölig*, *mehrbändig*, *mehrspurig*, *mehrzeilig*, *mehrgliedrig*, *mehrtätig*, *mehrteilig*, *mehrstimmig*, *mehrstöckig*, *mehrzifferig*, *mehrstufig*.

ბ) თავისუფალი მორფემა *gleich* მნიშვნელობით „მსგავსი“, „იგივე /იმავე“:

gleichaltrig – gleiches Alter + -ig.

ასეთივეა: *gleichjährig*, *gleichphasig*, *gleichseitig*, *gleichgestaltig*, *gleichwertig*, *gleichnamig*, *gleichrangig*, *gleichschenkelig*, *gleichförmig*.

გ) თავისუფალი მორფემა *voll* მნიშვნელობით „სავსე“, „მოთელი“, „სრული“:

vollwertig – voller Wert + -ig.

ასეთივეა: *vollbäckig*, *vollleibig*, *vollwangig*, *volljährig*, *vollzählig*, *vollwürzig*.

დ) თავისუფალი მორფემა *ganz* მნიშვნელობით „მოთელი“, „სრული“:

ganzseitig – ganze Seite + -ig.

ასეთივეა: *ganzjährig*, *ganztätig*.

ე) თავისუფალი მორფემა *beide* მნიშვნელობით „ორივე“. წარმონაქმნებში ბოლოკიდური -e რელუცირებულია: *beidhändig* – beide Hände + -ig.

ასეთივეა: *beidäugig*, *beidarmig*, *beidseitig*, *beidbeinig*, *beidfüßig*.

თხზულ-წარმოქმნილი ზედსართავები მრავლად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში. ისინი ინდივიდუალური სტილის ელემენტებია. მაგალითად, **sechszackige** Sterne (Bienek), **zweireihiger** Anzug (Treichel), **kurzärmelige** Hemde (G. Hofmann), **breitbeiniges** Sitzen (Korschunow), **fremdländisches** Aussehen (Korschunow), **dickblättriges** Dammgras (Nowotny), **dickfedriger** Gänserrich (Nowotny), **blaudunstiger** Ton (Th. Mann), **steiflehniges** Sofa (Th. Mann).

2.6. კვაზიკომპოზიტი

სიტყვაწარმოების განვითარებაზე მეტყველებს გერმანულ ენაში მიმდინარე პროცესები – სიტყვების გადასვლა აფიქსების კატეგორიაში, აფიქსაციის ფარგლებში აფიქსოიდების წარმოქმნა.

აფიქსოიდის ცნების შემოღებას შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. XX საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა ლინგვისტურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „ნახევრად-აფიქსი“ კ. ბეკერის ტერმინის „Halbableiter“-ის ანალოგიით. ტერმინი „ნახევრად-აფიქსი“ პირველად გამოიყენა ი. ოშჩანინმა ჩინური ენის სიტყვაწარმოებითი საშუალების აღწერისას (Степанова/Фляйшер 1984:152). მას შემდეგ ეს პრობლემა არაერთხელ ყოფილა მეცნიერთა განსჯის საგანი, მაგრამ მხოლოდ ბოლო ათეულ წლებში მოხდა მისი საგანგებო შესწავლა. აფიქსოიდის აღსანიშნავად გამოიყენება რამდენიმე ტერმინი: აფიქსოიდი, ნახევრად-აფიქსი, კომპონენტი აფიქსის ფუნქციით, სემისუფიქსი, მიმართებითი აფიქსი, სიტყვის ომონიმური მორფემა, აფიქსის მსგავსი მორფემა, ნახევრად დამხმარე მორფემა, კვაზიაფიქსი, ფსევდოაფიქსი და სხვა. ჩვენ სამუშაო ტერმინად ვირჩევთ ტერმინს „აფიქსოიდი“, ხოლო აფიქსოიდიან კომპოზიტს ვუწოდებთ „კვაზიკომპოზიტს“. შეიძლებოდა აფიქსოიდის ნაცვლად გვეხმარა ტერმინი „კვაზიაფიქსი“, მაგრამ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში „კვაზიაფიქსი“ დამკვიდრებულია სხვა მნიშვნელობით, კერძოდ, კვაზიაფიქსი არის ლექსემის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს მორფემის ალომორფს, მაგრამ ფორმალურად აფიქსს წააგავს. მაგალითად, -e სიტყვებში Löwe, Blume, -el სიტყვაში Himmel, -in სიტყვაში Kretin.

თანამედროვე გერმანულ ენაში არსებობს ერთეულები, რომლებსაც ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავთ: ისინი წარმოადგენენ გარკვეული ლექსიკურ-კატეგორიალური მნიშვნელობის მქონე სიტყვაწარმოებით საშუალებებს, მაგრამ ამავე დროს შენარჩუნებული აქვთ როგორც ფორმალური, ასევე სემანტიკური კავშირი თავისუფალ მორფემებთან. ისინი ქმნიან ე.წ. „გარდამავალ ზონას“ კომპოზიტსა და დერივატს შორის, ანუ კომპოზიციურ წევრსა და აფიქსს შორის (Степанова/Фляйшер 1984:153).

აფიქსიოდა კატეგორია არაჰომოგენური და საკამათოა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის აზრთა სხვადასხვაობა არა მარტო ამა თუ იმ აფიქსიოდის, არამედ საერთოდ, აფიქსიოდა კატეგორიის მიმართ მთლიანობაში.

აფიქსიოდების შესახებ არსებობს განსხვავებული კონცეფციები. ტრადიციულ გრამატიკაში წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, რომელიც გამოსხაურებას ზოგიერთ თანამედროვე ნაშრომშიც პოულობს, ეს სიტყვაწარმოებითი ერთეული კომპოზიტა შემადგენლობაში შედის, თუმცა მის განსაკუთრებულ სიტყვაწარმოებით თავისებურებებსაც ესმება ხაზი. შედარებით ახალ კონცეფციებში იკვეთება ორი მიმართულება. ერთის მიხედვით ახალი აფიქსების დამკვიდრების საშუალებად მიჩნეულია გარკვეული ელემენტების (როგორცაა -werk, -weise) სემანტიკური დაშორება ძირითადი ბაზისური ლექსემებისაგან, ხოლო მეორე აფიქსიოდებს მიიჩნევს გარდამავალ, მაგრამ მყარ ზონად, შედარებით დამოუკიდებელი სიტყვების კლასად სიტყვაწარმოების სისტემაში. ყველა კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ საქმე ეხება ღია სისტემას, რომლის ელემენტები მუდმივ მოძრაობაშია და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის.

აფიქსიოდების ერთი ჯგუფი – პრეფიქსიოდები – მართალია, ჯერაც გვხვდება დამოუკიდებელ სიტყვებად, მაგრამ ისინი პრეფიქსებად განვითარების გზას ადგანან და განზოგადებულ მნიშვნელობებს იძენენ, რომლებიც მათ როგორც თავისუფალ მორფემებს არ გააჩნიათ. ასე მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს Heide როგორც დამოუკიდებელი ლექსემა და როგორც კომპოზიციური წევრი კომპოზიტებში Heidenchrist, Heidenchristentum, Heidenchristin, სადაც Heide-ს აქვს მნიშვნელობა: „jemand, der nicht der christlichen, jüdischen oder muslimischen Religion angehört; jemand, der nicht an Gott glaubt [u. noch bekehrt werden muss] (Deutsches Universalwörterbuch 2001:732). ხოლო, მეორე მხრივ, გვაქვს პრეფიქსიოდი Heiden-, რომელმაც დესემანტიზების შედეგად დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგა და გამაძლიერებელი მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად, Heidenangst, Heidenarbeit, Heidenlärm, Heidengeld, Heidenrespekt, Heidenspaß. ისეთ კვაზიკომპოზიტებში, როგორცაა blitzblank, blitzgescheit, blitzeinfach, heidenfroh, heidenschwer, heidenschnell, blitz-

და heiden- არ ნიშნავს „ელვისებურს“ და „წარმართულს“. აქ მათ გადატანითი მნიშვნელობა აქვთ: „ძალიან სუფთა“, „ძალიან ჭკვიანი“, „ძალიან გახარებული“, „ძალიან ძნელი“, და არა „ელვისებურად სუფთა“, „ელვისებურად ჭკვიანი“, „წარმართულად გახარებული“, „წარმართულად ძნელი“.

სუფიქსოიდები წარმოშობილია მეორე კომპოზიციური წევრებისაგან, რომელთაც თავიანთი სემანტიკური დამოუკიდებლობა დაკარგეს და მწკრივების წარმომქმნელად გადაიქცნენ. მაგალითად, -voll: sinnvoll, bedeutungsvoll, gehaltvoll, angstvoll, humorvoll (Munske 2002:23).

სიტყვაწარმოებითი ელემენტის აფიქსოიდად მიჩნევის კრიტიკრიუმებად ითვლება:

1. აფიქსოიდის აუცილებელი ფორმალური თანხვედნილობა თავისუფალ მორფემასთან.

2. აფიქსოიდის ეტიმოლოგიური კავშირი თავისუფალ მორფემასთან, ამასთან, ჟღერადობის მიხედვით მისი შემთხვევითი თანხვედრა არამონათესავე ძირთან გამორიცხულია. შდრ. პრეფიქსი erz- და არსებითი სახელი Erz.

3. მეტ-ნაკლები სერიულობა.

4. აფიქსოიდის სემანტიკური მსგავსება შესაბამის თავისუფალ მორფემასთან, რომელშიც მნიშვნელობის ცვლილების ხარისხი შეიძლება სხვადასხვა იყოს (Степанова 1979:529).

გარდა ამისა, ს. შტაინი აფიქსოიდის საიდენტიფიკაციო ნიშნებად მიიჩნევს მის მყარ ადგილს სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში და დისტრიბუციულ შეზღუდვებს. აფიქსების მსგავსად, აფიქსოიდებს მყარი პოზიცია უჭირავთ მეორე კონსტიტუენტთან მიმართებაში და ამავედროულად გარკვეულ დისტრიბუციულ შეზღუდვებს ავლენენ. მაგალითად, არსებობს Heidenlärm, მაგრამ დაუშვებელია *Heidenstille (Stein 2008:192).

ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში მესამე კრიტერიუმს აკრიტიკებს მკვლევარი ს. კარბელაშვილი. ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ არსებობს აფიქსოიდები, რომლებიც მხოლოდ ერთ ან ორ წარმონაქმნში გვხვდება. მაგალითად მას მოჰყავს პრეფიქსოიდები: Bullen-, Fetzen-, Bienen-, Siede- და სხვა, რომლებიც „გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი ელემენტების ლექსი-

კონის“ მიხედვით მხოლოდ ერთ ბაზისთან გვხვდება: Bullenhitze, Fetzenrausch, Bienenfleiß, Siedehitze.

გვაქვს ასევე აფიქსოიდები, რომლებიც მხოლოდ ორ ბაზისს უკავშირდებიან. ასეთებია: ameisen- (-fleißig/-klein), schnecken- (-langsam/-weich) და სხვა. ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს, რომელთაც მწკრივები არა აქვთ, ს. კარბელაშილი უწოდებს „უნიკალურ“ ნახევრადპრეფიქსებიან წარმონაქმნებს (Karbelašchwili 1989:30).

მაშასადამე, მწკრივთწარმოქმნის მომენტს შეიძლება ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ კრიტერიუმის უარყოფა შეუძლებელია. როგორც ამბობენ, არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. მწკრივთწარმოქმნელი აფიქსოიდები იმდენად ბევრია, რომ მათი უგულებელყოფა გამართლებული არ იქნებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები, რომლებსაც მ. დ. სტეპანოვა და ს. შტაინი გვთავაზობენ, არ იძლევიან საშუალებას, მკაფიოდ მოიხაზოს აფიქსოიდთა კატეგორია გერმანულენაში (Tellenbach 1985:266). აფიქსოიდების კვლევის პროცესში სულ ცოტა ორი ძირითადი პრობლემა იკვეთება, რომლებიც გადაუჭრელი რჩება:

1. სად გადის ზღვარი აფიქსსა და აფიქსოიდს შორის, როგორ გაიმიჯნოს აფიქსი აფიქსოიდისაგან, რა შემთხვევაში გადაიქცევა აფიქსოიდი ნამდვილ აფიქსად.
2. როგორ გაემიჯნოს აფიქსოიდი თხზული სიტყვის კონსტიტუენტისაგან.

აფიქსოიდების პრობლემა ინტენსიურად განიხილება როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის გერმანისტების, ისე გერმანელი ლინგვისტების მიერ. მეცნიერთა უმრავლესობა შესაძლებლად მიიჩნევს ისეთი მორფემების არსებობას, რომლებიც თავდაპირველად თავისუფალ მორფემებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი დესემანტიზაციის შედეგად მწკრივების წარმომქმნელ კომპონენტებად გადაიქცნენ და, ამგვარად, აფიქსის ხასიათი შეიძინეს. შდრ. Mann და -mann (Mein Mann, Kaufmann, Feuerwehrmann); frei და -frei (Er ist frei von X და keimfrei) (Schippa 1992:115).

ლექსიკური ელემენტების განსხვავებული სტატუსი ასევე ნათლად შეიძლება წარმოვაჩინოთ ლექსიკური ერთეულის

Bilderbuch მაგალითზე, რომელიც სხვადასხვა პოზიციასა და კომბინაციაში სემანტიკურ ცვლილებებს ავლენს:

1. Bilderbuch შეიძლება იყოს თავისუფალი ლექსემა. მაგალითად,

Der Struwwelpeter ist mehr als ein berühmtes Bilderbuch.

ამ შემთხვევაში მას აქვს თავისუფალი ლექსემის მნიშვნელობა: „[Kinder] buch, das hauptsächlich Bilder enthält“ (Deutsches Universalwörterbuch 2001:288).

2. Bilderbuch შეიძლება იყოს კომპოზიტის ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი, ე.ი. პირველი ან მეორე კომპოზიციური წევრი. მაგალითად,

Der Verlag plant eine neue Bilderbuchreihe.

ამ შემთხვევაში მას კომპოზიტის ფარგლებში აქვს თავისუფალი ლექსემის მნიშვნელობა: „Reihe von Bilderbüchern“. კომპოზიციური წევრია იგი მომდევნო წინადადებაშიც:

Das Kamasutra halten viele für ein Erotikbilderbuch.

3. თავისუფალმა ლექსემამ Bilderbuch შეიძლება დესემანტიზება განიცადოს და მწკრივების წარმომქმნელ კონსტიტუენტად მოგვევლინოს განზოგადებული გამაძლიერებელი მნიშვნელობით „ideal“. მაგალითად,

Dem Piloten gelang eine Bilderbuchlandung („ideale Landung“).

Sie führen seit Jahren eine Bilderbuchehe.

Am Wochenende war wieder richtiges Bilderbuchwetter.

Wem gelingt heutzutage noch eine Bilderbuchkarriere?

ლექსიკური ერთეულების ამგვარი ცვლილებები გერმანული ენის ისტორიული განვითარების მანძილზე იშვიათობას არ წარმოადგენს. ახალი ნახევრადპრეფიქსებისა და ნახევრადსუფიქსების წარმოშობის თვალსაზრისით ახალი ზემოგერმანული მეტად პროდუქტიულია (Polenz 1994:286).

დუდენის „მნიშვნელობათა ლექსიკონში“ აფიქსიციდების კატეგორია უკვე სიტყვაწარმოებითი საშუალებების რიცხვში მოიხსენიება: „აფიქსიციდებად იწოდება ... სიტყვაწარმოების პროდუქტიული საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც – ისევე როგორც აფიქსებით – მთელი რიგი ახალი სიტყვების შექმნა შესაძლებელი, მაგრამ რომელთაც – შინაარსობრივი გაფერმკრთალების მიუხედავად – ჯერაც შენარჩუნებული აქვთ კომ-

პოზიციური წევრის სტატუსი“ (Duden. Bedeutungswörterbuch 1985:8). აქ მოყვანილი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ჯერ კიდევ კომპოზიტებს მიეწერება და „აფიქსოიდურ კომპოზიტებად“ იწოდება. ასეთებია: Hobbygärtner, Hobbykoch, Problemfamilie, Killerbiene, Tintkiller.

ვ. ფლაიშერს ადრეულ შრომებში აფიქსოიდების წრე იმავე ერთეულებამდე დაჰყავს, რომლებშიც მორფემის თავისუფალი გამოყენება ჯერაც შესაძლებელია და გადასვლას უპირატესად დიაქრონიული ასპექტით განიხილავს (Feischer 1983:175). იგი მორფემებს -werk, -los სუფიქსებად თვლის, რამდენადაც მათ იმავე მნიშვნელობით თავისუფალი მორფემა არ შეესაბამებათ. ვ. ფლაიშერი მიუთითებს, რომ მიმდინარეობს ომონიმებად გარდაქმნის პროცესი, რომელიც შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს. ის ამას ასაბუთებს werk თავისუფალი მორფემის მაგალითზე. ეს მორფემა უკვე შუა ზემოგერმანულში გვხვდება ორი მნიშვნელობით, რომლებიც დღევანდელ ომონიმურ მორფემებს შეესატყვისება. ნაწილი იმ ელემენტებისა, რომლებიც ხშირად აფიქსოიდებად განიხილება, სავსებით ერთმნიშვნელოვნად აფიქსებად ფუნქციონირებს და მხოლოდ ფორმის მიხედვით ემსგავსება თავისუფალ მორფემებს. აქ ომონიმიაზე უნდა ვიმსჯელოთ, წერს ვ. ფლაიშერი. ამ მოსაზრებას იგი ასაბუთებს los-/-los და werk-/-werk მორფემებით: loslaufen, losstürmen – freudlos, gedankenlos; Uhrwerk, Werkstatt – Schuhwerk, Zuckerwerk.

მოგვიანებით ვ. ფლაიშერი ი. ბარცთან ერთობლივ ნაშრომში იზიარებს ვ. დ. შმიდტის მოსაზრებას და აფიქსოიდებს კომპოზიციურ წევრებად თვლის (Feischer/Barz 1995:227). ვ. დ. შმიდტი ეჭვქვეშ აყენებს აფიქსოიდის როგორც სიტყვაწარმოებაში დამკვიდრებული „შუალედური ცნების“ „აუცილებლობასა და საჭიროებას“ იმ მოტივით, რომ ცალსახად მისი სტატუსის განსაზღვრა ძნელია და რომ სიტყვაწარმოებითი საშუალებების ამგვარი დანაწევრება კიდევ უფრო ართულებს ერთიანი სისტემის შესწავლას (G. D. Schmidt 1987:61). ჩვენი აზრით, თეორიულად შეიძლება ამგვარი გამარტივება გამართლებული იყოს, მაგრამ პრაქტიკული მასალა გვიჩვენებს, რომ აფიქსოიდების კატეგორია ცალკე გამოყოფას იმსახურებს და მისი კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

განსაკუთრებით ძნელია აფიქსიოდების გამოჯენა კომპოზიტთა კონსტიტუენტებისაგან. კომპოზიტები თავიანთი სემანტიკური მონოლითურობის მიხედვით მრავალგვარია, აქედან გამომდინარე, დასაშვებია ამ კომპონენტების სხვადასხვაგვარი გააზრება და მათი ფუნქციონალური და სემანტიკური თავისებურებების დადგენა. არსებობს კომპოზიტთა ისეთი კომპონენტები, რომლებიც სიტყვათა მთელ სერიებს აწარმოებენ მნიშვნელოვანი სემანტიკური ცვლილების გარეშე. ასეთ კომპონენტებს მ. დ. სტეპანოვა „სიხშირის კომპონენტებს“ უწოდებს (Степанова 1979:530). კომპოზიტთა სიხშირის კომპონენტების არსებობა თეორიულად დასაბუთებულია მის წიგნში „გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი ელემენტების ლექსიკონი“, სადაც ეს ტერმინი პირველად გამოყენებული. დეტერმინატიული კომპოზიტის ჩვეულებრივი კონსტიტუენტებისაგან სიხშირის კომპონენტები, პირველ რიგში, განსხვავდებიან თავიანთი სერიულობით (ხშირად ეს სერიულობა უფრო მეტია, ვიდრე აფიქსიოდებთან) და აგრეთვე განზოგადებული მნიშვნელობით. აფიქსიოდებისაგან (მით უფრო, აფიქსებისაგან) სიხშირის კომპონენტები იმით განსხვავდებიან, რომ არ ავლენენ შესაბამისი თავისუფალი მორფემებისაგან განსხვავებულ სემანტიკურ გადახრებს.

სიხშირის კომპონენტები ერთმნიშვნელოვანია, როცა ისინი მიმართებაში არიან ერთმნიშვნელობიან სიტყვასთან, მაგალითად, კომპონენტი nicht- სიტყვასთან nicht, ან მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობასთან, მაგალითად, კომპონენტი halb- სიტყვასთან halb „ნახევრის“ მნიშვნელობით: halbdunkel, halbblind, halbfett, halbleer, halblang, halboffen, halbnaakt, halbtot, halbwach. სიხშირის კომპონენტები შეიძლება გადმოსცემდნენ ყველაზე ზოგად მნიშვნელობას, რომელიც პოლისემიური სიტყვის ყველა ელფერს განაზოგადებს. მაგალითად, -bahn „გზა“ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: Eisenbahn, Straßenbahn, Flugbahn, Lebensbahn, Gelehrtenbahn, Mondbahn, Sternbahn (Степанова 1979:531).

სიხშირის კომპონენტები შეიძლება ასევე მრავალმნიშვნელობიანი იყოს ძირითადი სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვა შეფერვლობის შესაბამისად. მაგალითად, მორფემა groß „დიდი

ზომის“ მნიშვნელობით: Großbaustelle, მაგრამ ასევე „დიდი სიმ-
ძლავრის“ მნიშვნელობით: Großtransformator.

ამგვარად, თხზული სიტყვის სიხშირის კომპონენტები
ესაა მეტად პროდუქტიული, სიტყვათა მთელ სერიებში განმეო-
რებადი პირველი და მეორე კომპონენტები, რომლებიც აფიქსო-
იდებისაგან განსხვავდებიან მნიშვნელობის შედარებით ნაკლე-
ბი ცვლილებით. ეს მნიშვნელობა ზოგჯერ მთლიანად თანხვედ-
ბა პოლისემიური სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობას (მაგალი-
თად, wohl მნიშვნელობით „კარგი“: wohlfeil, wohlanständig), ზოგ-
ჯერ კი შენარჩუნებულია საერთო სემანტიკური დერძი, რომე-
ლიც სიტყვის მნიშვნელობის ყველა შეფერილობას აერთიანებს
(მაგალითად, -bahn).

ზედსართავის სფეროში შედარებით ნაკლებად არის გა-
მოვლენილი სიხშირის კომპონენტები. მ. დ. სტეპანოვა თავის
„დექსიკონში“ მხოლოდ ოთხ ზედსართავულ პირველ კომპო-
ნენტს გამოყოფს. ესენია: halb-, nicht-, nieder- და wohl-: halblaut,
halbbreif, halblang, halboffiziell, halbfett, halbbitter; nichtamtlich,
nichtberufstätig, nichtehelich, nichtchristlich; niederfrequent, niedermole-
kular; wohlbekannt, wohlanständig. ხოლო ზედსართავული მეორე
კომპონენტი მას საერთოდ არა აქვს დაფიქსირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სიხშირის კომპონენტების ზონის
გამოყოფა არანაკლებ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვიდრე
აფიქსოიდთა ზონისა. მ. დ. სტეპანოვას აზრით, მხოლოდ მათი
სერიულობა არ იწვევს ეჭვს. რაც შეეხება სიხშირის კომპონენ-
ტების სემანტიკას, აქ სირთულეები წამოიჭრება მათი ერთმნიშ-
ვნელიანობის თუ მრავალმნიშვნელიანობის განსაზღვრისას და
განსაკუთრებით მათი აფიქსოიდებისაგან განსხვავების დადგე-
ნისას, რამდენადაც ისინი მთელ რიგ შემთხვევებში ჟღერადო-
ბით აფიქსოიდებს ემთხვევიან. ამ ზონების შესწავლა დაწყებუ-
ლია და კვლავაც უნდა გაგრძელდეს თუნდაც იმიტომ, რომ
მთელი რიგი სიხშირის კომპონენტებიანი კომპოზიტების და
კვაზიკომპოზიტების არსებობა წარმოადგენს ენის განვითარე-
ბის ნათელ გამოხატულებას მთელს მის ერთიანობასა და წინა-
აღმდეგობებში.

სიხშირის კომპონენტებთან მიმართებაში თავისი შენიშ-
ვნები აქვს მკვლევარ ს. კარბელაშვილს (Karbelašvili 1992:20).
იგი სწორედ მათ მწკრივთწარმომქმნელ ხასიათს აყენებს ეჭვ-

ქვეშ და, შესაბამისად, წამოჭრის საკითხს მათი სახელწოდების მართებულობის შესახებ. ისევე როგორც აფიქსიოდებთან, მას მოჰყავს მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, რომ გერმანულ ენაში მოიძებნება სიტყვაწარმოებითი ელემენტები გამოყენების ნაკლები სისწორით, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ბაზისს უკავშირდებიან (მაგალითად, პრეპოზიტივები Total-, Schwer-, Schwerst-, Berufs- და ა.შ.). აქედან გამომდინარე, იგი ტერმინს „სისწორის კონსტიტუენტი“ არაკორექტულად მიიჩნევს და სამუშაო ტერმინად გეთავაზობს ტერმინს „სუბაფიქსიოდი“. სუბაფიქსიოდზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სემანტიკური ცენტრი სხვადასხვა მიზეზების გამო შესაბამისი ლექსიკური ერთეულის პირველ კონსტიტუენტზე გადადის. მეცნიერს მაგალითად მოჰყავს ელემენტი -kreis სიტყვებში: Bekanntenkreis, Leserkreis, Dichterkreis; ასევე -prozess (Lernprozess), -bewusstsein (Problembewusstsein) და სხვა, სადაც სემანტიკური დირექტულება პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებზე ნაწილდება, მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები კი წარმოადგენენ მეორად კონსტიტუენტებს პირველთან მიმართებაში.

ამგვარად, ს. კარბელაშვილის აზრით, კომპოზიტსა და აფიქსიოდს შორის თავსდება კიდევ ერთი გარდამავალი ზონა – ეს არის სუბაფიქსიოდები. მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს გარდამავალი ზონა აფიქსიოდსა და აფიქსს შორის. ამ ზონაში შედის ისეთი ელემენტები, რომელთაც აფიქსიოდის ზღვარი უკვე გადალახეს და ძალიან დაუახლოვდნენ პრეფიქსებს (სუფიქსებზე ს. კარბელაშვილი არ საუბრობს).

სიტყვები როგორც კომპოზიტთა კონსტიტუენტები სემანტიკურ დამოუკიდებლობას კარგავენ და ამით, უპირველესად, კატეგორიალურ მნიშვნელობას იძენენ. რაც მეტია მათი იდიომატიზებისა და დესემანტიზების ხარისხი, მით უფრო მეტად უახლოვდებიან ეს ელემენტები აფიქსებს. ნამდვილ აფიქსებად ქცევის პროცესი შეიძლება განუსაზღვრელი დროის მანძილზე გაგრძელდეს და სიტყვები შეიძლება დიდხანს იმყოფებოდნენ აფიქსიოდთა კატეგორიაში. ეს პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად, როცა არსებობს სრული ომონიმია სიტყვაწარმოებით ელემენტსა და თავისუფალ მორფემას შორის. ზემოხსენებულ სიტყვაწარმოებით ელემენტს ს.

კარბელაშვილი „სუბპრეფიქს“ უწოდებს. მაგალითად მას მოჰყავს პრეპოზიციური მორფემა kreuz-, რამდენადაც kreuz- და das Kreuz ომონიმებს წარმოადგენენ და kreuz-იანი კონსტრუქციები არ გადაიყვანება შესატყვის სინტაქსურ შესიტყვებებში: kreuzalt *alt wie Kreuz; kreuzbrav *brav wie Kreuz.

ასეთივეა: kreuzdumm, kreuzfidel, kreuzunglücklich, kreuzehrlich, kreuzgefährlich, kreuzelend, kreuzvergnügt, kreuzlustig და სხვა.

მაგრამ ამ სიტყვაწარმოებითი ელემენტის პრეფიქსად განხილვა ჯერ კიდევ არ შეიძლება, რადგან იგი მაინც საკმაოდ მყარადაა ასოციაციურად დაკავშირებული ლექსემასთან das Kreuz (kreuzgut = so gut, wie das Kreuz des Christentums; kreuzehrlich = vor dem Kreuz Christi muss man ehrlich sein) (Karbelašvili 1992:22).

როგორც ვხედავთ, კომპოზიციური წევრიდან აფიქსად განვითარების გზაზე სიტყვამ უნდა გაიაროს საფეხურები, რომლებიც შემდეგი ჯაჭვის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

კომპოზიციური წევრი→სუბაფიქსოიდი→აფიქსოიდი→სუბაფიქსი→აფიქსი.

კომპოზიციურ წევრად ითვლება თავისუფალი მორფემა.

სუბაფიქსოიდები აფიქსოიდთა ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ გარდა სემანტიკურისა. მათში მნიშვნელობის ცვლილება ძალიან სუსტია ან საერთოდ არ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ სუბაფიქსოიდისა და თავისუფალი ლექსემის სრული სემანტიკური თანხედომის შემთხვევაშიც კი პირველი ხასიათდება განზოგადებისა და აბსტრაქირების შედარებით მაღალი ხარისხით ვიდრე მეორე, რაც ნიშანდობლივია სიტყვაწარმოებითი საშუალებებისათვის. მაგალითად, სუბსტანტიური სუბსუფიქსოიდი -mittel კონსტრუქციას ანიჭებს საერთო კატეგორიულ მნიშვნელობას „საშუალება“, სახელების სუბპრეფიქსოიდი nicht- უარყოფის მნიშვნელობას, ზმნის სუბპრეფიქსოიდი auseinander- – გათიშვის მნიშვნელობას.

აფიქსოიდები კომპოზიციური წევრების დესემანტიზების შედეგად მიღებული მწკრივთწარმომქმნელი სიტყვაწარმოებითი საშუალებებია, რომლებიც, მართალია, დამოუკიდებელ სიტყვებად ჯერაც არსებობენ, მაგრამ უკვე აფიქსად განვითარების გზას ადგანან (Henn-Memmesheimer 2006:535). მათი მნიშვნელობა

განსხვავდება თავისუფალი მორფემის მნიშვნელობისაგან განზოგადების ხარისხითა და აბსტრაქტულობით.

სუბაფიქსები ისეთი სიტყვაწარმოებითი ელემენტებია, რომლებიც აფიქსებს უახლოვდებიან, მაგრამ აფიქსის სტატუსი ჯერაც არა აქვთ. ისინი კიდევ უფრო მეტად დაშორდნენ სემანტიკურად თავისუფალ მორფემას, ვიდრე აფიქსიდეები, მაგრამ სუბაფიქსსა და თავისუფალ მორფემას შორის სრული ომონიმია მაინც არ არსებობს, რაც ხელს უშლის ამ ელემენტების აფიქსებად მიჩნევას.

რაც უფრო მეტად ხდება თავისუფალი მორფემის განვითარება აფიქსად, მით უფრო კარგავს იგი დამოუკიდებელი ლექსემის მნიშვნელობას (Habermann 2002:41), ვიდრე, უკვე აფიქსად ქცეული, თავისუფალი მორფემის სრულ ომონიმად არ იქცევა. ამგვარი ცვლილებები შეინიშნება სუფიქსებში -werk (Schreibwerk, Naschwerk, Zuckerwerk) და -zeug (Schreibzeug, Nähzeug, Waschzeug).

ამგვარად, არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი აფიქსიდეების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებზე. ზოგიერთი მკვლევარის მიერ აფიქსიდად მიჩნეული სიტყვაწარმოებითი ელემენტი სხვა წყაროებში ცალსახად აფიქსად ან კომპოზიციურ წევრად განიხილება და პირიქით. ასე მაგალითად, ჰ. ვაინრიხი ნახევრადსუფიქსებად მიიჩნევს კონსტიტუენტებს: -förmig, -mäßig (Weinrich 1993:1006), მაშინ როცა მათ მ. დ. სტეპანოვა „გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი ელემენტების ლექსიკონში“ რთულ სუფიქსებად განიხილავს. კონსტიტუენტები -fest, -stark, -schwer ჰ. ვაინრიხთან ნახევრადსუფიქსთა კლასშია გაერთიანებული (Weinrich 1993:1005), მაშინ როცა მ. დ. სტეპანოვა მათ საერთოდ გვერდს უვლის. მ. დ. სტეპანოვასთან ნახევრადსუფიქსად მიჩნეულ -los-ს ვ. ფლაიშერი სუფიქსს უწოდებს (Fleischer 1983:273). ზოგიერთ ლექსიკონში კი მხოლოდ ზოგადად არის მითითებული სიტყვაწარმოებითი საშუალებები და მწკრივთა წარმოქმნელი კონსტიტუენტები, ისე რომ არ ჩანს ესა თუ ის ელემენტი აფიქსია, აფიქსიდი თუ რომელიმე სხვა კლასის წარმომადგენელი მორფემა (Handwörterbuch der deutschen Gegenwartssprache 1984, Langenscheidts Großwörterbuch 2007, Wahrig 2006).

ს. შტაინი განიხილავს კვაზიკომპოზიტების სემანტიკური მოდელირების საკითხს (Stein 2008:197): როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ, მაგალითად, სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია Riesenerfolg იზოლირებულად გამოყენებისას გაიგება როგორც „ძალიან დიდი წარმატება“ და არა როგორც „ძალიან დიდი, გოლიათი ადამიანის წარმატება“, ან კიდევ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია Schlüsselszene ნიშნავს „ძირითად, ცენტრალურ სცენას (რაიმეს გაგებისათვის, რაიმეს წვდომისათვის)“ და არა „სცენას, რომელშიც გასადები რაიმე როლს თამაშობს“. ეს საკითხი გულისხმობს აფიქსიოიდებისთვის დამახასიათებელი დესემანტიზებისა და მნიშვნელობის ცვლილების პროცესების გარკვევას.

საზოგადოდ, სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, უზუალურ ლექსიკურ ერთეულთან გვაქვს საქმე თუ არა უზუალურთან. ტექსტში გამოყენებული სიტყვაწარმოებითი პროდუქტების შემთხვევაში ძირითადად იქიდან ამოვდივართ, რომ ისინი როგორც უზუალური ერთეულები ნაცნობი და მენტალურ ლექსიკონში შენახულია. აქედან გამომდინარე, ისინი როგორც მთლიანი ერთეულები, ტექსტის აღქმაში მონაწილეობენ. უზუალური სიტყვაწარმოებითი პროდუქტების გაგებას საფუძვლად უდევს წინარეცოდნა, რაც გულისხმობს სიტყვაწარმოებითი ტიპებისა და მოდელების, ასევე უზუალურ შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის სემანტიკური მიმართებების ცოდნას (შდრ. Barz/Schröder 2001:194). ეს წინარეცოდნა შეიძლება გავიგოთ როგორც წინა აღქმითი გამოცდილების ერთგვარი კონდენსატი, რომელიც სიტყვაწარმოებითი სემანტიკის თვალსაზრისით სიტყვაწარმოებით მნიშვნელობასა და მოტივაციურ მნიშვნელობას მოიცავს. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა აღნიშნავს გარკვეული სიტყვაწარმოებითი მოდელების (სინთეზური თვალთახედვით) ან სიტყვაწარმოებითი ტიპების (ანალიტიკური და ინტერპრეტაციული თვალთახედვით) სემანტიკურ ინვარიანტს, ე.ი. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის უზუალურ შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის არსებულ განზოგადებულ სემანტიკურ მიმართებას, რომელიც ცალკე აღებული კონსტიტუენტებისაგან დამოუკიდებელია. მაგალითად, Riesen მნიშვნელობით „ძალიან დიდი“

სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში: Riesendummheit, Riesenerfolg, Riesenstadt, Riesengewinn, Riesengeschrei და ა.შ. მაშასადამე, იგულისხმება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის არსებული ძირითადი სემანტიკური ურთიერთმიმართება. მხოლოდ უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მნიშვნელობების ერთობლიობით ვღებულობთ მოტივაციურ მნიშვნელობას. იგი იძლევა აღნიშვნის მიზანდასახულობისა და მასთან დაკავშირებული შეფასების ახსნას. მაგალითად, Riesenerfolg – Supererfolg – Spitzenerfolg – Bombenerfolg ერთი მხრივ, და Achtungserfolg, Publikumserfolg, Verkaufserfolg მეორე მხრივ.

ამრიგად, აფიქსიდიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების სემანტიკური მოდელირება კონცენტრირებული უნდა იყოს სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობისა და მოტივაციური მნიშვნელობის აღწერაზე. რადგანაც სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა გარკვეულ სიტყვაწარმოებით მოდელებსა და ტიპებს უკავშირდება და არსებითად დამოკიდებულია უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მორფოლოგიურ თავისებურებებზე, ამიტომ აფიქსიდეებისა და შესაბამისი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების სემანტიკური თავისებურებები შეიძლება მხოლოდ კომპოზიციური მოდელების სემანტიკური სტრუქტურების ფარგლებში განისაზღვროს, ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს მეტყველების ნაწილის სპეციფიკას.

იმის გათვალისწინებით, რომ არაერთ სიტყვაწარმოებით გამოკვლევაში იგრძნობა ტენდენცია, მწკრივთწარმომქმნელი პირველი და მეორე კომპონენტები კომპოზიციურ წევრებად იქნას კლასიფიცირებული, იბადება შეკითხვა, თუ რამდენად ადეკვატურია სემანტიკურად აფიქსიდიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები კომპოზიციურ მოდელებთან.

როგორც ცნობილია, კომპოზიტების სემანტიკური ინტერპრეტაცია უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტებს შორის სემანტიკური მიმართებების თვალშისაცემი მრავალფეროვნებითა და დინამიკით გამოირჩევა, რასაც 1970-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი მეცნიერული გამოკვლევა მიექმნა (Oksaar 1993:204; Ortner 1997:26). ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ კომპოზიტების გაგებისა

და ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია კონტექსტის გათვალისწინება (Goldglück 1997:21).

აქედან გამომდინარე, სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების გაგებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ლოკალური ინტერპრეტაცია. უფრო მეტიც, კომპოზიტის მნიშვნელობის შედგენაში ურთიერთქმედებენ კომუნიკაციური სიტუაცია, კონტექსტი და ლოკალური ინტერპრეტაცია (Fandrych/Thurmair 1994:41), რის გამოც კომპოზიტების აღწერისას სემანტიკური და პრაგმატული ასპექტები ხშირად განსხვავებულია (Motsch 1995:513). რეციპიენტმა კონტექსტიდან გამომდინარე უნდა მოახდინოს სათანადო აღქმის კონსტრუირება და ლექსიკალიზებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების გადააზრება ანუ სხვაგვარი ინტერპრეტაცია. ასე მაგალითად, კომპოზიტი Butterberg ქვემოთ მოყვანილ ორივე კონტექსტში ლოკალურად გაიგება როგორც „კარაქის ძალიან დიდი ოდენობა“ („sehr große Menge an Butter“). მაგრამ პირველ მიკროტექსტში აქტივირებულია ენციკლოპედიური ცოდნის ფარგლებში ნაცნობი, ტრადიციული გაგება: „კარაქის ჭარბი წარმოება“ („Überproduktion von Butter“), რომელიც მეორე მიკროტექსტში გაბათილებულია კონკრეტული, მხოლოდ ტექსტის ფარგლებში მოქმედი, ანუ კონტექსტით განპირობებული მნიშვნელობით:

1. Billigwein – der neue „Butterberg“ der EU [...]. Denn viele Winzer haben dank der bisherigen Subventionierung durch die EU ganz gut überlebt: für die Lagerung und Destillation des unverkäuflichen Weins zu Industrialkohol zahlt Brüssel nämlich ganz nette Summen, [...]. Damit nach dem Butterberg nicht auch noch der Weinberg immer größer wird, [...]. (<http://www.bronline.de/politik/ausland/themen/2006/00711>).

2. [...] Der lungenkranke Junge vom Rhein hat mütterliche Fürsorge schon hinter sich („Butterberg, Milch, Grießbrei ... Müsli ... Glas Rotwein mit Ei“), [...]. (Rezension zu Dieter Fortes Roman „Auf der anderen Seite der Welt“. In: „Die Zeit“ Nr. 18, 28. April 2005).

დეტერმინანტიული კომპოზიტი განეკუთვნება მოდიფიცირებად სიტყვაწარმოებით ხერხს, რომლის დროსაც კონსტიტუენტის ლექსიკური მნიშვნელობა სიტყვაწარმოებითი პროცესის შედეგად ცვლილებას განიცდის, კერძოდ, პირველი კონსტიტუენტი ზღუდავს მეორე კონსტიტუენტის მნიშვნელობას მოცუ-

ლობის მხრივ და სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია სპეციფიკურ მნიშვნელობას იღებს. უზუალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების შემთხვევაში კომპოზიტის სემანტიკა გამოდინარეობს კონსტიტუენტების მნიშვნელობიდან და არა ექსპლიციტურად გამოხატული, არამედ მკითხველის ან მსმენელის მიერ რეკონსტრუირებადი ასოციაციური სემანტიკური მიმართებიდან. აბსტრაქციების ხარისხის გათვალისწინებით, საყოველთაოდ გავრცელებული მოდელები განსხვავდებიან პირველ და მეორე კონსტიტუენტს შორის არსებული სავარაუდო სემანტიკური მიმართებების რაოდენობის მიხედვით. შედარებისას, რა თქმა უნდა, გარკვეული პარაფელები ვლინდება, მაგრამ მთლიანობაში დიფერენცირებული მიდგომები მხოლოდ ნაწილობრივ დაიყვანება რამდენიმე ძირითად სემანტიკურ მიმართებაზე.

კომპოზიცია გერმანულში სწორედ იმიტომ არის განსაკუთრებით პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი სახეობა, რომ კონსტიტუენტების იდენტური სტრუქტურების მიღმა შეიძლება განსხვავებული სემანტიკური მიმართებები იმალებოდეს, რაც რეციპიენტის მხრიდან სათანადო ინტერპრეტაციას მოითხოვს. მაგალითად, Nusskuchen, Käsekuchen, Apfelkuchen || Kranzkuchen, Marmorkuchen, Sandkuchen || Geburtstagskuchen, Kirmeskuchen || Hundekuchen.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი განსხვავებული ტიპის სიტყვაწარმოებით მნიშვნელობას აყალიბებენ პრეფიქსიდეები მეორე კონსტიტუენტთან კავშირში და როგორი განსხვავებული ტიპის ინტერპრეტაციას მოითხოვენ ისინი, მოვიყვანოთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს, რომელთა მეორე უზუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის ლექსიკური ელემენტი Wagen:

1. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: „მიზანი/დანიშნულების სფერო – გამოიყენება როგორც/გამოიყენება რაიმე მიზნით“ – Ackerwagen, Arbeitswagen, Dienstwagen, Einsatzwagen, Funkwagen, Geschäftswagen, Rettungswagen, Übertragungswagen.

2. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: „მიზანი/დანიშნულების სფერო – გამოიყენება რაიმეს ტრანსპორტირებისათვის“ – Heuwagen, Krankenwagen, Lastwagen, Leichenwagen, Möbelwagen, Müllwagen, Personenwagen, Viehwagen.

3. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: „სპეციფიკური თავისებურება – აქვს რაიმე ნიშან-თვისება/ფორმა“ – Garagenwagen, Jahreswagen, Kastenwagen, Kübelwagen, Sportwagen.

4. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: „სპეციფიკური თავისებურება – მოძრაობაში მოდის რაიმეს საშუალებით“ – Dampfswagen, Dieselwagen.

5. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: „გაძლიერება/შეფასება“ – Höllenvagen, Klassewagen, Riesenwagen, Spitzenwagen, Traumwagen.

ლექსიკურ ერთეულებს Höllen, Klasse, Riesen, Spitzen და Traum ჰეტეროგენული ავტოსემანტიკა აქვთ. მაგრამ სემანტიკური მიმართება მათსა და კომპონენტ -wagen-ს შორის იმით ხასიათდება, რომ პირველი კონსტიტუენტები თავიანთ საკუთარ სემანტიკას მნიშვნელოვანწილად კარგავენ და მეორე კონსტიტუენტთან კავშირში თითქმის ერთნაირი კატეგორიალური მნიშვნელობის ანუ სემანტიკური ინვარიანტის გამოხატვას ემსახურებიან, რაც გაძლიერებასა და ინტენსივობის ზრდას გულისხმობს (Stein 2008:202).

მ. დ. სტეპანოვას თავის „ლექსიკონში“ მოყვანილი ჰყავს 72 ზედსართაული აფიქსიდი.

ზედსართაული პრეფიქსიდეები იყოფა რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფად. ისინი უმეტესწილად გამოხატავენ:

1. გაძლიერების განზოგადებულ ნიშანს (Verstärkung).
ასეთებია: riesen-, blitz-, stock-, stein-, brand-, blut-, tod-, hoch-, über-, all-, aller-, stink-, mords-, bomben- და სხვა.

გამაძლიერებელი მნიშვნელობის მქონე აფიქსიდეები უფრო დაწვრილებით განხილულია მონოგრაფიაში გრადაციის გამოხატველი კომპოზიტების ანალიზისას.

2. ნეგატიურ სემას (Negation):

sau-: saublöd, saudämlich, saudumm, saufrech, saugrob, saukalt, sauschlecht, saugut, sawohl.

scheiß-: scheißegal, scheißvornehm, scheißfreundlich.

ეს პრეფიქსიდეები ნაწილობრივ გამაძლიერებლადაც აღიქმება.

3. ტემპორალურ სემას (temporal):

nach-: nachchristlich, nachklassisch.

რაც შეეხება ზედსართაულ სუფიქსოიდებს, ისინი გამოორჩევიან მათ მიერ გამოხატული სემანტიკური კატეგორიების შეზღუდულობით და გამოხატავენ რაღაცის არსებობას, სიმრავლეს, უკმარისობას და სრულ არარსებობასაც კი, ან კიდევ შესატყვისობას, უნარს, ღირებულებას.

1. შესატყვისობას, შესაფერისობას გამოხატავენ:

- -gerecht: altersgerecht, realitätsgerecht, verkehrsgerecht, autogerecht, mastgerecht, qualitätsgerecht, sortimentsgerecht, termingerecht, bedarfsgerecht, bühngerecht, fernsehgerecht, formgerecht, kunstgerecht.
- -gemäß: ordnungsgemäß, traditionsgemäß, zeitgemäß, sommergemäß, jugendgemäß, erfahrungsgemäß, fachgemäß, pflichtgemäß, plangemäß, programmgemäß, sinngemäß, standgemäß.

ამ ტიპის კვაზიკომპოზიტები საყოველთაო ხმარების ენაში ფართოდაა გავრცელებული. ისინი ნაკლებად ემორჩილებიან წარმოქმნის შეზღუდვებს და მეტი თავისუფლებით ხასიათდებიან.

2. დიდი რაოდენობის გამოხატვას ემსახურებიან სუფიქსოიდები -reich და -voll:

- -reich: erlebnisreich, ertragreich, ideenreich, energiereich, erfolgreich, verkehrsreich, holzreich, hügelreich, fischreich, baumreich, faltenreich, farbenreich, hilfreich, kinderreich, liebe reich, wasserreich.
- -voll: verdienstvoll, widerspruchsvoll, vertrauensvoll, kulturvoll, niveaувoll, gefühlvoll, kraftvoll, rücksichtsvoll, freudevoll, liebevoll, taktvoll, huldvoll, charaktervoll, dornenvoll, klangvoll, geräuschvoll, humorvoll.

სუფიქსოიდი -reich მეტი პროდუქტიულობით ხასიათდება. ის შეიძლება შეგვხვდეს როგორც აბსტრაქტულ, ასევე კონკრეტულ, უმეტესად პოზიტიური მნიშვნელობის მქონე არსებით სახელებთან, მაშინ როცა -voll თითქმის მხოლოდ აბსტრაქტულ სახელებთან გვხვდება.

3. არარსებობას გამოხატავენ ანტონიმური სუფიქსოიდები:
-arm, -leer, -frei.

- -arm: zementarm, bedienarm, geräuscharm, pflegearm, bügelarm, verlustarm, abproduktarm, schmerzarm, wartungsarm, blutarm, fischarm, futterarm, gedankenarm, ideenarm, kenntnisarm, lichtarm, mehlarm, nikotinarm.
- -leer: ausdrucksleer, inhaltsleer, gedankenleer, wasserleer, luftleer, menschenleer, wolkenleer, blutleer.
- -frei: koffeinfrei, bügelfrei, fehlerfrei, alkoholfrei, schmerzfrei, lehrveranstaltungs frei, atomwaffenfrei, dienstfrei, einwandfrei, sorgenfrei, wasserfrei, zollfrei.

ამ სემანტიკურ ჯგუფში განსხვავებულობა იმაში მდგომარეობს, რომ -arm გამოხატავს თვისების მცირე რაოდენობით არსებობას, რომელიც მიმართებითი სიტყვით გამოხატული სიდიდის მიხედვით შეიძლება იყოს უპირატესობა ან ნაკლი: geräuscharme Maschinen; ideenarme Diskussionen.

-leer გამოხატავს არარსებობას როგორც ნაკლს, ხოლო -frei როგორც უპირატესობას.

4. მრავალმხრივ მოდალურ მნიშვნელობებს (უნარი, შესაძლებლობა, საჭიროება, აუცილებლობა, ალბათობა) გამოხატავენ:

- -fähig: widerstandsfähig, leistungsfähig, spinnfähig, funktionsfähig, arbeitsfähig, patentfähig, ansteckungsfähig, ausdrucksfähig, betriebsfähig, börsenfähig, dienstfähig, lebensfähig, salonfähig, transportfähig, aufnahmefähig, beschlussfähig, druckfähig, flugfähig, lagerfähig, wehrfähig.

ჩვენ ამ მორფემას მივაკუთვნებთ სუფიქსოიდებს, თუმცა ვ. ფლაიშერი/ი. ბარცი შესაძლებლად მიიჩნევენ, რომ მან სუფიქსის სტატუსს უკვე მიაღწია, რასაც ადასტურებენ მაგალითებით: pumpfähige Erdölsorten, nicht mehr verkaufsfähige Waren, eintragungsfähiger Vorname. ელემენტი -fähig განსაკუთრებით არის გამოყოფილი დუდენის ლექსიკონში მნიშვნელობით „zu dem im Bestimmungswort Genannten in der Lage“ და „für das im Bestimmungswort Genannte geeignet“ (Duden. Deutsches Universalwörterbuch 2001).

თავისუფალი მორფემა *fähig* გამოიყენება მხოლოდ ადამიანთა მიმართ. ზემოხსენებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებიდან გამომდინარე კი ვ. ფლავიშერი/ი. ბარცი „განსაკუთრებულ შემთხვევაზე“ საუბრობენ (Fleischer/Barz 1995:227).

- -tüchtig: *feldtüchtig, geschäftstüchtig, fahrtüchtig, kampf tüchtig, funktionstüchtig, lebstüchtig.*
- -würdig: *bedauernswürdig, diskussionswürdig, bemitleidenswert, kreditwürdig, bewundernswürdig, abbauwürdig, auszeichnungswürdig, dankenswert, empfehlenswert, erstaunenswert, hassenswert, denkwürdig, lobenswert, bewunderungswürdig, menschenwürdig, nachahmungswürdig.*
- -wert: -wert სუფიქსიდიანი კვაზიკომპოზიტები ნაწილობრივ -bar სუფიქსიან დერივატებს შეესატყვისება: *erwägbar Argumente – erwägenswerte Argumente.*

მაგრამ ზოგჯერ -bar სუფიქსიანი დერივატი არ არსებობს და სუფიქსიდი -wert ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს. მაგალითად, *beneidenswert, beklagenswert, empfehlenswert, lobenswert.*

თუ ორივე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია ერთმანეთის პარალელურად იხმარება, -bar სუფიქსიანი დერივატი გვიჩვენებს ზმნური მოქმედების შესაძლებლობას, მაშინ როცა -wert სუფიქსიდიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები დამატებით პოზიტიურ ელფერს შეიცავენ: *lesbar – lesenswert, hörbar – hörenswert.*

მ. ბუესი გამოყოფს ნახევრადსუფიქს -trächtig და ანალიზებს მისი მეშვეობით წარმოქმნილ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს. მას მოყვანილი ჰყავს -trächtig სუფიქსიდიანი 22 სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია, რომლებიც გერმანულ ენაში ყველაზე მეტად გავრცელებულია. მათ იგი გამოყენების სიხშირის მიხედვით ალაგებს: *zukunftsträchtig, geschichtsträchtig, symbolträchtig, gewinnträchtig, prestigeträchtig, unfallträchtig, skandalträchtig, schlagzeilenträchtig, werbeträchtig, kostenträchtig, konflikträchtig, schicksalsträchtig, publikumsträchtig, erfolgsträchtig, publicityträchtig, medaillenträchtig, wachstumsträchtig, zuschauerträchtig, devisenträchtig, umsatzträchtig, verkaufsträchtig, verlustträchtig* (Bues 1997:122).

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვათა კორპუსის თავში დგას *zukunftsträchtig*, რომელიც დღესდღეობით მართლაც ყველაზე მეტად გავრცელებული წარმონაქმნია *trächtig* სუფიქსიდიან კვაზიკომპოზიტებს შორის. იგი ყველა სფეროში გვხვდება, განსაკუთრებით ეკონომიკაში. მაგალითად, *zukunftsträchtige Branchen*, *zukunftsträchtige Märkte*, *zukunftsträchtige Produkte*, *zukunftsträchtige Technologien*. მისი მნიშვნელობის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება შემდეგი მიმოხილვა:

zukunftlos, *zukunftsunfähig*, *zukunftsverneinend*;
zukunftsdrohend, *zukunftgefährdend*, *zukunftunsicher*;
zukunftssahnend, *zukunftsfähig*, *zukunftswesend*;
zukunftsgerecht, *zukunftsgewandt*, *zukunftorientiert*;
zukunftsschwanger, *zukunftsträchtig*, *zukunftsverheißend*,
zukunftversprechend;
zukunftskräftig, *zukunftreich*, *zukunftsvoll*, *zukunftbeständig*,
zukunftssicher, *zukunftsgewiss* (Bues 1997:123).

zukunftsträchtig-ს შუალედური ადგილი უჭირავს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე წარმონაქმნს შორის: *zukunftlos* და *zukunftsgewiss*. ის გვიჩვენებს სამომავლოდ რაიმეს შესაძლებლობას ან ალბათობას. გერმანულ ენაში მას ხშირად კონკურენციას უწევენ შესიტყვებები:

mit (möglicher) Zukunft; *eine große/lange/hoffnungsfroh stimmende Zukunft habend/verheißend*; *mit guter Zukunftsperspektive*; *ein Beruf, dem die Zukunft gehört*; *ein Markt, der für die Zukunft viel verspricht*.

მომდევნო ადგილზე დგას სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია *geschichtsträchtig*. მაგრამ აღნიშნულ კვაზიკომპოზიტში *-trächtig* გამოხატავს არა შესაძლებლობას ან ალბათობას, არამედ ფაქტს, მოვლენას, რომელსაც დიდი, ხანგრძლივი, მდიდარი და მნიშვნელოვანი ისტორია აქვს. *geschichtsträchtig* გამოიყენება ქვეყნებთან, ლანდშაფტებთან, კონკრეტულ ადგილმდებარეობებთან, ნაგებობებთან, დროსთან, მოვლენებთან მიმართებაში. იგი ბოლო დროს ძალიან ხშირად გვხვდება ტურისტულ რეკლამებში. ტურიზმის სხვადასხვა სახეობის ჩამონათვალში, როგორცაა, მაგალითად, *Abenteuertourismus*, *Abfalltourismus*, *Abhaktourismus*, *Aboriginestourismus*, *Abtreibungstourismus*, *Geschäftstourismus*, *Gesundheitstourismus*, გვხვდება აგრეთვე *Geschichtstourismus*. სარეკლამო ტექსტებში ხშირად შეგვხვდება

geschichtsträchtige Städte, geschichtsträchtige Erde, geschichtsträchtige Spuren, geschichtsträchtige Villa, geschichtsträchtiger Familienbesitz, geschichtsträchtiges Gebäude, geschichtsträchtige Landschaft. ერთ-ერთი რესტორნის რეკლამისათვის გამოიყენება geschichtsträchtige Vergangenheit (Regionalzeitung: „Die Rheinpfalz“, 3.10.1986/229). მომდევნო რეკლამაში სამი კვაზიკომპოზიტი გვხვდება -trächtig-ის გამოყენებით: Budapest und seine Kaffeehäuser, das ist ein geschichts-, literatur-, musikträchtiges Kapitel für sich („Die Rheinpfalz“, 29.10.1993). თვით კროსვორდშიც კი შეიძლება შეკითხვა შემდეგნაირად უღერდეს: geschichtsträchtiges tropisches Holz („Süddeutsche Zeitung“ 29/30.07.1995/173).

კვაზიკომპოზიტი symbolträchtig გამოიყენება ღირსშესანიშნავი ადგილების, ნაგებობების, თარიღების, მოვლენების აღსანიშნავად. მაგალითად, Es wurde so zum Superstar unter den symbolträchtigen Monumenten in Deutschland; der Reichstag, ein überaus symbolträchtiger Bau; am symbolträchtigen Luftbrückendenkmal; am symbolträchtigen 17. Juni; ... bezeichnete den 9. November als symbolträchtigen Tag in der deutschen Geschichte des 20. Jahrhunderts; war ein besonders symbolträchtiger Akt (Bues 1997:126).

gewinnträchtig გამოიყენება ბაზართან, საქონელთან მიმართებაში: gewinnträchtiges Geschäft, gewinnträchtiger Energiemarkt, gewinnträchtiges Jahr. ბოლო დროს მას კონკურენციას უწევს წარმონაქმნები gewinnbringend, gewinnreich.

სპორტულ ახალ ამბებში განსაკუთრებით მოღურ სიტყვად იქცა prestigeträchtig. მაგალითად, prestigeträchtige Veranstaltungen, prestigeträchtiges Derby, prestigeträchtiges Duell, prestigeträchtiger Grand Prix. იგი გვხვდება აგრეთვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში: prestigeträchtiges Außenministerium; Vorsitz des prestigeträchtigen Auswärtigen Ausschusses; prestigeträchtige Produktionen; im prestigeträchtigen deutschen Markt; prestigeträchtiges Institut.

ტრანსპორტის სფეროში ყველაზე მეტად გავრცელებულია unfallträchtig, თუმცა იგი გამოიყენება საოჯახო მეურნეობასა და სამუშაო ადგილთან მიმართებაშიც: unfallträchtige Stellen; die unfallträchtige Strecke; unfallträchtige Kreuzungen; unfallträchtiger Autobahnabschnitt; unfallträchtiges Überbleibsel; unfallträchtige

Situationen; unfallträchtiges Verhalten. არსებობს სტატისტიკური კვლევები უბედურ შემთხვევათა შესახებ, სადაც გვხვდება: das unfallträchtigste Jahr; der unfallträchtigste Monat des Jahres; der unfallträchtigste Wochentag; die unfallträchtigste Tageszeit; die unfallträchtigste Stadt. იგი შეიძლება შეგვეხვედეს სპორტის სფეროშიც: unfallträchtige Sportarten wie Reiten.

გამოყენების სიხშირის მიხედვით skandalträchtig-ს მოსდევს schlagzeilenträchtig. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისინი გარკვეულწილად მართლაც ავსებენ ერთმანეთს. ამას მოწმობს გამონათქვამები skandalträchtige Schlagzeilen და schlagzeilenträchtige Skandale. ორივე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია მედიის სფეროს განეკუთვნება. ისინი კონკრეტულ პიროვნებათა მისამართითაც გამოიყენება: Norman Mailer, der bestbezahlte, skandalträchtige Autor; Boy George, skandalträchtiger britischer Popsänger; der schlagzeilenträchtige Schauspieler; skandalträchtiger Politiker. ისინი გვხვდება ასევე სხვადასხვა მოვლენების, პროცესების დასახასიათებლად: skandalträchtige Auftritte; skandalträchtige Liebesaffäre; schlagzeilenträchtige Affäre; skandalträchtige Prozesse; schlagzeilenträchtige Gerichtsverfahren; skandalträchtiger Schlüsselroman; skandalträchtiger Briefroman; skandalträchtige Story (Bues 1997:130).

სუფიქსოიდის -trächtig გამოყენებით გვხვდება აგრეთვე ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, როგორიცაა botschaftenträchtig, siegesträchtig, nachrichtenträchtig, passionsträchtig, rollenträchtig (Grass), drohungsträchtig, erkenntnisträchtig, ferneträchtig, heilsträchtig, schattenträchtig, unheilträchtig, wesenheitsträchtig (Broch), wirkungsträchtig, gedankenträchtig, (Reallexikon der deutschen Literaturgeschichte. 1984:95), bedeutungsträchtig, ausschachtungsträchtig, ironieträchtig, lemmatträchtig, bezugsträchtig, identifikationsträchtig, sorgenträchtig, statusträchtig, verpflegungsträchtig, rekordträchtig, imagnetträchtig, innovationsträchtig, ergebnisträchtig, erkältungsträchtig, nachrufträchtig, neurosenträchtig, realitätsträchtig (Bues 1997:122).

ზემოთ ჩამოთვლილი აფიქსოიდების გარდა, ჩვენი აზრით, შეიძლება აფიქსოიდად იქნას მიჩნეული მორფემები -freudig და -lustig.

- -freudig აფიქსოიდის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

1. ფორმალურად თანხვედბა თავისუფალ მორფემას freudig.

2. ეტიმოლოგიურად უკავშირდება არსებით სახელს Freude. mhd. vrōude, vreude, ahd. frewida. aus *frawipo, mit dem Abstraktsuffix germ. ipō zu *frawa-, dem Stamm des Adj. froh (Kluge 1975).

3. აქვს უნარი, სერიულად წარმოქმნას ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები: bedienfreudig, risikofreudig, entscheidungsfreudig, kontaktfreudig, musikfreudig, wanderfreudig, trinkfreudig, gebefreudig, farbenfreudig, opferfreudig, sangesfreudig, angriffsfreudig, hilfsfreudig, hoffnungsfreudig, lebensfreudig, schaffensfreudig, diskussionsfreudig, genussfreudig, zukunftsfreudig, arbeitsfreudig, festfreudig, tanzfreudig.

4. თავისუფალი მორფემის მნიშვნელობისაგან განსხვავებით [freudig – „von Freude erfüllt, frohgestimmt, Freude bringend, beglückend“ (Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache 1980)], სიტყვაწარმოებით ელემენტს -freudig არსებით სახელთან ან ზმნასთან კომბინაციაში აქვს განზოგადებული მნიშვნელობა: „რადაცისკენ მიდრეკილების მქონე“, „რაიმესთვის სიამოვნებით მზადყოფი“.

• lustig: აღნიშნულ სიტყვას ომონიმური თავისუფალი მორფემისაგან განსხვავებით სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში აქვს განზოგადებული მნიშვნელობა: „რაიმესთვის სიამოვნებით მზადყოფი“. მაგალითად, kaufflustig, schaulustig, angriffslustig, abenteuerlustig, schreiblustig, unternehmungslustig, mordlustig, badelustig, fragelustig, revanchelustig, ehelustig, leselustig, reiselustig, beutelustig, lachlustig, kampflustig, gehlustig, tauschlustig, zanklustig, lernlustig, wanderlustig, sangeslustig, kriegslustig, eroberungslustig, wanderungslustig, lebenslustig, heiratslustig, arbeitslustig, schaffenslustig, streitlustig, spottlustig, baulustig, tanzlustig.

2.7. შედარების ხარისხების ფორმები როგორც კომპოზიტივის კონსტიტუენტები

კომპოზიტებში ხარისხების ფორმებზე მსჯელობისას საყურადღებოა ორი მომენტი:

1. როცა კონსტრუქციების შიგნით არსებობს ხარისხების ფორმები ანუ როცა პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი დგას შედარებით ან აღმატებით ხარისხში. ასეთ შემთხვევებს კონსტრუქციის ინტერნული ფორმები ეწოდება. მაგალითად, höchstwahrscheinlich, höchstzulässig, höchsteigen, höchstpersönlich, bessergestellt, höherwertig.

2. როცა მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი დგას შედარებით ან აღმატებით ხარისხში. მაგალითად, allerbeste, allergrößte, allerhöchste, allernächste, allerneueste, allergnädigste.

ჯერ განვიხილოთ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად აქვთ კომპარატივი ან ზუპერლატივი.

ყველაზე ხშირია კომბინაციები მორფემით möglich მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად:

kleinstmöglich – so klein wie möglich; das Kleinste, was möglich ist.

ასეთივეა: größtmöglich, bestmöglich, höchstmöglich, nächstmöglich, frühestmöglich. მათ გვერდით გვაქვს möglichst ზმნი-ზედიანი შესიტყვებები: möglichst klein, möglichst groß და ა.შ. მაგრამ აღმატებითი ხარისხის ეფექტი უფრო ძლიერია და ატრიბუტული გამოყენებაც უფრო ხშირი.

კონსტრუქციები, რომელთაც მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად სხვა სიტყვა აქვთ, შედარებით იშვიათია:

das nächsterreichbare Hotel – das nächste Hotel, das erreichbar ist;

die höchstliegenden Orte – Orte, die am höchsten liegen;

der nächstfolgende Punkt – der Punkt, der am nächsten folgt (Fleischer/Barz 1995:246).

პარტიციპ II-იან სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ხშირად გვხვდება თავისუფალი მორფემები meist და best, რომლებსაც ამ შემთხვევაში არსებითად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ: meistdiskutiert, meistgefragt, meistgenannt, meistverkauft, meistbesucht,

meistgesucht, meistbegünstigt, meistgelesen, meistbewundert, meistbietend; bestinformiert, bestbezahlt, bestangezogen, bestrenommiert; meistgespielte Autoren, meistbefahrene Kreuzungen, einer der meistgehassten (bestgehassten) Dichter.

ლექსიკალიზებული კომპოზიციების ერთ ნაწილში, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად კომპარატივი ან ზუპერლატივი აქვთ, იგულისხმება არა კომპოზიტით გამოსატული თვისების მომატება, არამედ ნორმის კომპარატივი და ნორმის ზუპერლატივი, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში რაიმე ჩვეულ ნორმას უკავშირდებიან: ein besserverdienender Herr, eine längerfristige Planung, weitergehende Forderungen, weitestgehende Übereinstimmung.

ახლა კი გადავიდეთ ისეთი კომპოზიციების დახასიათებაზე, რომლებშიც შედარების ხარისხების ფორმებს გვიჩვენებს არა პირველი, არამედ მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი.

ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში შეიძლება საბოლოოდ დასრულებულად ჩაითვალოს ცალკეული სიტყვების კომპოზიტებად შერწყმის პროცესი. ყველაზე მკაფიოდ ეს პროცესი პარტიციპიან წარმონაქმნებში კომპარატივების ან ზუპერლატივების არსებობის პირობებში მუდავნდება, სადაც მთლიანი კონსტრუქცია ერთიან ერთეულად აღიქმება: der eingeborenste Begriff (Goethe), unter nachsehenderen Gesetzen (Lessing).

ზოგჯერ ზმნიზელა ერწყმის ზმნის ნომინალურ ფორმებს და ვლებულობთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს, რომელთაც მკვეთრად გამოსატული ზედსართაული ხასიათი აქვთ. ამაზე მეტყველებენ შედარების ხარისხების ფორმები: bis zur schwerfälligsten, kleinkauendsten Weitschweifigkeit (Schopenhauer), den schwachdenkendsten Teil (Lessing), dem schöngefärbtesten Smaragd (Goethe), das reingestimmteste Instrument (Wieland), die tiefschlafendsten Sinnen (la Roche), der tiefführendste Geist (Goethe), die reingewölbteste Stirn (Goethe), die freigelegenste Wohnung (Goethe), die tief- und scharfdenkendsten Philosophen (Klinger), eines der schwerwiegendsten Blätter (Scherr), süßgestimmter als ein unsterblich Lied (Klopstock), schreib- und leseseligste der Menschen (Haym) (Paul 1970:342).

კომპოზიციის პროცესის დასრულებაზე ამგვარ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში ის ფაქტი მეტყველებს, რომ მათი

დაშლისას ცალკეულ სიტყვებად (rein და gewölbteste, schwach და denkendst, rein და gestimmteste, tief და schlafendste, schwer და wiegendste) მეორე კომპოზიციურ წევრად არსებული სიტყვები ცალკე აღარ არსებობს.

გვხვდება გაორმაგებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებიც, რომლებშიც ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შედარებით ან აღმატებით ხარისხშია. მაგალითად, nächstbeste, nächstgrößte, nächsthöher, nächstbesser.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც კონსტრუქციისაგან, რომელშიც ზმნიხედა უკვე აღმატებით ხარისხშია, კიდევ ერთი აღმატებითი ხარისხი იწარმოება: die Zunächststehendsten („Frankfurter Allgemeine Zeitung“ 14.08. 1992). ეს ფორმა დღესდღეობით არ შეესატყვისება სალიტერატურო ენის ნორმას. ასევეა: die vielbesuchteste (meistbesuchte-ს ნაცვლად) Sehenswürdigkeiten Dresdens.

შედარების ხარისხები პარტიციპული ზმნის ფორმებისა და აკუზატივით გამოხატული ობიექტის შერწყმის შემთხვევაშიც გვხვდება: am gefährlichsten und feuerfangendsten; das grundlegendste der Maigesetze („Kölnsche Zeitung“ 18.09. 1981).

შეიძლება განჩნდეს მოსაზრება, რომ შედარების ხარისხების წარმოება ფლექსიური წარმოებაა, ანუ ფორმაწარმოება და არა სიტყვაწარმოება. ამის საპასუხოდ გვინდა მოვიხმოთ კონკრეტული მასალის ანალიზი. არსებობს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, როგორცაა kleinstmöglich, größtmöglich, bestmöglich. თუ ჩავთვლით, რომ მათში ზუპერლატივების არსებობა ფორმაწარმოებაა, მაშინ უნდა არსებობდეს kleinstmöglich, größtmöglich, guttmöglich, რაც გერმანულ ენაში არ ფიქსირდება. ამ ფაქტის დასამტკიცებლად გამოგვადგება ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებიც, როგორცაა der nächstfolgende Punkt (*nahfolgende არ არსებობს), das nächsterreichbare Hotel (*naherreichbar არ არსებობს).

თუმცა შედარების ხარისხები მორფოლოგიის დონეზე ფლექსიურ ელემენტებს ან სუპლეტურ ფორმებს წარმოადგენენ, მათი ექსტრაპოლირების დროს სიტყვაწარმოების დონეზე ისინი იძენენ სიტყვაწარმოებით ფუნქციას. მართალია ზოგჯერ ძნელი გასამიჯნია -er შედარებითი ხარისხის მორფემა წარმო-

ადგენს კონსტიტუენტის შემადგენელ ნაწილს თუ ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის ნიშანს. მაგალითად ავიღოთ ნიმუშები *süßgestimmter als ein unsterblich Lied (Klopstock)* და *eine höhergestellte Persönlichkeit*. პირველ შემთხვევაში *als* შედარების ნაწილაკი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ეს შედარების ხარისხია, ხოლო მეორე შემთხვევაში *-er* ფლექსია პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ნაწილია, ე.ი. სიტყვაწარმოების დონეს განეკუთვნება. თუმცა მართლწერის ახალი წესების მიხედვით ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ცალ-ცალკე იწერება: *schwerer wiegend*.

თავი III

3. ზედსართაული დერივატი როგორც სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის სახეობა

3.1. დერივაციის ზოგადი მიმოხილვა

განასხვავებენ იმპლიციტურ და ექსპლიციტურ დერივაციას. იმპლიციტური დერივაცია გულისხმობს სიტყვის წარმოქმნას მაწარმოებელი აფიქსის გარეშე: Schlaf<schlafen, Freimut<freimütig. ექსპლიციტური დერივაციისას თავისუფალი ლექსემისა და მაწარმოებელი მორფემისაგან მიიღება ახალი კომპლექსური ენობრივი ნიშანი, რომელსაც დერივატი ეწოდება. ლექსემა წარმოადგენს დერივატის ძირითად ნაწილს, ხოლო მორფემა – დერივაციულს, მაშასადამე, ორი შემადგენელი ნაწილიდან ერთ-ერთი დერივაციული ბაზისია, მეორე – დერივაციული აფიქსი ანუ დერივატემა. ბაზისი არის თავისუფალი მორფემა ან თავისუფალი მორფემული კონსტრუქცია, ხოლო დერივაციული აფიქსი შეიძლება იყოს სუფიქსი, პრეფიქსი ან მათი კომბინაცია. შესაბამისად, განასხვავებენ სუფიქსურ (fröhlich), პრეფიქსულ (uralt) და კომბინატორულ (gefräßig) დერივატს.

ზედსართავის სფეროში ერთ-ერთი ძირითადი სიტყვაწარმოებითი საშუალება არის ექსპლიციტური დერივაცია, განსხვავებით კომპოზიციისაგან, რომელიც არსებით სახელთან წამყვან სიტყვაწარმოებით სახეობას წარმოადგენს.

ექსპლიციტურ დერივაციაში ერთიანდება სუფიქსაცია, პრეფიქსაცია და კომბინატორული დერივაცია. ექსპლიციტური დერივატები ერთგვარ დეტერმინატიულ კონსტრუქციებს წარმოადგენენ, რომელთა შემადგენელი ნაწილები განსხვავებული თანმიმდევრობით არიან განლაგებული იმის მიხედვით, დერივაციული მორფემა პრეფიქსია, სუფიქსია თუ მათი კომბინაცია ანუ ცირკუმფიქსი. სუფიქსაციის შედეგი არის სუფიქსური დერივატი, პრეფიქსაციის შედეგად მიღებული სიტყვა პრეფიქსულ დერივატს წარმოადგენს, ხოლო თუ კონსტრუქციაში ერთდროულად გვხვდება პრეფიქსი და სუფიქსი, მაშინ გვაქვს კომბინატორული დერივატი. სუფიქსაციისა და პრეფიქსაციის გაერთიან-

ნება და მათი ექსპლიციტურ წარმოქმნად განხილვა მნიშვნელოვანი პირობაა სუფიქსებისა და პრეფიქსების, როგორც სიტყვაწარმოებითი მორფემების საერთო აფიქსური ხასიათის გამოსავლენად.

ძირეული მორფემებისგან განსხვავებით აფიქსები დამოუკიდებელ სიტყვებად არ გვხვდება. ისინი დერივაციულ ბაზისთან კავშირში ქმნიან კომპლექსურ სიტყვებს, ძირეული მორფემების მსგავსად აქვთ ლექსიკურ-ცნებითი მნიშვნელობა და მათ მიერ ფიქსირებული ცნებები განზოგადების მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

აფიქსებს შეუძლიათ ბაზისური სიტყვა სხვა მეტყველების ნაწილში გადაიყვანონ (schön – Schönheit) ან მისი მნიშვნელობის მოდიფიცირება მოახდინონ (schwach – schwächlich), მაგრამ თვითონ არასოდეს არ გვევლინებიან ბაზისად.

ორიოდ სიტყვით შევსებით სუფიქსებისა და პრეფიქსების იდენტიფიკაციის საკითხს.

სუფიქსი არის დერივაციული მორფემა, რომელიც დაერთვის ბაზისს ახალი სიტყვის წარმოსაქმნელად. მაგალითად, დერივატში lesbar ჯერ დგას ძირეული მორფემა ანუ ბაზისი les-, შემდეგ კი სუფიქსი -bar. სუფიქსური დერივატი დეტერმინატიულ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომელშიც დერივაციული მორფემა ანუ სუფიქსი ახდენს დერივაციული ბაზისის დეტერმინირებას. სუფიქსაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზედსართავის სფეროში.

პრეფიქსი წარმოადგენს ბაზისური ერთეულის წინ მდგომ დერივაციულ მორფემას. დერივატი un schön, განსხვავებით სიმპლექსური ზედსართავისაგან schön, შეიცავს დერივაციულ მორფემას un- პრეფიქსის სახით, რომელიც მის შემდეგ მდგომი ძირეული მორფემის schön ერთგვარ დეტერმინირებას ახდენს. პრეფიქსაცია განსაკუთრებით მკაფიოდ ზმნებთან ვლინდება, მაგრამ მას ზედსართავულ სიტყვაწარმოებაშიც გარკვეული ადგილი უჭირავს.

პრეფიქსსა და სუფიქსს შორის არსებობს შემდეგი განსხვავებები:

1. დერივაციული სუფიქსი სიტყვას კატეგორიალურად გარკვეულ კლასში მიუჩენს ადგილს; ამასთან, დერივაციული სუფიქსის დართვით ამა თუ იმ ბაზისზე ყოველთვის არ ვდებულობთ სხვა მეტყველების ნაწილს: blau – bläulich. პრეფიქსთან კი საქმე სხვაგვარადაა. პრეფიქსს არა აქვს სინტაქსური ტრანსპოზიციის ფუნქცია. პრეფიქსი მზა სიტყვის წინ დგას და ვერ ცვლის მას როგორც მეტყველების ნაწილს: les- მორფემის წინ, რომელიც როგორც სიტყვა ამ ფორმით არ არსებობს, არ შეიძლება იდგეს პრეფიქსი, მაგრამ მზა კონსტრუქციის წინ ის შეიძლება შეგვხვდეს: un- lesbar.

2. პრეფიქსს კლასიფიკაციის ფუნქცია სხვა თვალსაზრისითაც არა აქვს. მაშინ როცა არსებითი სახელის, ზედსართავისა და ზმნის სუფიქსები გამიჯნულია და ომონიმია მხოლოდ ზოგჯერ გვხვდება (მაგალითად, -ig ზედსართავებთან და ზმნებთან), პრეფიქსთა მთელი რიგისთვის ტიპურია, რომ ისინი არსებით სახელთან, ზედსართავსა და ზმნასთანაც სრულიად იდენტურად გამოიყენება:

Übermensch – überklug – überfordern; Missklang – missliebzig – misshandeln.

3. სუფიქსები არსებობს არა მარტო როგორც სიტყვაწარმოებითი, არამედ ასევე როგორც გრამატიკული მორფემები, პრეფიქსები კი თითქმის ყოველთვის სიტყვაწარმოებით ფუნქციას ასრულებენ. გამონაკლისია ge- პრეფიქსი მიმღეობა II-თან.

4. დერივაციულ სუფიქსებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ძირითადი აქცენტი, პრეფიქსებში კი განასხვავებენ ორ ჯგუფს: მახვილიანს და უმახვილოს: úralt, únschön, mislúngen, Gebírge. თუმცა ზედსართავი პრეფიქსები ძირითადად მახვილიანია (Степанова/Фляйшер 1984:68).

სუფიქსებისა და პრეფიქსების განვითარება დაკავშირებულია იმასთან, რომ კომპოზიციური წევრი კარგავს კონტაქტს თავდაპირველ იდენტურ მარტივ სიტყვასთან. მაგრამ კიდევ სხვა პირობებიც არის საჭირო იმისათვის, რომ წარმოქმნას სიტყვაწარმოებითი ელემენტი. ჯერ ერთი, კომპოზიციური წევრი ეტიმოლოგიურად ნათლად უნდა იყოს ასოცირებული მონათესავე სიტყვასთან ან შესიტყვებასთან.

მეორე მხრივ, ელემენტი უნდა გვხვდებოდეს არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვებში (როგორც მაგალითად, Nachbar, Bräutigam), არამედ სიტყვათა მთელ ჯგუფში და ყველგან ერთი და იმავე მნიშვნელობისა უნდა იყოს.

მესამეც, კომპოზიციური წევრი უკვე სიმპლექსში უნდა გამოხატავდეს გარკვეულ აბსტრაქტულ ცნებას (როგორიცაა მაგალითად, თვისება, არსი).

ჰ. პაულს ამ გზით წარმოშობილი სუფიქსების მაგალითად მოჰყავს -bar, -lich, -sam, -haft. მისი აზრით, weiblich უკავშირდება ძველ Bahuvrihi-ს, წინარე გერმანიკულ widolifik-ს, რაც ნიშნავდა „Weibergestalt“. შემდეგ მან მიიღო მეტაფორული მნიშვნელობა „Weibergestalt habend“. ამ კომპოზიციისა და სიმპლექსის შორის (ahd. lîch, nhd. Leiche) იმგვარი შეუსაბამობა განვითარდა თავდაპირველად მნიშვნელობებში, შემდგომ კი ბგერით ფორმებშიც, რომ მათ შორის ყოველგვარი კავშირი გაწყდა. სიმპლექსის მნიშვნელობიდან „Gestalt, äußeres Ansehen“ განვითარდა უფრო აბსტრაქტული მნიშვნელობა „Beschaffenheit“ და მეორე კომპოზიციური წევრი სუფიქსად იქცა, რასაც ხელი იმხანაც შეუწყო, რომ იგი დამოუკიდებლად აღარ ფუნქციონირებდა (Paul 1970:349).

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ განვითარების ისტორიულ ასპექტზე და მხოლოდ იმას დავძენთ, რომ სუფიქსური წარმოქმნა არ არის გარკვეული პრეისტორიული პერიოდის შედეგი, რომელიც რაღაც განსაზღვრულ დროში აუცილებლად უნდა დასრულდეს, არამედ ის წარმოადგენს მუდმივ განმეორებად პროცესს, რომელიც ენის ცოცხალი განვითარების პარალელურად მიმდინარეობს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სუფიქსების წარმოშობა მუდმივ კავშირშია ძველი სუფიქსების გაქრობასთან. შეიძლება ითქვას, რომ სუფიქსი როგორც ასეთი იკარგება, როცა მას აღარა აქვს ახალი ერთეულის შექმნის უნარი. დროდადრო იგრძნობა ტენდენცია, ძლიერ დასუსტებული, სხვადასხვა ბგერითი ფორმით წარმოდგენილი სუფიქსი შეიცვალოს სხვა უფრო შესაფერისი მყარი ფორმით. ზოგჯერ ეს იმ კომპოზიციებსაც ეხება, რომლებიც თავდაპირველად ძველი წარმონაქმნების გვერდით არსებობენ, შემდეგ კი უფრო დიდი სიზუსტის, ძირე-

ულ სიტყვასთან მათი ახლო კავშირის წყალობით სწრაფად ძლიერდებიან, უპირატესობას იძენენ და ძველ წარმონაქმნებს ავიწროებენ. ასე განდევნა მაგალითად, სიტყვამ Schönheit დღეს უკვე მოძველებული ფორმა Schöne, სიტყვამ Finsterkeit ჯერ კიდევ შუა ზემოგერმანულში არსებული diu vinster. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, სად გადის ზღვარი აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდებს შორის. ის, რასაც აღმავლობას ვეძახით, მხოლოდ დაქვეითებით ვლინდება და პირიქით, რაც დაქვეითებას წარმოადგენს, მხოლოდ ამ პროცესის გაგრძელებაა.

შემდგომი საკითხები, რომლებსაც გაკვრით უნდა შევეხოთ, არის აფიქსების ფონემური შედგენილობა და პროდუქტიულობა.

აფიქსები, რომლებიც ერთადერთი ფონემისაგან შედგებიან, იშვიათია და ნაკლებად პროდუქტიული, მაგალითად, პრეფიქსი a- (anormal). უფრო ხშირია ორი ფონემისაგან შედგენილი სუფიქსები: -ig, -isch, -ar, -al, -en, -iv. ისინი, როგორც წესი, თანხმონით მთავრდება.

სუფიქსებს, რომლებიც რამდენიმე ფონემისაგან შედგება, უპირატესად შემდეგი სტრუქტურა აქვთ: თანხმონი + ხმონი + თანხმონი. მაგალითად, -lich, -bar.

პრეფიქსებში, რომლებიც ორი ფონემისაგან შედგება, დომინირებს ტიპი: ხმონი + თანხმონი. მაგალითად, ur-, un-, სამი ფონემისაგან შედგენილ პრეფიქსებში კი: თანხმონი + ხმონი + თანხმონი. მაგალითად, miss-.

არსებობს პროდუქტიული, აქტიური და არაპროდუქტიული აფიქსები. პროდუქტიულია ისეთი სუფიქსები და პრეფიქსები, რომელთა დახმარებით გარკვეულ დროში მასობრივად იქმნება ახალი კონსტრუქციები (რაოდენობრივი კრიტერიუმი). აქტიურია სუფიქსები და პრეფიქსები, რომელთა დახმარებით ჯერაც შესაძლებელია გასაგები წარმონაქმნების შექმნა, მაგრამ მასობრივ წარმოქმნაზე ლაპარაკი არ შეიძლება. არაპროდუქტიულია სუფიქსები და პრეფიქსები, რომელთა საშუალებით უკვე აღარ იქმნება ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები და თუ ისინი ხელოვნურად შეიქმნებიან, ბუნდოვანი და არაადეკვატური იქნებიან (ხარისხობრივი კრიტერიუმი).

თანამედროვე გერმანულ ენაში ზედსართავის სფეროში განსაკუთრებით პროდუქტიულია სუფიქსები: -ig, -isch, -lich. მათი საშუალებით ზედსართავი კონსტრუქციების დაახლოებით 40%-ია წარმოქმნილი. კ. ველმანი მათ ძირითად სუფიქსებს უწოდებს. პროდუქტიულია აგრეთვე სუფიქსები -bar, -haft, -los, -mäßig. პრეფიქსებიდან პროდუქტიულობით გამოირჩევა un-, არაპროდუქტიულობით miss-, ur-. აქტიურ აფიქსებს მიეკუთვნება პრეფიქსი erz-, სუფიქსები -sam, -fach.

3.2. შინაარსზე ორიენტირებული სიტყვაწარმოება

კონკრეტული მასალის ანალიზის დროს მივმართავთ ტრანსფორმაციის, უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების და სხვა სათანადო მეთოდებს, მაგრამ ძირითადად ვეყრდნობით შინაარსზე ორიენტირებული სიტყვაწარმოების პრინციპებსა და აღწერის ხერხებს.

სემანტიკურ-სიტყვაწარმოებითი კატეგორიების გამოყოფის თეორიული საფუძველი მოცემულია ლ. ვაისგერბერის შრომებში (Weisgerber 1964, 1971). იგი გამოყოფს სიტყვათა ნიშებს (Wortnischen) ერთი და იმავე მეტყველების ნაწილის სიტყვაწარმოებით მოდელეებში, შემდეგ კი ამ ნიშებს აერთიანებს სიტყვათა ბლოკებად (Wortstände).

სიტყვათა ნიშა არის ფორმალურად მსგავსი სტრუქტურის მქონე და სემანტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული დერივატების ჯგუფის აღნიშვნა. სიტყვათა ნიშების ფარგლები ძირითადად დერივატებით შემოსაზღვრება და ისინი განიხილება როგორც შინაარსობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფები.

ლ. ვაისგერბერის მიერ აღწერილ be- ნიშაში გერმანული ენის დაახლოებით 730 be- პრეფიქსიანი ზმნაა წარმოდგენილი, რომელთაგან 300-ზე მეტი ზმნა (beflügeln, bewaffnen...) არსებითი სახელისაგან წარმოქმნილი დერივატია, რომლებიც რაღაცით აღჭურვილობას გამოხატავენ; თითქმის 300 (bedenken, bedienen, bedrücken...) არის ზმნისაგან მიღებული დერივატი, რომლებიც რაიმე მოქმედების შესრულებას გამოხატავენ; 40-მდე ზმნა

(befeuchten, befreien) ზედსართავისაგან მიღებული დერივატია, რომლებიც რაიმე მდგომარეობაში გადაყვანას აღნიშნავენ. დანარჩენი დერივატები იზოლირებულად განიხილება (behaupten, bedingen, befehlen), ისინი არ ავლენენ მკაფიო კავშირს ბაზისურ სიტყვასთან, და არც ერთი დასახელებული მნიშვნელობის ფარგლებში არ თავსდებიან (Weisgerber 1971:216).

დერივაციული ტიპების ამგვარი სისტემური დალაგება ნიშნად ფონოლოგიურ მხარეზეა ორიენტირებული, რამდენადაც ამოსავალს ფორმალური ჯგუფები წარმოადგენს, თუმცა საბოლოო მიზანი შინაარსზე ორიენტირებული ანალიზია.

როგორ შეიძლება დერივატების შინაარსის ადეკვატური დადგენა? დერივატი განისაზღვრება ორმაგი მიმართებით: ბაზისთან და წარმოქმნის ხერხთან. დერივატის ორივე ფორმალურ შემადგენელ ნაწილში არის მითითება ორ შინაარსობრივ კომპონენტზე. პირველი მათგანი მოცემულია ბაზისში, მაგალითად, სიტყვაში rötlich შეიძლება rot არა მარტო ფორმალურად, არამედ შინაარსობრივადაც ფუძედ ჩაითვალოს. მეორე მიმართება ვლინდება დერივაციულ აფიქსებში. მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და შესაბამისად, გამოკვეთილი შინაარსი ვერ ექნებათ. მაშინ, როგორ უნდა მონაწილეობდნენ ისინი სიტყვის შინაარსობრივ აგებაში? სწორედ ამის გადაწყვეტაში მდგომარეობს შინაარსზე ორიენტირებული სიტყვაწარმოების ძირითადი ამოცანა. ლ. ვაისგერბერი წერს, რომ დერივაციული აფიქსები გარკვეული ფუნქციების მატარებლები არიან, ისინი ბაზისური სიტყვის შინაარსს უკავშირდებიან და მას გარკვეულწილად ცვლიან. დერივაციული ტიპები სიტყვათა მთელ რიგებს უკავშირდება და ამ სიმრავლის საერთო მახასიათებელი არის შინაარსობრივი კომპონენტი. მაგრამ არ შეიძლება ამ საერთოს ძებნა დერივაციული აფიქსების ფუნქციაში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე დერივაციულ ტიპში შეიძლება შეგვხვდეს განსხვავებული შინაარსის ნიშები, ასევე ისიც, რომ ჟღერადობით განსხვავებულ დერივაციულ ტიპებს ხშირად მსგავსი ფუნქციები აქვთ (Weisgerber 1971:218).

შინაარსობრივი პრობლემების განხილვისათვის უნდა მოიძებნოს შინაარსზე ორიენტირებული ანალიზის მეთოდები. ლ.

ვაისგერბერი განიხილავს -bar და -lich სუფიქსებიან ზედსართაულ დერივატებს. იგი გამოყოფს ორი დერივაციული ტიპის ფარგლებში გარდამავალი ზმნებიდან წარმოქმნილ ზედსართაუებს, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული ქმედებისათვის რაიმე ობიექტის ვარგისიანობას. ლ. ვაისგერბერი მათ -bar და -lich ნიშებს უწოდებს. მაგალითად, brauchbar, denkbar, verkäuflich, begreiflich. ერთი ჯგუფი მხოლოდ -bar სუფიქსიან წარმონაქმნებს მოიცავს: essbar, trinkbar, brennbar, dehnbar. მეორეში მხოლოდ -lich სუფიქსიანი წარმონაქმნები გვხვდება: glaublich, erhältlich, erträglich. დაბოლოს, შესაძლოა ორივე სახის პარადიგლური წარმონაქმნებიც შეგვხვდეს: erklärbar – erklärlich, vernehmbar – vernehmlich; ან კიდევ -bar სუფიქსიან წარმონაქმნებს ნეგატიური -lich სუფიქსიანი კონსტრუქციები შეესაბამებოდეს: vergleichbar – unvergleichlich, ersetzbar – unersetzlich. -bar და -lich სუფიქსების განაწილება გარდამავალ ზმნებში ხდება არა თვითნებურად, არამედ დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ აისახება მოვლენები ზმნაში. -bar სუფიქსიანი წარმონაქმნები მიუთითებენ, რომ ობიექტი ქმედებისათვის დასაშვებია და გამოსადეგი, -lich სუფიქსიანი წარმონაქმნები კი აზუსტებენ, რომ ობიექტი შეიძლება გარკვეული ქმედების შედეგად გახდეს რეალიზებული.

ლ. ვაისგერბერი ასკვნის, რომ ზუსტი შინაარსობრივი განსაზღვრა რამდენიმე განსხვავებული ნიშის ურთიერთქმედებით არის შესაძლებელი. ამ მოვლენას იგი აღნიშნავს ტერმინით „სიტყვათა ბლოკები“ (Wortstände) და მას დერივატების შინაარსობრივი დაჯგუფებისათვის ძირითად ტერმინად მიიხნევს.

სიტყვათა ბლოკის მეთოდური პოზიცია გამომდინარეობს სამი ფაქტორიდან:

1. დერივაციული ტიპები არ წარმოადგენენ შინაარსობრივ ერთიანობებს. წარმოქმნილი სიტყვების შინაარსობრივი განსაზღვრა ამიტომაც არ შეიძლება დაუკავშიროთ დერივაციული აფიქსების ფუნქციებს.

2. ცალკეული დერივაციული ტიპის ფარგლებში ვლინდება ქვეჯგუფები, სიტყვათა ნიშები, რომლებიც მათი ბაზისური სიტყვების ერთნაირ შინაარსობრივ განვრცობას უჩვენებენ.

3. ამგვარი ნიშების უფრო დაწვრილებით დახასიათება შეიძლება სხვა დერივაციული ტიპების შინაარსობრივად მონათესავე ნიშებით, კერძოდ კი ისე, რომ მათ არ ჰქონდეთ ერთი და იმავე მნიშვნელობა, არამედ ისინი წარმოადგენდნენ ერთი ხედვის (Sehweise) მქონე, ერთმანეთთან დაკავშირებულ ვარიანტებს. ეს ხედვა მოიცავს რამდენიმე დერივაციული ტიპის ფორმალურ გამოხატულებას. სიტყვათა ბლოკი არის სისტემური სფერო, რომელიც წარმოადგენს ერთიანი ხედვის რამდენიმე განსხვავებული რეალიზების ურთიერთქმედებას. მაშასადამე, სიტყვათა ბლოკის ცნება სიტყვაწარმოებაში შეესაბამება სიტყვათა ველის გაგებას მორფოლოგიაში (Weisgerber 1971:223).

სიტყვათა ბლოკების შესახებ მოძღვრება გვეხმარება დაკვირვებების სისტემურად ჩატარებაში. სიტყვათა ბლოკების კვლევა ძირითადად დერივატებზეა მიმართული. ლ. ვაისგერბერს აქაც მაგალითად მოჰყავს *bewaffnen* ტიპის ზმნები, ე.ი. არსებითი სახელისაგან წარმოქმნილი ორნატიული ზმნები, რომელთა შინაარსია *jemand mit dem im substantivischen Grundwort Genannten versehen* („ვიღაცის აღჭურვა სუბსტანტიურ ბაზისურ სიტყვაში მოცემული რაიმით“): *bewaffnen* = *mit Waffen ausstatten*.

ამგვარ წარმონაქმნებს *be-* ნიშის ზმნები ქმნიან: *beflügeln*, *bebildern*, *beschränken*.... მაგრამ ეს არ არის ორნატიული ზმნების მიღების ერთადერთი საშუალება. ორნატიული ზმნები სხვა გზებითაც მიიღება. კერძოდ, არსებობს ზმნები *-igen* სუფიქსით: *bändigen* = *mit Banden versehen*; ზმნები *be-* პრეფიქსითა და *-igen* სუფიქსით: *benachrichtigen* = *mit Nachricht versehen*; ზმნები *ver-* პრეფიქსით: *verglasen*, *vergolden*; ზმნები *ein-* პრეფიქსით: *einfetten*; ზმნები *nasესხები* სუფიქსით *-ieren*, რომლებიც სშირად იმავე მნიშვნელობით გვხვდება: *uniformieren* = *mit einer Uniform ausstatten* და სხვა. აქ დასახელებულია დერივაციული ტიპების ნიშები, რომლებიც მოიცავენ კიდევ სხვა განსხვავებული ფუნქციის ნიშებს: *be-* პრეფიქსიან ზმნებში ორნატიულ ნიშასთან ერთად გვაქვს პერფექტული (*besteigen*) და ფაქტიტური (*befreien*) ნიშები, *-igen* სუფიქსიან ზმნებში ორნატიულის გვერდით გვაქვს ასევე ბევრი ფაქტიტური ნიშა: *reinigen*, *besänftigen*; *-ieren* სუფიქსიც მრავალმხრივი გამოყენებით ხასიათდება: *halbieren*, *rasieren* და ა. შ.

ყველა ტიპის ფარგლებში არის ერთი და იმავე შინაარსის მაგალითები: bewaffnen და uniformieren. მეორე მხრივ, შეინიშნება განსხვავებები მთლიან შემადგენლობაში. როცა ორნატიულ ზმნებზე ვლაპარაკობთ, გამოიყოფა „რადაცით აღჭურვილობის“ სხვადასხვა სახეები: აღჭურვა, მომარაგება, გადახრა, მიდრეკილება, ზემოქმედებით მიღწევა: bewaffnen – jemanden mit Waffen ausstatten; kleiden – mit Kleidern versehen; beneiden – einem Neid zuwenden; ängstigen – in einer Angst hervorrufen; quälen – in einem Qual erwirken.

ამრიგად, სიტყვათა ბლოკი აგებულია წარმოქმნის განსხვავებულ ხერხებზე, რომლებიც ეფუძნება სხვადასხვა ფორმალურ გამოსატყულებას და ამავდროულად ერთი ძირითადი ხედვის ვარიანტებს მოიცავს. ცალკეულ სიტყვათა ბლოკში შეიძლება შედიოდეს სიტყვები, რომლებიც განსხვავებული დერივაციული საშუალებებით არიან წარმოქმნილი, ე.ი. სხვადასხვა სიტყვათა ნიშებს წარმოადგენენ, და პირიქით, ერთი და იმავე დერივაციული ტიპი ანუ სიტყვათა ნიშა შეიძლება მონაწილეობდეს სხვადასხვა სიტყვათა ბლოკში.

ვიდრე უშუალოდ შემდგომ განსახილველ საკითხზე გადავიდოდეთ, გვინდა ერთ ტერმინოლოგიურ საკითხს შევეხოთ. ტერმინი „ნიშა“ აღნიშნავს ზოგადად როგორც განსაზღვრულ მაკროსტრუქტურას, ისე მასში შემავალ მიკროსტრუქტურებს. ეს შეიძლება რამდენადმე გამართლებული იყოს, რადგან ზოგად ნიშაში შემავალი კონკრეტული ნიშების აღსანიშნავად გამოიყენება განსაზღვრებები (ორნატიული ნიშა, ტემპორალური ნიშა და ა.შ.), რომლებიც აკონკრეტებენ ნიშის ფუნქციას. მაგრამ უმჯობესია თავი ავარიდოთ ტერმინის ომონიმურ ხმარებას და იერარქიული თანამიმდევრობის მკაფიოდ გამოსახატავად ზოგად ნიშაში შემავალ ქვესახეობებს სემანტები ვუწოდოთ.

3.3. ზედსართაული სუფიქსური დერივატი. ბერმანული სუფიქსები

სუფიქსური დერივატი არის მორფემული კონსტრუქცია, რომელიც შედგება ბაზისური სიტყვისა და დერივაციული სუფიქსისაგან.

ზედსართაული სუფიქსები მათი წარმომავლობის მიხედვით იყოფა გერმანულ და ნასესხებ ანუ უცხოურ სუფიქსებად. გერმანული სუფიქსებია: -bar, -en, -er, -fach, -haft, -ig, -isch, -lich, -los, -mäßig, -sam. სუფიქსურ დერივატებში ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს არსებითი სახელი (Riese→riesig), ზედსართავი (rund→rundlich), ზმნიზედა (damals→damalig), ზმნა (wahrnehmen→wahrnehmbar).

დერივატის ლექსიკური მნიშვნელობა არსებითად განისაზღვრება ბაზისით. ზედსართაული სუფიქსი კი უმეტესად დერივატის გრამატიკულ მნიშვნელობას განაპირობებს. ზედსართავის სფეროში ეს ეხება მოცემული ლექსემის ზედსართავად მიხნევას, მოტივირებულ წარმონაქმნებში კი – ზედსართავის სპეციფიკურ კლასთა აღნიშვნებს.

ბაზისი შეიძლება დერივატში მეტ-ნაკლებად შეცვლილი ფორმით შეგვხვდეს: böse→boshaft, schneiden→schnittig, gehen→gangbar.

გადავიდეთ კონკრეტული ნიშების დახასიათებაზე.

3.3.1. -bar 60შა

სუფიქსი -bar წარმოიშვა ძველი ზემოგერმანული ზმნური ზედსართავიდან *beran* „tragen“- *bāri*, შუა ზემოგერმანული -*bære* (Wilmanns 1899:496). იგი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული სუფიქსია ზედსართავის სფეროში. 1981 წლის სიტყვების შესწავლისას მოცემული დახასიათება, რომლის მიხედვითაც -bar „წლის ყველაზე პროდუქტიულ სუფიქსად“ ითვლება (Carstensen 1982:5), დღესაც ძალაშია. იგი უკავშირდება როგორც ზმნურ ბაზისს, ასევე არსებით სახელსა და ზედსართავს.

1. ზმნური ბაზისი

გერმანულში -bar სუფიქსი ძირითადად ზმნებს უკავშირდება. ზმნური ბაზისი შეიძლება იყოს სიმძლევის ან კონსტრუქცია (სუფიქსური ან პრეფიქსული დერივატი). მოდელები:

$V \cdot D(\text{bar})$ – brauchbar, singbar, trinkbar, waschbar, drehbar, rührbar, schlachtbar, faltbar.

$V(PV) \cdot D(\text{bar})$ – auffindbar, entzündbar, bezweifelbar, zerlegbar, aufklappbar, ermittelbar, auffangbar.

$V(Adv) \cdot D(\text{bar})$ – auseinanderschließbar, zusammenklappbar, zusammenrollbar, auseinandernehmbar.

$V(V)D \cdot D(\text{bar})$ – abstrahierbar, konstruierbar, definierbar, kontrollierbar, diskutierbar, flektierbar, infizierbar, explodierbar, deklinierbar, analysierbar.

ge- პრეფიქსიანი ზმნები ნაკლებად დაირთავენ -bar სუფიქსს: genießbar, gewinnbar. gebrauchen-თან გვაქვს brauchbar (და არა Gebrauchbar); gewahren-თან – wahrnehmbar. ხოლო ზმნებს gedenken, gelingen, gebühren საერთოდ არა აქვთ -bar სუფიქსიანი დერივატები.

-bar სუფიქსიანი ზედსართავებს თითქმის ყოველთვის პასიური მნიშვნელობა აქვთ. ისინი გამოხატავენ რაიმე საგნის გამოსადეგობას და გამოყენებადობას: die Geeignetheit und Verwendbarkeit als Gegenstand eines Tuns. მაგალითად, brauchbar = was gebraucht werden kann („გამოყენებადი = რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას“). ასეთივეა: essbar, messbar, trinkbar, dehnbar და ა.შ. ეს არის -bar სუფიქსიანი წარმონაქმნების ძირითადი სემანტიკა. -bar სუფიქსიანი კონსტრუქციების შინაარსი ერთიან შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ განსხვავება მაინც აღინიშნება იმის მიხედვით, ბაზისური ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი.

-bar სუფიქსი ძირითადად გარდამავალ ზმნებს უკავშირდება: machbar, handhabbar, nachvollziehbar, durchschaubar, erfahrbar, abrechenbar, verfügbar. ამასთან, დერივატი შეიცავს ზმნურ ფორმას პასიურ-პოტენციური მნიშვნელობით. პასიურ მნიშვნელობასთან ერთად ხშირად შეინიშნება მოდალური ნიუანსი können

მოდალური ზმნის გაგებით. ზმნით აღნიშნული მოქმედება შეიძლება შესრულდეს გარკვეული ობიექტის მიმართ:

essbare Früchte – die Früchte können gegessen werden;

heilbare Krankheit – die Krankheit kann geheilt werden.

ასეთივეა: benutzbar, deutbar, erfassbar, ausführbar, befahrbar, entzifferbar, herstellbar, bezwingbar, überbrückbar და სხვ. სწორედ **პასიური შესაძლებლობის სეგმენტს** უჭირავს ცენტრალური ადგილი -bar ნიშაში. ამგვარი დერივატები საშუალებას იძლევიან ზმნური წარმონაქმნი სუბსტანტიურში გადავიდეს და სახელის ფორმით გადმოიცეს:

machen – machbar – Machbarkeit; verwerten – verwertbar – Verwertbarkeit.

-bar სუფიქსიანი დერივატები გამოხატავენ ქვემდებარე-შემასმენლის მიმართებას. ცალკე აღებულ, იზოლირებულ უჩვეულო წარმონაქმნებიც კი გასაგები ხდება კონტექსტში. მაგალითად, tanzbar. Wie tanzbar ist unsere Tanzmusik? ზოგ შემთხვევაში ისინი იძლევიან ზუსტ სემანტიკურ შეფასებას „კარგის“ ან „იოლის“ გაგებით: (gut) lesbares Buch – „წიგნი, რომელიც კარგად იკითხება“ (სინონიმურია lesenswert). ასეთივეა: (leicht) beeinflussbarer Mensch; (gut) hörbare Töne, (leicht) biegbares Material.

სმირია პარალელური -lich სუფიქსიანი წარმონაქმნები, რომლებშიც შეფასების ნიუანსი უფრო მეტად არის გამოხატული: erklärbar – (leicht) erklärlich, begreifbar – (leicht) begreiflich, bewegbar – (leicht) beweglich. პასიურ-მოდალური მნიშვნელობა იმდენად ტიპურია, რომ იგი -bar სუფიქსიანი წარმონაქმნების 93%-ს შეადგენს.

საპირისპიროდ ამისა, გარდაუვალი ზმნებისაგან წარმოქმნილი დერივატების მოდელი არაპროდუქტიულია. სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობაა „შესაძლებლობა“, „მოტენციურობა“. ზმნის პასიური ფორმით ტრანსფორმაცია შეუძლებელია: brennbarer Stoff – der Stoff kann brennen. ასეთივეა: gerinnbare Flüssigkeit, streitbare Person. ამგვარი დერივატების უარყოფითი ვარიანტები un- პრეფიქსით წარმოიქმნება: unentrinnbares Schicksal – Schicksal, dem man nicht entrinnen kann; unnahbare Person – Person, der man sich nicht nähern kann. აღსანიშნავია ერთეულოვანი ლექსიკალიზებული წარმონაქმნები, რომელთა დიდი ნაწილი მართვა-

გამგებლობის აღმნიშვნელ სპეციალურ კონტექსტში გამოიყენება: alle verfügbaren Mittel – Mittel, über die verfügt werden kann. ასეთივეა: eine unkündbare Angestellte, mein unverzichtbares Recht, ein unfehlbarer Rat.

-bar ნიშაში არსებობს კონსტრუქციები, რომლებშიც მოდალური კომპონენტი ყოველთვის მოდალური ზმნა können კი არა, არამედ müssen არის. ამ შემთხვევაში გამოხატულია არა შესაძლებლობა, არამედ საჭიროება, აუცილებლობა. ეს კონსტრუქციები ქმნიან აუცილებლობის სეგმენტს: Er ist für Schäden haftbar – muss haften (Fleischer/Barz 1995:253). ამ მოდელით დღეს ახალი დერივატები აღარ იქმნება.

ნამდვილი რეფლექსური ზმნებისა (sich beeilen, sich begeben, sich besinnen, sich schämen) და გარდაუვალი დურატიული ზმნებისაგან (blühen, schlafen, liegen, hoffen, helfen) -bar სუფიქსიანი დერივატები არ წარმოიქმნება.

2. სუბსტანტიური ბაზისი

დენომინალური დერივატების მოდელი $S \cdot D(bar)$ დღეს თითქმის არაპროდუქტიულია. გამოიყოფა: მოვალეობის სეგმენტი: akzisbar – Akzise müssen gezahlt werden. ასეთივეა: steuerbar, zollbar, zinsbar. დანიშნულების სეგმენტი – jagdbare Tiere, schiffbare Flüsse, gangbarer Weg, anflugbare Orte. უნარის, შესაძლებლობის გამომხატველი სეგმენტი: fruchtbar – fähig, Frucht hervorzubringen. ასეთივეა: flugbare Vögel, sichtbare Erfolge, milchbare Kühe, heubare Felder. იდიომატიზებულია დერივატები: furchtbar, schandbar, mittelbar, kostbar, wunderbar.

3. ზედსართაული ბაზისი

ზედსართაული ბაზისი ძალიან იშვიათია. გვხვდება იდიომატიზებული წარმონაქმნები: offenbar, sonderbar. $A \cdot D(bar)$ მოდელის კონსტრუქციები kundbar და lautbar თითქმის არ განსხვავდებიან მარტივი ზედსართაულებისგან kund და laut, მაგრამ მაინც შეიცავენ გაძლიერების სემას. ამგვარად, -bar ნიშაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი სიგმენტები:

1. პასიური შესაძლებლობის სეგმენტი (essbar, heilbar).

2. აუცილებლობის სეგმენტი (haftbar, verwesbar).
3. მოვალეობის სეგმენტი (akzisbar, zollbar).
4. დანიშნულების სეგმენტი (jagdbar, schiffbar).
5. უნარის, შესაძლებლობის სეგმენტი (flugbar, sichtbar).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პასიურ-მოდალური მნიშვნელობის -bar სუფიქსიან ზედსართავეებს დანიშნულების ზედსართავეებსაც უწოდებენ. ისინი მიუთითებენ, რისთვის არის ვარგისი, გამოსადეგი მიმართებით სიტყვაში მოცემული სიდიდე, რა მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მის მიმართ: *annehmbare Lösung – eine Lösung, die man annehmen kann; die sich annehmen lässt; die angenommen werden kann*. ამიტომ შეიძლება I და IV სეგმენტები გაგვეერთიანებინა ერთ ერთეულად. მაგრამ რადგან მათში მაინც იგრძნობა განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები, მაგალითად, *heilbare Krankheit – ავადმყოფობა, რომელიც შეიძლება განიკურნოს, რომელიც ექვემდებარება განკურნებას, ე.ი. რომელიც წარმოადგენს მოქმედების საგანს*, და *schiffbarer Fluss – მდინარე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაოსნობისათვის, რომელიც წარმოადგენს ნაოსნობის საშუალებას*, ამიტომ შესაძლებლად მივიჩნიეთ -bar სუფიქსისთვის დამახასიათებელი ამ ორი სემის – **ზემოქმედების საგნისა და ზემოქმედების საშუალების** – ცალკე სეგმენტებად გამოყოფა.

-bar ნიშა					
სეგმენტი					სემა
1	2	3	4	5	1. პასიური შესაძლებლობა 2. აუცილებლობა 3. მოვალეობა 4. დანიშნულება 5. უნარი, შესაძლებლობა

მსგავსი სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ ყველა ნიშა.

3.3.2. -en ნიშნის

-en სუფიქსი მომდინარეობს შუა ზემოვერმანულიდან -in (Fleischer 1983:254). იგი მხოლოდ ნივთიერებათა და მცენარეთა აღმნიშვნელ არსებით სახელებს უკავშირდება. -en სუფიქსიანი დერივატები აღნიშნავენ, რომ სუბსტანტიური მიმართებითი სიტყვით გამოხატული საგანი დასახელებული ნივთიერებისაგან ან მასალისაგან შედგება ან მისგან არის დამზადებული. მოდელი $S \cdot D(en)$: graniten – aus Granit; wollen – aus Wolle. ასეთივეა: seiden, golden, leinen, metallen, samten, papieren, eichen, tannen, buchen.

ამგვარი დერივატები **ნივთიერებისა და მასალის აღმნიშვნელ სეგმენტს** ქმნიან. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს სუბსტანტიური კომპოზიტი: $S(S_1S_2) \cdot D(en)$: elfenbeinern, hirschledern, bocksledern, schweinsledern, kunstledern.

თუ ბაზისური სიტყვა -er მორფემაზე მთავრდება, მაშინ მას სუფიქსად მხოლოდ -n თანხმობანი დაემატება: kupfern, silbern, ledern. ამ ფორმების ანალოგიით -ern მორფემა სუფიქსურ ვარიანტად ჩამოყალიბდა და ისეთ ბაზისურ სიტყვებთანაც გვხვდება, რომლებიც -er-ზე არ მთავრდებიან. მათ ხშირად უმლაუტიც ახლავს: steinern, stählern, bleiern, gläsern, hölzern, knöchern, brettern, blechern, zinnern.

-ern ვარიანტმა ნაწილობრივ განდევნა ძველი -en სუფიქსი. (მე-17 საუკუნემდე ჯერაც არსებობდა ფორმები: hölzen, hülzen). ამან შესაძლებელი გახადა ზმნურ ფორმებთან ომონიმიის თავიდან აცილება: tönen – tönern, stählen – stählern, blechen – blechern, hörnen – hörnern (Fleischer/Barz 1995:255).

-en ნიშის ზედსართავეები არა მარტო მასალის აღსანიშნავად გამოიყენება, არამედ ისინი გადატანითი მნიშვნელობითაც გვხვდება მეტაფორების სახით:

ein goldener Ring

ოქროს ბეჭედი

eine hölzerne Bank

ხის სკამი

eine eiserne Rüstung

რკინის აღჭურვილობა

ein goldenes Gemüt

კარგი (ოქროს) ხასიათი

eine hölzerne Ausdrucksweise

ლაპარაკის მოუქნელი მანერა

ein eiserner Wille

რკინისებური ნებისყოფა

eine steinerne Bank ein steinernes Herz
 ქვის სკამი ქვის გული

-en სუფიქსიან მასალის აღმნიშვნელ დერივატებს უპირის-პირდება -ig სუფიქსიანი შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები:

seidenes Kleid (Kleid aus Seide)	seidiges Haar (Haar wie Seide)
აბრეშუმის კაბა	აბრეშუმივით თმა
silberner Löffel	silbriger Tau
ვერცხლის კოვზი	ვერცხლისფერი ცვარი
gläserne Frau	glasiger Blick
შუშის ქალი	გაყინული მზერა

არსებობს ნივთიერებათა სახელები, რომლებიც არ აწარმოებენ -en სუფიქსიან დერივატებს. ამ შემთხვევაში მასალის გამოსახატავად გამოიყენება კომპოზიტები: Eisblock – Block aus Eis.

ასეთივე წარმონაქმნებია: Sandstein, Pappschachtel, Lehmklöß, Betonpfeiler. -en სუფიქსიანი დერივატების არსებობის შემთხვევაშიც კი ზოგჯერ მაინც კომპოზიტებს ენიჭება უპირატესობა: Papiertüte და არა papierene Tüte; Stahlfeder და არა stählerne Feder; Bretterzaun და არა bretterner Zaun.

ამგვარად, -en ნიშა წარმოდგენილია **მასალის აღმნიშვნელი სეგმენტით** (golden, silbern). ერთსემიან ნიშებში სეგმენტი და ნიშა ფარავს ერთმანეთს.

3.3.3. -er ნიშა

-er სუფიქსი ძირითადად გამოიყენება გეოგრაფიული სახელებიდან ზედსართავების მისაღებად, რომლებიც ქმნიან **წარმომავლობის სეგმენტს**: die Leipziger Messe, der Rostocker Hafen, die Lüneburger Heide, der Münchner Himmel, der Kölner Dom, das Berliner Ensemble, die Mecklenburger Landschaft, Frankfurter Würstchen, Lausitzer Eigenheiten, Schweizer Städte, Potsdamer Konferenz, Berliner Bevölkerung.

ამგვარი დერივატები ინვარიანტულია, ე.ი. არ იცვლება სქესის, ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. ისინი ატრიბუტულად გამოიყენება და ყოველთვის დიდი ასოთი იწერება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონსტრუქციები ზედსართავებად განიხილება. -er ამ შემთხვევაში ზედსართავი სუფიქსია (Helbig/Buscha 1998:315). თუმცა იგივე სუფიქსი შეიძლება სუბსტანტიური იყოს, რომელიც ქვეყნის მკვიდრის აღმნიშვნელ დერივატებში გამოიყენება: ein gebürtiger Berliner. როგორც ვხედავთ, ფორმით იდენტური კონსტრუქციები ერთმანეთისაგან ფუნქციით განსხვავდებიან: ein gebürtiger Berliner, die Berliner Einwohnerschaft. პირველ შემთხვევაში Berliner არსებითი სახელია, ხოლო მეორეში – ზედსართავი.

მაგრამ -er ნიშაში არსებობს ზედსართავი დერივატები, რომელთაც არ მოეპოვებათ შესატყვისი არსებითი სახელი, როგორც ქვეყნის მკვიდრის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგალითად, Teutoburger Wald (და არა *der, die Teutoburger); Harzer Käse (და არა *Harzer), Böhmer Wald (ქვეყნის მკვიდრის აღმნიშვნელი სიტყვაა der Böhme). მეორე მხრივ, არსებითი სახელით გამოხატულ ქვეყნის მკვიდრთა აღნიშვნას ყოველთვის არ მოეპოვება შესატყვისი ომონიმური ზედსართავი. მაგალითად, შესიტყვების Schweizer Geschäftsfreund გვერდით არ არსებობს *ein Cherusker Dorf. ამ შემთხვევაში გამოიყენება სუბსტანტიური კომპოზიტი Cheruskerdorf ან კიდევ შესიტყვება Dorf der Cherusker.

-er სუფიქსიანი დერივატები ძველი -isch სუფიქსიანი კონსტრუქციების პარალელურად წარმოიქმნა. -er სუფიქსის მომძლავრების ტენდენცია მე-15 საუკუნიდან იგრძნობა (1483 წელს დაფიქსირებულია leipczscher – „Leipziger“ Jarmarckt, 1591 წელს – Deß Mansfeldischen Bergkwerchs, 1592 წელს – Die Dreßdenische und Lausitzer Heide (Fleischer/Barz 1995:240). დღეს ერთმანეთის პარალელურად, ერთი და იმავე ფუნქციით ხშირად გვხვდება -er და -isch სუფიქსები, მაგრამ მათი გამოყენებისას გარკვეული დიფერენციაცია მაინც იგრძნობა: -er სუფიქსი უფრო მეტად გამოიყენება გეოგრაფიულ დასახელებებთან (Schweizer Städte) და არა პიროვნებათა გვარებთან, განსხვავებით -isch სუფიქსისაგან. უნდა განვასხვაოთ: Altenberger Sprungschanze – ალტენბერგის (ად-

გილის დასახელება) ტრამპლინი. Altenbergsche Prosaskizzen – ალტენბერგის (გვარი) პროზაული ესკიზები.

-er სუფიქსიანი კონსტრუქციები მხოლოდ ატრიბუტულად გამოიყენება, -isch სუფიქსიანები კი – ადვერბიალურადაც: Lausitzer Eigenheiten; Er spricht mecklenburgisch; mecklenburgische Küste.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, -er სუფიქსი გამოიყენება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ზედსართავების მისაღებად: die neunziger Jahre, die fünfziger Jahre. ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ათწლეულებს აღნიშნავენ და ამდენად, ბაზისური სიტყვა არის დამრგვალებული რიცხვითი სახელი. -er ნიშაში შემავალი ათწლეულთა აღნიშვნები შეიძლება **ტემპორალურ სეგმენტად** გამოვეყნოთ, რადგან ისინი ასე თუ ისე მაინც დროს, წლებს უკავშირდება. გვხვდება -er სუფიქსიანი გაარსებითებული ზედსართაული დერივატებიც: ein Herr in den Sechzigern; eine Dame Ende der Zwanziger; Er war ein Dreißiger.

ამგვარად, -er ნიშაში შეიძლება გამოვეყნოთ შემდეგი სეგმენტები:

1. წარმომავლობის სეგმენტი (die Leipziger Messe, der Kölner Dom).
2. ტემპორალური სეგმენტი (die vierziger Jahre, ein Herr in den Sechzigern).

3.3.4. -fach 60შა

-fach სუფიქსი მომდინარეობს შუა ზემოგერმანულიდან vach „კედლის ნაწილი“, გადატანითი მნიშვნელობით „დროის მონაკვეთი“ (Fleischer/Barz 1995:255). იგი აქტიურ სუფიქსთა რიცხვს მიეკუთვნება. -fach სუფიქსი უკავშირდება რაოდენობით რიცხვით სახელებს და გამოხატავს ბაზისურ სიტყვაში დასახელებულ რაოდენობათა ჯერს ანუ რამდენჯერ სრულდება მიმართებითი სიტყვით აღნიშნული მოქმედება. იგი მრავალჯერადობის მაჩვენებელი სუფიქსია: ein dreifacher Salto; der dreifache Olympiasieger; sich mehrfach entschuldigen.

გ. ჰელბიგი/ი. ბუშა -fach სუფიქსთან ერთად განიხილავენ განმეორების სუფიქსს -malig, რომელიც რაოდენობით რიცხვით სახელს დაერთვის: zweimalig, viermalig; -fach სუფიქსიანი დერივატები გამოიყენება როგორც ატრიბუტულად, ასევე ადვერბიალურად, ხოლო -malig სუფიქსიანი წარმონაქმნები – მხოლოდ ატრიბუტულად (Helbig/Buscha 1998:332).

-fach და -malig სუფიქსებს შორის სემანტიკური სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ -malig სუფიქსიანი დერივატები დროით თანამიმდევრობას გამოხატავენ, (ე.ი. გამოიყენებიან ერთიმეორის მიყოლებით მომხდარი მოქმედებების აღსანიშნავად), ხოლო -fach სუფიქსიან წარმონაქმნებთან დაპარაკია არა დროით თანამიმდევრობაზე, არამედ პარალელურ ქმედებებზე: der dreimalige Olympiasieger, der dreifache Olympiasieger. der dreimalige Olympiasieger არის სპორტსმენი, რომელმაც სამ ოლიმპიადაზე ერთ დისციპლინაში გაიმარჯვა, ხოლო der dreifache Olympiasieger არის სპორტსმენი, რომელმაც ერთ ოლიმპიადაზე სამ დისციპლინაში გაიმარჯვა.

ამგვარად, -fach ნიშის ზედსართავეები წარმოდგენილია **მრავალჯერადობის სემით**: mehrfach, dreifach.

3.3.5. -haft 60შა

-haft სუფიქსი მომდინარეობს ძველი ზემოგერმანულიდან haft „შეკრული“, „შებოჭილი“. შუა ზემოგერმანული -haft (Wilmanns 1899:501). იგი ძირითადად გამოიყენება არსებითი სახელიდან ზედსართავის მისაღებად. -haft სუფიქსიანი დერივატებს ძირითადად სუბსტანტიური ბაზისი აქვთ, შედარებით ნაკლებად გვხვდება ზმნური და ზედსართაული ბაზისი.

1. სუბსტანტიური ბაზისი

ბაზისური არსებითი სახელი შეიძლება იყოს სიმპლექსი ან კონსტრუქცია (კომპოზიტი, სუფიქსური დერივატი). მოდელები:

$S \cdot D(haft)$ – leibhaft, romanhaft, bildhaft, angsthaft, liedhaft, namhaft, traumhaft, schuldhaft, schmuckhaft, nebelhaft, prunkhaft, engelhaft, zeithaft, kindhaft, jugendhaft, tugendhaft.

$S(S_1S_2) \cdot D(haft)$ – schulmeisterhaft, eulenspiegelhaft, bruchstückhaft.

$S(AD) \cdot D(haft)$ – junglinghaft, frühlinghaft, schicksalhaft.

$S(VD) \cdot D(haft)$ – streberhaft, schneiderhaft, dulderhaft, spielerhaft.

-haft სუფიქსიან წარმონაქმნებში ძალიან ხშირად გვხვდება მაერთებელი ელემენტი -(e)n, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაზისური არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს -(e)n სუფიქსით აწარმოებს: bubenhaft, feenhaft, heldenhaft, knabenhaft, mimosenhaft, messenhaft, bienenhaft.

თუ ბაზისური არსებითი სახელი -e ხმოვანზე მთავრდება, იგი -haft სუფიქსის წინ იკვეცება: Erde – erdhaft, Sünde – sündhaft, Name – namhaft; მაგრამ: Nomade – nomadenhaft, Junge – jungenhaft. გამონაკლისს წარმოადგენს Genre – genrehaft. ზოგჯერ მაერთებელ ელემენტად გვხვდება -er- მორფემა: gespensterhaft, weiberhaft, თუმცა მის გვერდით გვაქვს ზედსართავი weibhaft.

-haft ნიშაში გამოიყოფა **შედარების სეგმენტი**. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს პიროვნებათა ან ცხოველთა აღნიშვნა: heldenhaft – in der Art des Helden. ასეთივეა: damenhaft, schurkenhaft, beamtenhaft, schülerhaft, bauernhaft, frauenhaft, eselhaft, grillenhaft, löwenhaft, katzenhaft, sauhaft, papageienhaft, hasenhaft, bärenhaft, schlangenhaft, oxsenhaft. შედარების გამომხატველ დერივატებს ჩვენ ცალკე საგანგებოდ განვიხილავთ.

-haft სუფიქსიან დერივატებში, რომელთა ბაზისი პიროვნებათა აღნიშვნებს არ წარმოადგენს, გამოიყოფა **ორნატიული სეგმენტი**: skrupelhaft – mit Skrupeln behaftet. ასეთივეა: fehlerhaft, schamhaft, krampfhaft, fieberhaft, schwunghaft, prunkhaft, lückenhaft, pomphaft.

სინონიმური მნიშვნელობით გვხვდება -voll და -reich სუფიქსოიდიანი კონსტრუქციები: angsthaft – angstvoll, prunkhaft – prunkvoll, sieghaft – siegreich.

უნდა ითქვას, რომ შედარების და ორნატიული სეგმენტები ზოგჯერ ძნელი გასამიჯნია. მაგალითად, სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია zauberhaft შეიძლება გაეიგოს, როგორც „in der Art eines Zaubers“ („ჯადოქრული“, „როგორც ჯადოქარი“) და „mit Zauber“ („ჯადოსნური ძალის მქონე“). ასეთივე წარმონაქმნია mythenhaft.

-haft ნიშაში გვხვდება იდიომატიზებული წარმონაქმნები: fabelhaft, teilhaft, erdhaft, gewissenhaft.

2. ზმნური ბაზისი

$V \cdot D(haft)$ მოდელის წარმონაქმნები თანამედროვე გარმანულ ენაში შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვება. ისინი ძირითადად გამოხატავენ ზმნით აღნიშნული მოქმედებისაკენ მიდრეკილებას, ამიტომ გამოეყოფთ **მიდრეკილების სეგმენტს**: naschhafter Mensch – ein Mensch, der gern nascht. ასეთივეა: flatterhaft, lehrhaft, schwatzhaft, wehrhaft, zaghaft.

გვხვდება ზმნურ ბაზისიანი იდიომატიზებული კონსტრუქციები: lebhaft, wohnhaft.

3. ზედსართაული ბაზისი

-haft ნიშაში კიდევ უფრო იშვიათია ზედსართაულ ბაზისიანი დერივატები. მოდელი $A \cdot D(haft)$ – krankhaft, ernsthaft, boshaft, wahrhaft. ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ზედსართაული ბაზისით გამოხატული თვისებისაკენ მიდრეკილებას აღნიშნავენ და მიდრეკილების სეგმენტში ერთიანდებიან.

ამგვარად, -haft ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. შედარების სეგმენტი (heldenhaft, bärenhaft).
2. ორნატიული სეგმენტი (fehlerhaft, fieberhaft).
3. მიდრეკილების სეგმენტი (naschhaft, boshaft).

3.3.6. -ig 60შპ

სუფიქსი -ig ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ზედსართაული სუფიქსია. იგი მომდინარეობს ძველი ზემოგერმანულიდან -ag, ig, īg. შუა ზემოგერმანული -ec, ic (Wilmanns 1899:455). -ig სუფიქსმა თითქმის მთლიანად განდევნა ზედსართაული სუფიქსი -ich. ამჟამად მხოლოდ გადმონაშთის სახით შემოგერჩა ზედსართავი töricht. ადრეულ ახალ ზემოგერმანულში გავრცელებული წარმონაქმნები lockicht, felsicht თანამედროვე გერმანულში შეცვალა დერივატებმა lockig, felsig. ამ პროცესს მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებს:

I. -icht და -ig სუფიქსების ბგერითი სიახლოვე, რომელიც გამოხატულია i ხმოვნითა და ფრიკატული თანხმოვნით.

II. უმნიშვნელო სემანტიკურ-ფუნქციონალური განსხვავება -icht და -ig სუფიქსებიან მოდელებს შორის. -ig სუფიქსიან მოდელებს ორნატიულის გარდა კომპარატიული მნიშვნელობაც აქვთ, რაც ასევე დამახასიათებელია -icht სუფიქსიანი სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვის.

III. ომონიმია სუბსტანტიურ სუფიქსთან -icht, რომელიც თავის მხრივ განვითარდა ძველი ზემოგერმანულიდან -ahi (Kehricht, Spülicht, Tännlicht).

-ig სუფიქსი უკავშირდება არსებით სახელს (Wand – wandig), ზმნას (glauben – gläubig), ზედსართავს (voll – völlig) და ზმნიზედას (jetzt – jetzig).

1. სუბსტანტიური ბაზისი

ბაზისური არსებითი სახელი შეიძლება იყოს სიმკვლექსიან კონსტრუქცია (კომპოზიტი). მოდელები:

$S \cdot D(ig)$ – staubig, kugelig, haarig, knochig, milchig, fleischig, bleilig.

$S(S_1S_2) \cdot D(ig)$ – glatzköpfig, ehrgeizig, kaufkräftig, schiffbrüchig, schlafmützig.

$S(AS_1) \cdot D(ig)$ – langweilig, leichtsinnig, eigennützig, eigensinnig, dickköpfig, großmäulig, plattfüßig.

ბაზისური სიტყვის ბოლოკიდური უმახვილო -e ხშირად იკვეცება: Erde – erdig, Flocke – flockig, Rose – rosig; ხოლო თუ ბაზისის ბოლოკიდური ხმოვანი მახვილიანია, მაშინ იგი შენარჩუნებულია: schneelig, geleeig. ჩვეულებრივ შენარჩუნებულია ბოლოკიდური დიფთონგიც: reuig, tauig, breiig, böig, bleiig.

ხშირად გვხვდება უმლაუტიანი დერივატები, რომლებიც უმლაუტს ძირითადად მაშინ დაირთავენ, როცა ბაზისურ სიტყვას მრავლობით რიცხვში უმლაუტი ახასიათებს: andächtig, bärtig, mächtig, kräftig, körnig, anständig, flüchtig. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა ბაზისურ სიტყვას მრავლობით რიცხვში უმლაუტი აქვს, მაგრამ მთლიანი დერივატი უმლაუტს არ დაირთავს: duftig, glasig, waldig, spaßig.

ზოგჯერ უმლაუტი სემანტიკურ დიფერენციაციას აღნიშნავს, მაგალითად, ein zugiger Bahnsteig („ქარიანი ბაქანი“) – ein zügiges Tempo („ჩქარი ტემპი“).

წარმონაქმნები, რომელთა ბაზისური სიტყვა -el ან -er მორფემებზე მთავრდება, ზოგ შემთხვევაში ინარჩუნებენ -e ხმოვანს: Hügel – hügelig, Faser – faserig, Krümel – krümelig. ზოგანი კი -e მორფემა იკვეცება: Trauer – traurig, Eifer – eifrig, Schauer – schaurig. გვაქვს პარალელური ვარიანტები სემანტიკური დიფერენციაციის გარეშე: wässrig – wässrig, neblig – neblig, buckelig – buckelig, winkelig – winklig, runzlig – runzlig, kugelig – kuglig, gipfelig – gipflig, adelig – adlig, würfelig – würflig, tüpfelig – tüpflig.

-ig სუფიქსიანი დერივატები, როგორც წესი, ინარჩუნებენ ბაზისური სიტყვის მნიშვნელობას. ძირითადად -ig სუფიქსის საშუალებით ბაზისური სიტყვის მნიშვნელობა ატრიბუტული ან პრედიკატიული ფუნქციით სხვა ენობრივი ნიშნის დეტერმინაციისათვის გამოიყენება. დერივატები უმეტესწილად გამოხატავენ ადამიანის ფიზიკურ თუ სულიერ თვისებებს ან საგნებისა და მოვლენებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ასახელებენ. ამგვარი კონსტრუქციები ხშირად წარმოქმნილია ნომინალური კომპოზიტებისაგან: ein kahlköpfiger Greis, ein schwermütiger Blick, ein vollbärtiger Mann, ein scharfsinniger Denker.

თუკი ბაზისი სიმპლექსური აბსტრაქტული სახელია, მაშინ კონსტრუქცია ადამიანის თვისებებს აღნიშნავს: fleißig, geizig, gierig, trotzig, eifrig.

-ig ნიშაში გამოიყოფა **ორნატიული სეგმენტი**: narbige Haut – Haut mit Narben. ასეთივეა: waldig, wolkig, staubig, schilfig, streifig, talgig, bucklig, flaumig, bärtig, fleckig, kantig, haarig, rußig, rostig.

დერივატების დიდი ჯგუფი შედარებას გამოხატავს (**შედარების სეგმენტი**): kegelig, glockig, milchig, glasig, goldig.

-ig ნიშაში გვხვდება იდიომატიზებული წარმონაქმნები: kernig, pfundig, willig, zeitig.

2. ზმნური ბაზისი

ზმნურ ბაზისიანი დერივატები $V \cdot D(ig)$ შედარებით იშვიათად გვხვდება. თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით ისინი უკვე ბაზისური სიტყვით კი არ არიან მოტივირებული, არამედ მასთან შედარებით უფრო ვიწრო ან ფართო მნიშვნელობა აქვთ. განსხვავდება აქტიური და პასიური მნიშვნელობის წარმონაქმნები, თუმცა პასიურ მნიშვნელობიანი დერივატები შედარებით იშვიათია.

აქტიური მნიშვნელობის წარმონაქმნებია: ein findiger Kopf – ein Kopf, der findig ist; eine gültige Abmachung – die Abmachung, die gültig ist. ასეთივეა: zittrige Hände, ein knausriger Mensch.

პასიური მნიშვნელობის წარმონაქმნებია: eine strittige Angelegenheit – die Angelegenheit, die man bestreitet; ein anständiges Benehmen – man benimmt sich anständig.

ამგვარი დერივატები ძირითადად აღნიშნავენ ზმნით გამოხატული მოქმედებისაკენ მიდრეკილებას. ისინი შეიძლება **მიდრეკილების სეგმენტად** გამოვეყოთ. ასეთივე წარმონაქმნებია: bummelig, taumelig, maklig, protzig, zappelig, rutschig, wacklig, watschelig, holprig.

ზოგიერთ დერივატში სუფიქსი განვრცობილია ინტერფიქსებით -r- ან -er-: kleben – klebrig, schlafen – schläfrig, schlüpfen – schlüpfzig, sengen – sengerig.

-ig ნიშაში არსებობს იდიომატიზებული და ერთეულოვანი წარმონაქმნები, როგორცაა schleunig (შუა ზემოკერძანული

sliunen – „sich beeilen“), abspenstig – (შუა ზემოგერმანული spanen – „locken“, spenstec – „verlockend“), fahrlässig (შუა ზემოგერმანული varn län „vernachlässigen“), schäbig (შუა ზემოგერმანული schebic „räudig“) (Fleischer/Barz 1995:258).

3. ზედსართავი ბაზისი

-ig ნიშაში ზედსართავი სახელი ბაზისად იშვიათად გვხვდება. მოდელი $A \cdot D(ig)$ – völlig, niedrig, untertänig, faulig. ეს მოდელი დღეს პროდუქტიული აღარ არის.

4. ზმნიზედური ბაზისი

შედარებით დიდ როლს თამაშობს ტემპორალური და ლოკალური ზმნიზედებისაგან წარმოქმნილი კონსტრუქციები. მოდელი: $Adv \cdot D(ig)$ – einstig, nachherig, vorig, sonstig. ზმნიზედები ფლექსიური ხდება და დერივატები ატრიბუტულად გამოიყენება. სემანტიკურ ცვლილებას ადგილი არა აქვს. გამოიყოფა:

ტემპორალური სეგმენტი ან **ლოკალური სეგმენტი**

baldige Genesung	hiesiger Gemeinderat
sofortige Wirkung	dortige Vorkommnisse
gestriges Ergebnis	jenseitiges Ufer
damalige Zustände	
morgige Sitzung	

თუკი ზმნიზედურ ბაზისში ბოლოკიდური თანხმოვანი არის -s, იგი იკვეცება -ig სუფიქსის წინ: abseits – abseitig, damals – damalig, rückwärts – rückwärtig, jeweils – jeweilig.

ბაზისმა შეიძლება სხვა ცვლილებებიც განიცადოს, კერძოდ, შეიკვეცოს -e ხმოვანი: oben – obig, wider – widrig, heute – heutig, morgen – morgig.

-ig ნიშაში შეიძლება ზოგიერთი დერივატი კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან იყოს წარმოქმნილი. ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები მხოლოდ ნომინალიზებულ ზედსართავებად გამოიყენება: der Meinige, die Deinige, das Seinige, die Unsrigen. ამ წარმონაქმნებით ძირითადად საკუთარი ან ახლობე-

ლი ოჯახის ან გუნდის წევრები აღინიშნება, ზოგჯერ კი ვისიმე კუთვნილი რამ.

ამგვარად, -ig ნიშაში შეიძლება გამოვეყნოთ შემდეგი სეგმენტები:

1. ორნატიული სეგმენტი (narbig, waldig);
2. შედარების სეგმენტი (milchig, glasig);
3. მიდრეკილების სეგმენტი (rutschig, wacklig);
4. ტემპორალური სეგმენტი (baldig, morgig);
5. ლოკალური სეგმენტი (jenseitig, hiesig).

3.3.7. -isch ნიშა

-isch სუფიქსი მომდინარეობს ძველი ზემოგერმანულიდან -isc. იგი ძირითადად გამოიყენება არსებითი სახელებისაგან ზედსართავების მისაღებად. -isch სუფიქსიანი დერივატების 95%-ს არსებითი სახელი აქვს ბაზისად (Fleischer/Barz 1995:529).

1. სუბსტანტიური ბაზისი

ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს სიმპლექსი ან კონსტრუქცია (კომპოზიტი, სუფიქსური დერივატი). მოდელები:

$S \cdot D(isch)$ – heldisch, hündisch, modisch, tierisch.

$S(S_1S_2) \cdot D(isch)$ – morgenländisch, seemännisch, bergmännisch.

-isch სუფიქსი შეიძლება -er სუფიქსიანი დერივატებსაც დაუკავშირდეს. მოდელები:

$S(VD) \cdot D(isch)$ – fliegerisch, kriecherisch, träumerisch, spielerisch, grüblerisch.

$S(S_1D) \cdot D(isch)$ – mörderisch, kompromisslerisch.

$S((S_1S_2)[VD]) \cdot D(isch)$ – schlafwandlerisch, kriegstreiberisch, gesetzgeberisch, machthaberisch, wundertäterisch, baukünstlerisch.

$S((AS_1)[VD]) \cdot D(isch)$ – schönrednerisch, geheimtuerisch, großtuerisch, leisetreterisch.

ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს -ist სუფიქსიანი დერივატი: $S(S_1D) \cdot D(isch)$ – artistisch, humanistisch, optimistisch.

უმლაუტიანი დერივატები -isch სუფიქსთან უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე -ig სუფიქსთან: närrisch, schwäbisch, pfäffisch, städtisch, europäisch, völkisch, mürrisch.

თუ ბაზისური სიტყვა -e ხმოვანზე მთავრდება, -isch სუფიქსიან დერივატში იგი იკვეცება: Jude – jüdisch, Schule – schulisch.

-isch ნიშაში შეიძლება გამოიყოს **შედარების სეგმენტი**. ბაზისური სიტყვა ძირითადად არის პიროვნებათა ან ცხოველთა აღნიშვნები, თუმცა გვხვდება აბსტრაქტული სახელებიც: diebisch, närrisch, sklavisch, satanisch, knechtisch, schurkisch, tierisch, äffisch, säuisch, wölfisch, viehisch, schweinisch.

მომდევნო სეგმენტი, რომელიც შეიძლება გამოვეყოს -isch ნიშაში, არის **ორნატიული**. მას ქმნიან დერივატები, რომელთა ბაზისური სიტყვა აგრეთვე უარყოფითი ხასიათისაა: neidische Augen, argwöhnische Blicke, spöttische Bemerkung, höhnische Antwort, tückische Krankheit.

ა) ბაზისი – ნასესხები არსებითი სახელი

-isch სუფიქსი ძალიან ხშირად ნასესხებ არსებით სახელებს უკავშირდება. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპეციალური საგნობრივი ცნებების აღნიშვნაში. -isch სუფიქსის დართვით ნასესხებ სიტყვებზე, რომლებიც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არიან, წარმოიქმნება მიმართებითი ზედსართავები. ისინი შეიძლება **შეზღუდვით-მიმართებით სეგმენტად** გამოვეყოს:

die klinische Medizin	philosophische Abhandlungen
mathematisches Denken	ethnische Minderheiten
die politische Einstellung	demokratische Wahlen
theologische Fragen	monographische Arbeit.

ასეთივე წარმონაქმნებია: phraseologisch, chronologisch, biologisch. ამგვარი დერივატები გამოხატავენ ზოგად მიმართებას ბაზისურ სიტყვაში მოცემული ცნებისადმი და ზედსართავის მორფოლოგიურ-სინტაქსურ კლასში ერთიანდებიან. -isch

სუფიქსის საშუალებით ხდება ნასესხები არსებითი სახელების ადაპტაცია გერმანული ენის მორფოლოგიურ სისტემაში.

ამ ფუნქციით -isch სუფიქსი ხშირად შეესაბამება ევროპულ ენებში მეტ-ნაკლებად მსგავსი მნიშვნელობის მქონე სუფიქსებს: გერმანული politisch, ბერძნული politikós, ლათინური politicus, იტალიური politico, ესპანური político, ფრანგული politique და სხვა (Weinrich 1993:997).

-isch სუფიქსიან მიმართებით ზედსართავებში გვხვდება წარმონაქმნები, რომელთა ბაზისი -ar მორფემით მთავრდება: Solidarität – solidarisch, Exemplar – exemplarisch. მაგრამ -ar მორფემა ინტერფიქსად გვხვდება ისეთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებშიც, რომელთა ბაზისური სიტყვა მას არ შეიცავს: Disziplin – disziplinarisch, Dokument – dokumentarisch, Parlament – parlamentarisch, Protokoll – protokollarisch.

ნასესხები სიტყვების დიდი ნაწილი, რომლებიც -isch სუფიქსიანი დერევატების ბაზისს წარმოადგენს, პიროვნებათა და კუთვნილების გამოხატველი აღნიშვნებია: dämonisch, diktatorisch, jesuitisch, nomadisch, plebejisch, senatorisch, titanisch, tyranisch.

წარმონაქმნები, რომელთა ბაზისური სიტყვა -ist სუფიქსით მთავრდება, შეიძლება დაეუკავშიროთ როგორც სათანადო არსებით სახელს, ასევე -ismus სუფიქსიან აბსტრაქტულ სახელს: Atheist – Atheismus – atheistisch; Buddhist – Buddhismus – buddhistisch; Realist – Realismus – realistisch; Humanist – Humanismus – humanistisch. ასეთივეა: egoistisch, optimistisch, absolutistisch, puristisch.

მორფემა -ist ინტერფიქსად გვხვდება ისეთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში, რომელთა ბაზისურ სიტყვას არა აქვს -ist სუფიქსი: Charakter – charakteristisch, Atom – atomistisch, Inflation – inflationistisch.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ -ist მორფემა ზოგჯერ სემანტიკური დიფერენციაციის გამოხატვას ემსახურება:

symbolische Bedeutung	symbolistische Schule
სიმბოლური მნიშვნელობა	სიმბოლისტური სკოლა
futurisches Präsens	futuristische Strömung
ფუტურული პრეზენსი	ფუტურისტული მიმდინარეობა

aktivische Form	aktivistische Mitarbeiter
აქტივის ფორმა	აქტივისტი თანამშრომლები
methodische Schwierigkeiten	methodistische Kirchengemeinde
მეთოდური სიძნელები	მეთოდისტური საეკლესიო გაერთიანება
mechanische Arbeit	mechanistisches Denken
მექანიკური მუშაობა	მანქანური (მანქანურ ენასთან დაკავშირებული) აზროვნება

ბ) ბაზისი – საკუთარი სახელი

-isch სუფიქსი (-sch ვარიანტით) განსაკუთრებით პროდუქტიულად გამოიყენება წარმომავლობის და კუთვნილების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების წარმოსაქმნელად. ბაზისურ სიტყვას წარმოადგენს საკუთარი სახელი. ამგვარ წარმოქმნას დენომური დერივაცია ეწოდება.

ონიმური ბაზისი ანუ საკუთარი სახელი შეიძლება იყოს გეოგრაფიული დასახელება (burgundisch, kanadisch, österreichisch) ან გვარი (Homerisch, Horazisch). შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს წარმომავლობისა და კუთვნილების სეგმენტები.

კონსტრუქციებს, რომელთა ბაზისი არის გეოგრაფიული დასახელება, ვაერთიანებთ წარმომავლობის სეგმენტში, რადგან წარმონაქმნები ამა თუ იმ ქვეყნიდან წარმომავლობას მიუთითებენ: lateinische Hexameter, griechische Philosophie, bayrischer Dialekt.

თუ ბაზისად -land მორფემაზე დამთავრებული ქვეყნის სახელწოდება გვაქვს, მაშინ -isch სუფიქსი, ჩვეულებრივ, მოსახლეობის აღნიშვნას უკავშირდება, ისე რომ -land კომპონენტი ამოვარდება და ამავდროულად იკვეცება ქვეყნის მკვიდრთა მარვენებელი -e სუფიქსი: Irland – Ire – irisch; Griechenland – Grieche – griechisch, Finnland – Finne – finnisch, Schottland – Schotte – schottisch.

-land კომპონენტი არ გვხვდება სიტყვაში englisch, თუმცა ქვეყნის მკვიდრს Engländer ეწოდება. სხვაგვარად არის საქმე სიტყვებში isländisch, grönländisch, holländisch, niederländisch, neuseeländisch, theiländisch, რომლებშიც შენარჩუნებულია -land მორფემა უმლაუტით. ასეთ შემთხვევებში ქვეყნის მკვიდრთა

აღნიშვნა -länder ერთეულით მთავრდება: Island – Isländer; Holland – Holländer.

ქვეყნის მკვიდრთა მახვენებელი -e სუფიქსი აგრეთვე იკვეცება სიტყვებში: China – Chinese – chinesisch; Türkei – Türke – türkisch; Portugal – Portugiese – portugiesisch.

როგორც ვხედავთ, ყველა ჩამოთვლილ კონსტრუქციაში -isch სუფიქსი ქვეყნის მკვიდრის აღნიშვნელ სიტყვას უკავშირდება. თუ ქვეყნის სახელწოდება -en ან -ien სუფიქსით მთავრდება, ისინი -isch სუფიქსის წინ იკვეცება: Arabien – arabisch; Spanien – spanisch; Indien – indisch; Serbien – serbisch; Argentinien – argentinisch; Norwegen – norwegisch; Schweden – schwedisch. მაგრამ გვხვდება სხვაგვარი შემთხვევებიც, სადაც გვაქვს პარალელური ფორმები -an-, -in- ინტერფიქსითა და მათ გარეშე: Brasilien – brasilianisch/brasilisch; Dalmatien – dalmatinisch/dalmatisch.

ინტერფიქსი -an- თითქმის ყოველთვის გვხვდება, როცა ქვეყნის მკვიდრთა აღნიშვნა -aner-ით მთავრდება. -isch სუფიქსის წინ -er მორფემა შეიკვეცება და გვექნება: Afrikaner – afrikanisch, Bolivianer – bolivianisch, Indianer – indianisch, Venezolaner – venezolanisch.

იგივე შეიძლება ითქვას -in- ინტერფიქსზე. იგი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ქვეყნის მკვიდრთა აღნიშვნა -iner-ით მთავრდება. მაგალითად, Montenegriner – montenegrinisch.

ინტერფიქსად განიხილება -es- ელემენტი მომდევნო მაგალითში: Vietnam – Vietnamese – vietnamesisch. ასეთივეა: kastilianisch, peruanisch, mexikanisch, sizilianisch, kolumbianisch, koreanisch.

ზოგიერთმა ამგვარმა დერივატმა საზღვრები გაიფართოვა და უფრო ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა: spartanische Lebensweise („სპარტანული ცხოვრების წესი“), korinthische Säule („კორინთული სვეტი“), venezianisches Glas („ვენეციური მინა“).

-isch სუფიქსის საშუალებით არის წარმოქმნილი აგრეთვე ზედსართავი deutsch: ძველი ზემოგერმანული diutisk, ლათინიზებული theotiscus. მისი ბაზისური სიტყვა diut მნიშვნელობით „ხალხი“, „ერი“ დღეს უკვე აღარ არსებობს.

გეოგრაფიული დასახელებების აღნიშვნისას -isch სუფიქსთან კონკურირებს -er სუფიქსი, რომელიც, შეიძლება ითქვას,

მეტი პროდუქტიულობითაც კი ხასიათდება. მაგრამ არის შემთხვევები, სადაც -isch სუფიქსიანი დერივატი უფრო გამოდგება, კერძოდ, გეოგრაფიული დასახელებიდან წარმოქმნილი ზედსართავის გაარსებითებისას: das typisch Berlinische (და არა *Berliner), das echt Hamburgische (და არა *Hamburger).

განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან გვარებისაგან წარმოქმნილი დერივატები. ისინი შეიძლება **კუთვნილების სემანტიკად** გამოვყოთ. იგრძნობა ტენდენცია, რომ დერივატებში -isch სუფიქსის ნაცვლად გვქონდეს მისი ვარიანტი -sch: die Grimmschen Märchen (და არა *Grimmische Märchen); die Klopstockschen Gedichte; das Hessische Gesamtwerk; eine Freudsche Fehlleistung; die Einsteinsche Relativitätstheorie; die Bismarksche Politik. ჰ. ვილმანსი ამ ტენდენციას იმით ხსნის, რომ გვარმა ცვლილება არ განიცადოს (Wilmanns 1899:476).

-sch თანხმოვანი -isch სუფიქსის ნაცვლად უმეტესად დარგობრივ ლექსიკაში გვხვდება (Bangsche Krankheit, Mendelsche Gesetze), ხოლო პუბლიცისტურ და ბელეტრისტიკულ ტექსტებში უფრო სშირად გამოიყენება -isch.

გვარებისაგან წარმოქმნილ დერივატებში ყურადღება უნდა მიექცეს ორთოგრაფიას. ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები დიდი ასოთი იწერება, რადგან მათში გამოხატულია უშუალო კუთვნილება ინდივიდუალური პიროვნებისადმი: die Goetheschen Werke – Werke von Goethe; Schillersche Gedichte – Gedichte von Schiller. მაგრამ თუ დერივატი აპელატივის სახის ზოგად მნიშვნელობას იძენს, მაშინ გვაქვს -isch სუფიქსი და კონსტრუქცია პატარა ასოთი იწერება: goethische Universalität („გოეთესეული უნივერსალობა“), platonische Liebe („პლატონური სიყვარული“), sokratische Ironie („სოკრატესეული ირონია“), napoleonische Kriege („ნაპოლეონის ომები“), augusteisches Zeitalter („აგუსტისეული ეპოქა“).

დღონიმური დერივაციის მოდელს, უპირველეს ყოვლისა, სინტაქსური ფუნქცია აქვს, იგი საკუთარი სახელების ატრიბუტული გამოყენების საშუალებას იძლევა. მკვეთრად გამოხატული მოტივაციის გამო კონსტრუქციები შეიძლება შევცვალოთ სხვა სიტყვაწარმოებითი და სინტაქსური მოდელებით: Goethesches Gedicht – Goethegedicht – Gedicht von Goethe.

2. ზმნური ბაზისი

-isch სუფიქსიან დერივატებში ზმნური ბაზისი იშვიათია. გვხვდება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები mürrisch, neckisch, misstrauisch, täppisch. ისინი უმეტესად უარყოფით ნიუანსს შეიცავენ.

დერივატების მცირე ჯგუფში -isch სუფიქსი განვრცობილია -er მორფემით: regnerisch, trügerisch, haushälterisch, dicktuerisch, wichtigtuerisch, großtuerisch.

3. ზედსართაული ბაზისი

ზედსართაულ ბაზისად უპირატესად ნასესხები სიტყვები გვხვდება, რომლებიც -isch სუფიქსის დართვით გერმანულს ეთვისება: antikisch, hybridisch, genialisch, prädikativisch. გვაქვს პარალელური კონსტრუქციები -isch სუფიქსითა და მის გარეშე:

extreme Fälle	extremistische Tendenzen
ექსტრემალური შემთხვევები	ექსტრემისტული ტენდენციები
fatale Folgen	fatalistische Gedanken
ფატალური შედეგები	ფატალისტური აზრები
formale Struktur	formalistischer Charakter
ფორმალური სტრუქტურა	ფორმალისტური ხასიათი
nationale Unabhängigkeit	nationalistische Ansichten
ეროვნული დამოუკიდებლობა	ნაციონალისტური შეხედულებები

ამგვარად, -isch ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. შედარების სეგმენტი (närrisch, tierisch);
2. ორნატიული სეგმენტი (neidisch, spöttisch);
3. შეზღუდვით-მიმართებითი სეგმენტი (mathematisch, politisch);
4. წარმომავლობის სეგმენტი (lateinisch, bayrisch);
5. კუთვნილების სეგმენტი (Goethesche, Schillersche).

3.3.8. -lich ნიშნა

სუფიქსი -lich მომდინარეობს შუა ზემოგერმანული მდებარეობით სქესის არსებითი სახელიდან lich – „Leib“, „Körper“, „Gestalt“ („სხეული“) -lich. ახალი ზემოგერმანული Leiche – „toter Körper“ („გვამი“) (Schippa 1992:119). იგი უკავშირდება არსებით სახელს, ზმნასა და ზედსართავ სახელს.

1. სუბსტანტიური ბაზისი

-lich ნიშნაში ძალიან ხშირია წარმონაქმნები სუბსტანტიური ბაზისით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სიმკვლეპი, ასევე კონსტრუქცია (კომპოზიტი, სუფიქსური ან პრეფიქსული დერივატი). მოდელები:

$S \cdot D(lich)$ – leiblich, täglich, ärztlich, weiblich, geldlich, handlich, zeitlich.

$S(S_1S_2) \cdot D(lich)$ – handwerklich, sinnbildlich, erdkundlich, naturkundlich.

$S(AS_1) \cdot D(lich)$ – fremdsprachlich, freiherrlich, neuzeitlich.

$S(PS_1) \cdot D(lich)$ – erzbischöflich, urzeitlich, urkundlich.

$S(AD) \cdot D(lich)$ – freiheitlich, gesundheitlich.

ზოგჯერ ბაზისი უმლაუტს დებულობს. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა ბაზისურ სიტყვას მრავლობით რიცხვში აქვს უმლაუტი: häuslich, ärztlich, anlässlich, brüderlich, göttlich, räumlich, ängstlich, მაგრამ გვაქვს ისეთი წარმონაქმნებიც, როგორცაა bäuerlich, natürlich, buchstäblich, jährlich, stündlich, რომელთა ბაზისური სიტყვა მრავლობით რიცხვში უმლაუტს არ იღებს, მაგრამ -lich სუფიქსიანი დერივატები უმლაუტით ხასიათდებიან.

უმლაუტი შეიძლება სემანტიკური დიფერენციისათვის გამოიყენებოდეს: sachlich („საქმიანი“) – sächlich („საშუალო სქესი“); vertraglich („სახელშეკრულებო“) – verträglich (sich vertragen) („ახატანი“).

ბაზისურ სიტყვაში აღინიშნება სხვა ცვლილებებიც, კერძოდ, -lich სუფიქსის წინ შეიძლება ჩაერთოს თანხმოვნები: d, t, ან nt, ent: wesentlich, morgendlich, wöchentlich, namentlich.

სემანტიკური თვალსაზრისით -lich სუფიქსიანი დესუბსტანტიური დერივატები მიმართებით ზედსართავებს წარმოადგენენ: elterlich, amtsärztlich, begrifflich, abendlich, herbstlich, beruflich, kunstwissenschaftlich, verfassungsrechtlich, kulturgeschichtlich, farblich, თუმცა ზოგი მათგანი თვისობრივ ზედსართავებად ითვლება: freundlich, feindlich, menschlich, fürstlich, schulmeisterlich. არსებობს აგრეთვე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებიც შეიძლება მიხნეულ იქნან როგორც მიმართებით, ასევე თვისობრივ ზედსართავებად ორი სემანტიკური ვარიანტის შესაბამისად:

das väterliche Erbe – das Erbe des Vaters, in bezug auf den Vater;

ein väterlicher Freund – ein Freund in der Art des Vaters, wie der Vater.

თვისობრივი ზედსართავები ქმნიან **შედარების სეგმენტს**: freundlich – in der Art eines Freundes.

-lich სუფიქსიანი დერივატებში, რომელთა ბაზისური კომპონენტი აბსტრაქტული სახელია, შეიძლება გამოვეყნოთ **ორნატიული სეგმენტი**: widersprüchliche Darlegungen – Darlegungen mit Widersprüchen. ასეთივეა: leidenschaftliche Liebe, schmerzliche Erfahrungen, gegensätzliche Auffassungen.

გამოიყოფა აგრეთვე **ტემპორალური სეგმენტი**, სადაც -lich სუფიქსი გამოხატავს განმეორებადი პროცესების თანაბარზომიერ რიტმს: täglich, monatlich, wöchentlich, jährlich, minütlich, stündlich.

მეტნაკლებად იდიომატიზებულია კონსტრუქციები: gründlich, herzlich, leiblich, mündlich, sachlich, dämlich, niedlich, stattlich.

ერთსა და იმავე ბაზისთან -lich სუფიქსის გვერდით გვხვდება -ig და -isch სუფიქსები სინონიმური მნიშვნელობით: schaurig – schauerlich, zugänglich – zugänglich.

სხვა შემთხვევებში სემანტიკური დიფერენციაცია შეინიშნება:

leidige Angelegenheit

უსიამოვნო გარემოება

geistige Arbeit

გონივრული შრომა

leidliches Wetter

ასატანი, არც თუ ისე ცუდი ამინდი

ein geistlicher Herr

სასულიერო პირი

geschäftiges Treiben	eine geschäftliche Vereinbarung
საქმიანი ატმოსფერო	კომერციული, სავაჭრო გარიგება
herziges Kind	herzlicher Blick
მომხიბვლელი, სათნო,	გულითადი მზერა
საყვარელი ბავშვი	
heimische Bevölkerung	heimliches Treffen
ადგილობრივი მოსახლე-ობა	საიდუმლო შეხვედრა
gläubiger Mensch	das ist kaum glaublich
მორწმუნე ადამიანი	ძნელი დასაჯერებელია
tätige Hilfe	tätliche Auseinandersetzungen
ქმედითი დახმარება	ხელნართული ჩხუბი
zeitig aufstehen	zeitlicher Ablauf
დროულად ადგომა	დროითი მსვლელობა

2. ზმნური ბაზისი

ზმნური ბაზისი შეიძლება იყოს ინფინიტივი ან ზმნის ფუძე, თუმცა ინფინიტივიანი მოღებები უკვე არაპროდუქტიულია: flehentlich, hoffentlich, wissentlich, gelegentlich, versehentlich.

-lich სუფიქსიან დერივატებს უმეტესად პრეფიქსული ზმნა აქვთ ბაზისად. მათში გამოიყოფა შესაძლებლობის სეგმენტი, რომელსაც ქმნიან გარდამავალი ზმნები, მნიშვნელობით „die Verwendbarkeit für etwas als möglich“ (Weisgerber 1971:220). ე.ი. კონსტრუქცია გამოხატავს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება შეიძლება ჩატარდეს გარკვეული ობიექტის მიმართ (რითაც -lich სუფიქსი უახლოვდება -bar სუფიქსს, თუმცა -bar მეტი პროდუქტიულობით ხასიათდება): erträglich = was ertragen werden kann.

ასეთივეა: begreifliche Zusammenhänge, bestechliche Angestellte, beweglich, entbehrlich, fasslich, verkäuflich, vernehmlich, verzeihlich, zerbrechlich.

ზოგ შემთხვევაში გამოხატულია არა შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობა (პასიური ან აქტიური): „Verwendbarkeit für etwas als notwendig“. მაგალითად, bedauerlich = was bedauert werden muss, beachtliche Erfolge = die Erfolge sollen (müssen) beachtet werden. ასეთივეა: erforderliche Maßnahmen, ergötzliche Lektüre, förderliche

Ratschläge, verwerfliche Pläne, befremdliche Äußerungen. ამგვარი წარმონაქმნები **აუცილებლობის სეგმენტს** ქმნიან.

გარდაუვალი ზმნები ყოველთვის აქტიურ მიმართებას გამოხატავენ: ein abkömmlicher Mitarbeiter – er kann (leicht) abkommen. ასეთივეა: verderbliche Speisen.

გვხვდება იდიომატიზებული წარმონაქმნები: angeblich, erheblich, merklich, möglich, trefflich, redlich, üblich, vergeblich, ziemlich.

ზოგიერთ კონსტრუქციაში არსებობს ორმაგი მიმართება: ისინი შეიძლება დავუკავშიროთ როგორც სუბსტანტიურ, ასევე ზმნურ ბაზისს: leidlich – (leiden, Leid), löblich – (loben, Lob). ასეთივეა: sträflich, verständlich.

აღსანიშნავია, რომ -lich სუფიქსიანი დერივატების დიდი ნაწილი მხოლოდ un- პრეფიქსიანი ფორმით გვხვდება: unaussprechlich, unbeschreiblich, unausstehlich, unermüdlich, unerschöpflich, unsäglich, unübertrefflich, unüberwindlich, unvergleichlich, unvermeidlich, unwiederbringlich, unzertrennlich.

არსებობს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებშიც -lich სუფიქსი განვრცობილია -er მორფემით: fürchterlich, lächerlich, leserlich, weinerlich.

3. ზედსართაული ბაზისი

ზედსართაული ბაზისის მქონე დერივატებს ხშირად ბაზისთან შედარებით შესუსტებული მნიშვნელობა აქვთ. ისინი ბაზისის მნიშვნელობის მოდიფიცირებას ახდენენ და გამოხატავენ ზედსართავით აღნიშნული თვისების არასაკმარის ოდენობას: ältlich, ärmlich, dümmlich, schwächlich, säuerlich, kränklich, länglich, rundlich, süßlich, dicklich. ამგვარი წარმონაქმნები **კინობით სეგმენტს** ქმნიან. მათში შეიძლება პეიორატიული ანუ უარყოფითი შეფასების ნიუანსიც იგრძნობოდეს: eine säuerliche Miene, eine rundliche Gestalt, kränkliche Blässe, schwächliche Konstitution, ein süßliches Parfüm.

კინობით სეგმენტში შეიძლება გავაერთიანოთ ფერთა აღნიშვნებიც: bläulich, rötlich, bräunlich, grünlich, gelblich, weißlich.

დერივატების მცირე ჯგუფი ადამიანის მიდრეკილებებს გამოხატავს, ისინი **მიდრეკილების სეგმენტს** ქმნიან: ein

kleinlicher Mensch – er neigt dazu, sich mit Kleinigkeiten zu befassen. ასეთივეა: reinlich, weichlich, zärtlich.

ზოგიერთი წარმონაქმნი იდიომატიზებულია და მხოლოდ ადვერბიალურად გამოიყენება: bitterlich, freilich, kürzlich, sicherlich, gänzlich, wahrlich, fälschlich, schwerlich.

ამგვარად, -lich ნიშაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი სეგმენტები:

1. შედარების სეგმენტი (freundlich, feindlich);
2. ორნატიული სეგმენტი (leidenschaftlich, schmerzlich);
3. ტემპორალური სეგმენტი (täglich, wöchentlich);
4. შესაძლებლობის სეგმენტი (erträglich, begreiflich);
5. აუცილებლობის სეგმენტი (beachtlich, bedauerlich);
6. კნინობითი სეგმენტი (ärmlich, dümmlich);
7. მიდრეკილების სეგმენტი (kleinlich, reinlich).

3.3.9. -los ნიშა

-los მორფემასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ცალსახად გადაწყვეტილი არ არის, იგი სუფიქსთა კატეგორიას მიეკუთვნოს თუ სუფიქსოიდებისას. კერძოდ, -los მორფემას სუფიქსოიდად თვლის ჰ. ვაინრიხი (Weinrich 1993:1006). დუდენის გრამატიკაც მას სუფიქსოიდების კატეგორიას მიაკუთვნებს (Duden 2006:761). მ. დ. სტეპანოვა თავის „სიტყვაწარმოებითი ელემენტების ლექსიკონში“ -los მორფემას ნახევრადსუფიქსს ანუ სუფიქსოიდს უწოდებს, ხოლო ვ. ფლაიშერი (Fleischer 1983:273) და ვ. ფლაიშერი/ი. ბარცი (Fleischer/Barz 1995:264) მას სუფიქსად მიიჩნევენ. თავის მოსაზრებას ისინი ხსნიან იმით, რომ -los სუფიქსს თავისუფალი მორფემისაგან განსხვავებული დისტრიბუცია და სემანტიკა აქვს. ჩვენ ვიზიარებთ ვ. ფლაიშერი/ი. ბარცის თვალსაზრისს და -los მორფემას სუფიქსად ვთვლით.

-los მორფემა თანამედროვე გერმანულ ენაში შემდეგი ფუნქციებით გვხვდება:

1. როგორც საშუალო სქესის არსებითი სახელი das Los: ein Los kaufen; Los ziehen.

2. როგორც ზედსართავი los: eine Krankheit los sein; die Schmerzen los sein; Nach zwei Stunden war er seinen lästigen Nachbarn endlich los.

3. როგორც ზმნიზედა los: Los, beeile dich endlich! Los, wir gehen jetzt!

4. როგორც ზმნური პრეფიქსი los-: losfahren, losfliegen, losrennen.

5. როგორც ზედსართავი სუფიქსი -los: lieblos.

-los ფორმა თავისუფალი მორფემიდან სუფიქსამდე თანდათან მივიდა. იგი ძირითადად სუბსტანტიურ ბაზისს უკავშირდება.

1. სუბსტანტიური ბაზისი

ბაზისური არსებითი სახელი შეიძლება იყოს სიმპლექსი ან კომპლექსური სიტყვა (კომპოზიტი, პრეფიქსული ან სუფიქსური დერივატი). მოდელები:

$S \cdot D(los)$ – neidlos, titellos, sternlos, hirnlos, zaumlos, wahllos, baumlos, astlos, schamlos, herzlos, hutlos, bartlos, brotlos, zeitlos, appetitlos, respektlos, mühelos, schuldlos, handlos, tugendlos, freundlos, lustlos, lautlos, wortlos, systemlos.

$S(S_1 S_2) \cdot D(los)$ – grundsatzlos, vaterlandslos, ehrfurchtlos.

$S(VD) \cdot D(los)$ – hoffnungslos, ahnungslos, endungslos, regungslos, reibungslos, hemmungslos, schonungslos, führerlos, konzeptionslos, wirkungslos, konfessionslos.

$S(PS_1) \cdot D(los)$ – unkrautlos, vorurteilslos, absatzlos, auswegslos, anmutlos.

$S(V[PV_1]D) \cdot D(los)$ – ergebnislos, bedürfnislos, empfindungslos, bewegungslos, verteidigungslos, beschäftigungslos, erziehungslos, entschädigungslos, erbarmungslos, abwechslungslos.

$S(AS_1) \cdot D(los)$ – bargeldlos.

თუ ბაზისური სიტყვა -e ხმოვანზე მთავრდება, -los სუფიქსის წინ იგი შეიძლება შეიკვეცოს: Ende – endlos, Stimme –

stimmlos, Sprache – sprachlos, Erbe – erblos, Farbe – farblos. არის შემთხვევები, სადაც ბოლოკიდური -e შენარჩუნებულია: Mühe – mühelos, Ehe – ehelos, Würde – würdelos, Ruhe – ruhelos, Interesse – interesselos, Schnee – schneelos, Wonne – wonnelos, Poesie – poesielos, Energie – energielos, Debatte – debattelos.

ზოგჯერ მათრებელ ელემენტებად გვხვდება -(e)n- და -s-: menschenlos, herrenlos, knochenlos, ausnahmslos, teilnahmslos, wolkenlos, seelenlos, willenlos, sorgenlos, lückenlos, namenlos, ideenlos, familienlos, gedankenlos, staatenlos. შეინიშნება პარალელური წარმონაქმნებიც სემანტიკური დიფერენციაციის გარეშე: lieblos – liebelos; freudlos – freudenlos; sündlos – sündenlos; folgelos – folgenlos; sorglos – sorgenlos.

-tion და -ung სუფიქსებზე დამთავრებულ ბაზისურ სიტყვებთან ყოველთვის გვაქვს -s- მათრებელი ელემენტი: berufungslos, bedingungslos, stellungslos, wohnungslos, spannungslos, besinnungslos, regierungslos, erinnerungslos, erfahrungslos, nahrungslos, begehungslos, fassungslos, geltungslos, bedeutungslos, rettungslos, friktionslos, induktionslos.

ზოგჯერ მათრებელ ელემენტად გვხვდება -er- მორფემა: kinderlos, blätterlos (მაგრამ ასევე blattlos), güterlos.

-los ნიშის ზედსართავთა სემანტიკური სტრუქტურა თითქმის ერთგვაროვანია. დერივატები აღნიშნავენ ბაზისური სიტყვით გამოხატული სიდიდის არარსებობას: schaffnerlos, freundlos, fleischlos, motorlos, waffenlos, freudlos, heimatlos, maßlos, körperlos, wasserlos.

სემანტიკურად ეკვივალენტურ შესიტყვებად ტრანსფორმაციისას აუცილებელია ohne წინდებულის გამოყენება: fraglos – ohne Frage, gehirnlos – ohne Gehirn, risikolos – ohne Risiko.

დამატებითი სემანტიკური ელფერი დამოკიდებულია ბაზისურ სიტყვაზე. არარსებობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც ნაკლი (ანუ არასასურველი რამ) ან როგორც უპირატესობა (ანუ სასურველი რამ). ნაკლის ნიუანსი გამოხატულია სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში: charakterlos, erfolglos, treulos, mutlos, rücksichtslos, schonungslos, willenlos, verantwortungslos, ziellos, kopflos, geschmacklos, zwecklos, danklos, gefühllos, schamlos, formlos, prinzipienlos, gewissenlos, zahnlos, disziplinlos, sinnlos, obdachlos.

უპირატესობის ნიუანსი იგრძნობა დერივატებში: fehlerlos, tadellos, furchtlos, makellos, gefahrlos, fleckenlos, kummerlos, kostenlos, schuldlos, arglos, sorglos, sündenlos, risikolos, zinslos, schmerzlos, vorwurfslos.

-los სუფიქსის სინონიმურია სუფიქსოდეები -frei და -leer, რაზეც ჩვენ კვაზიკომპოზიტთა განხილვისას ვისაუბრეთ, ხოლო -los სუფიქსის ანტონიმური მნიშვნელობისაა სუფიქსები -haft და -ig:

fehlerlos – fehlerhaft

schamlos – schamhaft

schwunglos – schwunghaft

sandlos – sandig

waldlos – waldig

haarlos – haarig

2. არასუბსტანტიური ბაზისი

დერივატს bewusstlos აქვს არასუბსტანტიური ბაზისი. იგი შესაძლოა შემოკლების შედეგად წარმოიშვა სიტყვიდან bewusstseinslos. გვხვდება ასევე reglos, თუმცა მის პარალელურად გამოიყენება regungslos. კონსტრუქციაში selbstlos ბაზისურ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენებითი ნაცვალსახელი selbst ან არსებითი სახელი Selbst.

იდიომატიზებულია -los ნიშის წარმონაქმნი harmlos (ძველი ზემოგერმანული haram. შუა ზემოგერმანული harm – „დიდი შინაგანი დარდი, ნაღველი“).

ამგვარად, -los ნიშა **არარსებობას** გამოხატავს (freudlos, fehlerlos).

3.3.10. -mäßig ნიშა

-mäßig სუფიქსი მომდინარეობს ძველი ზემოგერმანულიდან -māzīg „განზომილების მქონე“, შუა ზემოგერმანული diu māze „მოქმედების ხერხი“, „მიმართება“ (Fleischer 1983:274). -mäßig მნიშვნელოვან და პროდუქტიულ სუფიქსად ჩამოყალიბდა დესუბსტანტიური დერივაციის სფეროში.

1. სუბსტანტიური ბაზისი

ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს სიმპლექსი ან კონსტრუქცია (კომპოზიტი, სუფიქსური ან პრეფიქსული დერივატი). მოდელები:

$S \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – hofmä\betaig, rechtmä\betaig, fachmä\betaig, dorfmä\betaig, bankmä\betaig, kriegsmä\betaig, pflichtmä\betaig, zeitmä\betaig, sinnmä\betaig, amtsmä\betaig, rangmä\betaig, schulmä\betaig, feldmä\betaig.

$S(P[VD]) \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – verfassungsmä\betaig, erfahrungsmä\betaig, gesinnungsmä\betaig, verhältnismä\betaig.

$S(S_1S_2) \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – kaufmannsmä\betaig, feiertagsmä\betaig, buchstabenmä\betaig, kasernenhofmä\betaig, feldkriegsmä\betaig, handwerksmä\betaig.

$S(S_1D) \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – schülermä\betaig.

$S(AS) \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – rohstoffmä\betaig.

$S(PS) \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – anschlagmä\betaig, anteilmä\betaig.

$S(VD) \cdot D(\text{mä\beta}ig)$ – ordnungsmä\betaig, rechnungsmä\betaig.

თუ ბაზისური არსებითი სახელი -e სმოვანზე მთავრდება, მაშინ მაერთებელ ელემენტად, ჩვეულებრივ, გვხვდება -n-: bühnenmä\betaig, mengenmä\betaig, heidenmä\betaig, klassenmä\betaig, galgenmä\betaig, serienmä\betaig, furienmä\betaig, knabenmä\betaig, maschinenmä\betaig, etappenmä\betaig, pfaffenmä\betaig, börsenmä\betaig, gruppenmä\betaig, თუმცა ნასესხებ სიტყვებთან -n- არ შეინიშნება: parademä\betaig, routinemä\betaig.

-ion და -ung სუფიქსებზე დამთავრებულ ბაზისურ სიტყვებთან ყოველთვის გვხვდება -s- მაერთებელი ელემენტი: verordnungsmä\betaig, fraktionsmä\betaig, professionsmä\betaig.

-mä\betaig სუფიქსთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევა აქვს ვ. ზაიბიკეს (Seibicke 1963:33). მას მოჰყავს მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა და ენათმეცნიერული სტატიებისა, რომლებიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დამაჯერებლად ასაბუთებენ ამ ენობრივი ფენომენის არსებობას. ვ. ზაიბიკეს კონცეფციაში მნიშვნელოვანია ის აზრი, რომ -mä\betaig უნდა ჩაითვალოს „წმინდა სიტყვაწარმოებით საშუალებად“, რომელიც არახედსართაული სიტყვებიდან (უმეტესად არსებითი სახელებიდან) ზედსართავებს აწარმოებს. მისი აზრით,

შესაძლო წარმონაქმნების რიცხვი შემოფარგლული არ არის. შინაარსობრივი კავშირი დამოუკიდებელ ზედსართავთან *mäßig* არ არსებობს. ამით ყველა წინაპირობაა შექმნილი იმისათვის, რომ *-mäßig* სუფიქსურ ერთეულად ჩაითვალოს.

ვ. ზაიბიკეს მიერ შემოთავაზებული *-mäßig* სუფიქსიანი დერივატების კორპუსი ემყარება ყოველდღიური კომუნიკაციის ყველა სფეროს, როგორცაა გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, რადიო, პირადი საუბრები. იგრძნობა, რომ ტელევიზია მაშინ დიდ როლს არ თამაშობდა (ვ. ზაიბიკეს თავისი კვლევა 1961-1962 წლებში აქვს ჩატარებული). მისი კვლევის შედეგების შედარება 2008 წლის მარტლწერის ლექსიკონთან გვიჩვენებს (*Rechtschreibung 2008*), რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ნიმუშების 35 % ლექსიკონებში დაფიქსირდა.

-mäßig სუფიქსიანი დერივატებს ვ. ზაიბიკე ოთხ სემანტიკურ ჯგუფად, მისი ტერმინით რომ ვთქვათ, „განყოფილება“ (*Abteilung*) ყოფს. *-mäßig* სუფიქსი აღნიშნავს:

1. შედარებას: – *in der Art, wie, in Form* (შდრ. *-artig*).
2. შესაბამისობას, შესატყვისობას: *entsprechend, wie es verlangt* (შდრ. *-gemäß, -gerecht*).
3. მოქმედების საშუალებას, პირობას, წინაპირობას ან მიზეზს: *durch, mittels, mit Hilfe von . .*
4. რაიმე მიმართებას ან განსაკუთრებულ თვალსაზრისს: *hinsichtlich, in bezug auf, was . . . betrifft* (*Seibicke 1963:42*).

ვ. ზაიბიკე შენიშნავს, რომ მეოთხე ჯგუფი რაოდენობრივად ყველაზე დიდია და *-mäßig* სუფიქსიანი დერივატები ყოველდღიურ სასაუბრო ენაში უფრო ხშირად ზმნიზედურად გამოიყენება.

თავის ნაშრომში ვ. ზაიბიკეს *-mäßig* სუფიქსიანი დერივატების ეკვივალენტური კომპოზიტები და გენტივის ატრიბუტები მოჰყავს: *gefühlsmäßiger Bereich = Gefühlsbereich, willensmäßiger Anteil = Anteil des Willens*. ასეთ შემთხვევებში ხდება კომპლექსურობის რედუცირება, კომპოზიტი ნაწევრდება ძირითად სიტყვად და *-mäßig* სუფიქსიანი ატრიბუტად, ან გენტივის ატრიბუტი ნამდვილ ატრიბუტად გადაიქცევა.

ყურადღებას იპყრობს ი. კუნჰოლდი/ო. პუტცერი/ჰ. ველმანის შესჯეულებები *-mäßig* სუფიქსთან დაკავშირებით. ისინი

გვთავაზობენ ექვს განსხვავებულ „სიტყვაწარმოებით ნიმუშს“. ესენია:

- 1) berufsmäßige Freundlichkeit = Freundlichkeit, die dem Beruf gemäß ist. („შესაბამისობა“, „შესატყვისობა“ – „Entsprechungsgröße“).
- 2) gebietsmäßige Erfassung = Erfassung, die das Gebiet betrifft. („რაც შეეხება“... – „betreffend“).
- 3) liftmäßige Erschließung = Erschließung, die mit Hilfe eines Lifts geschieht. („საშუალება“, „ინსტრუმენტი“ – „Mittel“, „Instrument“).
- 4) autobahnmäßige Umfahrung = Umfahrung, die wie eine Autobahn ist. („შედარება“ – „Vergleichsgröße“).
- 5) taktmäßiges Treten = Treten, das im Takt geschieht. („მოქმედების რაგვარობა“ – „Durchführungsart“).
- 6) behelfsmäßiger Tisch – Tisch, der ein Behelf ist. („იდენტურობა“ – „Identität“) (Kühnhold/Putzer/Wellmann 1978:115).

უნდა შევხერდეთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომზე, რომელიც ეძღვნება -mäßig სუფიქსს. ეს არის გ. ინგულტის „-mäßig“-ზე დამთავრებული დესუბსტანტიური წარმონაქმნების სემანტიკური სტრუქტურა“. ავტორი გვთავაზობს შვიდ განსხვავებულ სემანტიკურ კატეგორიას, რომელთა ცალსახად დადგენა, როგორც თვითონ აღიარებს, კონტექსტის გარეშე ხშირად სიძნელეებთანაა დაკავშირებული. საჭიროების შემთხვევაში გ. ინგულტს მოჰყავს -mäßig სუფიქსიანი დერივატების სინონიმური პერიფრაზები. მის მიერ გამოყოფილი სემანტიკური კატეგორიებია:

- 1) მსგავსება, Ähnlichkeit – „wie“ („როგორც“): familienmäßige Versammlung.
- 2) შესრულება, Erfüllung – „um X zu tun“ („რადაცის გასაკეთებლად“): kriegsmäßige Ausrüstung.
- 3) შესაბამისობა, შესატყვისობა, Übereinstimmung – „wie es X vorsieht“ („როგორც დადგენილია“, „როგორც X განსაზღვრავს“): fahrplanmäßige Abfahrt.
- 4) ფორმა, Form – „als ob es X wäre/ist“ („თითქოს ეს X იყოს“): berufsmäßiges Musizieren.

- 5) საშუალება, Mittel – „mit Hilfe von X” („X-ის მეშვეობით“): Ich kann es aktenmäßig beweisen.
- 6) მიზეზი, საფუძველი, Grund – „gründet sich auf X” („X-ს ეფუძნება“): instinktmäßiges Verhalten.
- 7) შეზღუდვა, შემოფარგვლა, Einschränkung – „hinsichtlich X” („X-ის მხრივ“, „რაც შეეხება X-ს“): leistungsmäßige Überlegenheit (Inghult 1975:50).

მეშვიდე პუნქტთან დაკავშირებით გ. ინგულტი სამართლიანად ასკვნის, რომ ეს დერივატები „პრინციპში გარემოებებზე უნდა განვიხილოთ“, რამდენადაც „სუბსტანტიური მიმართებითი სიტყვები ზედსართაულ აბსტრაქტულ სახელებს ან მოქმედების სახელებს (nomina actionis) წარმოადგენენ“ (Inghult 1975:46). გარემოებად აღიქვამს ავტორი ასევე ფორმის, მიზეზისა და საშუალების გამომხატველ ჯგუფებს. მისი აზრით ფორმის, საშუალებისა და შეზღუდულობის მაჩვენებელი დერივატები პრედიკატივად არ გამოიყენება, თუმცა მოიძებნება მაგალითები, რომლებიც ამ მოსაზრებას უარყოფენ: Seine Einstellung ist profimäßig.

შესაბამისობისა და შესრულების გამომხატველ ჯგუფებში გ. ინგულტი განასხვავებს შესაბამისად ნორმას და მიზანს როგორც განმსაზღვრელ კატეგორიებს, რომლებშიც დროითი თვალსაზრისით, ნორმა წარსულზე მიუთითებს, მიზანი კი – მომავალზე: ნორმა – fahrplanmäßige Abfahrt; მიზანი – kriegsmäßige Ausrüstung.

საერთოდ კი გ. ინგულტი აღიარებს, რომ ჯგუფები ერთმანეთთან ახლო ნათესაობაშია. ცალკეული მნიშვნელობის გამიჯვნა კონტექსტთან დამოკიდებულებაში და სპეციფიკური ინტერპრეტაციით უნდა მოხდეს.

საინტერესოა ვ. ფლაიშერი/ი. ბარცის მოსაზრებები -mäßig სუფიქსთან დაკავშირებით. „თანამედროვე გერმანული ენის სიტყვაწარმოებაში“ ისინი -mäßig და -bar სუფიქსებს შორის ტიპოლოგიურ ნათესაობას ადგენენ და მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სხვა სუფიქსებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული შეზღუდვები -mäßig-ზე არ ვრცელდება (Fleischer/Barz 1995:265). ვ. ზაიბიკეს, გ. ინგულტისა და ი. კუნჰოლდის/ო. პუტცერი/ჰ.

ველმანისაგან განსხვავებით ვ. ფლაიშერი/ი. ბარცი სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის სამ ჯგუფს ვთავაზობენ:

1. შედარება ან მსგავსება. უმეტესად პიროვნებათა და ცხოველთა აღმნიშვნელ ბაზისებთან. „komparativ“: schülermäßiges Benehmen – Benehmen wie ein Schüler, in der Art eines Schülers. ასეთივეა: heldenmäßig, knabenmäßig, polizeimäßig, bärenmäßig, giraffenmäßig, löwenmäßig, viehmäßig. იშვითია -mäßig სუფიქსი საგანთა აღნიშვნებთან და აბსტრაქტულ სახელებთან: geschäftsmäßig, maschinenmäßig, lehrbuchmäßig, robotermäßig.

2. უცილობელი შესატყვისობა, „როგორც ... მოითხოვს“, „obligatorische Entsprechung“, „wie es ... verlangt“: rechtmäßig – wie es das Recht verlangt, dem Recht entsprechend.

ასეთივეა: fahrplanmäßig, kalendermäßig, luftschutzmäßig, ordnungsmäßig, pflichtmäßig, turnusmäßig, vorschriftsmäßig.

-mäßig სუფიქსიანი დერივატების პარალელურად, ავტორების აზრით, არსებობს -gemäß და -gerecht სუფიქსოდიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები: plangemäß/-gerecht/-mäßig, bühngemäß/-gerecht/-mäßig. თუმცა -gemäß და -gerecht სუფიქსოიდებს ყოველთვის არა აქვთ -mäßig სუფიქსის სინონიმური მნიშვნელობა: befehlsmäßiger Ton – „in der Art eines Befehls“ და befehlsgemäß handeln – „wie es der Befehl verlangt“ (Fleischer/Barz 1995:265).

3. შეზღუდვა, მიმართება. „Einschränkung“, „limitativ“, „in bezug auf...“, „was...betrifft“, („რაც შეეხება...“): altersmäßige Entwicklung, gefühlsmäßig zustimmen, überlieferungsmäßige Schwierigkeiten, wettbewerbsmäßige Benachteiligung, wohnraummäßige Ausdehnung. -mäßig სუფიქსი არც აქ წარმოადგენს -gemäß სუფიქსოიდის სინონიმს: terminmäßig (was den Termin betrifft) im Rückstand sein – termingemäß arbeiten.

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ვ. ფლაიშერი/ი. ბარციდან სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობების ნაკლები დიფერენციაცია შეინიშნება, რაც, ჩვენი აზრით, მართებული არ არის.

უნდა შევეხოთ ი. ბიტნერის ნაშრომს -mäßig სუფიქსთან დაკავშირებით. ეს არის „-mäßig-ზე დამთავრებული ზედსართავული წარმონაქმნები თანამედროვე გერმანულ ენაში“ (Bittner

1996). ავტორი გამოყოფს სამ სიტყვაწარმოებით მნიშვნელობას. ესენია:

- 1) შედარება „komparativ“: schülermäßig.
- 2) შეზღუდვა-მიმართება „limitativ“: umsatzmäßig.
- 3) ლოკალურობა „lokal“: labormäßig (Bittner 1996:14).

ი. ბიტნერი საგანგებოდ ჩერდება ბოლო სიტყვაწარმოებით მნიშვნელობაზე. მას საილუსტრაციოდ მოჰყავს წინადადებები, რომლებშიც -mäßig სუფიქსიანი დერივატი გვიხვევებს ადგილს ან მოვლენას, რომლის განსაზღვრა შეიძლება როგორც ადგილის, ასევე დროის მიხედვით:

1) Arbeitsplatzmäßig sieht es da schlecht aus (Am Arbeitsplatz sieht es da schlecht aus).

2) Ich mag es nicht, so faschingsmäßig daherzulaufen. (Ich mag es nicht, so wie im Fasching daherzulaufen).

3) Man hat labormäßig schon Flaschen mit bis zu 10 bar belastet. (Man hat im Labor schon Flaschen mit bis zu 10 bar belastet).

4) ... das CD-Rom wird einfach peripheriemäßig angeschlossen. (... das CD-Rom wird einfach an die Peripherie angeschlossen).

5) Tanja S. war wettkampfmäßig ein halbes Jahr lang nicht mehr auf dem Eis. (Tanja S. war bei Wettkämpfen ein halbes Jahr lang nicht mehr auf dem Eis).

6) Wettkampfmäßig kamen wir (Olaf Ludwig und XY) nie recht zusammen. (Bei Wettkämpfen kamen wir (Olaf Ludwig und XY) nie recht zusammen).

მესამე წინადადების მიხედვით ბოთლები დაიტვირთა ლაბორატორიაში; მეხუთე და მეექვსე წინადადებებში შეჯიბრება წარმოვეიდგენს ადგილს, სადაც ტანია S. უკვე დიდი ხანია აღარ ყოფილა ან სადაც ოღაჲ ლუდვიგი და XY ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. შეჯიბრებას ავტორი ადგილად განიხილავს. აქ ლაპარაკია მოვლენაზე, რომელიც განსაზღვრულ დროს რომელიმე განსაზღვრულ ადგილას იმართება. იმავე თვალსაზრისით აღიქვამს ავტორი კარნავალს გარკვეულ ადგილად. „ყველიერს“ ანუ „ფაშინგს“ თავისი ადგილი აქვს მიხნეული წელიწადის დადგენილ დროს.

ი. ბიტნერი წერს, რომ ლოკალურ მნიშვნელობას განსაკუთრებით მკაფიოდ ავლენს -mäßig სუფიქსის შედარება -haft სუფიქსთან:

ა) Wettkampfmäßig kamen wir (O. Ludwig und XY) nie recht zusammen.

ბ) Wettkampfhaft kamen wir (O. Ludwig und XY) nie recht zusammen. ეს ოპოზიცია ნათელყოფს, რომ ა) წინადადებაში შეხვედრის ხასიათი კი არა, არამედ ადგილი წარმოადგენს დერივაციული ბაზისის ძირითად მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, ბ) წინადადება გრამატიკულად არასწორია.

ი. ბიტნერის აზრით, სიძნელეებს წავაწყდებით მეოთხე წინადადების დახასიათებისას, თუ არ გამოვიყენებთ „ლოკალურ“ ინტერპრეტაციას. კომპაქტდისკი ხომ მხოლოდ პერიფერიას შეიძლება დაუკავშირდეს და არა „როგორც პერიფერია“ ან „პერიფერიის საშუალებით“ (Bittner 1996:15).

თუ სიტყვას arbeitsplatzmäßig ზემოხსენებული 1) წინადადების გარდა სხვაგანაც გამოვიყენებთ, მაგალითად, Die arbeitsplatzmäßigen Verbesserungen sind von der Direktion abgesegnet worden., ან Die Arbeit in der Druckerei ist arbeitsplatzmäßig eine echte Verbesserung., – დაინახავთ, რომ აქ arbeitsplatzmäßig არ გულისხმობს სამუშაო ადგილს (Arbeitsplatz) საქმიანობის თვალსაზრისით, არამედ სამუშაო ადგილს, როგორც კონკრეტულ ადგილს, სადაც მუშაობა მიმდინარეობს. Arbeitsplatz-ის თავდაპირველი მნიშვნელობა 1) წინადადებაში არის მეტაფორული. ამგვარად, აქ მნიშვნელობა ისევ კონკრეტულის სფეროს უბრუნდება. ორივე შემთხვევაში პრობლემას ქმნის ის, რომ arbeitsplatzmäßig შეზღუდვასაც გამოხატავს. ეს პრობლემა განსაკუთრებით ვლინდება ზმნიზედური გამოყენებისას. მაგრამ თუ წინადადებას – Die arbeitsplatzmäßigen Verbesserungen sind von der Direktion abgesegnet worden. – შევცვლით წინადადებით: Die Verbesserungen des Arbeitsplatzes sind von der Direktion abgesegnet worden, მაშინ ნათელი გახდება, რომ -mäßig სუფიქსიანი დერივატი genitivus loci-ს უკავშირდება, რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეზღუდვასაც უნდა გამოხატავდეს; მაგრამ რადგანაც შეზღუდვას ყოველი განვრცობა-დაკონკრეტება შეიცავს, ამიტომ ის მაღიფერენცირებელ ნიშნად არ ჩაითვლება.

ზემოთ განხილული კონცეფციები გრაფიკულად ცხრილის სახით შეიძლება შემდეგნაირად იქნას წარმოდგენილი:

ვ. ზაიბიკე	ი.კუნჰოლდი/ო. ჰუტცერი/ჰ. ველმანი	გ. ინგულტი	ვ. ფლაიშერი/ ი. ბარცი	ი. ბიტნერი
როგორც „wie“ familienmäßig	შედარების სი- დიდე autobahnmäßige Umfahrung	მსგავსება familienmäßige Versammlung	შედარება ან მსგავსება schülermäßig	შედარება schülermäßig
	მოქმედების რაგვარობა taktmäßiges Treten			
	იდენტურობა behelfsmäßiger Tisch			
შესატყვისო- ბა -gemäß fahrplanmäßig	შესატყვისობა berufsmäßige Freundlichkeit	შესატყვისო- ბა fahrplanmäßige Abfahrt	უცილობელი შესატყვისო- ბა fahrplanmäßig	
		მოქმედების შესრულება kriegsmäßige Ausrüstung		
		ფორმა berufsmäßiges Musizieren		
მიმართება „hinsichtlich“ gefühlsmäßig	„რაც შეეხება“ gebietsmäßige Erfassung	შეზღუდვა leistungsmäßige Überlegenheit	შეზღუდვა gefühlsmäßig zustimmen	შეზღუდვა- მიმართება umsatzmäßig
		მიზეზი instinktmäßige Bewegungen		
საშუალება aktenmäßig	საშუალება, ინ- სტრუმენტი liftmäßige Erschließung	საშუალება etwas aktenmäßig beweisen		
				ლოკალუ- რობა labormäßig

ამ ცხრილის მიხედვით ნათელი ხდება, რომ -mäßig სუ-
ფიქსიან დერივატებში არსებობს სემანტიკური მნიშვნელობების
ფართო სპექტრი, რომელიც ათი ჯგუფისაგან შედგება. აქედან
ორი ძირითადი კატეგორია (შედარება, შეზღუდვა) მოცემულია
სუთივე გამოკვლევაში, სამი კატეგორია (შედარება, შეზღუდვა,
უცილობელი შესატყვისობა) – ოთხ გამოკვლევაში, ხოლო და-
ნარჩენები ერთმანეთს არ ფარავს. აღნიშნული კლასიფიკაცია,
რომელიც სხვადასხვა ავტორთა თვალსაზრისს ეფუძნება, ჩვენი
აზრით, შეიძლება გამარტივდეს საკლასიფიკაციო ერთეულების
გაერთიანების გზით, მაგალითად, მოქმედების რაგვარობის მაჩ-
ვენებელი ჯგუფი ახლოს დგას შედარების გამომხატველ
ჯგუფთან, ამიტომ ისინი შეიძლება გაერთიანდნენ შედარების
სეგმენტად (taktmäßiges Treten, autobahnmäßige Umfahrung). ასევე
შეიძლება ფორმის, მიზეზის, მოქმედების შესრულებისა და
უცილობელი შესატყვისობის გამომხატველი ჯგუფების გაერ-
თიანება ერთ სეგმენტად – უცილობელი შესატყვისობის სეგ-
მენტის სახით (berufsmäßige Freundlichkeit, instinktmäßiges Benehmen,
berufsmäßiges Musizieren, kriegsmäßige Ausrüstung).

-mäßig ნიშაში გვხვდება იდიომატიზებული კონსტრუქციე-
ბი, როგორცაა regelmässig და verhältnismässig.

სიტყვაში regelmässig უკვე აღარ რეალიზდება Regel არსები-
თი სახელისაგან დერივაციის ფაქტი: Regelmäßiges Üben fordert
die Ausdauer.

ეს წინადადება არ შეიძლება ამგვარად გადავაკეთოთ:
*Üben, wie es die Regel erfordert, fordert die Ausdauer.

regelmässig დერივატის იდიომატიზებაზე მიუთითებს ის
ფაქტი, რომ უმეტეს შემთხვევაში მას აქვს მნიშვნელობა, რო-
მელშიც უშუალოდ არ არის მოცემული სემანტიკური მიმართე-
ბა „წესთან“. გ. ინგულტის აზრით, regelmässig შეიძლება ნიშნავ-
დეს „მოწესრიგებულს, სიმეტრიულს“ და „თანაბარი ინტერვა-
ლით განმეორებადს“ (Inghult 1975:119).

იგივე შეიძლება ითქვას დერივატზე verhältnismässig, რო-
მელმაც უკვე შეიძინა მნიშვნელობა: „შედარებით“, „საკმაოდ“. ამით მან დაკარგა ექსპლიციტური მიმართება ბაზისურ სიტ-
ყვასთან, რომელიც ნიშნავს „დამოკიდებულებას“.

წამოიჭრება საკითხი, გვხვდება თუ არა დერივატი *verhältnismäßig* ზმნიზედური გამოყენების პარალელურად ატრიბუტადაც. არ შეიძლება, შდრ. *Die verhältnismäßige Anreicherung mit Uranerz.

ატრიბუტად შეიძლება გამოვიყენოთ *relativ*, რომელიც სპეციალურ დარგობრივ ტერმინს წარმოადგენს: *die relative Dichte eines Stoffes; relatives Tempus*.

ჩვენი აზრით, ატრიბუტული გამოყენება იმავე რემოტივაციას უნდა ნიშნავდეს, სადაც „მიმართების“, „შესაბამისობის“ ექსპლიციტური მნიშვნელობა ისევე ამოტივტივდება, როგორც მაგალითად, წინადადებაში: *Die verhältnismäßige Aufteilung der Beispiele zeigt allerdings, dass die Gruppe „a“ unterrepräsentiert ist.* (მაგალითების შესაბამისი განაწილება გვიჩვენებს, რომ „ა“ ჯგუფი მცირერიცხოვანია). მოცემულ წინადადებაში სიტყვის *verhältnismäßig* ინტერპრეტირება იმ გაგებით ხდება, რომ იგი „განაწილების“ უფრო დაწვრილებით დეფინიციას იძლევა, კერძოდ კი, ჯგუფების პროპორციების თვალსაზრისით. ეს რემოტივაცია მოწმობს კონსტრუქციის *verhältnismäßig* იდიომატიზებას.

ამგვარად, -*mäßig* ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. შედარების სეგმენტი (*schülermäßig, heldenmäßig*);
2. უცილობელი შესატყვისობის სეგმენტი (*fahrplanmäßig, berufsmäßig*);
3. შეზღუდვით-მიმართებითი სეგმენტი (*gebietsmäßige Erfassung, leistungsmäßige Überlegenheit*);
4. საშუალების გამომხატველი სეგმენტი (*aktenmäßig beweisen, liftmäßig Erschließung*);
5. იდენტურობის სეგმენტი (*behelfsmäßiger Tisch, winkelmäßig verschrauben*);
6. ლოკალური სეგმენტი (*arbeitsplatzmäßig, labormäßig*).

3.3.11. -sam ნოშა

-sam სუფიქსი მომდინარეობს ძველი ზემოგერმანულიდან sama, samo, შუა ზემოგერმანული sam „ასევე“ (ახალი ზემოგერმანული gleichsam) (Wilmanns 1899:493). ამ სუფიქსით ახალი ზედსართავები ნაკლებად წარმოიქმნება. იგი აქტიურ სუფიქსს წარმოადგენს. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს ზმნა, არსებითი სახელი ან ზედსართავი სახელი.

1. ზმნური ბაზისი

მოდელები:

$V \cdot D(sam)$ – biegsam, strebsam, duldsam, schmiegsam, schweigsam, heilsam, lernsam, folgsam, fühsam, fügsam.

$V(PV_1) \cdot D(sam)$ – bestrebsam, beredsam, einprägsam, bedenkсам, erholsam, beharrsam, aufhaltsam, enthaltsam, anschmiegsam.

-sam სუფიქსიანი ზედსართავები ძირითადად პიროვნების თვისებისა და ქცევის დასახასიათებლად გამოიყენება. თუ ბაზისური კომპონენტი გარდამავალი ზმნაა, მაშინ კონსტრუქცია პასიურ შესაძლებლობას გამოხატავს (**პასიური შესაძლებლობის სეგმენტი**): biegsam – was leicht gebogen werden kann. ასეთივეა: einprägsam, bildsam, pflegsam, lernsam.

-sam ნიშის პასიური მნიშვნელობის დევერბალურ წარმონაქმნებს ზოგჯერ -bar სუფიქსიანი პასიური მნიშვნელობის კონსტრუქციები შეესატყვისება:

ein lenksamer Mensch (ein Mensch kann gelenkt werden) – ein gut lenkbarer Wagen (der Wagen kann gut gelenkt werden).

ein unbeugsamer Wille (der Wille kann nicht gebeugt werden) – ein unbeugbarer Charakter (der Charakter kann nicht gebeugt werden).

ein unaufhaltsamer Aufstieg (der Aufstieg kann nicht aufgehalten werden) – unaufhaltbare Fortschritte (die Fortschritte können nicht aufgehalten werden).

ასეთივეა: bildsam – bildbar, regsam – regbar, ehrsam – ehrbar, furchtsam – furchtbar.

მაგრამ -sam ნიშაში არის აქტიური მნიშვნელობის გამომსახველი წარმონაქმნებიც, რომელთაც -bar სუფიქსიანი პასიური დერივატები უპირისპირდება:

achtsam (sorgfältig auf alles achtend)
ყურადღებოანი

achtsam mit etwas umgehen
ყურადღებით მოპყრობა
ein heilsamer Schock (der Schock heilt)

მკურნავი შოკი
eine äußerst mitteilsame Person (die Person teilt gern mit)

გულღია ადამიანი
ein duldsamer Mensch (der Mensch, der duldet)

მომთმენი ადამიანი
eine fühlsame Person (eine Person, die mitfühlt)

თანამგრობო პიროვნება
ein arbeitsamer Mensch (der Mensch, der viel arbeitet)

მშრომელი ადამიანი

achtbar (geachtet)

ღირსეული, პატივცემული, ყურადსაღები

achtbar handeln

ღირსეულად მოქცევა

eine heilbare Krankheit – (Krankheit kann geheilt werden)

განკურნებადი ავადმყოფობა
kein mitteilbares Ergebnis (kann nicht mitgeteilt werden)

ენით გამოუთქმელი ამბავი
duldbare Zustände (die Zustände können geduldet werden)

მოსათმენი, ასატანი გარემოებები
ein fühlbarer Fortschritt (der Fortschritt, den man fühlen kann)

საგრობო წარმატება
(be)arbeitbares Thema

(das Thema kann bearbeitet werden)

თემა, რომლის დამუშავება შეიძლება

-sam სუფიქსიანი კონსტრუქციები ზმნით გამოხატული მოქმედებისაკენ მიდრეკილებას აღნიშნავენ და მიდრეკილების სეგმენტად გამოიყოფიან:

ein anschmiegsames Mädchen – das Mädchen schmiegt sich gern, leicht an.

ასეთივეა: empfindsam, folgsam, sparsam, wachsam, lehrsam.

ორნატიულ სეგმენტად შეიძლება გამოვეყოს დერივატები:

bedeutsam (ein bedeutsamer Augenblick – Augenblick voller Bedeutung).

erholsam (ein erholsamer Urlaub – Urlaub voller Erholung).

mühsam (eine mühsame Arbeit – Arbeit voll Mühe).

wirksam (eine wirksame Maßnahme – Maßnahme voller Wirkung).

იდიომატიზებულია სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები:
ein grausamer Mensch, ein wachsameres Auge.

2. სუბსტანტიური ბაზისი

-sam ნიშაში არსებით სახელიანი დერივატები ნაკლებად გეხვედება. მოდელი: $S \cdot D(sam)$ – ehksam, friedksam, betriebsam, furchksam, gewaltsam, wundersam, sitksam, tugendsam. აღნიშნული კონსტრუქციები შეიძლება **ორნატიულ სეგმენტში** გააერთიანონოთ, რადგან ისინი გამოსატული ნიშნით ბაზისური არსებითი სახელით აღჭურვილობას აღნიშნავენ: ein furchtsamer Mensch – Mensch mit Furcht; gewaltsame Öffnung – Öffnung mit Gewalt.

3. ზედსართაული ბაზისი

ზედსართაულ ბაზისიანი წარმონაქმნები არაპროდუქტიულ ტიპს მიეკუთვნება.

მოდელი $A \cdot D(sam)$ – gemeinsam, satksam, langsam, selksam.

მათი სემანტიკურ ჯგუფად გაერთიანება არ ხერხდება.

ამგვარად, -sam ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. პასიური შესაძლებლობის სეგმენტი (bieksam, einpräksam);
2. აქტიური შესაძლებლობის სეგმენტი (achtsam, heilksam);
3. მიდრეკილების სეგმენტი (arbeitsam, empfindsam);
4. ორნატიული სეგმენტი (bedeutsam, gewaltsam).

3.4. უცხოური სუფიქსები

უცხოური სუფიქსებია: -abel/-ibel, -al/-ell, -ant/-ent, -ar/-är, -esk, -iv, -oid, -os/-ös.

უცხოურ სუფიქსიანი დერივატები გამოიყენება არა მართლ სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში, არამედ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ყოველდღიურ სასაუბრო ენაშიც.

თანამედროვე ენაში გერმანული და უცხოური სუფიქსების თანაარსებობა პარალელური სემანტიკური ჯგუფების წარმოშობამდე მიდის. შდრ., მაგალითად, ზედსართაული სუფიქსები -abel/-ibel და -bar (disponibel – verfügbar), -in და -en (kristallin/kristallen). აღნიშნული პარალელიზმი გარკვეულწილად კონკურენციასა და სინონიმობას იწვევს, თუმცა გერმანული და უცხოური სუფიქსების სემანტიკა, ჩვეულებრივ, მთლიანად არ ფარავს ერთმანეთს. მათ მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ შეხების წერტილები. გერმანული და უცხოური ელემენტები შეიძლება კომბინირებული იყოს, ისე რომ ჰიბრიდული წარმონაქმნი მივიღოთ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გერმანული სუფიქსი ბაზისური უცხოური სიტყვის ძლიერ ინტეგრაციას იწვევს, ხოლო უცხოური სუფიქსი გერმანული ბაზისური სიტყვის „გაუცხოურებას“ უწყობს ხელს.

3.4.1. -abel/-ibel ნიშნა

სუფიქსი -abel/-ibel გერმანულში ლათინურიდან არის შემოსული (-ābilis/-ibilis) და თავისი მნიშვნელობით -bar გერმანული სუფიქსის მონათესავეა. იგი აწარმოებს ზედსართავეებს -ier სუფიქსიანი ნასესხები ზმნებიდან, ამასთან -abel/-ibel სუფიქსის წინ -ier ელემენტი იკვეცება: diskutieren – diskutabel, disponieren – disponibel.

ასეთივეა: akzeptabel, respektabel, kompensabel, variabel, transportabel, appellabel.

ლათინური ფორმების შესაბამისად ბაზისური სიტყვა შეიძლება სხვადასხვა ვარიაციებით შეგვხვდეს:

explodieren – explosibel, praktizieren – praktikabel,

komprimieren – kompressabel, expandieren – expansibel.

-abel/-ibel სუფიქსიან დერივატებში, რომელთა ბაზისური სიტყვა გარდამავალი ზმნაა, გამოიყოფა **პოტენციურ-პასიური შესაძლებლობის სემანტი**: imitabel – was imitiert werden kann; ასეთივეა: konvertibel, tolerabel, disponibel, respektabel, praktikabel.

თუ ბაზისური სიტყვა გარდაუვალი ზმნაა, მაშინ იკვეთება პოტენციურ-აქტიური მნიშვნელობის სეგმენტი: explosibel – kann explodieren. ასეთივეა: repräsentabel, profitabel, appellabel, blamabel, rentabel.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, -abel/-ibel სუფიქსის პარალელურად ხშირად გვხვდება -bar:

reparabel – reparierbar, deklinabel – deklinierbar,
explosibel – explodierbar, akzeptabel – akzeptierbar.

მაგრამ -bar სუფიქსი ხმარების მეტი სიხშირით გამოირჩევა, ასე მაგალითად, -isieren და -ifizieren-ზე დამთავრებულ ზმნებში არის -bar და არა -abel/-ibel: qualifizierbar, kristallisierbar, monopolisierbar, polarisierbar, ätherisierbar, magnetisierbar, analysierbar, verifizierbar.

-abel/-ibel ნიშაში სუბსტანტიური ბაზისი იშვიათია: komfortabel, rasonabel, profitabel (თუმცა აქ ბაზისურ სიტყვად შეიძლება ზმნაც ჩაითვალოს: profitieren). ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები **ორნატიულ სეგმენტს** ქმნიან.

ამრიგად, -abel/-ibel ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. პოტენციურ-პასიური შესაძლებლობის სეგმენტი (imitabel, disponibel);
2. პოტენციურ-აქტიური შესაძლებლობის სეგმენტი (explosibel, blamabel);
3. ორნატიული სეგმენტი (komfortabel, rasonabel).

3.4.2. -al/-ell ნიშა

სუფიქსი -al/-ell უკავშირდება ლათინურს -ālis და ფრანგულს -el. ბაზისური სიტყვა ჩვეულებრივ არის არსებითი სახელი: eine horizontale Linie, fundamentale Fragen, maschinelle Übersetzung, eine sensationelle Neuheit.

-al/-ell სუფიქსიანი დერივატები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მართვა-გამგებლობისა და სპეციალურ დარგობრივ დექსიკაში. ისინი ენათესავენ -isch, -ig ან -lich სუფიქსიან წარმონაქმნებს, რამდენადაც მათი საშუალებით სუბსტანტიური

ფორმით აღნიშნული ნიშან-თვისებები სხვა ენობრივი ნიშნის დეტერმინაციისათვის გამოიყენება. ბაზისური არსებითი სახელის დაბოლოება ხანდახან იკვეცება: Zentrum – zentral, Usus – usuell, Ritus – rituell, Gymnasium – gymnasial, Universum – universal.

-al და -ell სუფიქსების გამოიყენება მკაცრად განსაზღვრული არ არის. დერივატების 60%-ს აქვს სუფიქსი -al ან მისი ვარიანტები -ual, -ial: katastrophal, formal, prozentual, prozessual, äquatorial, tangential, ხოლო დანარჩენ კონსტრუქციებში გვხვდება -ell სუფიქსი და მისი ვარიანტები: -iell, -uell: kulturell, naturell, tendenziell, vektoriell, graduell, intellektuell.

ზოგჯერ სემანტიკური დიფერენციაციის გარეშე ერთმანეთის პარალელურად არსებობს ორივე სუფიქსი: ein universales Wissen – ein universelles Wissen, die strukturelle Erzählforschung – die strukturelle Erzählforschung. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი განსხვავებულ სემანტიკას ავლენენ:

ein ideales Wetter
 იდეალური ამინდი
 ein originaler Picasso
 ორიგინალური (ნამდვილი) პიკასო
 einige formale Probleme
 ფორმალური (რაც შეეხება ფორმას, ფორმის მხრივ) პრობლემები
 rationales Denken
 რაციონალური (რაციონთი განსაზღვრული) აზროვნება

ideelle Werte
 იდეური ღირებულებები
 ein origineller Einfall
 ორიგინალური (თვითმყოფადი) იდეა
 eine formelle Verabschiedung
 ფორმალური (ქცევის ნორმების შესატყვისი) დამშვიდობება
 eine rationelle Arbeitsweise
 რაციონალური (მიზანმიმართული) მუშაობა

კომპოზიტებში მსაზღვრელ სიტყვად მხოლოდ -al სუფიქსიანი დერივატები გვხვდება: das Universalgenie, ein Spezialfall, die Existentialphilosophie, die Idealbesetzung, die Experimentalphysik, am Originalschauplatz, das Differentialgetriebe.

მეორე მხრივ, არსებობს -ell სუფიქსიანი დერივატები, რომელთაც არა აქვთ -al სუფიქსიანი შესატყვისი: oppositionell, sensationell, konfessionell, appositionell.

-al/-ell ნიშაში გამოიყოფა **შედარების სეგმენტი**: kolossal – wie ein Koloss. ასეთივეა: genial, monumental, pyramidal, normal, pastoral, kollegial, experimental, horizontal.

-al/-ell სუფიქსიანი დერივატების დიდი ნაწილი მიმართებით ზედსართავებს წარმოადგენს, რომლებიც ზოგად მიმართებას გამოხატავენ. ამდენად, მათში გამოიყოფა მეორე – **მიმართებითი სეგმენტი**: national, embryonal, bronchial, hormonal, zonal, okzidental.

ამგვარად, -al/-ell ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. შედარების სეგმენტი (kolossal, monumental);
2. მიმართებითი სეგმენტი (bronchial, national).

3.4.3. -ant/-ent ნიშა

სუფიქსი -ant/-ent ნასესხებია ლათინურიდან -antis, -entis. ბაზისური სიტყვა უმეტესად არის -ier სუფიქსიანი ნასესხები ზმნა, რომელშიც -ant/-ent სუფიქსის წინ -ier ელემენტი იკვეცება: sich mokieren – mokant, sich amüsieren – amüsant, frappieren – frappant, brillieren – brillant.

ეს კონსტრუქციები დამახასიათებელი თვისების ქონას აღნიშნავენ და **მიდრეკილების სეგმენტს** ქმნიან.

-ant/-ent ნიშაში გვხვდება სუბსტანტიური ბაზისიც: ein charmanter Mensch, interessante Daten. სუბსტანტიური ბაზისი შეიძლება იყოს -anz სუფიქსიანი არსებითი სახელები: arrogant – die Arroganz, elegant – die Eleganz, kulant – die Kulanz, tolerant – die Toleranz, relevant – die Relevanz, vakant – die Vakanz, prägnant – die Prägnanz. -ent სუფიქსიანი კონსტრუქციები კი -enz სუფიქსიან სახელებს უკავშირდება: intelligent – die Intelligenz, prominent – die Prominenz, divergent – die Divergenz, korpulent – die Korpulenz, koinzident – die Koinzidenz, evident – die Evidenz, immanent – die Immanenz, kohärent – die Kohärenz, konsequent – die Konsequenz,

resistent – die Resistenz, indulgent – die Indulgenz, abstinent – die Abstinenz, renitent – die Renitenz.

აღნიშნული კონსტრუქციები **ორნატიულ სეგმენტად** ერთიანდებიან.

ამგვარად, -ant/-ent ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. მიდრეკილების სეგმენტი (mokant, frappant);
2. ორნატიული სეგმენტი (arrogant, intelligent).

3.4.4. -ar/-är 60შა

-ar/-är სუფიქსი უკავშირდება ლათინურს -aris და ფრანგულს -aire. ბაზისური სიტყვა ძირითადად არის არსებითი სახელი.

-är ვარიანტი სიხშირის მეტი ხარისხით გამოირჩევა. იგი ძირითადად გეხვდება -ion და -ität-ზე დამთავრებულ ბაზისურ სიტყვებთან: Autorität – autoritär, Inflation – inflationär, Reaktion – reaktionär, Sanität – sanitär, Revolution – revolutionär.

ხოლო -ar სუფიქსური ვარიანტი გამოიყენება დერივატებში, რომელთა ბაზისური სიტყვები რაიმე სიდიდის უმცირეს ნაწილებს აღნიშნავენ: atomar, molekular, insular, korpuskular, monokular.

-ar/-är სუფიქსი ძირითადად მიმართებით ზედსართავებს აწარმოებს, რომლებიც **მიმართებით სეგმენტს** ქმნიან: muskulär – Muskel betreffend. ასეთივეა: insular, atomar, korpuskular, lunar, molekular.

ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია მიმართებითის პარალელურად ორნატიულ სეგმენტსაც შეიცავს: polar – auf Pol bezogen („პოლუსთან დაკავშირებული“) და Pole besitzend („პოლუსების მქონე“) (Fleischer/Barz 1995:268).

წმინდა **ორნატიული წარმონაქმნებია**: lakunär, illusionär.

-ar/-är ნიშაში შეიძლება გამოიყოს ასევე **იდენტურობის სეგმენტი**: revolutionär, reaktionär, regulär და **შედარების სეგმენტი**: visionär – in der Art einer Vision. ასეთივეა doktrinär, legendär, linear, lamellar.

ამგვარად, -ar/-är ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. მიმართებითი სეგმენტი (muskulär, atomar);
2. ორნატიული სეგმენტი (lakunär, illusionär);
3. იდენტურობის სეგმენტი (revolutionär, reaktionär);
4. შედარების სეგმენტი (linear, legendär).

3.4.5. -esk ნიშა

-esk სუფიქსი უკავშირდება იტალიურს -esco, ფრანგულს -esque. იგი კონსტრუქციების მცირე ჯგუფში გვხვდება, რომელთა ბაზისურ სიტყვას არსებითი სახელი წარმოადგენს: humoresk, romanesk, chevaleresk, miniaturesk.

ხშირია საკუთარ სახელიანი დერივატები: danteske Szenen, ein sehr kafkaeskes Ich, hoffmannesk-romantisch, von chaplineskem Format (Fleischer 1983:245).

-esk ნიშა წარმოადგენილია **შედარების სემით**: balladesk – in der Art einer Ballade; eine clowneske Demonstration, das nouvelleske Genre.

3.4.6. -iv ნიშა

-iv სუფიქსი დაკავშირებულია ლათინურ -ivus და ფრანგულ -if, -ive-თან. ბაზისური სიტყვა ძირითადად არის -ion სუფიქსზე დამთავრებული არსებითი სახელი, რომელშიც -ion ელემენტი -iv სუფიქსის წინ იკვეცება: Attraktion – attraktiv, Spekulation – spekulativ.

ასეთი წარმონაქმნები შეიძლება მოტივირებული იყოს -ieren-ზე დამთავრებული ნასესხები ზმნებითაც: informieren – informativ, spekulieren – spekulativ.

ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა ბაზისურ სიტყვად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც არსებითი სახელი, ასევე შესაბამისი ზმნა, თანამედროვე გერმანულ ენაში მრავლად მოიპოვება: explosiv – Explosion – explodieren, illustrativ – Illustration – illustrieren, korrosiv – Korrosion – korrodieren, kumulativ – Kumulation – kumulieren.

ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს ნასესხები არსებითი სახელიც -ion სუფიქსის გარეშე: *affektiv, impulsiv, konservativ*.

-iv ნიშაში გამოიყოფა **ორნატიული სეგმენტი**, რომელიც უახლოვდება შედარების სეგმენტს: *effektive Arbeit, aggressives Verhalten*. ასეთივეა: *impulsiv, instinktiv, informativ, initiativ*.

გვხვდება -iv სუფიქსიანი **მიმართებითი ზედსართავებიც**: *assoziativ, deskriptiv, quantitativ, qualitativ*.

ამგვარად, -iv ნიშაში გამოიყოფა:

1. **ორნატიული სეგმენტი** (*effektiv, aggressiv*);
2. **მიმართებითი სეგმენტი** (*qualitativ, assoziativ*).

3.4.7. -oid ნიშა

-oid სუფიქსი მომდინარეობს ბერძნულიდან და მეტად გავრცელებულია სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ბაზისური სიტყვა ჩვეულებრივ არის არსებითი სახელი: *lymphoid, polypoid, lichenoid, osteoid, paranoid*.

-oid ნიშა წარმოდგენილია ერთადერთი – **შედარების სემით**.

3.4.8 -os/-ös ნიშა

-os/-ös სუფიქსი უკავშირდება ლათინურს -osus და ფრანგულს -ieuse, -ieux, ბაზისური სიტყვაა არსებითი სახელი: *voluminös, schikanös*.

-os სუფიქსური ვარიანტი შედარებით ნაკლებად გვხვდება. იგი ძირითადად სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში გამოიყენება. ერთი მხრივ: *humos* („ნეშომპალიანი“), *nitros* („ნიტროზული“, „აზოტის ოქსიდის შემცველი“), მეორე მხრივ: *moros* („პირქუში“), *glorios* („დიდებული“), *rigoros* („ძალიან მკაცრი“), *furios* („მრისხანე“).

გვხვდება -os და -ös სუფიქსიანი პარალელური ფორმები სემანტიკური დიფერენციაციის გარეშე: *dubios – dubiös* („საეჭვო“), *odios – odiös* („საძულველი“), *pastos – pastös* („პასტისებური“),

spirituos – spirituös („ძლიერ ალკოჰოლური“), tuberkulos – tuberkulös („ტუბერკულოზური“).

-ös სუფიქსიან დერივატებში გამოიყოფა: **ორნატიული სეგმენტი**: muskulös, religiös, tuberkulös, porös, pompös, skandalös, kapriziös, ambiziös, kavernös და **შედარების სეგმენტი**: monströs, mirakulös, kompendiös, mysteriös, philiströs.

ზემთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ვხედავთ, რომ ზოგჯერ ინტერფიქსად გვაქვს -i- (ლათინური -iosus): infektiös, luxuriös, sentenziös, strapaziös, perniziös.

-os/-ös სუფიქსის სინონიმურ მნიშვნელობებს ავლენენ -haft, -ig, და -isch სუფიქსები: graziös – grazienhaft, porös – porig, melodiös – melodisch.

იდიომატიზებულ დერივატს წარმოადგენს nervös.

ამგვარად, -os/-ös ნიშაში გამოიყოფა შემდეგი სეგმენტები:

1. ორნატიული სეგმენტი (muskulös, porös);
2. შედარების სეგმენტი (monströs, philiströs).

3.5. ზედსართაული პრეფიქსული დერივატი. გერმანული პრეფიქსები

ზედსართაული პრეფიქსული დერივატების სახელდებითი ფუნქცია მდგომარეობს უკვე არსებული ზედსართავების მნიშვნელობის მოდიფიკაციაში. სინტაქსური კონსტრუქციების კომპრესიაში ისინი თითქმის არ მონაწილეობენ. პრეფიქსაციისას ხდება ზედსართაული ძირეული ფორმის დეტერმინირება მორფემული პრეფიქსით: ungesund = un + gesund.

რადგანაც პრეფიქსული დერივატები მოტივაციის მაღალ ხარისხს ავლენენ, მათი გაგება სიძნელეს არ წარმოადგენს. ზედსართავის სფეროში პრეფიქსაცია ნაკლებად არის განვითარებული. ძირითადი გერმანული პრეფიქსებია: erz-, miss-, un- და ur-. ოთხივე პრეფიქსი მახვილიანია, თუმცა miss- შეიძლება ზოგჯერ უმახვილო იყოს. ორი მათგანი – miss- და un- უარყოფის სემას შეიცავს: missverständlich, unschön, ორი კი – ur- და erz- გამაძლიერებელი მნიშვნელობით გამოიყენება: erzfaul, uralt.

აღნიშნულ პრეფიქსთაგან ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია un-.

3.5.1. erz- ნიშა

erz- პრეფიქსიანი ზედსართაული დერივატები თანამედროვე გერმანულ ენაში მცირე რაოდენობით გვხვდება. მათი გამოყენება ძირითადად მე-17 საუკუნიდან იწყება (Fleischer 1983:291). erz- პრეფიქსი გამაძლიერებელი მნიშვნელობით ხასიათდება და უმთავრესად ნეგატიური შეფასების მქონე ზედსართავეებს უკავშირდება. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს როგორც სიმპლექსი, ასევე სუფიქსური დერივატი: erzdumm, erzfaul, erzböse, erzbrav, erzkatholisch, erzkonservativ, erzreaktionär.

ამგვარად, erz- ნიშა უპირატესად **გაძლიერების სემას** შეიცავს (erzdumm, erzfaul).

3.5.2. miss- ნიშა

miss- პრეფიქსი გერმანულში შედარებით იშვიათია. იგი გვხვდება ზედსართავეებში, რომლებიც იმავე სუფიქსის მქონე არსებითი სახელებისაგან არის წარმოქმნილი: die Missgunst – missgünstig, der Missmut – missmutig, die Missfarbe – missfarben, missfarbig, ან პარტიციპული ზედსართავეების წინ: missvergnügt, missgelaunt, missgestimmt, missgestaltet, missgewachsen, missgebildet, misstönend.

ზოგჯერ miss- ნიშის ზედსართავი შეიძლება დაუკავშირდეს როგორც miss- პრეფიქსიან არსებით სახელს, ასევე ზმნას:

der Missbrauch – missbräuchen – missbräuchlich,

der Missfallen – missfällen – missfällig,

das Misstrauen – missträuen – misstrauisch.

ასეთ შემთხვევებში ხდება მახვილის მონაცვლეობა. არსებით სახელსა და ზედსართავში miss- პრეფიქსი მახვილიანია, ხოლო ზმნაში – უმახვილო. სწორედ უმახვილო ზმნურ miss-

პრეფიქსს უკავშირდება ის გარემოება, რომ ზედსართავებში missrâten, missglückt, misslungen აღნიშნული პრეფიქსი უმახვილოა, განსხვავებით ზემოთ ნახსენები კონსტრუქციებისაგან.

miss- პრეფიქსი თვით ზედსართავ სახელს იშვიათად უკავშირდება: missbehaglich, misslaunig, misszufrieden.

miss- პრეფიქსი **უარყოფის სემას** შეიცავს და იმავდროულად პეიორატიული ელფერით ნორმისაგან გადახრას გამოხატავს: missgünstige Kollegen, ein misstönender Pfeifton, der missratene Sohn, ein missglückter Versuch.

ზოგჯერ miss- პრეფიქსი უარყოფის გამომხატველი un-პრეფიქსის სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს: misszufrieden – unzufrieden, missbehaglich – unbehaglich.

მაგრამ ერთი და იმავე ბაზისის მქონე miss- და un- პრეფიქსიანი დერივატები ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ სემანტიკურ დატვირთვის იძენენ: missgünstige Kollegen („შურიანი კოლეგები“) – ein ungünstiger Zeitpunkt („არახელსაყრელი მომენტი“).

ამგვარად, miss- ნიშა წარმოდგენილია ერთადერთი – უარყოფის სემით, რომელსაც თან ახლავს პეიორატიული შეფასების ელფერი (ein misstrauischer Mensch, ein missgestimmter Alter).

3.5.3. un- ნიშა

un- პრეფიქსი დღევანდელი ფორმით ჯერ კიდევ გუთურში არსებობდა. დიდი ხნის ისტორიამ განაპირობა ის, რომ თანამედროვე გერმანულში ხშირია un- პრეფიქსიანი იდიომატიზებული წარმონაქმნები. გარდა ამისა, გვხვდება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთათვისაც un- პრეფიქსი ჯერაც აქტიურია, მაგრამ არა პროდუქტიული.

un- ნიშა წარმოდგენილია **უარყოფითი სემით**. ამ პრეფიქსის საშუალებით შეიძლება იმ ზედსართავების უარყოფითი ფორმების წარმოქმნა, რომელთაც ლექსიკონში ცალსახა ანტონიმები არა აქვთ: ein unsterbliches Kunstwerk, ein unbequemer Stuhl.

განასხვავებენ ზედსართავულ და პარტიციპულ ბაზისს.

1. ზედსართავი ბაზისი

ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს ერთ ან ორმარცვლიანი სიმპლექსი: unfroh, unfrei, unklug, unzart, unedel, unwirklich, unsauber; ან სუფიქსური დერივატი: unabsichtlich, undankbar, ungestlich, unnarbig, unwörtlich, unvorsichtig, unglücklich, unschuldig, ungiftig, unbrauchbar, untauglich, unzweckmäßig, unmoralisch, unbürgerlich.

არსებობს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებიც მხოლოდ un- პრეფიქსიანი უარყოფითი ფორმით გვხვდება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია -bar, -lich და -sam სუფიქსიანი წარმონაქმნები: unersättlich, unverkennbar, unaufhaltsam, unnahbar, unausrottbar, unausstehlich, unauslöschlich, unerforschlich, unzählig, unaufhörlich, unvergleichlich, unliebsam, unumstößlich. ეს კონსტრუქციები ცირკუმფიქსის საშუალებით მიღებულ წარმონაქმნებად შეიძლება განვიხილოთ და კომბინატორულ დერივატებად ჩავთვალოთ: un- + ... -lich/-bar/-sam.

თანამედროვე გერმანულში ბაზისი დამოუკიდებელი ზედსართავის სახით უკვე აღარ გვხვდება ისეთ კონსტრუქციებში, როგორცაა ungestüm (შუა ზემოგერმანული gestüeme „ნელი“, „მშვიდი“), ungeschlacht (შუა ზემოგერმანული geslacht „კეთილშობილი“), unbändig (შუა ზემოგერმანული bendec – ითქმის ძაღლის მიმართ, რომლის ტარება ადვილად შეიძლება თოკით „bant“), unbedarft (ნიდერლანდ. unbedarve – „მიაბიტო“), unentwegt (შვეიცარული entwegt – „მოუსვენარი“) (Fleischer 1983:290). ზოგჯერ ექსპრესიული ეფექტი მიიღწევა ისეთი კონსტრუქციების ოკაზიონალური გამოყენებით, რომლებიც un- პრეფიქსის გარეშე უჩვეულოა, მაგალითად, ბ. ბრეხტი თავისი დრამის სათაურში „Der aufhaltsame Aufstieg des Arturo Ui“ ახალ ზედსართავს ქმნის (გერმანულში მხოლოდ unaufhaltsam არსებობს).

ბაზისური სიტყვა un- პრეფიქსიან დერივატებში შეიძლება კომპოზიტი იყოს. მაშინ ვ. ფლაიშერი/ი. ბარცის აზრით, -un- ელემენტი ინფიქსად გვევლინება: kochunfertig, verkehrsuntauglich, lebensunwert, arbeitsunwillig, verhandlungsunfähig. (Fleischer/Barz 1995:271).

ამ წარმონაქმნებში შემავალი un- პრეფიქსიანი სიტყვები დამოუკიდებელ ზედსართავებადაც არსებობენ: unfertig, untauglich, unfähig, მაშასადამე, აღნიშნული კონსტრუქციები შეიძლება არსებითი სახელისა და un- პრეფიქსიანი ზედსართავისაგან შემდგარ კომპოზიტებად ჩაგვეთვალა. მაგრამ ვ. ფლაიშერი/ი. ბარცი თავიანთ მოსაზრებას -un- ელემენტის ინფიქსად განხილვის შესახებ იმით ასაბუთებენ, რომ სემანტიკური მიმართების თვალსაზრისით ხდება მთლიანი კომპოზიტის შინაარსის უარყოფა, მაგალითად, entscheidungs(un)freudig (იქვე).

ჩვენი აზრით კი, ზოგ შემთხვევაში -un- არ შეიძლება ინფიქსად ჩაითვალოს, მაგალითად, dienstunbrauchbar, kreuzunglücklich, todunglücklich. თუ ჩავთვლით, რომ ამ კონსტრუქციებში -un- ინფიქსია, მაშინ უნდა არსებობდეს სიტყვები: dienstbrauchbar, kreuzglücklich, todglücklich, რომლებიც თანამედროვე გერმანულში არ ფიქსირდება. რაც შეეხება un- ელემენტს კომპოზიტის წინ, ვ. ფლაიშერი/ი. ბარცის აზრით, იგი ბლოკირებულია (გამონაკლისები unselbstkritisch, unzurechnungsfähig) ან მხოლოდ პირველ კონსტიტუენტს უარყოფს: unwahrheitsfähig – der Unwahrheit fähig (Fleischer/Barz 1995:271).

მთლიანად ვერც აქ დავეთანხმებით ავტორებს, რადგანაც არსებობს მთელი რიგი კონსტრუქციებისა, რომლებშიც un-პრეფიქსი მხოლოდ პირველ კომპოზიციურ წევრს კი არ უარყოფს, არამედ მთლიან წარმონაქმნს: undienstfertig, unbußfertig, unbauwürdig, unfolgerichtig, unvollzählig, unzweideutig. ამ კონსტრუქციებში პირველი კონსტიტუენტი როგორც დამოუკიდებელი სიტყვა საერთოდ არ არსებობს (*Undienst, *Unbuß, *Unbau). ასე რომ, არ შეიძლება ვთქვათ für Undienst fertig, für Unbuß fertig ან der Unbau würdig. მოცემული დერივატები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: nicht bußfertig, nicht zweideutig.

მსგავსი კონსტრუქციებია ungleichnamig, ungleichförmig, unfreiwillig, unzeitgemäß, ungleichzeitig, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ungleich, unfrei, Unzeit დამოუკიდებელ სიტყვებადაც არსებობს. მაგრამ ამ კონსტრუქციებში, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ დერივატებში, un- პრეფიქსი არა მხოლოდ პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს უარყოფს, არამედ მთლიან

კონსტრუქციას: ungleichförmig-ის მნიშვნელობაა არა ungleich + förmig, არამედ: nicht gleichförmig; ungleichzeitig-ისა არა ungleich + zeitig, არამედ nicht gleichzeitig; ანალოგიურად: unfreiwillig – nicht freiwillig, unzeitgemäß – nicht zeitgemäß, ungleichnamig – nicht gleichnamig.

უარყოფის გამოსახატავად un- პრეფიქსის პარალელურად თანამედროვე გერმანულში სულ უფრო მეტად გამოიყენება nicht- სიხშირის ელემენტი. იგი un- მორფემისაგან განსხვავებით ყოველთვის კომპოზიტის წინ დგას: nichtarbeitsfähig, nichtpausfähig, nichtvollberechtigt, nichtberufstätig.

nicht- ელემენტი სუფიქსურ დერივატებთანაც გვხვდება: nichtkapitalistisch, nichtsozialistisch, nichtflectierbar, nichteuropäisch.

ნეიტრალური nicht- მორფემისაგან განსხვავებით, un- პრეფიქსი ნორმასთან ნეგატიურ მიმართებას გამოხატავს. თვისების არარსებობა განიხილება როგორც ნორმისაგან გადახრა, პეიორატიული შეფასება:

eine nichtästhetische Einstellung არაესთეტიკური შეხედულება	ein höchst unästhetischer Anblick უადრესად არაესთეტიკური (ზიზღის მომგვრელი) სურათი
die nichtchristlichen Einwohner არაქრისტიანი მოსახლეობა	ein sehr unchristliches Verhalten არაქრისტიანული (სასტიკი, არაგულმოწყაელი) საქციელი
eine nichtberechenbare Kurve მოულოდნელი (გაუთვალისწინებელი) მოსახვევი	ein unberechenbarer Charakter არაპროგნოზირებადი ხასიათი

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ un- პრეფიქსით არ შეიძლება ყველა უარყოფითი ზედსართავის წარმოქმნა. un-პრეფიქსი ძირითადად იმ ზედსართავებისათვის არის განკუთვნილი, რომლებიც გარკვეულ ნორმას (მაგალითად, სოციალურს, ეთიკურს ან ესთეტიკურს) უკავშირდება. ზედსართავის მარტივი, მტკიცებითი აფირმატიული ფორმა, რომელიც ზოგჯერ wohl- მორფემით ძლიერდება, გამოხატავს ნორმის შესატ-

ყვის მნიშვნელობას, ხოლო un- პრეფიქსიანი უარყოფითი ფორმა კი – ნორმის საწინააღმდეგო მნიშვნელობას.

eine sichere Argumentation დამაჯერებელი არგუმენტაცია ein ziemlich erfreuliches Ergebnis საკმაოდ სასიამოვნო (სასიხარულო) შედეგი	eine unsichere Argumentation საეჭვო არგუმენტაცია ein ziemlich unerfreuliches Resultat საკმაოდ არასასიამოვნო შედეგი
--	---

როგორც აღვნიშნეთ, un- პრეფიქსი ძირითადად იმ მარტივ ზედსართავეებს უკავშირდება, რომლებსაც არ გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული საპირისპირო მნიშვნელობის ერთეული: undicht, unedel, unsicher. თუ un- პრეფიქსი მარტივ ბაზისთან არ გვხვდება, ეს იმით აიხსნება, რომ ეს პოზიცია ლექსიკურად ბლოკირებულია, მაგალითად, lang – kurz (*unlang), jung – alt (*unjung).

მხოლოდ იშვიათად გვხვდება un- პრეფიქსი მარტივ ზედსართავეებთან, რომელთაც ლექსიკური ანტონიმი შეესატყვისებათ. ამგვარ შემთხვევებში un- პრეფიქსიანი წარმონაქმნები საპირისპირო მნიშვნელობას გამოხატავენ: richtig – falsch/unrichtig, gut – schlecht/ungut.

რადგან ამგვარ შემთხვევებში un- პრეფიქსიანი ზედსართავი თავისი ფორმით აფირმატიული ზედსართავის უარყოფას ახდენს და ამით მნიშვნელობის სხვა ნიუანსიც შემოაქვს, ვიდრე ლექსიკურ ანტონიმს, იგი ნაკლებად მკაფიოდ არის გამოკვეთილი და შესაბამისად ნაკლებ კატეგორიულობას გამოხატავს. ასე მაგალითად, თუ რომელიმე პიროვნების საქციელის დახასიათებისას გამოვიყენებთ ფორმას unfein, თავაზიანობის ნორმა ნაკლებად ირღვევა, ვიდრე grob ზედსართავის ხმარებისას. აღნიშნულ სტრუქტურულ კანონზომიერებას ემყარება ლოგიკური სხვაობა ანტონიმიის ორ სახეობას შორის, კერძოდ, კონტრადიქტორულ (ურთიერთგამომრიცხავ) და კონტრერულ (საპირისპირო, საწინააღმდეგო) ანტონიმიას შორის. კ. ვაინრიხი მათ შემდეგნაირად განასხვავებს (Weinrich 1993:1012):

აფირმატიული ზედ-სართავი	კონტრადიქტორული უარყოფითი ზედსართავი	კონტრერული ლექსიკური ანტონიმი
ein kluger Einwand	ein unkluger Einwand	ein dummer Einwand
ein gutes Gefühl	ein ungutes Gefühl	ein schlechtes (böses) Gefühl
schöne Kleidung	unschöne Kleidung	hässliche Kleidung

განსხვავებულად განიხილავს ანტონიმიის აღნიშნულ ორ სახეობას პ. აიზენბერგი. კონტრერული ანტონიმიის ნიმუშად მას მოჰყავს ზედსართავები lang – kurz, ხოლო კონტრადიქტორულ ანტონიმიას იგი სიტყვების – lebendig და tot მაგალითზე გვიჩვენებს (Eisenberg 1998:240).

ზედსართავები lebendig და tot ე.წ. კლასიფიკატორული ცნებებია. ისინი გრადაციას არ ექვემდებარება. მათი გამოყენებისას ჩვენ ვასკვნით, რომ რაღაც ობიექტი არის ან ცოცხალი ან მკვდარი; არაცოცხალი იგივეა, რაც მკვდარი და პირიქით; სწორედ ეს არის კონტრადიქტორული ანუ ურთიერთგამომრიცხავი ანტონიმიის დამახასიათებელი ნიშანი.

ხოლო lang და kurz, ამის საპირისპიროდ, გრადაციას განიცდის. თუ გზა გრძელი არ არის, აუცილებელი არ არის, იგი მოკლე იყოს და პირიქით; გზა შეიძლება არც გრძელი იყოს და არც მოკლე. ეს ნიშან-თვისება კონტრერული ანუ საპირისპირო, საწინააღმდეგო ანტონიმიის მახასიათებელია.

პ. აიზენბერგის აზრით, un- პრეფიქსით ორივე სახის ანტონიმური ზედსართავების წყვილები წარმოიქმნება ბაზისის მნიშვნელობის მიხედვით. ავტორს შემდეგი მაგალითები მოჰყავს:

კონტრერული ანტონიმები: unglücklich, unklar, unklug, unehrenhaft, unleidlich, un schön, unzüchtig.

კონტრადიქტორული ანტონიმები: un giftig, unleserlich, unfruchtbar, unbewaldet, ungesalzen, unverheiratet, unbepflanzt (Eisenberg 1998:240).

un- პრეფიქსს ზოგჯერ კონკურენციას უწევს -los მორფემა: ein untreuer Freund – ein treuloser Freund („ორგული მეგობარი“); ein ungefährlicher Plan – ein gefahrloser Plan („უსაფრთხო გეგმა“); ein

unwirksames Medikament – ein wirkungsloses Medikament („არაეფექტური მედიკამენტი“); unschuldig sein – schuldlos sein („დამნაშავე არ არის, უდანაშაულოა“); eine unabsichtliche Kränkung – eine absichtslose Kränkung („უნებლიე წყენინება“); unglücklich verliebt sein – glücklos lieben („უიღბლო სიყვარული“).

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უარყოფის გამომხატველი პრეფიქსული და სუფიქსური დერივატები ერთმანეთს არ ფარავს, განსხვავებული მნიშვნელობით ხასიათდება და ერთმანეთს ვერ შეენაცვლება:

eine unhaltbare Theorie	ein haltloser Mensch
სუსტი (რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს) თეორია	თავშეუკავებელი ადამიანი
ein unwilliger Blick	ein willenloses Geschöpf
უკმაყოფილო, ნაწყენი მზერა	უნებისყოფო არსება
ein unhandlicher Staubsauger	ein handloser Mensch
მოუხერხებელი, არაპრაქტიკული მტვერსასრუტი	უსელო ადამიანი
ein uneheliches Kind	ehelos leben
უკანონო ბავშვი	დაუქორწინებლად ცხოვრება
unappetitlich angerichtetes Essen	appetitlos essen
უკემოვნებოდ მორთმეული საჭმელი	უმადოდ ჭამა
eine unförmige Gestalt	eine formlose Masse
არაპროპორციული სხეული	უფორმო მასა

უნდა შევეხოთ იმ შემთხვევებსაც, სადაც ზემოთ აღნიშნულის გარდა, un- პრეფიქსი არ გამოიყენება. ეს შემთხვევებია:

- -en, -ern და -ig-ზე დამთავრებულ ნივთიერებათა აღმნიშვნელ ზედსართავებთან: *unseiden, *unsandig.
- ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავებთან: *unrot, *unschwarz. ნივთიერებათა და ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავების შინაარსის უარყოფა nicht- ელემენტით ხდება, რადგან ისინი, ჩვეულებრივ, ნორმას არ უკავშირდებიან: alle nichtgelben Farben, ein nichtseidenes Material.

• მიმართებითი ზედსართავების უმეტესობასთან. არას-
წორია *unabendlich, *unberufflich, *unbetrieblich, *unmikroskopisch. აქ
მხოლოდ nicht- შეიძლება გამოვიყენოთ. და თუ un- პრეფიქსი
მანც დაუკავშირდა მიმართებით ზედსართავს, ეს უკანასკნელი
თვისობრივ ზედსართავად გადაიქცევა:

nichtmenschliches Lebewesen („სულიერი არსება, რომე-
ლიც ადამიანი არ არის“) – unmenschliche Grausamkeit („არაადა-
მიანური (გაუგონარი) სისასტიკე“).

• დეფისიან კონსტრუქციებთან: *ungrammatisch-
semantisch, *unwissenschaftlich-technisch.

• ზედსართავებთან, რომელთა მნიშვნელობა უარყოფით
თვისებებს უკავშირდება: *unhässig, *unschlecht, *unböse. ვ. ფლა-
იშერი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ბოროტის“, „საზიზღა-
რის“ და ა.შ. უარყოფა დადებით შეფასებამდე მიგვიყვანდა,
რაც შეუთავსებელია un- მორფემის მნიშვნელობასთან (Fleischer
1983:290).

• -los, -leer, -frei ან -arm ელემენტებიან კონსტრუქცი-
ებთან: *uninhaltsleer, *unkompromisslos.

2. პარტიციპული ბაზისი

un- პრეფიქსიან დერივატებში ბაზისური სიტყვა ხშირად
არის პარტიციპული ზედსართავი: unbewiesen, unbeobachtet,
ungeöffnet, ungezwungen, ungewaschen, unbefriedigend, unbedeutend,
unerzogen, ungesalzen, unbeachtet.

თუ ბაზისურ სიტყვას პარტიციპ II წარმოადგენს, რომე-
ლიც პრედიკატულ წევრად გვევლინება bleiben, lassen, finden-თან
ერთად, მაშინ un- პრეფიქსი წინადადების უარყოფელი nicht
ელემენტის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს: Die Theorie bleibt
unbewiesen. Er lässt die Schuhe ungeputzt.

როცა პარტიციპი ატრიბუტად გამოიყენება, un- პრეფიქსი
მაშინაც nicht- ელემენტის პარალელურად გვხვდება: eine nicht
bewiesene/unbewiesene Theorie.

un- პრეფიქსიანი პარტიციპული ფორმები ზმნის სფეროს
შორდებიან. ამგვარი კონსტრუქციები მკვეთრად გამოხატულ

ზედსართაულ ხასიათს იძენენ: der unbestimmte Artikel, mit unverdrossenem Fleiß, ein unvorbereiteter Prüfling.

როგორც ვხედავთ, პარტიციპულ ბაზისთანაც un- პრეფიქსს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ჩვეულებრივ ზედსართავთან, კერძოდ, **უარყოფის მნიშვნელობა**.

3. უცხოური ბაზისი

un- პრეფიქსი ხშირად უკავშირდება უცხოურ ბაზისს. „თანამედროვე გერმანული ენის ლექსიკონი“ (Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache 1980) აღნუსხავს 71 ამგვარ ზედსართაულ დერივატს: unakademisch, untypisch, unzivilisiert და ა.შ. ამათგან 70%-ს გერმანული სუფიქსი აქვს და ასიმილირებულია: unbürokratisch, unappetitlich, undeklinierbar. დერივატების მხოლოდ 30%-ს აქვს უსუფიქსო უცხოური ბაზისი: unfair, unfit, uncool, ან უცხოურ სუფიქსთან არის კომბინირებული: undiskutabel, unkonventionell.

un- პრეფიქსი ყველა ზედსართაულ კონსტრუქციაში ერთი და იმავე მნიშვნელობით ხასიათდება. ამგვარად, un- ნიშანს ქმნის ერთადერთი სემა –უარყოფა (unklug, unmenschlich).

3.5.4. ur- ნიშანი

ur- პრეფიქსი **გამაძლიერებელი მნიშვნელობით** გამოიყენება და მასში იმავდროულად მოცემულია თავდაპირველი მდგომარეობის, დროის თვალსაზრისით დიდი ხნით დაშორებული მოვლენის თვისება: eine urwüchsige Landschaft, eine urdeutsche Sitte, ein ureigenes Interesse, eine urgemütliche Wirtschaft. იგი უკავშირდება როგორც სიმპლექსურ ზედსართავებს, ასევე სუფიქსურ დერივატებს: uralt, urdeutsch, urewig, urgesund, urkräftig, urkomisch, uramerikanisch, urwienersich, urplötzlich.

ზოგჯერ სინონიმური მნიშვნელობით გვევლინება hoch- და grund- პრეფიქსი: uranständig – hochanständig – grundanständig.

ამგვარად, ur- ნიშა წარმოდგენილია ერთადერთი – **გაძლიერების სემით** (uralt, urkomisch).

3.6. უცხოური პრეფიქსები

ზედსართავის სფეროში უცხოური პრეფიქსები საკმაოდ ხშირად გვხვდება, ესენია: a-/an-, anti-, de-/des-/dis-, ex-, hyper-, in-/il-/im-/ir-, inter-, ko-/kon-/kor-, non-, para-, post-, prä-, pro-, sub-, super-, trans-, ultra-.

ეს პრეფიქსები შეიძლება ოთხ ჯგუფში გავაერთიანოთ ოთხი სემის შესაბამისად:

პირველი სემა – **უარყოფა**: a-/an-, de-/des-/dis-, in-/il-/im-/ir-, non-.

მეორე სემა – **გაძლიერება**: hyper-, super-, ultra-.

მესამე სემა – **პოზიციური მიმართება**: anti-, pro-.

მეოთხე სემა – **ორიენტაცია**.

აქედან უკანასკნელი ჯგუფი თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა, რომელთაგან ერთი გამოხატავს **სივრცობრივ ორიენტაციას**: ex-, inter-, para-, sub-, trans-, ხოლო მეორე – **დროით ორიენტაციას**: post-, prä-.

განცალკევებით დგას ko-/kon-/kor- პრეფიქსი, რომელიც თანხვედრას გამოხატავს.

3.6.1. უარყოფის გამომხატველი პრეფიქსები

3.6.1.1. a-/an- ნიშა

a- პრეფიქსი, რომელიც ხმოვნის წინ an- ვარიანტის სახით გვხვდება, შედარებით იშვიათია. იგი ძირითადად სამეცნიერო დარგობრივ ტექსტებში გამოიყენება, როგორც ნეიტრალურ-შეფასებითი უარყოფა: anorganisch, arrhythmisch, amikroskopisch, amethodisch, afokal, agrammatisch, aseptisch, akatholisch, მაგრამ გვხვდება ყოველდღიურ სასაუბრო ენაშიც: amoralisch, analphabetisch, amusisch, alogisch.

a- პრეფიქსიანი კონსტრუქციების უმეტესობა ინტერნაციონალურ ლექსემებს შეიცავს და ინტერნაციონალიზმების სახით არსებობს სხვა ევროპულ ენებშიც: asozial, areligiös, anormal, atonal, anational.

სშირად იმავე მნიშვნელობით გამოიყენება un- პრეფიქსი: ein apolitischer (unpolitischer) Mensch; ein amoralischer (unmoralischer) Lebenswandel; ein atypischer (untypischer) Krankheitsverlauf. მაგრამ ზოგჯერ სემანტიკურ დიფერენციაციას აქვს ადგილი: ein asozialer Charakter („ასოციალური ხასიათი“) – unsoziale Mieten („სოციალურად დაუცველი ფენის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული გადასახადები“).

ამგვარად, a-/an- ნიშა წარმოდგენილია უარყოფის სემით (alogisch, amoralisch).

3.6.12. de-/des-/dis- ნიშა

პრეფიქსები de-/des-/dis- ზედსართავის სფეროში ნაკლებად არის გავრცელებული. ისინი ძირითადად სამეცნიერო დარგობრივ ტექსტებში გვხვდება. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს როგორც ჩვეულებრივი, ასევე პარტიციპული ზედსართავი: disharmonisch, dezentral, devital, disloyal, disproportioniert, desinteressiert, diskontinuierlich, disproportional, desorientiert, desintegriert.

ამ ნიშის ყველა წარმონაქმნი უარყოფის სემას შეიცავს და მათში იმავდროულად მოცემულია პეიორატიული შეფასების ელფერი: ein disharmonisches Verhältnis, ein desinteressierter Partner.

ამგვარად, de-/des-/dis- ნიშა წარმოდგენილია ერთადერთი – უარყოფის სემით (dezentral, disharmonisch).

3.6.13 in-/il-/im-/ir- ნიშა

in- პრეფიქსი შეიძლება il-, im-, ir- ვარიანტების სახით შეგვხვდეს იმის მიხედვით, თუ რა ფონემით იწყება მის გვერდით მდგომი ზედსართავი. im- პრეფიქსული ვარიანტი დგას b,

p და m ფონემების წინ: immobil, immateriell, impotent, immanent, ხოლო il- და ir- ვარიანტები – l და r ფონემების წინ: illegitim, irreal, illiberal, illegal, irregulär, irrational, irrelevant, irreparabel.

in- პრეფიქსი თავისი ვარიანტებით მხოლოდ მრავალმარცვლიან უცხოურ სიტყვებს უკავშირდება: inaktiv, intolerant, indiskret, inkonsequent, indelikat, inkomplett, informell, inhuman, inakzeptabel, ineffektiv, inkompetent, immoralisch.

მხოლოდ გამონაკლისების სახით არსებობს გერმანულ ბაზისიანი მსგავსი წარმონაქმნები: inegal, infundiert. ეს პრეფიქსი **უარყოფის სემას** შეიცავს.

in-/il-/im-/ir- პრეფიქსიანი დერივატები განსაკუთრებით ხშირად მეცნიერულ დარგობრივ ტექსტებში გამოიყენება, მაგრამ საყოველთაო ხმარების ენაშიც გვხვდება: ein inoffizieller Besuch, ein illegitimes Verlangen, ein irreales Vorhaben, ein impertinentes Benehmen.

სინონიმური მნიშვნელობისაა un- გერმანული პრეფიქსი: inaktiv – unaktiv.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: un- პრეფიქსი უფრო ხშირად გერმანულ ბაზისს უკავშირდება, ხოლო in-/ il-/ im-/ ir- პრეფიქსი კი – უცხოურს. ამდენად, გვაქვს შესატყვისობები: immobil – unbeweglich, illegitim – unrechtmäßig, intolerant – unduldsam, inkonsistent – unbeständig, indeterminiert – unbestimmt.

ამგვარად, in-/il-/im-/ir- ნიშა წარმოდგენილია ერთადერთი – **უარყოფის სემით** (indiskret, illegal).

3.6.14. non- ნიშა

კიდევ უფრო ნაკლებად გავრცელებული, ვიდრე უარყოფის გამომხატველი სხვა უცხოური პრეფიქსები, არის non- პრეფიქსი: nonverbal, nonkonformistisch, nonchalant. non- ნიშაც ერთადერთი – **უარყოფის სემით** არის წარმოდგენილი.

3.6.2. ბაძლიერების გამომხატველი პრეფიქსები

3.6.2.1. hyper- ნიშნა

hyper- პრეფიქსი **გაძლიერების სემას** შეიცავს, მაგრამ super-ისაგან განსხვავებით პეიორატიული ელფერით ნორმისაგან გადახრას გამოხატავს, ნიშნავს „მეტისმეტად“, „ზედმეტად“: hyperfein, hyperkritisch, hyperkorrekt, hypermodern, hypernervös, hyperelegant, hypersensibel, hypermondän, hyperenergisches, hypermystisch. ეს კონსტრუქციები ირონიულ ელფერს ატარებენ, ისინი გადაჭარბების, გაზვიადების კომპონენტს შეიცავენ და ამიტომ ერთგვარ ნეგატიურ ფორმებად აღიქმება.

ამგვარად, hyper- ნიშნა მხოლოდ ერთი – გაძლიერების სემით არის წარმოდგენილი (hyperfein, hypernervös).

3.6.2.2. super- ნიშნა

super- პრეფიქსიც **გაძლიერების სემას** შეიცავს და ძირითადად გერმანულ თვისობრივ ზედსართავეებს უკავშირდება. იგი პოზიტიური შეფასების გამოხატველია: superfein, superklug, superbreit, superelegant, supermodern, superstark, supernaturalistisch.

ეს პრეფიქსი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ახალგაზრდა თაობის მეტყველებასა და სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში: eine superscharfe Disko („Juma“ 3.1996), superschnelle Züge, superleichte Stoffe („Deutschland“ 3.2008), superschneller Meteoritenaufschlag („die Zeit“ 19.02.1998), superdichtes Wasser („Deutschland“ 3.2008).

ამგვარად, super- ნიშნა ერთადერთი – გაძლიერების სემით არის წარმოდგენილი.

3.6.2.3. ultra- ნიშნა

გაძლიერების სემას შეიცავს აგრეთვე პრეფიქსი ultra-. super- პრეფიქსის მსგავსად, ისიც ნორმისგან გადახრას გამოხატავს და ნიშნავს „მეტისმეტად“, „ექსტრემალურად“:

ultrakonservativ, ultrareaktionär, ultralinke, ultrarechte, ultraradikal, ultraschnell, ultralang, ultrademokratisch, ultraliberal, ultrarevolutionär.

ამ კონსტრუქციებს ultra- პრეფიქსი ნეგატიური შეფასების ელფერს სძენს, თუმცა სპეციალურ დარგობრივ ტერმინოლოგიაში მას ეს ნიუანსი არ გააჩნია: ultrakalte Neutronen, ultraviolette Strahlen.

ამგვარად, ultra- ნიშა მხოლოდ ერთი – გაძლიერების სემით არის წარმოდგენილი.

3.6.3. პოზიციური მიმართების გამომხატველი პრეფიქსები

3.6.3.1. anti- ნიშა

პრეფიქსი anti- გამოსატავს უარყოფით დამოკიდებულებას ბაზისური ზედსართავით გამოსატული ცნების მიმართ: antiautoritäre Erziehung, antidemokratische Tendenzen, antiarabische Bewegung, antiwestliche Politik. ეს პრეფიქსი გამოირჩევა საკმაოდ მაღალი ხმარების სიხშირით: antiliberal, antibakteriell, antifeudal, antinational, antimonopolistisch, antifaschistisch, antiimperialistisch. ამასთან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იგი ქვეყნებისა და ხალხთა აღმნიშვნელ ზედსართავებთან: antideutsch, antisemitisch, antienglisch, antiamerikanisch, antifranzösisch.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პრეფიქსი anti- ამბივალენტურია. მას ორმაგი დატვირთვა აქვს. ის შეიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით სემას, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ბაზისურ ცნებას ენობრივი კოლექტივი. თუმცა anti- პრინციპში უარყოფით სემას შეიცავს, მაგრამ ბაზისური კომპონენტი გადამწყვეტ როლს თამაშობს მთელი კონსტრუქციის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში. შდრ. antiamerikanisch მუსულმანებისთვის დადებით სემას შეიცავს, ხოლო ამერიკელებისთვის უარყოფითს.

ამგვარად, anti- ნიშა წარმოდგენილია პოზიციური მიმართების სემით (antisemitisch, antifeudal).

3.6.3.2. pro- ნიშა

anti- პრეფიქსისაგან განსხვავებით, pro- პრეფიქსი გამოხატავს პოზიტიურ დამოკიდებულებას რელიგიისა და იდეოლოგიისადმი, რომელსაც ზედსართაული ბაზისი აღნიშნავს: proislamisch, prorussisch, proarabisch, proamerikanisch, prowestlich.

pro- პრეფიქსიც ამბივალენტურია. proislamisch მუსულმანებისთვის დადებით სემას შეიცავს, ხოლო ქრისტიანებისთვის უარყოფითს.

ამგვარად, pro- ნიშა წარმოდგენილია პოზიციური მიმართების სემით (proamerikanisch, prowestlich).

3.6.4. ორიენტაციის გამომხატველი პრეფიქსები

3.6.4.1. სივრცობრივი ორიენტაცია

სივრცობრივი ორიენტაციის გამოსახატავად გამოიყენება პრეფიქსები ex-, inter-, para-, sub-, trans-.

inter- და trans- ოპოზიციურ მიმართებაში არიან ერთმანეთის მიმართ: interdisziplinäre Forschung – transuranische Elemente, internationale Verhandlungen – transsibirische Eisenbahn.

inter- და trans- პრეფიქსიან კონსტრუქციებს ვ. ფლაიშერი/ი. ბარცი კომბინატორულ დერივატებად განიხილავენ, რადგან ისინი განსაზღვრულ სუფიქსებთან ერთად წარმოქმნიან ზედსართავეს. მაგალითად, inter... al – international (Fleischer/Barz 1995:275). ამასთან ისინი იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ეს კონსტრუქციები სემანტიკურად მაშინაც კი უკავშირდებიან სუბსტანტიურ ბაზისს, როცა დესუბსტანტიური ზედსართავი არსებობს: interkontinental არის zwischen den Kontinenten და არა inter + kontinental. თუ ამ მსჯელობას მიეყვებით, მაშინ, კომბინატორულ დერივატებად უნდა ჩაითვალოს პრეფიქსული დერივატების უმეტესობა, რადგან გერმანულ სიტყვებში ძალიან ხშირად ერთობლივად მოქმედებს პრეფიქსი და სუფიქსი. მაგალითად, erzreaktionär, nonverbal, hyperenergisch, prowestlich, antinational, unappetitlich, uramerikanisch, amikroskopisch, disproportional. მაგრამ

ამ სახის კონსტრუქციებს ვ. ფლავიუსი/ი. ბარცი არ მიიხსენებენ კომბინატორულ დერივატებად, თუმცა არ ასახელებენ რატომ, და მათი მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია. ჩვენი აზრით, დერივატების კლასიფიკაციისას ამოსავალ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს ის, არსებობს თუ არა ესა თუ ის სუფიქსური დერივატი როგორც დამოუკიდებელი ზედსართავი პრეფიქსის გარეშე: unappetitlich = un + appetitlich, transsibirisch = trans + sibirisch.

ამ სახის კონსტრუქციებს ჩვენ პრეფიქსულ დერივატებად მივიხსნეთ.

3.6.4.1.1. ex- 60შა

ex- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს. იგი უკვე ორას წელზე მეტია თითქმის უცვლელი ფუნქციით ხასიათდება. ex-პრეფიქსის, როგორც პროდუქტიული აფიქსის წარმოშობა უკავშირდება 1773 წელს რომის პაპის კლემენს XIV-ის მიერ იეზუიტთა ორდენის გაუქმებას. ამ ორდენის საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენით აღჭურვილმა წევრებმა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ჯერ კიდევ ადრე დაკარგეს თავიანთი თანამდებობები. Ex-Jesuit ნიშნავდა კაცს, რომლის საზოგადოებრივი სტატუსი ძირფესვიანად შეირყა. კანცელარიებიდან სიტყვა ზოგად პოლიტიკურ ლექსიკაში გავრცელდა და გაჩნდა ანალოგიური წარმონაქმნები: Exgeneral, Exminister (Eisenberg 1998:241).

ზედსართავის სფეროში ex- პრეფიქსი შედარებით იშვიათია. აქ მისი მნიშვნელობის სპექტრიც ოდნავ შეცვლილია. იგი აღნიშნავს რაიმეს ფარგლებს გარეთ ყოფნას („aus“, „heraus“): extritorial, extern, exzentrisch, exogen.

ex- ნიშა წარმოდგენილია სივრცობრივი ორიენტაციის სემით.

3.6.4.1.2. inter- 60შა

inter- პრეფიქსი ცნებებს შორის სივრცობრივ განლაგება-ორიენტაციას აღნიშნავს („zwischen“). იგი ჩვეულებრივ უკავშირდება უცხოურ ბაზისიან სუფიქსურ დერივატებს და საკმაოდ გავრცელებულია: interfraktionell, interministeriell, international, interparlamentarisch, interkonfessionell.

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იგი საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და სამედიცინო ტერმინოლოგიაში: interplanetarisch, intergalaktisch, interozeanisch, intermolekular, interdisziplinär, interkontinental, interplanetar, interatomar, interdental, interglazial, interkristallin, interlinear, interstellar.

inter- ნიშა წარმოდგენლია **სივრცობრივი ორიენტაციის** სემით.

3.6.4.13. para- ნიშა

para- პრეფიქსი ბერძნულიდან მომდინარეობს და **სივრცობრივ ორიენტაციას** გამოხატავს („neben“, „in der Umgebung von“); იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან ზედსართავეებთან გვხვდება, რომლებიც ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნება: paranasale Entzündung, paralingual (sprachbegleitend), paranormal (übersinnlich), parapsychisch.

para- ნიშა სივრცობრივი ორიენტაციის სემით არის წარმოდგენილი.

3.6.4.14. sub- ნიშა

sub- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს და სივრცობრივ დაქვემდებარებას გამოხატავს („unterhalb von“). იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან სუფიქსურ დერივატებს უკავშირდება, რომლებიც ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნებიან. კერძოდ, გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში sub- პრეფიქსი გამოიყენება გარკვეულ კლიმატურ ზონასთან უშუალო განლაგების გამოსახატავად: subalpin, subarktisch, subantarktisch, subpolar, subtropisch.

ამგვარად, sub- ნიშა წარმოდგენილია **სივრცობრივი ორიენტაციის** სემით.

3.6.4.15. trans- ნიშა

trans- პრეფიქსი ძირითადად უკავშირდება -isch სუფიქსიან დერივატებს, რომელთაც ბაზისად უცხოური სიტყვა აქვთ.

იგი გამოხატავს **სივრცობრივ ორიენტაციას** („durch“):
transkontinental, transalpinisch, transkutan, translunarisches,
transatlantisch, transuranisch.

ამგვარად, trans- ნიშა ერთადერთი – სივრცობრივი ორიენტაციის სემით არის წარმოდგენილი.

3.6.4.2. დროითი ორიენტაცია

დროითი ორიენტაციის გამოსახატავად გამოიყენება პრეფიქსები post- და prä-, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურ მიმართებაში არიან.

3.6.4.2.1. post- ნიშა

post- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს „nach“-ს. იგი გამოიყენება ზედსართავებში ისეთი თვისების აღსანიშნავად, რომელიც რომელიმე გარკვეული პერიოდის, ფაზის და მისთ. შემდეგ ვითარდება. post- პრეფიქსი prä- პრეფიქსის ანტონიმურია: postembryonal, postglazial, postmortal, postnatal, posttraumatisch.

post- პრეფიქსიანი კონსტრუქციები ძირითადად სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში გამოიყენება: das postindustrielle Zeitalter, die postmoderne Architektur, eine postoperative Behandlung.

ამგვარად, post- ნიშა წარმოდგენილია **დროითი ორიენტაციის ანუ ტემპორალური** სემით.

3.6.4.2.2. prä- ნიშა

prä- პრეფიქსი ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს „vor“-ს. ის გვიჩვენებს, რომ რაიმე თვისება დაფიქსირებულია დროის გარკვეული მომენტის ან რომელიმე მოვლენის წინ. იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან სუფიქსურ დერივატებთან გვხვდება: prä mortal, präklusiv, präoperativ, präglazial, pränatal. prä-

პრეფიქსიანი კონსტრუქციები გავრცელებულია ტერმინოლოგიურ ლექსიკაში: ein präembryonaler Zustand, eine prärevolutionäre Lage, das präkolumbische Amerika, die prähistorische Zeit.

ამგვარად, prä- ნიშა წარმოდგენილია **დროითი ორიენტაციის ანუ ტემპორალური** სემით.

3.6.5. ko-/kon-/kor- ნიშა

ko- პრეფიქსი kon- და kor- ვარიანტებით იშვიათად გვხვდება. იგი ძირითადად უცხოურ ბაზისიან ზედსართავეებს უკავშირდება და თანხვედრას, გაერთიანებას გამოხატავს. იგი უმთავრესად ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გვხვდება: koaxial, koinzident, konfokal, kongenial, korrelativ.

ამგვარად, ko-/kon-/kor- ნიშა **თანხვედრის** სემით არის წარმოდგენილი.

3.7. კომბინატორული დერივატი

უახლეს სიტყვაწარმოებით თეორიებსა და სიტყვის სტრუქტურის შესახებ გამოკვლევებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დერივაციის ფარგლებში სიტყვაწარმოების ტიპს, რომელსაც „პრეფიქსულ-სუფიქსური დერივაცია“ (Itkonen 1983:101), „ცირკუმფიქსის საშუალებით დერივაცია“ ან „კომბინატორული დერივაცია“ (Fleischer/Barz 1995:275) ეწოდება. აქ ლაპარაკია მოდელზე, რომელიც ერთდროულად ოპერირებს ორივე სიტყვაწარმოებითი მორფემით – პრეფიქსითა და სუფიქსით როგორც ცირკუმფიქსით. კომბინატორული დერივაცია განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ზმნებში. მაგალითად, besänftigen, beaufsichtigen, benachrichtigen, verunreinigen, bescheinigen. ნაკლებად განვითარებულია იგი ზედსართავეებში: unwiederbringlich, benachbart (Matzke 1998:24).

კომბინატორული დერივაციის შედეგი არის ენდოცენტრული ბინარული სიტყვის სტრუქტურა. პრეფიქსი და სუფიქსი, რომლებიც ცალ-ცალკე ვერ ქმნიან სიტყვას, ერთობლივად შე-

ადგენენ წყვეტილ კომპონენტს, რომელიც კომბინირებულია სხვა, სიტყვის წარმოქმნის უნარიან კომპონენტთან. (შდრ. Barz 1992:81).

რაც შეეხება ძირითად მორფოლოგიურ წევრს, გერმანულში იგი საზოგადოდ არის მარჯვნივ მდგომი კომპონენტი, რომელიც სიტყვის კატეგორიალური ნიშნის მატარებელია. ამით ხასიათდება ამ კომპონენტის ძირითადი ფუნქცია, განსაზღვროს სიტყვის სტრუქტურის კატეგორიალური მხარე. გარდა ამისა, იგი შეიძლება შეიცავდეს მოცემული კატეგორიის სხვა მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებებს. ექსპლიციტური დერივაციისას ეს არის სუფიქსური კომპონენტი, რომელსაც აღნიშნული თავისებები გააჩნია: *frucht-bar*.

კომბინატორულ დერივატებშიც ძირითადი მორფოლოგიური წევრის ნიშნები სუფიქსს უკავშირდება, როგორც წყვეტილი კომპონენტის მარჯვენა ნაწილს: *ge-lehr-ig*.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრეფიქსს, როგორც ცირკუმფიქსის მარცხენა ნაწილს და არაძირითად წევრს, თავისი წვლილი არ შეაქვს მთლიანი სიტყვის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში. ეს წვლილი უპირატესად არა კატეგორიალური, არამედ სემანტიკური ხასიათისაა.

სუფიქსის კატეგორიალური ნიშნებიდან გამომდინარე, ვფლავიშერი წარმონაქმნებს თავდაპირველად განიხილავს არა როგორც პრეფიქსაციის პროცესის შედეგს, არამედ, როგორც „დერივატებს დამატებითი პრეფიქსით“ (Fleischer 1983:185). იგი პრეფიქსაციასა და ექსპლიციტურ დერივაციას (=სუფიქსაციას) ჯერ კიდევ ორ დამოუკიდებელ სიტყვაწარმოებით სახეობად განიხილავს, მაშინ როცა ვ. ფლავიშერი/ი. ბარცთან კომბინატორული დერივაცია წარმოდგენილია როგორც ექსპლიციტური დერივაციის მესამე ტიპი სუფიქსაციისა და პრეფიქსაციის გაერთიანებით (Fleischer/Barz 1995:46).

ართანმიმდევრულად განიხილავს ზოგიერთ წარმოქმნილ ზედსართავს ი. ერბენი (Erben 2006:104). ფაქტიურად კომბინატორული დერივაციის მოდელის მიხედვით წარმოქმნილი კონსტრუქციები ი. ერბენტან წარმოდგენილია როგორც პრეფიქსიანი ბაზისების სუფიქსაციის შედეგი: *unwiederbring-lich, unzertrenn-lich*, მაშინ როცა უნდა იყოს *un-wiederbring-lich, un-zertrenn-lich*.

კომბინატორული დერივატის ჩვენეული კრიტერიუმია, რომ არ უნდა არსებობდეს შესაბამისი ზედსართავის ცალკე აღებული არც სუფიქსური და არც პრეფიქსული დერივატი, მაგალითად, დერივატში *unwiederbringlich* დაუშვებელია როგორც **unwiederbring(en)*, ისე **wiederbringlich*.

3.7.1. *ge-...-ig* ნიშა

ge-...-ig ცირკუმფიქსის კომბინაცია ზმნის ძირით გამოხატული ქმედებისადმი რაიმე მიდრეკილებას გამოხატავს: *ge-fräß-ig*, *ge-häss-ig*, *ge-lehr-ig*, *ge-läuf-ig*, შესაბამისად, კონსტრუქცია შეიცავს რაიმესადმი **მიდრეკილების სემას**. სწორედ ამ სემით არის წარმოდგენილი *ge-...-ig* ნიშა.

3.7.2. *ge-/be- ... -t* ნიშა

კომბინატორულ დერივატებად განიხილება პარტიციპული სტრუქტურის მიხედვით წარმოქმნილი კონსტრუქციები, რომელთაც არა აქვთ პარტიციპული ფორმები ზმნურ პარადიგმაში, ე.ი. ისინი მომდინარეობენ არა ზმნური, არამედ ნომინალური ფორმებიდან: *genarbt*←*Narbe*, *belehmt*←*Lehm*, *gerippt*←*Rippe*, *bejahrt*←*Jahr*, *gehörnt*←*Horn*, *bebrillt*←*Brille*, *bestrumpft*←*Strumpf*.

ეს კონსტრუქციები რაიმეთი აღჭურვილობის სემას შეიცავენ: *der gestiefelte Kater*, *das geblumte Kleid*, *eine gebuchtete Küste*, *der gestirnte Himmel*.

ამგვარად, *ge-/be- ... -t* ნიშა წარმოდგენილია **ორნატიული სემით**.

3.7.3. *un-...-lich/-bar/-sam* ნიშა

გერმანულ სიტყვებში *un-* პრეფიქსი ძალიან ხშირად *-lich/-bar/-sam* სუფიქსებთან კომბინაციაში გვხვდება: *unauslöschlich*, *unausstehlich*, *unerforschlich*, *unumstößlich*, *unnahbar*, *unausrottbar*,

unvergleichlich, unersättlich, unaufhörlich, unverkennbar, unaufhaltsam, unliebsam.

un- პრეფიქსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა ჩამოთვლილი კონსტრუქცია **უარყოფის სემას** შეიცავს. ამდენად un-...-lich/-bar/-sam ნიშა წარმოდგენილია უარყოფის სემით.

3.8. სიტყვათა ბლოკები (WORTSTÄNDE)

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სიტყვაწარმოებაში ფორმალური და შინაარსობრივი მიმართებები მარტივი პარალელიზმის სახით არ არის წარმოდგენილი. შეიძლება გვეფიქრა, რომ ერთი და იმავე სუფიქსიანი ყველა დერივატი გარკვეულ საერთო სემანტიკურ სემას შეიცავს, რაც მოცემული სუფიქსის ფუნქციად შეიძლება ჩაგვეთვალოს. მაგრამ ეს აზრი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში დასტურდება. ჩვეულებრივ კი, გამოიყოფა განსხვავებული სემანტიკური ტიპები, რომელთა დაყვანა ერთ საერთო მნიშვნელამდე შეუძლებელია. ამდენად, ვერ ვილაპარაკებთ რომელიმე სუფიქსის ან პრეფიქსის ერთიან ფუნქციაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, არც თვითნებურად ხდება აფიქსების დართვა. ამიტომაც აქტუალური ხდება სპეციფიკური სემანტიკური მიმართებების კვლევა, რაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვათა ნიშების გამოყოფას. წარმოქმნის ერთი ტიპის ფარგლებში ნიშად ერთიანდება ყველა შესაძლო დერივატი. ისინი ერთი შეხედვით შინაარსობრივი ერთიანობის შთაბეჭდილებას ტოვებენ და ერთ ხედვას წარმოადგენენ. მაგრამ ამ ნიშის გვერდით არსებობს იმავე ხედვის სხვა სუფიქსიანი დერივატები, რომლებიც ასევე ნიშად ერთიანდებიან და ეს განსხვავებული წარმოქმნის ხერხები ერთი და იმავე ხედვის, საერთო შინაარსის შექმნაში მონაწილეობენ. თუ სხვადასხვა ნიშებს ერთმანეთს შევადარებთ, პირველი, რაც თვალში გვეცემა, არის ფორმალური ხერხების სიმრავლე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სხვაობის გარეშე. ხოლო უფრო ზუსტი სემანტიკური განსაზღვრა შესაძლებელია ნიშებით გამოხატული სხვადასხვა წარმოქმნის ხერხების ურთიერთქმედებით, რასაც სიტყვათა ბლოკებამდე მივყავართ. სიტყვათა ბლოკში ერთიანდება სხვადასხვა ნიშა, რომლებიც

თავის მხრივ სეგმენტებად ნაწევრდება. მასში მკაფიოდ ვლინდება ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობა, ანუ არ არსებობს შესაბამისობა: ერთი ერთზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი სიტყვათა ნიშა არ უდრის ერთ სიტყვათა ბლოკს. სიტყვათა ბლოკი მოიცავს რამდენიმე ნიშას თავისი განსხვავებული წარმოქმნის ხერხებით, მაგრამ საერთო შინაარსით. ამდენად, სიტყვათა ბლოკი წარმოადგენს დერივატების შინაარსობრივი დანაწევრების ძირითად ცნებას. იგი არის სიტყვათა მარაგის მოწესრიგებული დაჯგუფება.

თუ ჩვენს მიერ მიმოხილულ მასალას გავაანალიზებთ და ფორმალურ ნიშებს სიტყვათა ბლოკებად გავაერთიანებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ყველაზე მრავალრიცხოვანი ფორმალური ნიშებით წარმოდგენილია ორნატიული და შედარების ბლოკები. ორნატიულ ბლოკში ერთიანდება 11 ნიშა, ხოლო შედარებისაში – 10. მათ მოსდევს უარყოფისა და ლოკალურ-სივრცობრივი ბლოკები 7-7 ნიშით. 6 ნიშა ერთიანდება მიდრეკილების ბლოკში. მომდევნო ადგილებზე დგას ტემპორალური, გაძლიერებისა და შეზღუდვით-მიმართებითი ბლოკები 5-5 ნიშით. ოთხი ნიშით არის წარმოდგენილი შესაძლებლობის ბლოკი, სამი ნიშისაგან შედგება მოვალეობა-აუცილებლობის ბლოკი, ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანი, კერძოდ, 2-2 ნიშისანი ბლოკებია პოზიციური მიმართების, წარმომავლობის და იდენტურობისა. გარდა ამისა, არსებობს ერთეულოვანი ნიშები, რომლებიც არც ერთ ბლოკში არ ერთიანდება. ისინი ერთეულოვანი ნიშების ბლოკს ქმნიან.

ზედსართაული ბლოკების მიმოხილვა, რომელიც ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალას ეფუძნება, შემდეგ სურათს იძლევა:


3.8.1. ორნატიული ბლოკი

ორნატიული ბლოკის აგებაში მონაწილეობს შემდეგი ნიშები: (ფრჩხილებში მითითებულია ჩვენს მიერ გაანალიზებული სათანადო ნიშების სათანადო სეგმენტებში განთავსებული დერივატების რაოდენობა).

1. -lich: leidenschaftlich, schmerzlich. (4)
2. -ig: narbig, waldig. (15)

3. -isch: neidisch, spöttisch (5)
4. -haft: fehlerhaft, fieberhaft (9)
5. -sam: bedeutsam, gewaltsam (11)
6. -abel/-ibel: komfortabel, räsonabel (3)
7. -ant/-ent: arrogant, intelligent (11)
8. -ar/-är: lakunär, illusionär (2)
9. -os/-ös: muskulös, porös (9)
10. -iv: effektiv, aggressiv (6)
11. ge-/be- ... -t: genarbt, bebrillt (7)

როგორც ვხედავთ, წარმოქმნის განსხვავებული ხერხების მიუხედავად, ყველა აღნიშნული დერივატი რაღაცით აღჭურვილობას გამოხატავს, ამიტომაც გამართლებულია მათი ორნატიულ ბლოკში გაერთიანება. ჩვენს მიერ გაანალიზებულ ამ ბლოკის 82 დერივატში ბაზისური სიტყვა ძირითადად არის არსებითი სახელი, გამონაკლისია -sam ნიშა, სადაც სუბსტანტიურის გვერდით არის ზმნური ბაზისი: bedeutsam, erholsam, mühsam, wirksam. ორნატიულ ბლოკში ძირითადად სუფიქსური დერივატები გვხვდება, გამონაკლისია ცირკუმფიქსი ge-/be-... -t.




მსგავსი სქემების სახით შეიძლება წარმოვადგინოთ ყველა ბლოკი.

3.8.2. შედარების ბლოკი

შედარების ბლოკს ქმნიან შემდეგი ნიშები:

1. -lich: freundlich, feindlich (7)
2. -ig: milchig, glasig (32)
3. -isch: närrisch, tierisch (22)
4. -haft: heldenhaft, bärenhaft (25)
5. -mäßig: schülermäßig, heldenmäßig (8)
6. -al/-ell: kolossal, monumental (9)
7. -ar/-är: linear, legendär (5)
8. -os/-ös: monströs, philiströs (5)
9. -oid: typhoid, tigröid (5)
10. -esk: balladesk, clownesk (7)

ამ ბლოკის ჩვენს მიერ გაანალიზებული 125 დერივატი მოცემულ ობიექტთან შედარებას გამოხატავს. მათში ბაზისური სიტყვა არის არსებითი სახელი. შედარების ბლოკს მხოლოდ სუფიქსური დერივატები ქმნიან.




3.8.3 უარყოფის ბლოკი

უარყოფის ბლოკში ერთიანდება შემდეგი ნიშები:

- | | | |
|---------------------------|-------------------------------|------|
| 1. un-: | unklug, unmenschlich | (83) |
| 2. miss-: | misstrauisch, missgestimmt | (20) |
| 3. in-/il-/im-/ir-: | indiskret, illegal | (32) |
| 4. a-/an-: | alogisch, amoralisch | (19) |
| 5. de-/des-/dis-: | disharmonisch, dezentral | (10) |
| 6. non-: | nonverbal, nonkonformistisch | (3) |
| 7. un-....-lich/-bar/-sam | unauslöschlich, unausstehlich | (12) |

ჩვენ გავანალიზეთ უარყოფის ბლოკის 179 დერივატი. ბაზისური სიტყვა a-/an-, in-/il-/im-/ir-, de-/des-/dis-, non- ნიშების კონსტრუქციებში არის ზედსართავი, un- ნიშის წარმონაქმნებში – როგორც ჩვეულებრივი, ასევე პარტიციპული ზედსართავი, miss- ნიშა წარმოდგენილია როგორც ზედსართავი და პარტიციპული, ასევე სუბსტანტიური და ზმნური ბაზისით, ხოლო un-...-lich/-bar/-sam ცირკუმფიქსიან დერივატებში ბაზისს ზმნის ფუძე ქმნის. უარყოფის ბლოკი ძირითადად პრეფიქსული დერივატებით არის წარმოდგენილი. გამონაკლისია ცირკუმფიქსი un-...-lich/-bar/-sam.




3.8.4. ლოკალურ-სივრცობრივი ბლოკი

ლოკალურ-სივრცობრივი ბლოკის აგებაში მონაწილეობს შემდეგი ნიშები:

1. -ig: jenseitig, hiesig (7)
2. -mäßig: arbeitsplatzmäßig, labormäßig (5)
3. inter-: interkontinental, interozeanisch (21)
4. trans-: transatlantisch, transsibirisch (8)
5. para-: paranasal, paralingual (4)
6. sub-: subalpin, subtropisch (5)
7. ex-: exterritorial, exogen (4)

ლოკალურ-სივრცობრივი ბლოკში გაერთიანებულია როგორც სუფიქსური, ასევე პრეფიქსული დერივატები. ჩვენ გავანალიზებთ ამ ბლოკის 54 კონსტრუქციას, რომლებიც განსხვავებულ ნიუანსებს გამოხატავენ. -ig და -mäßig ნიშების დერივატები წმინდა ლოკალური ზედსართავებია. ისინი მიუთითებენ ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილზე ვიწრო გაგებით, ხოლო რაც შეეხება ex-, inter-, trans-, para-, sub- ნიშების ზედსართავებს, ისინი უფრო მასშტაბურ ცნებებს უკავშირდება. -ig და -mäßig სუფიქსებისაგან განსხვავებით, ex-, inter-, para-, sub-, trans- პრეფიქსები თავად შეიცავენ ადგილის სემანტიკურ ნიუანსს, კერძოდ, inter- აღნიშნავს „zwischen“, trans- – „in“, „durch“, para- – „neben“, „in der Nähe“, sub- – „unten“, ex- – „außerhalb“. მაგრამ, მიუხედავად განსხვავებული ადგილმდებარეობის გამოხატვისა, ეს ბლოკი, ისევე როგორც ყველა სხვა, „თავის თავში განსხვავებულ ერთიანობას“ გულისხმობს. მასში შემავალი ყველა ნიშა ლოკალურ-სივრცობრივი ორიენტაციის გამოხატვას ემსახურება.

წარმოქმნის ხერხების სიმრავლესთან ერთად ეს ბლოკი ბაზისური კომპონენტების მრავალფეროვნებითაც ხასიათდება. -ig ნიშის ზედსართავებს ზმნიზედური ბაზისი აქვს, -mäßig ნიშის კონსტრუქციებს – სუბსტანტიური ბაზისი, ხოლო ex-, inter-, para-, sub- და trans- ნიშების წარმონაქმნებს ზედსართავი აქვთ ბაზისად.




3.8.5. მიდრეკილების ბლოკი

მიდრეკილების ბლოკს ქმნიან შემდეგი ნიშები:

1. -lich: kleinlich, reinlich (4)
2. -ig: rutschig, wacklig (19)
3. -haft: naschhaft, boshaft (6)
4. -sam: arbeitsam, empfindsam (12)
5. -ant/-ent: mokant, frappant (4)
6. ge-...-ig: gefräßig, gelehrig (4)

ამ ბლოკს ძირითადად სუფიქსური დერივატები ქმნიან. გამონაკლისია ცირკუმფიქსი ge-...-ig. ჩვენ გავეანალიზეთ მიდრეკილების ბლოკის 49 კონსტრუქცია. მათ უმეტესობას ზმნური ბაზისი აქვს. მხოლოდ -lich ნიშის კონსტრუქციები ხასიათდება ზედსართაული ბაზისით. ყველა ისინი ბაზისური სიტყვით გამოხატული სიდიდისადმი მიდრეკილებას აღნიშნავენ.




3.8.6. ტემპორალური ბლოკი

ტემპორალურ ბლოკში გაერთიანებულია შემდეგი ნიშები:

1. -lich: täglich, wöchentlich (6)
2. -ig: baldig, morgig (9)
3. -er: die vierziger Jahre, ein Herr in Sechziger (5)
4. prä-: prähistorisch, prämortal (9)
5. post-: postmodern, postoperativ (8)

ჩვენ გავანალიზეთ ტემპორალური ბლოკის 37 დერივატი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტრუქციები ერთ ბლოკში ერთიანდება, მათში დროითი ორიენტაციის ძალიან ფართო სპექტრი იგულისხმება; კერძოდ, -lich ნიშის კონსტრუქციები განმეორებადი პროცესების თანაბარზომიერ რიტმს აღნიშნავს, -er ნიშის დერივატები ათწლეულებს გვიჩვენებს, prä- ნიშის ზედსართავეები დროის რომელიმე გარკვეული მომენტის წინ დაფიქსირებულ, ხოლო post- ნიშის ზედსართავეები, პირიქით, რაღაც პერიოდის, ფაზის შემდეგ დაფიქსირებულ თვისებას გამოხატავს. შესაბამისად, განსხვავებულია ბაზისური კომპონენტებიც. -ig ნიშის დერივატებში ბაზისურ სიტყვას ზმნიზედა წარმოადგენს, -er ნიშის წარმონაქმნებში – რაოდენობითი რიცხვითი სახელი, -lich ნიშა სუბსტანტიური ბაზისით არის წარმოდგენილი, ხოლო prä- და post- ნიშაში ბაზისურ სიტყვას ზედსართავი

ქმნის. ტემპორალურ ბლოკში გაერთიანებულია როგორც სუფიქსური, ასევე პრეფიქსული დერივატები.




3.8.7. ბაძლიერების ბლოკი

ბაძლიერების ბლოკში ერთიანდება შემდეგი ნიშები:

1. ur-: uralt, urkomisch (14)
2. erz-: erzdumm, erzfaul (8)
3. super-: superelegant, supermodern (12)
4. hyper-: hyperfein, hyperkritisch (10)
5. ultra-: ultralinke, ultraradikal (10)

ეს ბლოკი წარმოდგენილია მხოლოდ პრეფიქსული დერივატებით და ბაზისურ კომპონენტს ზედსართავი წარმოადგენს. მართალია, ყველა გაანალიზებული 54 კონსტრუქცია თვისების ბაძლიერებას გამოხატავს, მაგრამ მათში იკვეთება განსხვავებული ნიუანსები, კერძოდ, erz-, hyper- და ultra- ნიშის ზედსართავეები ნორმისგან გადახრას, ნეგატიურ შეფასებას აღნიშნავენ, მაშინ როცა super- ნიშის დერივატები პოზიტიური შეფასების მაჩვენებელია.




3.8.8. შუზღუდვით-მიმართებითი ბლოკი

შუზღუდვით-მიმართებითი ბლოკის აგებაში მონაწილეობენ შემდეგი ნიშები:

1. -isch: mathematisch, politisch (18)
2. -mäßig: gebietsmäßig, leistungsmäßig (7)
3. -al/-ell: bronchial, national (6)
4. -ar/-är : muskulär, atomar (7)
5. -iv: qualitativ, assoziativ (4)

ეს ბლოკი წარმოდგენილია სუფიქსური დერივატებით, რომელთა ბაზისური კომპონენტი არის არსებითი სახელი. განაღვივებული 42 დერივატი გამოხატავს ზოგად მიმართებას ბაზისური სიტყვით აღნიშნული ცნებისადმი, რომელიც, თავის მხრივ, სპეციალურ დარგობრივ ტერმინოლოგიას განეკუთვნება. ამიტომაც ეს ზედსართავეები გარკვეულ შეზღუდვას, რაიმე სფეროს ფარგლებში ყოფნას გულისხმობენ, რის საფუძველზეც ჩვენ მათ შეზღუდვით-მიმართებით ბლოკად ვაერთიანებთ.




3.8.9. შესაძლებლობის ბლოკი

შესაძლებლობის ბლოკი წარმოდგენილია შემდეგი ნიშე-ბით:

1. -bar : essbar, heilbar (36)
2. -lich: erträglich, begreiflich (10)
3. -sam: biegsam, einprägsam (16)
4. -abel/-ibel: imitabel, explosibel (15)

გაანალიზებულ 77 დერივატში შინაარსობრივი ერთიანობის მიუხედავად, იკვეთება ორი რამდენადმე განსხვავებული ნიშანი: პასიური და აქტიური შესაძლებლობა. პასიურ შესაძლებლობას გამოხატავენ -bar, -sam, -abel/-ibel ნიშები, -lich ნიშა ახლოს დგას -bar ნიშასთან, თუმცა ეს უკანასკნელი მეტი პროდუქტიულობით ხასიათდება, ხოლო -sam და -abel/-ibel ნიშაში პასიურთან ერთად აქტიური შესაძლებლობის მაჩვენებელი დერივატები ერთიანდება. ყველა აღნიშნულ დერივატს ზმნური ბაზისი აქვს.



3.8.10 მოვალეობა-აუცილებლობის ბლოკი


მოვალეობა-აუცილებლობის ბლოკს ქმნიან შემდეგი ნიშები:

1. -bar: haftbar, akzisbar (6)
2. -lich: beachtlich, bedauerlich (7)

ეს ბლოკი ხასითდება არა მარტო მასში შემავალი ნიშების სიმცირით, არამედ თვით ამ ნიშებში დერივატების მცირე რაოდენობითაც. -bar ნიშაში ჩვენ ცალ-ცალკე სეგმენტებად გამოყავით აუცილებლობა (haftbar, verwesbar) და მოვალეობა (zollbar, akzisbar, zinsbar, steuerbar). მაგრამ აღნიშნული კონსტრუქციები იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ შესაძლებლად მივიჩნიეთ მათი მოვალეობა-აუცილებლობის ბლოკში გაერთიანება. ამ ბლოკის დერივატები გამოხატავენ აუცილებელ საჭიროებას, რომელიც ზოგჯერ მოვალეობაც შეიძლება იყოს. გაანალიზებულია 13 კონსტრუქცია.

-bar ნიშის სხვადასხვა სეგმენტების შესაბამისად განსხვავებულია დერივატების ბაზისური კომპონენტებიც. მოვალეობის გამომხატველ -bar სუფიქსიან წარმონაქმნებში ბაზისს არსებითი სახელი წარმოადგენს, ხოლო აუცილებლობის აღმნიშვნელ -bar სუფიქსიან კონსტრუქციებში – ზმნის ფუძე. ზმნური ბაზისით ხა-

სიათდება აუცილებლობის გამომხატველი -lich სუფიქსიანი დერივატებიც.



3.8.11. პოზიციური მიმართების ბლოკი


პოზიციური მიმართების ბლოკს ქმნის ორი ნიშა:

1. anti-: antidemokratisch, antifaschistisch (17)

2. pro-: prorussisch, proislamisch (18)

ამ ბლოკში მხოლოდ პრეფიქსული დერივატებია წარმოდგენილი. მათი ბაზისური სიტყვა არის ზედსართავი. მიუხედავად იმისა, რომ anti- და pro- პრეფიქსებს ანტონიმური მნიშვნელობები აქვთ, ისინი ემსახურებიან ერთი ხედვის, საერთო შინაარსის გამოხატვას. ისინი აღნიშნავენ პოზიციურ მიმართებას, ანუ ვისიმე დამოკიდებულებას რაიმესადმი: anti- ნიშნავს რაღაცის საწინააღმდეგოს, ხოლო pro-, პირიქით, გვიჩვენებს პოზიტიურ დამოკიდებულებას, მომხრეობას.

სწორედ საერთო ხედვის საფუძველზე ვაერთიანებთ ჩვენ მათ პოზიციური მიმართების ბლოკში. ჩვენს მიერ გაანალიზებულია ამ ბლოკის 25 დერივატი.




3.8.12. წარმომავლობის ბლოკი

წარმომავლობის ბლოკი წარმოდგენილია ორი ნიშით:

1. -isch: lateinisch, bayrisch (35)
2. -er: Leipziger Messe, Kölner Dom (14)

ამ ბლოკს მხოლოდ სუფიქსური დერივატები ქმნიან, რომელთა ბაზისური კომპონენტი არის გეოგრაფიული დასახელება. -er ნიშის დერივატები დიდი ასო-ნიშნით იწერება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ზედსართავებად განიხილება.

წარმომავლობის ბლოკის კონსტრუქციები არც თუ ისე მცირე რაოდენობით არსებობს თანამედროვე გერმანულში. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ეს ბლოკი მხოლოდ ორი ნიშისაგან შედგება. ჩვენ გავაანალიზეთ ამ ბლოკის 49 კონსტრუქცია.




3.8.13 იდენტურობის ბლოკი

იდენტურობის ბლოკში მხოლოდ ორი ნიშა ერთიანდება:

1. -mäßig: behelfsmäßig, winkelmäßig (3)
2. -ar/-är: revolutionär, reaktionär (3)


ეს ყველაზე მცირერიცხოვანი ბლოკია არა მარტო ნიშების რაოდენობით, არამედ თვით ამ ნიშებში შემაჯავლი დერივატებითაც. ჩვენ მოვიძიეთ ამ ბლოკის მხოლოდ ექვსი კონსტრუქცია. ბაზისური კომპონენტი ყველა მათგანში არის არსებითი სახელი.



3.8.14. ერთეულოვანი ნიშების ბლოკი

არსებობს ნიშები, რომლებიც არც ერთ ზემოსსენებულ ბლოკს არ მიეკუთვნება. ჩვენ მათ ერთეულოვანი ნიშების ბლოკში ვაერთიანებთ. ეს ნიშებია:

1. **-bar**: 1) დანიშნულების სეგმენტი – jagdbar, schiffbar (4)
2) უნარის გამომხატველი სეგმენტი – flugbar, sichtbar (5)
2. **-lich**: კინობითი სეგმენტი – ärmlich, dümmlich (16)
3. **-isch**: კუთვნილების სეგმენტი – Goethesche, Schillersche (14)
4. **-los**: არარსებობის სეგმენტი – neidlos, seelenlos (150)
5. **-fach**: მრავალჯერადობის სეგმენტი – mehrfach, dreifach (4)
6. **-en**: მასალის აღმნიშვნელი სეგმენტი – seiden, golden (28)
7. **-mäßig**: 1) უცილობელი შესატყვისობის სეგმენტი – fahrplanmäßig, berufsmäßig (8)
2) საშუალების გამომხატველი სეგმენტი – aktenmäßig, liftmäßig (2)
8. **ko-/kon-/kor-**: თანხვედრის სეგმენტი – koaxial, kongenial (5)



თაზი IV

4. ფერის, შეღარების და ბრალაციის გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები

4.1. ფერის გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები

გერმანული ენის ლექსიკაში განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ფერთა აღმნიშვნელი ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. ისინი ძირითადად კომპოზიციური მოდელების მიხედვით არიან მიღებული და საგრძნობლად ამდიდრებენ სიმპლექსური ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების მარაგს. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ე.წ. „მოდური ფერების აღმნიშვნელი სიტყვები“ (Modelfarbenwörter), რომლებიც ტექსტილის მრეწველობასა და კოსმეტიკაში გამოიყენება. ისინი წელიწადში ორჯერ ხელახლა აირჩევა და კანონდება. მათი ნაწილი მოდისა და რეკლამის ტერმინოლოგიიდან საყოველთაო ხმარების ენაში გადაინაცვლებს. მოდისა და რეკლამის სფეროში ხშირად გვხვდება ასეთი „ეფექტის მომხდენი“ სიტყვები, რომლებიც კომპარატიული მნიშვნელობის მქონე გამჭვირვალე კომპოზიციების ანალოგიით იქმნება. მაგალითად, მანქანების ყიდვა-გაყიდვის განცხადებებში ფართოდ გამოიყენება ექსპრესიული კომპოზიტები: tibetoranger Audi, mintgrüner BMW და ა.შ.

გ. მიოლერი სამართლიანად უსვამს ხაზს, რომ გერმანულ ენაში იგრძნობა ფერთა აღმნიშვნელი მარტივი ზედსართაულების ნაკლებობა (Möller 1965:127). ფერთა სკალა აშკარად ღარიბია. მის შესავსებად, ფერთა სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად ჩნდება ზედსართაული კომპოზიტები. ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შედარების გამომხატველ წარმონაქმნებს უახლოვდება. მათში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ხშირად გვხვდება ძვირფასი ქვების, ლითონების, მინერალების, მცენარეთა და ცხოველთა აღმნიშვნელი დასახელებები. ე. მატერს თავის ლექსიკონში წითელი ფერის სხვადასხვა ნიუანსის აღმნიშვნელი 41 სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია აქვს მოყვანილი: rosarot, infrarot, ultrarot, gelbrot, goldrot, brandrot, mennigrot, scharlachrot, hochrot, indischrot, türkischrot, persischrot,

kirschrot, lohrot, glührot, ziegelrot, dunkelrot, knallrot, hellrot, schamrot, flammrot, korallenrot, rosenrot, rubinrot, weinrot, karminrot, karmesinrot, zornrot, braunrot, krapprot, zinnoberrot, zunderrot, kupferrot, puterrot, feuerrot, purpurrot, fuchsrot, rostrot, blutrot, glutrot, bordeauxrot (Mater 1970:195). გარდა ამისა, წითელი ფერის სპექტრში მოიქებნება კიდევ რამდენიმე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია, მაგალითად, fleischrot, blassrot, fieberrot, schmutzigrot, lackrot (Kellermann), abendrot (Frank), morgenrot (Goethe), apfelrot, lachsrot, krebsrot, schlafrot, tiefrot, flamingorot, himbeerrot, johanisbeerrot, fraiserot, zyklamrot, mohnrot, hennarot, backrot, apfelsinenrot, kardinalrot, königsmantelrot, ockerrot, diorrot, Venezia-rot, mützenrot (Knef), plüschrot, damastrot (Werfel), signalrot, romantisch-rosarot, blasspfirsichblütenrot, frostrot, tomatenrot.

ლურჯი ფერის სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად ემატერის ლექსიკონში 30 სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია გვხვდება: feldblau, marineblau, tiefblau, indigblau, bergblau, hochblau, preußischblau, dunkelblau, himmelblau, stahlblau, zwetschgenblau, veilchenblau, pflaumenblau, kornblumenblau, feinblau, indigoblau, wasserblau, lasurblau, azurblau, gasblau, blassblau, weißblau, lichtblau, kobaltblau, zartblau, mattblau, schmelzblau, glanzblau, schwarzblau, blitzblau (Mater 1970).

მორფოლოგიური თვალსაზრისით, ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავებში გვხვდება შემდეგი სტრუქტურები:

1. ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის სიმპლექსი: hellblau, brandrot.

2. ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის სუფიქსური დერივატი, მეორე კი – სიმპლექსი: bläulich-grün, blutig-rot.

3. ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის კომპოზიტი, ხოლო მეორე – სიმპლექსი: milchkaffeebraun, sommerwiesenbunt.

4. ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი არის სუფიქსური დერივატი, ხოლო მეორე – კომპოზიტი: bläulich-rosarot, gelblich-ockergrau, gelblich-grasgrün.

ფერთა აღმნიშვნელ კომპოზიტებს, როგორც წესი, ბინარული სტრუქტურა აქვთ. მაგრამ ორზე მეტი ლექსემისაგან შემდგარ სიტყვებში კონსტიტუენტების ცალსახა გამოიჯენა ყო-

ველთვის ვერ ხერხდება. მაგალითად, orangerotbraun შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც oranges Rotbraun ან orangerotes Braun. ასეთივეა schmutziggrünlich, blau-grau-grün, dunkelgraubraun, dunkelviolettblau, grünlich-graubraun. მაგრამ, აღნიშნულისაგან განსხვავებით, satthellgrün არ შეიძლება გავიგოთ როგორც *satt hellgrün. მისი ინტერპრეტაცია შემდეგნაირად უნდა მოხდეს: satt hellgrün. ასეთივეა: hellrubinrot, hellmoosgrün.

ზოგიერთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციას შეიძლება მივუსადაგოთ როგორც კომპოზიციური, ისევე დერივაციული მოდელი. მაგალითად, rahmgelbliche Lamellen შეიძლება განხილულ იქნას როგორც კომპოზიტი: rahm + gelblich (Lamellen, die gelblich wie Rahm sind) ან როგორც სუფიქსური დერივატი: rahmgelb + -lich (Lamellen, die fast rahmgelb sind). ასეთივეა: ziegelrötliches Fleisch, blutrötlicher psalter, goldgelblich (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:89).

ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავებში გამოყენების ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა დეტერმინატიული კომპოზიტები, რომელთა პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს არსებითი სახელი წარმოადგენს. ეს პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება იყოს:

1. ძვირფასი ქვებისა და მინერალების დასახელებები: smaragdgrün, amethystblau, malachitgrün, marmorweiß, elfenbeinweiß, perlenweiß, perlgrau, barytgelb, ockergelb.

2. მცენარეთა დასახელებები: safrangelb, zitronengelb, maisgelb, quittengelb, apfelsinengelb, orangengelb, strohgelb, grasgrün, eukalyptusgrün, apfelgrün, erbsengrün, moosgrün, olivgrün, endiviengrün, zypressengrün, pflanzengrün, weichselbraun, kastanienbraun, nussbraun, lilienweiß, blütenweiß, ahornbunt.

3. ცხოველთა და ფრინველთა დასახელებები: rehbraun, schwanenweiß, eselgrau, taubengrau, rattengrau, mausgrau, wolfsgrau, dachsgrau, hechtgrau, perlhuhngrau, lachsrosa, rabenschwarz, colibrigrün.

4. ლითონთა დასახელებები: goldgelb, messinggelb, goldbraun, silberweiß, bleigrau, stahlgrau, eisengrau, zinkgelb, silbergrün.

5. თხევად ნივთიერებათა დასახელებები: kaffeebraun, saftgrün, milchweiß, espressobraun, petrolblau, tintenschwarz, ölgelb.

6. წელიწადის დროებისა და დღის მონაკვეთების დასახელებები: nachtblau, herbstgrün, winterweiß, sommergrün, wintergraue Weiden, frühlingsgrüne Landschaft.

7. ბუნების მოვლენების დასახელებები: gewitterblau (Frank), schneeweiß, nebelgrau, eisgrau, eisblau.

ჩამოთვლილ დეტერმინატიულ კომპოზიტებში ორგვარი მიმართება არსებობს: ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია უშუალო, პირდაპირ შედარებას გამოხატავს, მაგალითად, smaragdgrün – grün wie ein Smaragd; ziegelrot – rot wie ein Ziegel. ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ტრანსფორმაცია კი დამატებით ლექსიკურ ელემენტებს მოითხოვს. მაგალითად, herbstgrün – grün wie die Natur im Herbst; admirablau – blau wie die Kleidung eines Admirals (Fleischer 1983:245).

კომპოზიტი, რომლის მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ფერის აღმნიშვნელი სიტყვაა, ზოგჯერ შეიძლება არსებითი სახელის სახით წარმოვადგინოთ. ამ შემთხვევაში გვექნება განსხვავებული მიმართება, კერძოდ, ქონა-ყლის მიმართება. მაგალითად, Akaziengrün – Grün, das die Akazien haben. ასეთივე წარმონაქმნებია: Augenblau, Lufthansa-Blau, Birkengrün.

მოტივაცია დაკარგულია წმინდა ასოციაციურ ნაერთებში: Beatrot, Blues-Violett, Dixie-Grün, Gandy-Rosa. ასეთივეა: saharagelb, diorrot, mitternachtsblau. ამგვარ კონსტრუქციებში დეტერმინანსს თავისთავად მნიშვნელობა არ გააჩნია, არამედ მხოლოდ სიგნალის ფუნქციას ასრულებს.

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი blei შეიძლება სხვადასხვა ფერის განსხვავებული ნიუანსის გამოსახატავად გამოიყენოთ: bleiblauer Abend, bleigraues Wasserbecken, bleiweißes Funkeln.

დეტერმინატიულ კომპოზიტებში, რომელთა პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ზედსართავ სახელს წარმოადგენს, ფერთა აღნიშვნა ნიუანსირების სემით რეალიზდება. ზედსართავი პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ჩვეულებრივ ახდენს ძირითადი ფერების ნიუანსირებას. აქ გამოიყენება მორფემები: dunkel-, hell-, zart-, fahl-, blass-, matt-, tief-, hoch-. მაგალითად: dunkelbraun, hellblond, zartweiß, fahlgrün, blassgrau, mattgelb, tiefblau, hochgelb, dunkelblau, zartgelb.

ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების შესიტყვებად ტრანსფორმაციისას ხდება მარტივი ზედსართავის სუბსტანტივაცია. მაგალითად, tiefblau – tiefes Blau, zartgrün – zartes Grün და ა.შ. (Fleischer 1983:246).

დეტერმინატიულ კომპოზიტებად მიხნეულია ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, როგორცაა graugrün, grauweiß, rotbraun, weißblond, rotblond, blaugrün, rosarot, რომლებშიც კონსტიტუენტებს შორის ადიტიური მიმართება უფრო მედიალურისკენ იხრება და გარკვეულწილად შუალედური საფეხურის „bis“ („მდე“) სიგნალიზებას ახდენს. აქ იგულისხმება ერთი რომელიმე ფერის განსაკუთრებული ნიუანსის აღნიშვნა: graugrün – grün bis grau ან ein gräuliches Grün; rotbraun – braun bis rot ან rötliches Braun; weißblond – blond bis weiß და ა.შ.

მსგავსი წარმონაქმნების პერიფრაზირება შემდეგნაირად შეიძლება: grünblaue Fluten – Fluten, die grünblau sind/deren Blau grün abgetönt ist; rotblondes Haar – Haare, die rotblond sind/deren Blond rot abgetönt/schimmernd ist.

კომპოზიტი rosarot გამოიყენება იდიომატურ გამონათქვამში: etwas durch die rosarote Brille sehen/beurteilen („ვარდისფერი სათვალიდან ყურება“): Jemand sieht etwas durch die „rosarote Brille“, wenn er etwas zu optimistisch beurteilt und die Gefahren und negativen Aspekte völlig außer Acht lässt. Die Farbe Rosa gilt in der volkstümlichen Farbenlehre als Farbe der heiteren Verspieltheit (Jockel 2008:36).

მოდულიკაციის ფუნქცია უფრო ცალსახად არის მარკირებული, როცა პირველ კონსტიტუენტად ფერის აღმნიშვნელი -lich სუფიქსიანი დერივატი გვაქვს. ამ შემთხვევაში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი აღნიშნავს ძირითადი ანუ მეორე კონსტიტუენტით გამოხატული ფერის ნაკლები ხარისხით არსებობას. მაგრამ მართლწერის რეფორმის შედეგად მსგავსი კონსტრუქციები ცალ-ცალკე იწერება (Rechtschreibung 2008:146):

bläulich grüne Pflanze – Pflanze, deren Grün bläulich ist/leicht blau ist.

ასეთივე წარმონაქმნებია: schwärzlich grüne Gestalt, weißlich grüner Drache, gelblich grüne Blüten.

სუფიქსიანი ან უსუფიქსო ფორმა აქვთ შემდეგ სიტყვა-წარმოებით კონსტრუქციებს: blaublass – bläulich blass, grünblau – grünlich blau, gelbbraun – gelblich braun, rotbraun – rötlich braun, grüngelb – grünlich gelb, blaugrün – bläulich grün, gelbgrün – gelblich grün, blaurot – bläulich rot, gelbrot – gelblich rot, blauweiß – bläulich weiß.

პირველ კომპონენტად წარმოდგენილი სუფიქსური დერივატი შეიძლება განსხვავებული სემანტიკის მატარებელიც იყოს. მაგალითად, rostigbraun, seidigblau, saftiggrün.

იშვიათია სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომლებშიც პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი გეოგრაფიული სახელწოდებიდან მიღებული სუფიქსური დერივატია. მაგალითად, persischgrün, persischgelb, preußischblau, türkischrot. ამგვარი კომპოზიტები ზოგჯერ სუბსტანტიური ფორმით არის კოდიფიცირებული. მაგალითად, Braunschweigergrün, Englischrot, Russischgrün (Oksaar 1961:213).

ფერთა აღმნიშვნელი კომპოზიტები შეიძლება კოპულატიურიც იყოს. ამ შემთხვევაში ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ზედსართავია და ინარჩუნებს საკუთარ მნიშვნელობას. ეს თავდაპირველად ქვეყნის სახელმწიფო დროშის ფერებს უკავშირდებოდა. მაგალითად, schwarzrotgolden, grünweißrot, blauweiß, weißgrün, ხოლო შემდეგ ასეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების გამოყენება გავრცელდა აგრეთვე საგნებზე, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ფერის თანაბრად აღნიშვნა. მაგალითად, ein rotweiß gesteinelttes Vorhängchen, eine schwarzweiß gefleckte Katze, ein grünblau kariertes Rock, weißbraun geflecktes Vieh. მსგავსი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ზოგჯერ დეფისითაც იწერება. მაგალითად, schwarz-rot-golden, თუმცა ამგვარი ტენდენცია კოდიფიცირებული არ არის.

მეტად გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს სიტყვაწარმოებითი მწკრივები კონფიქსით -farben (კონფიქსი არის გარკვეული ლექსიკურ-ცნებითი მნიშვნელობის მქონე ნასესხები სიტყვაწარმოებითი ელემენტი, რომელიც დამოუკიდებლად არ გამოიყენება. იგი მხოლოდ სხვა მორფემებთან კავშირში გვხვდება. მაგალითად, bio-, -therm, geo-, -stat, -thek და ა.შ.), რომელთა წარმოქმნის პროცესი ძალზე დინამიკურად მიმდინარეობს (Donalies 2000:144). მათში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენ-

ტი უმეტესწილად არსებითი სახელია, რომელიც სემანტიკურ შეზღუდვებს არ განიცდის, კერძოდ, იგი შეიძლება აღნიშნავდეს საგანთა, ნივთიერებათა, მცენარეთა, ცხოველთა დასახელებებს. ამგვარი ზედსართაული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ჩვეულებრივ სემანტიკურად ადვილად აღიქმება. ე. მატერის ლექსიკონში -farben კონფიქსიანი 40 სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციაა მოცემული. ესენია: resedafarben, leibfarben, goldfarben, sandfarben, erdfarben, beigefarben, orangefarben, cremefarben, milchfarben, aschfarben, fleischfarben, hirschfarben, lohfارben, strohfarben, bleifarben, khakifarben, metallfarben, isabellfarben, perlfarben, lehmfarben, schokoladenfarben, veilchenfarben, bernsteinfarben, weinfarben, silberfarben, kupferfarben, perlmutterfarben, feuerfarben, mehrfarben, purpurfarben, lasurfarben, azurfarben, topasfarben, lachsfarben, flachsfarben, gemsfarben, mausfarben, zimtfarben, pergamentfarben, amethystfarben (Mater 1970).

გარდა ამისა, ცნობილ გერმანულ მწერალთა შემოქმედებაშიც გვხვდება არაერთი ძალიან ლამაზი და საინტერესო ზედსართავი, რომლებიც მსგავსი ნიმუშის მიხედვით არის შექმნილი. მაგალითად, mondfarben (Linder), kamelfarben (Kellermann), emailfarben (Frank), erbsenfarben, wasserfarben (Th. Mann).

როგორც აღნიშნეთ, -farben კონფიქსიან სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ძირითადად არსებითი სახელი გამოიყენება, მხოლოდ იშვიათად გვხვდება პირველ კომპონენტად ფერის აღმნიშვნელი მარტივი ზედსართავი. მაგალითად, lilafarben, rosafarben, beigefarben.

-farben კონფიქსის სინონიმურია სიტყვაწარმოებითი ელემენტი -farbig, რომელიც ასევე ხშირად მონაწილეობს ფერთა აღნიშვნებში. პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად აქაც ძირითადად არსებითი სახელი გვხვდება. მაგალითად, stahlfarbig, taubenfarbig, regenbogenfarbig, eisenfarbig, leberfarbig, lederfarbig, meerfarbig, rußfarbig, granatfarbig, rostfarbig, erzfarbig. არსებობს -farben და -farbig ელემენტებიანი პარალელური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები სემანტიკური დიფერენციაციის გარეშე. მაგალითად, olivfarben – olivfarbig, fliederfarben – fliederfarbig, goldfarben – goldfarbig, erdfarben – erdfarbig, milchfarben – milchfarbig, aschfarben – aschfarbig, fleischfarben – fleischfarbig, hirschfarben –

hirschfarbig და ა.შ. მაგრამ, განსხვავებით -farben კონფიქსიანი ნაერთებისაგან, -farbig ელემენტური სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს რიცხვითი სახელი, ზმნიზედა anders და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები viel, mehr, all. მაგალითად, einfarbig, zweifarbig, dreifarbig, andersfarbig, vielfarbig, mehrfarbig, allfarbig. -farbig ელემენტური სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ზედსართავიც უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე -farben კონფიქსიანი ნაერთებში. მაგალითად, gelbfarbig, frischfarbig, gleichfarbig, dunkelfarbig, hellfarbig, graufarbig, buntfarbig, mattfarbig, zartfarbig, lilafarbig.

ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს კონკურენციას უწევენ კომპოზიტები, რომელთაც მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად აქვთ კომპონენტი -farben/-farbig და კომპოზიტები, რომელთა მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი წარმოადგენს: himbeerfarben – himbeerrot, schokoladenfarbig – schokoladenbraun, honigfarben – honiggelb, fliederfarben – fliederblau, zimtfarben – zimtbraun, resedafarben – resedagrün.

ხშირად კონსტიტუენტები გამოხატავენ მიმართებით სიტყვაში მოცემული სიდიდისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ეს ექსპლიციტურად ვლინდება პერიფრაზში: grobroter Kokosläufer (Strittmatter) – Kokosläufer, der grob und rot ist/eine grobe Struktur und eine rote Farbe hat. ასეთივეა: störrisch-gelbe Streichholzhaare (Knef), schwerschwarze Fruchtorname (Grass).

ზოგჯერ შეიძლება რაღაც სიდიდე სხვა სიდიდესთან მიმართებაში იყოს დახასიათებული: buntfremde Fahnen (Frisch) – Fahnen, die bunt sind und auf jemanden fremd wirken.

ფერთა აღმნიშვნელ (ან სინათლის ინტენსივობის გამომხატველ) კონსტიტუენტებს შეიძლება უკავშირდებოდეს სხვა მნიშვნელობის მქონე კონსტიტუენტები, მათ შორის შემდეგი აღნიშვნათა კლასები:

1. ტემპერატურა: kühdunkler Tunnel (Grass), hellwarmer Massivstall (Strittmatter).
2. სინესტე/სიმშრალე: feuchtblauer Himmel (Th. Mann), feuchtgelbes Stirnlicht; weißtrockene, leichte Kirschkerne (Grass).

3. ფორმა: spitzgelbe Zähne, spitzbunte Tüten, schwarzkrauses Brusthaar (Grass).

4. ზედაპირის რაგვარობა: braunblanke Schutzhülle (Th. Mann), schwarzblankes Zeug, glattschwarzer Hals (Grass).

5. სივრცობრივი განფენილობა – blauhoher Septemberhimmel (Strittmatter), schmalsilberne Mondsichel (Zuckmayer).

ცალკე უნდა გამოვეყნოთ პარტიციპიანი სიტყვაწარმოებითი მოდელები. ხშირია შემთხვევები, როცა სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელია, ხოლო მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი – პარტიციპ II. მაგალითად, blaugestreift, braungestrichen, gelbgerändert, rotgefärbt, grünbelaubt, weißgekleidet, schwarzgestreift, rotbedacht, braungefleckt, rotgepolstert, grünglasiert, grünbewachsen, weißgepudert, blondgefärbt, weißgestreift, graumeliert, braungebeizt, grünmarmoriert, schwarzlackiert, weißgekalkt, schwarzverkohlt, rotverweint, braunpoliert, graubemoost, blaugesteinelt, graugesprenkelt, rosagekräuselt, grünbezogen, grüngestickt, gelbgeraucht.

მართლწერის ახალი წესების მიხედვით, მსგავსი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შეიძლება როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკეც დაიწეროს: blaugestreift – blau gestreift, braungebrannt – braun gebrannt.

შედარებით იშვიათია პარტიციპ I მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად. მაგალითად, rotglühend, roséschimmernd, grünschillernd, weißschimmernd, blaublühend, bronzegläzend, weißglühend. ზოგჯერ პარტიციპ I პირველ კომპონენტადაც გვხვდება, ხოლო ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. მაგრამ ახალი ორთოგრაფიული წესების მიხედვით ამგვარი ზედსართავები ცალ-ცალკე იწერება (Rechtschreibung 2008:605). მაგალითად, leuchtend rot, blendend weiß, wütend gelb, glänzend schwarz. აღნიშნულ შემთხვევებში პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი სინათლის ინსტენსივობას გამოხატავს: blendend weißes Bett, blitzend weiß wie Eis, glitzernd weiße Weste.

შეიძლება შეგვხვდეს მთელი რიგი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ანტონიმური პირველი კონსტიტუენტებით: leuchtend rot – mattrot, blankweiß – schmutzig weiß, schwachgelb – kräftig gelb.

დერივაციული მოდელებიდან, რომლებიც ფერთა აღნიშვნებში მონაწილეობენ, აღსანიშნავია -lich და -ig სუფიქსიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. ამ შემთხვევაში -lich სუფიქსს შესუსტების ფუნქცია აკისრია, ეს კი ნიშნავს, რომ ფერი, რომელიც საბაზისო სიტყვაშია მოცემული და რომელსაც აღნიშნული სუფიქსი დაერთვის, სრულყოფილი სახით არ არის წარმოდგენილი, მაგალითად, rötlich – მოწითალო, bläulich – მოლურჯო, ასეთივეა: bräunlich, grünlich, gelblich, weißlich, schwärzlich. რაც შეეხება -ig სუფიქსიან ფერთა აღნიშვნებს, ისინი შედარების გამომხატველ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებს უახლოვდებიან, მაგალითად, ein silbriger Glanz, kalkiges Licht, der goldige Schimmer, rosige Wangen, eine milchige Flüssigkeit.

გერმანულ ენაში ფერთა აღნიშვნა კონვერსიული მოდელებითაც ხორციელდება. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს დესუბსტანტიური კონვერსია, როგორცაა, მაგალითად, bordeaux, flieder, cognac, lind, sand, mango, tabac, schilf, indigo, თუმცა მათი ატრიბუტული გამოყენებისას თავს იჩენს ფლექსიური პრობლემები. ამიტომაც მიმართავენ კომბინაციებს ფერის აღმნიშვნელ ზედსართავთან ან -farben/-farbig კონფიქსთან, მაგალითად koralle – korallenrot, goldtopas – goldtopasfarben.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ რეკლამები და დარგობრივი ტექსტები, რომლებიც ფერების აღნიშვნებს შეისწავლის და მათ სათანადო საგნებთან მიმართებაში წარმოაჩენს. საერთოდ ახლა იმდენი ფერია ტექსტილის ინდუსტრიაში, მოდის ინდუსტრიაში, კოსმეტიკაში (ათასნაირი ფერის თმის საღებავი, პომადა), რომ შეუძლებელია ფერების აღმნიშვნელი სიტყვები მაშინვე განიცდიდეს ლექსიკალიზაციას. ამიტომ ასეთი ზედსართავების შესწავლა, დაფიქსირება და აღრიცხვა ძალიან საშუარო საქმეა. ტრადიციული ფერების სპექტრი ვეღარ იტევს ახალ ნიუანსებს, თუმცა ის მაინც ახალი მიმართულებების საფუძვლად რჩება.

ორიოდ სიტყვით უნდა შევეხოთ ფერთა აღნიშვნებს ტექსტის დონეზე. ფერთა აღნიშვნების გამოყენება დიდად არის დამოკიდებული ტექსტის ჟანრზე. ისინი გვხვდება როგორც ბელეტრისტიკაში, ასევე პრესასა და პუბლიცისტიკაშიც. ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციე-

ბის სისშირის ყველაზე მაღალი აღბათობით მხატვრული ლიტერატურა გამოირჩევა. აქ იგი ეპითეტია, მხატვრული სახის გამდიდრებას ემსახურება. ფერთა აღნიშვნის ბევრი ნიმუში თავისებური და პარადოქსულია, მაგრამ მათ მწერლები ხშირად იყენებენ თავიანთი ორიგინალური სტილისა და შეხედულებების შესაბამისად (შდრ. კ. გამსახურდია). არაერთი მაგალითის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფერთა აღმნიშვნელი რთული ზედსართავებით შესაძლებელია ამა თუ იმ საგნის ნებისმიერი უზუსტესი ნიუანსის გადმოცემა. ფერთა აღმნიშვნელი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ენას დახვეწილსა და მიმზიდველს ხდიან, მათ ტექსტში შემოაქვთ კოლორიტი, ფორმა, სიტბო, სურნელი. ფერთა აღნიშვნების მეშვეობით მოსაწყენი საგნების გაცოცხლებაც კი შესაძლებელია, როცა ავტორი არ კმაყოფილდება ზოგადით, არამედ ეძებს რაღაც განსაკუთრებულს. გამომსახველობითი, ტევადი ზედსართავებით, რომლებიც განსხვავებულ ფერს და ამით ინდივიდუალურ თვისებას წარმოაჩენენ, ეფექტი მიიღწევა და ტექსტი ექსპრესიული ხდება. მაგალითად, glänzte sein Haar schwarz, **regenschirmschwarz**, **priesterschwarz**, **witwenschwarz**, **schutzstaffelschwarz**, **schultafelschwarz**, **falangeschwarz**, **amselschwarz**, **othelloschwarz** (Grass), **leisblaues Kleid** (Strittmatter), „schneewittchen“, **reinweiß** (Hofmann), **fremdländisch-schwarze Frau** (Strittmatter), **kirschscharze Mittelmeeraugen** (Grass), **stumpfweiße Kappe** (Knef), **vergissmeinnichtblaue Augen** (Werfel), **honigblonde Kitty** (Grass), **rußgeschwärztes Porzellan** (Kellermann), **schwarzviolette Vögel** (Frisch), **tintigviolette Dächer** (Franke), **chloroformweiße astern** (Artmann).

ფერთა აღმნიშვნელ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მარტო გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში, არამედ ზოგადად გერმანული ენის ლექსიკაში, ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებასა თუ მხატვრულ ლიტერატურაში. ამას მოწმობს ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენენ მკვლევარები აღნიშნული საკითხის მიმართ.

4.2. შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები

შედარების გამომხატვას გერმანულ ენაში ემსახურება როგორც კომპოზიციური, ასევე დერივაციული მოდელები. აქ უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებზე, რომლებიც გამომხატავენ მსგავსებას ან უბრალო შედარებას.

კომპოზიციური მოდელებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია დეტერმინატიული კომპოზიტები, რომელთა პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს არსებითი სახელი წარმოადგენს. სუბსტანტიური მსაზღვრელი სიტყვები შეესაბამება შედარების გამომხატველ შესიტყვებებს:

grasgrün – etwas ist grün wie Gras;

butterweich – etwas ist weich wie Butter;

wieselflink – jemand ist flink wie ein Wiesel;

leichenblass – jemand ist blass wie eine Leiche.

ასეთივეა: stahlharte Kugeln, weizenblondes Haar, eine federleichte Turnerin, ein kornblumenblauer Pullover, seidenweiches Material, papierdünne Taschentücher, ein grasgrüner Anstrich, ein messerscharfes Urteil.

ჰ. ვაინრიხი ამ მიმართებას აღნიშნავს სიტყვებით: wie - Vergleich (Weinrich 1993:1021).

ნივთიერებათა და საგანთა აღნიშვნებთან ერთად, როგორცაა silberhell, pfenniggroß, fadendünn, handtuchschmal, გამოიყოფა ასევე ცხოველთა და სხეულის ნაწილთა აღნიშვნები: bienenfleißig, lammfromm, aalglatt, ameisenklein, rehscheu, schneckenlangsam, armdick, fingerlang, ხოლო აბსტრაქტული სახელები იშვიათად გვხვდება. მაგალითად, Wie Jahrtausende tief, ewigkeitstief, lag der See (Becher).

შედარების გამომხატველ კომპოზიტებს დიდი ადგილი უჭირავს ზედსართაულ თხზულ სიტყვებში. ამასთან, ბევრ მათგანში მსაზღვრელი სიტყვა უკვე აღარ წარმოადგენს შედარების სიდიდეს, არამედ ძირითადი სიტყვის შინაარსის გასაძლიერებლად გამოიყენება: mäuschenstill ტრანსფორმირდება: still wie ein Mäuschen, მაგრამ ნიშნავს „sehr still“. ასეთივეა:

muckmäuschenstill, kohlrabenschwarz, pechkohlrabenschwarz, pechrabenschwarz, fuchsteufelswild, mutterseelenallein.

ეს სემა ძალიან უახლოვდება გრადაციის სემას. ზოგჯერ შეუქდლებელიც კია მათ შორის ზღერის გავლება. კონსტრუქციები eiskalt, schneeweiß, zuckersüß შედარებასაც გამოხატავენ და გაძლიერებასაც. ასევე ძნელი გასამიჯნია შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ფერთა აღნიშვნებისაგან. ამგვარ კომპოზიტებში პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ხშირია ძვირფასი ქვების, ლითონების, მინერალების, მცენარეთა და ცხოველთა დასახელებები: rubinrot, goldgelb, malachitgrün, pflaumenblau, taubengrau.

კომპარატიული სტრუქტურის მქონე კომპოზიტებში მსაზღვრელი კონსტიტუენტის სემანტიკურ ფუნქციას ძირითადად შედარების სიდიდის გამოხატვა წარმოადგენს. მაგალითად, bierdeckelgroße Scheibe, kreisrunder Platz, eidottergelbe Blumen. ამ შემთხვევებში მსაზღვრელი სიტყვა არის ძირითადი ანუ მეორე კონსტიტუენტით დასახელებული ნიშან-თვისების მატარებელი.

მსაზღვრელი სიტყვისა და მიმართებითი სიტყვის პარალელში ხშირად განპირობებულია ძირითადი კონსტიტუენტით გამოხატული ნიშან-თვისებით ან მდგომარეობით. ასე მაგალითად, შესიტყვებაში spielkartengroßes Stück შედარება ხორციელდება სივრცობრივი ნიშნის თვალსაზრისით და არა ფერის, ასაკის, წონის ან მასალის მიხედვით. მსაზღვრელი სიტყვით გამოხატული სიდიდე შეიძლება სხვადასხვა ასპექტით გამოიყენოს შედარებისათვის. ამას მოწმობს შემდეგი ნიმუშები: fischglatt, fischstumm, fischblaue Augen, fischfeuchter Atem. ასეთივეა: glashell, glaskühl, glashartes Eis, glasglatte Zapfen, glasblaue See, glasdünnnes Geläut, glasklarer Schleier (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:85).

პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი finger- შეიძლება სიდიდის სხვადასხვა განზომილებასთან შედარებას გამოხატავდეს. მაგალითად, fingerdicker Zweig, fingergroße Würmer, fingerlange Narben, fingerschlanke Stielgläser, über dem Boden stand Wasser fingerhoch.

ამგვარი ტიპის არაერთი კომპოზიტი შეიძლება ელიფსურ წარმონაქმნად განვიხილოთ. პერიფრაზირებისათვის საჭირო დამატებითი ლექსემები მსაზღვრელ სიტყვას განმარტავენ, ისი-

ნი ასახელებენ შედარების სიდიდეს, რომელიც მსაზღვრელი სიტყვით გამოხატული სიდიდის ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, *entenweich – weich wie Federn von Enten*.

ხშირად კონტექსტი ან მიმართებითი სიტყვა იძლევა შედარების სიდიდის ახსნას. მაგალითად, *fischrundes Flaschenmaul – Flaschenmaul, das rund wie ein Fischmaul ist*.

ასეთივეა: *tischtennisgroße Platte, stecknadelgroßer Punkt*.

ზოგჯერ უმჯობესია მეტონიმიიდან ამოვიდეთ. მაგალითად, *glockenhelles Lachen*. ამ შესიტყვებაში *Glocke* გამოიყენება *Glockenklang*-ის მნიშვნელობით.

გვაქვს კომპოზიტები, რომლებშიც ჩვეული „sein wie“ მიმართების ნაცვლად გამოიყენება „tun wie“ მიმართება. ეს უკანასკნელი უფრო ექსპლიციტურად გამოხატავს სათქმელს. ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების პერიფრაზირება შემდეგნაირად შეიძლება: *quecksilberschnelle Augen – Augen, die sich schnell bewegen wie Quecksilber*.

krimiflüssiger Text – Text, der flüssig geschrieben ist wie ein Krimi.

კონტექსტი შეიძლება პროცესის ან მოქმედების რაგვარობას მიუთითებდეს: *Schwalben schießen pfeilgerade von dem Dach – Schwalben, die gerade von dem Dach schießen wie ein Pfeil*.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარების გამოხატველ კომპოზიტებს შეხების წერტილები აქვთ სხვა სიტყვაწარმოებით მნიშვნელობებთან. ეს განსაკუთრებით ნათლად მაშინ ვლინდება, როცა მსაზღვრელი სიტყვა, კომპოზიტში მისი ფუნქციიდან გამომდინარე, არ შეიძლება მხოლოდ შედარების სიდიდედ განვიხილოთ. მაგალითად, შესიტყვება *fußbreiter Pfad* ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა:

1. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია (სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა – „შედარება“): *Pfad, der breit wie ein Fuß ist*.

2. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ზომის აღმნიშვნელი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია (სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა – „განზომილებითი“): *Pfad, der ein Fuß breit ist*.

ისეთი კომპოზიტების იზოლირებულად განხილვისას, როგორიცაა, მაგალითად, *winterweiß, sonnenbraun, vaterunserlang, höhlenheimelig*, გვაქვს არა კომპარატიული, არამედ სხვა სიტყვა-

წარმოებითი მნიშვნელობები, კერძოდ, ტემპორალური (im Winter weiß), კაუზალური (durch die Sonne braun), განზომილებითი (ein Vaterunser lang), ლოკალური (heimelig in einer Höhle). კონტექსტუალური ფაქტორები კი გვეხმარება იმის დადგენაში, რომ ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შედარების გამომხატველ კომპოზიტებს წარმოადგენენ. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ მათი ელიფსური თუ მეტონიმიური სტრუქტურა. მაგალითად, Pullover, winterweiß – Pullover, der weiß wie die Winterlandschaft ist (Winter აღიქმება როგორც მეტონიმია აღნიშვნისათვის Winterlandschaft). კაუზალურად გაიგება sonnenbraun: Bräunungspillen machen sonnenbraune Haut – Haut, die braun ist wie (wenn sie) durch die Sonne (gebräunt wäre). ასევე შესიტყვებაში höhlenheimelige Nacht გვაქვს არა ლოკალური, არამედ კომპარატიული სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: Nacht, die heimelig ist wie (es) in einer Höhle (heimelig ist) ან კიდევ: Nacht, die wie eine Höhle heimelig ist.

შედარების გამომხატველი კომპოზიტებისათვის ნიშანდობლივია მეტ-ნაკლებად გამოხატული იდიომატური ხასიათი. ზოგჯერ შედარების რეალიზება შეზღუდულია და კომპარატიული პერიფრაზი კომპოზიტის მნიშვნელობას არ შეესატყვისება. მოტივირებულ და დემოტივირებულ წარმონაქმნებს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. არც არის აუცილებელი, რომ ერთი და იმავე წარმონაქმნის შემთხვევაში ლექსიკალიზების ხარისხი ცალსახად დადგინდეს. კონტექსტუალური გამოყენება ყოველთვის სათანადო მნიშვნელობას წამოსწევს წინა პლანზე. მაგალითად, wieselflinkes Eichhörnchen და wieselflinker Jungpolitiker.

პირველი კონსტიტუენტის არჩევა დამოკიდებულია არა მარტო დასახუსტებულ სიდიდეზე, რომელიც ძირითად სიტყვაშია დასახელებული (მაგალითად, ფერის გარკვეული ნიუანსი, გარკვეული კონსისტენცია და ა.შ.), არამედ აგრეთვე ასოციაციებზე, რომლებიც უჩნდება მოლაპარაკეს პირველ კონსტიტუენტთან დაკავშირებით და რომლებიც სისტემურ კონოტაციებს განაპირობებენ. მაგალითად:

კონტრაციური მნიშვნელობა „უმწიკვლო“/„შეურყვნელი“: heilandweiß, jungfrauenweiß (Becher), uranfingrein, lilienweiß, babyblaue Augen, morgenreine Melodie.

კონტრაციური მნიშვნელობა „უძრავი“/„გაქცევებული“: leichenkalt, gipsweißes Antlitz, marmorblasses Gesicht, plastikkalter Hintergrund (König), wachsbleiches Haupt.

კონტრაციური მნიშვნელობა „არაბუნებრივი“/„ხელოვნური“: ansichtskartenblauer Himmel, postkartenschöne Natur.

კონტრაციური მნიშვნელობა „ბრწყინვალე“/„ბჭყვიალა“: perlmuttergrauer Roboter, metallsilberne Smokingjacke.

კომპოზიტებს ზოგჯერ გრადაციის გამომხატველი ნიშან-თვისებები ახასიათებთ, როგორცაა, მაგალითად, „ძალიან“, „ინტენსიურად“, „ბევრი“, „ცოტა“ და ა.შ. მაგალითად, baumdicke Riesenhalme (König), eselbockiges Rad, fingerhutgroßes Gläschen (Knef), kirchendachsteile Wiesen, kinderpopoglatte Kinnhaut (Grass). ხშირად პერიფრაზში პირველი კონსტიტუენტის ჩანაცვლება ხდება მორფემით „sehr“: feuerrotes Band – Band, das sehr rot ist. ეს მაშინ ხდება, როცა პირველი კონსტიტუენტით გამოხატულ სიდიდეს ისეთი დიდი რაოდენობით ან დიდი ინტენსივობით აქვს ძირითადი სიტყვით გამოხატული ნიშან-თვისება, როგორც მიმართებით სიტყვაში დასახელებულ სიდიდეს არ შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, suppennudeldünnes Kind; gluthießer Wind; handtuchbreites Zimmer; grätendürre Arme; die Taillen nicht so sanduhrdünn; strichdünne Sechsenddreißigergröße; wolkenweiche Luxuspolster; brühwarmes Bier; blütenreine Strände (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:92). ხშირ გამოყენებას შედარების შესუსტებამდე მიყვავართ: eiskaltes Zimmer, blutrote Fahne, hauchdünn, hauchfein, hauchzart, schneeweiße Blüten. ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია კი გარკვეულ კონტექსტში საკმაოდ მყარად დამკვიდრდა: er wurde käseweiß; leichenblasses Gesicht; kristallklare Seen; spindeldürrer Mann; glockenreine Stimme. გამაძლიერებელ მნიშვნელობას ვღებულობთ კომპოზიტის მეტაფორული გამოყენების დროსაც, მაგალითად, Er ist gallenbitter, sahnbonbonstüßer Stolz (Grass), glasharter Stolz (Strittmatter).

რემოტივაციაში შეიძლება უჩვეულო მაერთებელი ელემენტის ჩართვა გამოიწვიოს: Es ist eis-e-kalt im Bau. ან კიდევ უზუაღური კონსტიტუენტი შეიძლება ჩანაცვლოს ნაკლებად გავ-

რცელებულმა სინონიმურმა ვარიანტმა: blutrot – blut-purpurner Himmel (Trakl); schneeweiß – schneeblass, schneebleich von Kopf bis Fuß; schneehelles Atelier (Frisch). პირველ ზედსართაულ კონსტიტუენტს კონკურენციას უწევს შემდეგი ფორმები: samtweich – samtig-weich, engelschön – engelhaft schön; blutrot – blutig rot; schwammweich – schnwammig-weich; seidenleicht – seidig-leicht.

კატეგორიულური სტატუსის თვალსაზრისით, შედარების გამომხატველ კომპოზიტებში ძირითად ანუ მეორე კონსტიტუენტს უმეტესად კონკრეტული არსებითი სახელი წარმოადგენს. იგი შეიძლება აღნიშვნათა შემდეგ კლასებს განეკუთვნებოდეს:

1. ფერთა აღნიშვნები: perlbeige Lackierung, hindubraunes Antlitz, fliederblauer Stoff, veilchenblaue Augen, papageibunte Trachten.

2. სიწმინდე/გამჭვირვალობა: fensterrein, milchtrübe Front- und Seitenscheiben (Schattschneider).

3. ბგერის სიძლიერე/ხარისხი: tropfweis, tempelstumm, grabesstilles Zimmer, violinfeine Hochtöne (Strittmatter).

4. ტემპერატურა: flutenkalt, mooskühl, körperwarm, treibhausschwül, fischblutkalt, schlangenkühl, bergheideheiß, treibhauswarme Dunkelheit, schneekalte Schwaden (Weisser).

5. სივრცობრივი განფენილობა: punktklein, ameisenwinzig, schnurschmal, hallenhohe Höhle, orangegroße Beule (Lem).

6. ფორმა: fiedelbogenkrumm, nadelspitz, linealgerade Nase (Braun), rettungsringrunde Kränze (Grass).

7. საგნის რაგვარობა: eisteif, plankenstarr, pfirsichfeine Haut, kissenweicher Waldboden (Lem), feh-flauschige Servietten, messerscharfes Seegras.

8. წონა: daunenleichtes Plüschfutter, bleischwerer Gegenstand.

9. პოზიცია/დამოკიდებულება: stolchroh, kinderfurch, greisenboshaft (Braun), engelsgute Gefährtin.

10. გრძნობა/შეგრძნება: kleinkinderglücklich, kindertraurig (Strittmatter).

რაც შეეხება მსაზღვრულ კონსტიტუენტებს, ისინი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, თუმცა მათი ფუნქციები შედარებით ჰომოგენურია. მათში შეიძლება შემდეგი კლასები გამოვყოთ:

1. ბუნების მოვლენების აღნიშვნა: hageldicht, wolkenweiß, regenbogenbunt, regenweiches Wasser, windschneller Schrei (Huchel).

2. მცენარეთა აღნიშვნა: fichtengrün, tannensteil, eichenholzdunkel, mahagonidunkel, nelkenstreng, blumenleicht.

3. ცხოველთა აღნიშვნა: kaninchengroß, rattenheimlich, katzenweiche Konstruktion (Seghers), mäusegroßes Nagetier, ziegengroße Gazellen.

4. არარგანული სუბსტანციის აღნიშვნა: eisenharter Boden, kobaltblauer Rand.

5. ქვეყნის აღნიშვნა: kontinentgroße Metropolis, texastrockene Hitze.

6. ინტერიერის საგნების აღნიშვნა: schrankbreite Lücke, schreibtischgroßer Computer, tischhoher Altar.

7. პიროვნების/კოლექტივის აღნიშვნა: menschengroßer Vogelkäfig, mannsgröße Löcher (König), marineblauer Frühjahrmantel (Grass), jugendstarkes Gefühl, geisterbleiches Gesicht.

8. სხეულის ნაწილის აღნიშვნა: armweit, kopfgroßes Loch, handgroßes Gesicht (Seghers), daumendicker Aal.

9. წყალთან დაკავშირებული აღნიშვნები: quellwasserhelle Augen (Wohmann), teichgroße Augen (Ende), nilgrünes Kleid.

10. დროის აღნიშვნა: alltagsblass, augenblickskurz, frühlingsbuntes Molchmännchen (Strittmatter).

11. გრძნობის/შეგრძნების აღნიშვნა: liebesrosa Schmetterling, trauerdunkle Äste (Franke).

შედარების გამომხატველ კომპოზიტებში ხშირად გვხვდება ანტონიმური მნიშვნელობის მქონე მეორე კონსტიტუენტები. ამასთან, სათანადო ლექსემა, როგორც წესი, არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი საპირისპირო ცნებით. მაგალითად, nudeldick – glasdünn, gertenschlank, katzenschmal, pimpfenmager, grätendürr. ანტონიმური მეორე კონსტიტუენტები გვხვდება შემდეგ კომპოზიტებშიც: stangenlang – flammenkurz; hornhart – wachsw weich; semmelbrösel trocken – meerfeucht, schnecken nass; winterlang – augenblickskurz; greisenboshaft – schulmädchenbrav; watemild – dolchscharf; glashell – kräuterdunkel.

მორფოლოგიური თვალსაზრისით, შედარების გამომხატველი კომპოზიტების დაახლოებით 14 %-ს პირველ უშუალო

შემადგენელ კონსტიტუენტად კომპლექსური ლექსემა აქვს. მაგალითად, kartoffelkeimbleich, besenkammergroß, lichtfüncchenklein, knackwurstscheibengroß, zweimannshoch (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:97).

მოელ რიგ ზედსართავებში მწკრივების წარმომქმნელად გამოიყენება და მსგავსებას გამოხატავენ მეორე კომპოზიციური წევრები, როგორებიცაა: -ähnlich, -artig, -gleich, -förmig. მაგალითად, schiffstakelageähnlich, sturzflutartig, keilförmig, engelgleich, „boutiquengleich – modern, in Form, Farbe und Schnitt“ (Fleischer/Barz 1995:234).

შედარების გამოხატველი კომპოზიტები ტექსტში ხშირად ბმულობის განსახორციელებლად გამოიყენება. ყველაზე ხშირია შემთხვევები, როცა მეორე კონსტიტუენტი ტექსტში უფრო ადრეა მოხსენიებული, ხოლო კომპოზიტი შემდგომში მის დაზუსტებას ახდენს. მაგალითად, Sie kriegen ein ganz typisches gelbes Döschen, ... Jawohl gelb – man dürfte es wohl **Kodakgelb** nennen (Bagley); Er erfindet ein Pulver, ein grünes Pulver, ein **hoffnungsgrünes** Pulver (Pümpel-Mader/Gassner-Koch/Wellmann 1992:97). ასევე შეიძლება კომპოზიტის ერთ-ერთი ან ორივე კონსტიტუენტი ტექსტში განმეორებით შეგვხვდეს, მხოლოდ ამჯერად როგორც სხვა სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ელემენტი. მაგალითად, Der **strohgelbe** Teig ... Strohfarbene, glatte, dünne Rinde (Kielwein); Ihre Augen leuchteten **katzengrün** ... die Hinkende steht da mit ihren grünen Katzenaugen (Werfel); **reiskorngroße** Lochung ... zahlreiche unregelmäßige Löcher von Reiskorngröße (Kielwein).

კომპოზიტს ტექსტში შეიძლება კონკურენციას უწევდეს უფრო ექსპლიციტურად გამოხატული სინტაქსური სტრუქტურები. მაგალითად, eine runde **tellerweiße** Küchenuhr. Sie ist nur wie ein Teller, so mit weißem Lack (Borchert); ihre vollen weichen Lippen, jetzt violett wie reife Pflaumen,... Und ihre Lippen sind **pflaumenblau** (Frisch); der Leib ist bedeckt, Trikot, straff, ein Weiß wie Möwenflaum, während Lilo in ihrem **möwenflaumweißen** Strandabendkleid...(Frisch); So dunkelgrün, so grün wie leere Bierflaschen neben den Bänken... Komm lieber Mai und mache die Schlachtfelder **bierflaschengrün** (Borchert).

კონტექსტის ელემენტები აზუსტებენ შედარების სიდიდეს შემდეგ მაგალითებში: Der Salon ist beige... **semmelblass** wie

Sehmischs Vorkriegssemmel (Knef); Der mit der roten Mütze und Kelle dreht sich um, glotzt mich an, wird **mützenrot** (Knef).

შედარების გამოსახატავად, როგორც აღნიშნეთ, გამოიყენება დერივაციული მოდულებიც, კერძოდ კი, სუფიქსური დერივატები. გერმანული სუფიქსებიდან უნდა გამოვყოთ -haft, -ig, -isch, -lich და -mäßig (Duden 2006:767).

-haft სუფიქსთან ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს პიროვნებათა აღნიშვნა: heldenhaft – in der Art des Helden. ასეთივეა: damenhaft, schurkenhaft, beamtenhaft, schülerhaft, bauernhaft, frauenhaft, feenhaft, clownhaft. ე. მატერის ლექსიკონში დაფიქსირებული -haft სუფიქსიანი 300 დერივატიდან მესამედს სწორედ ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები წარმოადგენს, რომელთა ბაზისური სიტყვა არის პიროვნებათა აღნიშვნა (Mater 1970:170). ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს ასევე ცხოველთა აღნიშვნა: bärenhaft, eselhaft, grillenhaft, löwenhaft, katzenhaft, sauhaft, papageienhaft, hasenhaft, schlangenhaft, ochsenhaft. მაგრამ შედარების სეგმენტი არ შემოიფარგლება დერივატებით, რომელთა ბაზისური სიტყვა პიროვნებათა და ცხოველთა აღნიშვნებია. არსებობს სხვა ბაზისიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციებიც: anekdotenhaft, märchenhaft, episodenhaft, abenteuerhaft, skizzenhaft, legendenhaft, frühlinghaft.

ამ მნიშვნელობით -haft სუფიქსიან დერივატებთან კონკურირებს -artig კომპონენტიანი ზედსართავები და შედარების გამომხატველი სუბსტანტიური კომპოზიტები: ruckhafte Bewegungen ან ruckartige Bewegungen; eine meisterhafte Leistung – eine Meisterleistung; eine zwergenhafte Gestalt – eine Zwergengestalt; ein jungenhaftes Lachen – ein Jungenlachen. ასეთივეა: bruchstückhaft – bruchstückartig, panikhaft – panikartig.

შედარებას გამოხატავს -ig სუფიქსიანი დერივატების დიდი ჯგუფი. ამასთან ბაზისი შეიძლება იყოს საგანთა ან ნივთიერებათა აღნიშვნა: ein milchiges Licht – Licht wie Milch. ასეთივეა: ein glasiger Blick, eine rauchige Stimme, ein silbriger Glanz, eine blümige Rede, ein sonniges Gemüt, ein feuriges Temperament, eine teigige Masse, kalkiges Licht, ein schwammiges Gesicht, der goldige Schimmer, der schneeige Schaum, ein seidiges Fell.

შედარების გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ხშირად ფორმით მსგავსებასაც აღნიშნავენ: kugelig – in der Form von Kugel. ასეთივეა: kapselig, spiralig, körnig, kegelig, bauchig, glockig. ამგვარი წარმონაქმნების გვერდით ხშირად გვხვდება -förmig და -artig კომპონენტებიანი კონსტრუქციები: bauchig – bauchförmig, glockig – glockenförmig, breiig – breiartig, wellig – wellenartig, wellenförmig.

-ig სუფიქსიან დერივატებში ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს ცხოველთა ან პიროვნებათა აღნიშვნა: bockig – in der Art eines Bockes, wie ein Bock. ასეთივეა: affig, bullig, fischig, fuchsig, knirpsig, krüppelig, schurkig, schuftig, miesepetrig, duckmäuserig. ამ დერივატებს ძირითადად უარყოფითი (პეიორატიული) ნიუანსი აქვთ. ისინი შეიძლება შევადაროთ -haft სუფიქსიან წარმონაქმნებს: riesig – riesenhaft, flegelig – flegelhaft.

შედარების გამომხატველ -isch სუფიქსიან დერივატებში ბაზისური სიტყვა ძირითადად არის პიროვნებათა ან ცხოველთა აღნიშვნები, თუმცა გვხვდება აბსტრაქტული სახელებიც. დერივატების უმრავლესობას უარყოფითი შეფერილობა აქვს. ეს განპირობებულია ბაზისური არსებითი სახელით, რომელიც თვითონ ნეგატიურ ცნებას აღნიშნავს: idiotisches Benehmen, höllische Ängste, teuflische Pläne, hündischer Gehorsam. ასეთივე დერივატებია: diebisch, närrisch, sklavisch, satanisch, knechtisch, schurkisch, tierisch, äffisch, säuisch, wölfisch, viehisch, schweinish, kätzisch. უარყოფითი შეფერილობა აქვს ასევე დერივატებს: herrisch, kindisch, weibisch, männisch, launisch, bäurisch. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდება, თუ -isch სუფიქსიან ნეგატიურ ზედსართავებს შევადარებთ -ig ან -lich სუფიქსიან ნეიტრალური ხასიათის დერივატებს:

ein launischer Mensch	–	ein launiger Abend
ჭირვეული ადამიანი		მშვენიერი საღამო
ein kindisches Verhalten	–	kindliche Spiele
ბავშვური საქციელი		საბავშვო თამაშები
ein weibisches Aussehen	–	weibliche Lehrlinge
დედაკაცური გარეგნობა		მოსწავლე გოგონები
ein bäurisches Benehmen	–	ein bäuerliches Anwesen
გლეხური, უხეში საქციელი		გლეხის კარმიდამო.

ასეთივეა: herrisch – herrlich, männisch – männlich, dörfisch – dörflich.

თუ ბაზისური სიტყვა -er სუფიქსიანი დერივატი ან სუბსტანტიური კომპოზიტია, მაშინ არ იგრძნობა ისე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი შეფერილობა: eine dichterische Ader, schöpferische Kräfte, zeichnerisches Geschick, ein verräterischer Zug, spielerisches Lernen, kaufmännische Angestellte, fachmännische Reparaturen, zeitgenössische Moden. ასეთივე წარმონაქმნებია: künstlerisch, kämpferisch, gärtnerisch, erfinderisch, wählerisch. თუმცა მათ გვერდით არსებობს -er სუფიქსიანი ბაზისები უარყოფითი ელფერით: blutsaugerisch, kriecherisch, betrügerisch, ehebrecherisch, räuberisch, verbrecherisch, frevlerisch, erpresserisch. მსგავსება-შედარების აღნიშვნები აქ მიმართებით ზედსართავეებს უახლოვდება: darstellerisch – was die Darstellung betrifft.

შედარების გამოხატვაში მხოლოდ მცირე დოზით მონაწილეობს -lich სუფიქსი. -lich სუფიქსიანი თვისობრივი ზედსართავეები ქმნიან შედარების სეგმენტს: freundlich – in der Art eines Freundes. ამგვარ წარმონაქმნებში ვლინდება ბაზისური სიტყვისა და მიმართებითი არსებითი სახელის ერთიანობა. შესიტყვება იმავე ნიუანსს იძენს, რაც ბაზისურ სიტყვაშია მოცემული: geschwisterliche Liebe, eine freundliche Antwort, ein väterlicher Rat, eine menschliche Schwäche, geschäftliche Beziehungen, eine schriftliche Prüfung, eine feindliche Gesinnung, ein fürstliches Mahl, wissenschaftliche Mitarbeiter.

-mäßig სუფიქსი შედარებას ან მსგავსებას გამოხატავს უმეტესად პიროვნებათა და ცხოველთა აღნიშვნელ ბაზისებთან. „Komparativ“: schülermäßiges Benehmen – Benehmen wie ein Schüler, in der Art eines Schülers. ასეთივეა: heldenmäßig, knabenmäßig, polizeimäßig, bärenmäßig, giraffenmäßig, löwenmäßig, viehmäßig. იშვიათია -mäßig სუფიქსი საგანთა აღნიშვნებთან და აბსტრაქტულ სახელებთან: geschäftsmäßig, maschinenmäßig, lehrbuchmäßig, discomäßig, robotermäßig. ვ. ფლაიშერი/ი. ბარცი მიუთითებენ აღნიშნული მნიშვნელობით -mäßig სუფიქსის სინონიმურობაზე -haft და -artig სიტყვაწარმოებით ელემენტებთან: das artikelartig angehängte Pronomen – des artikelhaft gebrauchten Pronomens – der artikelmäßige Gebrauch des Pronomens (Fleischer/Barz 1995:235).

ყურადღებას იპყრობს ი. კუნძოლდი/ო. პუტცერი/ჰ. ველმანის შეხედულებები -mäßig სუფიქსთან დაკავშირებით. ისინი თავიანთი მონუმენტური ნაშრომის – „გერმანული სიტყვაწარმოება, ტიპები და ტენდენციები თანამედროვე ენაში“ – მესამე ნაწილში ზედსართავ სახელს განიხილავენ. მორფემების ტაბულებში მოცემულია ყველა მორფემის მიმოხილვა და მათი გამოყენების სპეციფიკა. -mäßig სუფიქსისათვის ი. კუნძოლდი/ო. პუტცერი/ჰ. ველმანი გვთავაზობენ ექვს განსხვავებულ სიტყვაწარმოებით ნიმუშს, რომელთა შორის არის „შედარება“ – „Vergleichsgröße“: autobahnmäßige Umfahrung = Umfahrung, die wie eine Autobahn ist (Kühnhold/Putzer/Wellmann 1978:115). აღნიშნული სემანტიკური ჯგუფი ძალიან უახლოვდება მეორე სემანტიკურ ჯგუფს, რომლის სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობაა „შესაბამისობა“, „შესატყვისობა“ – „Entsprechungsgröße“: berufsmäßige Freundlichkeit = Freundlichkeit, die dem Beruf gemäß ist. რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ: berufsmäßige Freundlichkeit, profimäßiges Verhalten, schülermäßiges Verhalten? ეს საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინოა -haft სუფიქსიან დერივატებთან შედარებისას, რის საფუძველზეც დგინდება, რომ -mäßig სუფიქსის შეცვლა -haft სუფიქსით მხოლოდ ზოგიერთ კონტექსტში ხერხდება:

- a) Karl spielt berufsmäßig Fußball.
- b) Ich mag es nicht, so fashingsmäßig daherzulaufen.
- c) Vorher sahst du so mehr girliemäßig aus.
- d) Kinder Happy-Hippo-Snack: Schmeckt hippomäßig gut!
- e) Ich beweg mich nicht so ravemäßig.
- f) Dieses Verhalten ist schülermäßig.
- g) Mit dem Schreien ist das so urinstinktmäßig bei mir.
- h) Man hat labormäßig schon Flaschen mit bis zu 10 bar belastet.
- i) ... softwaremäßige Audiokomprimierung...
- j) Tanja S. war wettkampfmäßig ein halbes Jahr lang nicht mehr auf dem Eis.
- k) Wettkampfmäßig kamen wir (Olav Ludwig und XY) nie recht zusammen.
- l) Die letzten zwei Bretter sind winkelmäßig verschraubt (Bittner 1996:13).

ბოლო ხუთ წინადადებაში -mäßig სუფიქსს შედარების მნიშვნელობა არა აქვს. მართალია, h, i, j, k, l წინადადებებში შესაძლებელია -mäßig სუფიქსის შეცვლა -haft სუფიქსით, მაგრამ ამით წინადადებების მნიშვნელობა შეიცვლება. შედარებას მხოლოდ შემდეგი კონტექსტები გამოხატავენ:

b¹) Ich mag es nicht, so faszingshaft daherzulaufen.

c¹) Vorher sahst du so mehr girliehaft aus.

d¹) Kinder Happy-Hippo-Snack: Schmeckt hippohaft gut!

e¹) Ich bewege mich nicht so ravehaft.

f¹) Dieses Verhalten ist schülerhaft.

g¹) Mit dem Schreien ist das so urinstinkthaft bei mir.

მაგალითების მიმოხილვისას თვალში საცემია, რომ შედარება -haft სუფიქსიან დერივატებში ბევრად უფრო ძლიერად არის გამოხატული, ვიდრე -mäßig სუფიქსიან კონსტრუქციებში. შედარების ხაზგასმა, თავის მხრივ, იმავდროულად „არაიდენტურობის“ მნიშვნელობის გაძლიერებას იწვევს. თუ შევედარებთ f და f¹ წინადადებებს:

f) Dieses Verhalten ist schülermäßig.

f¹) Dieses Verhalten ist schülerhaft.,

დავინახავთ, რომ f¹-ში მოსწავლის ქცევის მსგავსი საქციელი იგულისხმება (როგორც მოსწავლე იქცევა), თუმცა იმპლიციტურად გამოხატულია, რომ ამ საქციელს ავლენს პიროვნება, რომელიც მოსწავლე არ არის. სწორედ ეს არის შედარების პრინციპი. წინადადებას, როგორცაა, მაგალითად, Der Schüler benimmt sich schülerhaft., ყოყმანის გარეშე ჭარბად მივიხნევდით. თუ -lich სუფიქსსაც მოვიშველიებთ, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება განსხვავებული მნიშვნელობები:

a) Karl spielt berufsmäßig Fußball.

a¹) Karl spielt berufshaft Fußball.

a²) Karl spielt beruflich Fußball.

a²-ში ვგებულობთ, რომ კარლი პროფესიით ფეხბურთელია. a¹-ში მკაფიოდ ვლინდება ზედსართავის შედარებითი ხასიათი: კარლი თამაშობს, თითქოს ეს მისი პროფესია იყოს (მაგრამ არ არის). ხოლო a-ში კარლი კიდევ უფრო მეტად დაახლოებული ჩანს პროფესიონალიზმთან, ვიდრე a¹-ში.

აღნიშნულ შემთხვევებში -mäßig სუფიქსიანი დერივატები „შედარებისა“ და „მიმართების, შესატყვისობის“ მნიშვნელობებს შორის თავსდება. ეს, ერთი მხრივ, ნიშნავს, რომ -haft სუფიქსიანი დერივატებში შედარების სეგმენტი ნამდვილი შედარების მიმართულებით განიხილება, ხოლო, მეორე მხრივ, მიმართებითი ზედსართავების პოზიცია მყარდება. მაშასადამე, -mäßig სუფიქსიანი კონსტრუქციებში შედარების სეგმენტი სუსტდება და ისინი შუალედურ მდგომარეობას იჭერენ -haft სუფიქსიანი დერივატებსა და მიმართებით ზედსართავებს შორის. ამით სიტყვის მნიშვნელობა „იდენტიფიკაციას“ უახლოვდება: ვინმე, ვინც *girliemäßig* („გოგონასავით“) გამოიყურება, არა მარტო გამოიყურება როგორც *Girlie* („გოგონა“), არამედ არის კიდევ გარკვეულწილად *Girlie*. ამ ფაქტს ეყრდნობიან ი. კუნჰოლდი/ო. პუტცერი/ჰ. ველმანიც, რომლებიც თავიანთ პარადიგმაში „იდენტურობის“ კატეგორიას აფიქსირებენ. I წინადადების განხილვისასაც ნათლად დავინახავთ, რომ -mäßig სუფიქსი იდენტიფიკაციას გამოხატავს: *Die letzten zwei Bretter sind winkelmäßig verschraubt* („ვიცრები ერთმანეთთან კუთხეებივით კი არ არის ხრახნით შეერთებული, არამედ ხრახნები ქმნიან კუთხეს“).

საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სემანტიკური ჯგუფები ერთმანეთთან ახლო ნათესაობაშია. ცალკეული მნიშვნელობის გამიჯვნა კონტექსტთან დამოკიდებულებაში და სპეციფიკური ინტერპრეტაციით უნდა მოხდეს.

აქვე უნდა შევეხოთ უცხოურ ანუ ნასესხებ სუფიქსებს, რომლებიც საკმაოდ წარმატებით გამოიყენება შედარების გამოსახატავად. მათ შორის გამოვყოფთ სუფიქსებს -al, -ar/är, -esk, -oid, -ös. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ სუფიქსიანი დერივატები გამოიყენება არა მარტო სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში, არამედ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ყოველდღიურ სასაუბრო ენაშიც.

სუფიქსი -al: *kolossal – wie ein Koloss*. ასეთივეა: *genial, monumental, pyramidal, normal, pastoral, kollegial, experimental, horizontal*.

სუფიქსი -ar/-är: *visionär – in der Art einer Vision*. ასეთივეა: *doktrinär, legendär, linear, lamellar*.

სუფიქსი -esk: balladesk – in der Art einer Ballade; eine clowneske Demonstration, das nouvelleske Genre.

სუფიქსი -oid. იგი მომდინარეობს ბერძნულიდან და მეტად გავრცელებულია სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ბაზისური სიტყვა ჩვეულებრივ არის არსებითი სახელი: lymphoid, polypoid, lichenoid, osteoid, paranoid.

სუფიქსი -ös: skandalös, monströs, miraculös, kompendiös, mysteriös, philiströs.

შედარების გამომხატველი კომპოზიტები ზოგჯერ მეტად კრეატიულად გამოიყენება. ამას შემდეგი მაგალითებიც მოწმობს: **mondscheinsilberne** Badekappe; **messerrückendicker** Nudelteig; ich werde immer nur **fischstäbchenbraun** („Tageszeitung“ 1994, Cosmas), einem **sirupschwarzen** Flüsschen; **achillessehnendick** („Tageszeitung“ 1995, Cosmas). მათ ოსტატურად იყენებენ გერმანული მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში. მაგალითად, **weißkäsebleicher** Mond (Strittmatter); des mohren **tintenschöne** tochter (Artmann); **sackartig** weite Hosen; die **schneeige** Stirne (Th. Mann); ein **saalähnliches** Arbeitszimmer; eine ganz **samtweiche** Hand; mit ihrem **porzellanglatten** Gesicht; **frauenhaftes** Lachen (Kellermann); die struppigen **strohblonden** Haare; einen geradezu **königlichen** Blick; dem weniger **bibelfesten** Gendarmeriewachtmeister (St. Zweig); **manikürbesteckgroßes** Kästchen (Fühmann); **milchweiche** Schultern (Stramm); **muschelfremd** sterben (Wohmann); **handflächengroße** Iris (König); **wolkenlange** Kühle; **tonleiterlange** Einführung (Grass); Leute glotzten mich **morgenblöd** an (Knef).

ამრიგად, მსგავსება-შედარების სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად გერმანულ ენაში მეტად საინტერესო ზედსართავი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები გამოიყენება.

4.3. გრადაციის გამომხატველი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები

ზედსართავი სახელის სემანტიკურ და სინტაქსურ თავისებურებებს შეესატყვისება კარგად განვითარებული გრადაციის სისტემა. გრადაციის სემა გამოიყოფა იმ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში, რომლებიც არსებითი სახელით გამოხატული

სიდიდის გაძლიერებას, მატებას, ნორმის გადამეტებას ან პირიქით, შეზღუდვა-შემცირებას, დასუსტებას აღნიშნავენ.

გაძლიერების გამომხატველი ზედსართაული კომპოზიციები ძალიან პროდუქტიულია. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების: eiskalt, schneeweiß, zuckersüß სპეციფიკა მდგომარეობს პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის მკაფიოდ გამოხატულ გამაძლიერებელ მნიშვნელობაში, რომელსაც მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტით აღნიშნული თვისება მაღალ ხარისხში აკყავს. ეს იმით მიიღწევა, რომ ზედსართავით, უფრო სწორად, მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტით გამოხატული ნიშან-თვისება უტოლდება არსებითი სახელით ანუ მსახვრელი სიტყვით გამოხატულ ერთ-ერთ ნიშან-თვისებას.

გაძლიერების განზოგადებულ ნიშანს გამოხატავენ ზედსართაული პრეფიქსოიდები: stock-, brand-, tod-, hoch-, bitter-, ober-, riesen-, grund-, blitz-, stein-, blut-, über-, all-, aller-, stink-, mords-, bomben- და სხვა. თუმცა პრეფიქსოიდებს bomben- და mords- მკვლევარი ს. კარბელაშვილი პრეფიქსებად მიიჩნევს, რადგან ისინი სემანტიკურად ძლიერ დაშორდნენ შესაბამისი თავისუფალი მორფემების მნიშვნელობას და აბსოლუტურ ომონიმებს წარმოადგენენ: bombenfest – unumstößlich, bombensicher – ganz sicher; mordselend – sehr elend (Karbelaschwili 1989:32).

ზედსართაული პრეფიქსოიდებიდან ყველაზე ხშირად გაძლიერების მნიშვნელობით გამოიყენება:

- hoch-: hochfein, hochintelligent, hochmodern, hochaktuell, hochwertvoll, hochwirksam, hochberühmt, hochanständig, hochproduktiv. იგი გვხვდება პარტიციპიან კონსტრუქციებშიც, რომლებიც თხზულ-შერწყმულ სიტყვებს წარმოადგენენ: hochbegabt, hochgebildet, hochbetagt, hochautomatisiert, hochehrt, hochindustrialisiert, hochgelehrt, hochbedeutend, hochkonzentriert, hochqualifiziert, hochverehrt, hochzivilisiert, hochbezahlt, hochgehrt, hochgestochen, hochgestellt, hochglänzend, hochverdiert.

- bitter-: bitterernst, bitterböse, bitterkalt, bitterhart, bitterarm, bitterschwer.
- ober-: ირონიულად აღიქმება: oberfaul, oberschlau, oberböse, oberflau.

- tief-: გვხვდება როგორც ზედსართაულ მორფემასთან, ასევე პარტიციპთან: tiefernst, tieftraurig, tiefbesorgt, tieferschüttert, tiefverschneit, tieferfrozen, tiefgekühlt, tiefgreifend.

- voll-: გვხვდება ზედსართავთან და პარტიციპთან: vollautomatisch, vollgültig, vollerwerbslos, vollmechanisiert, volltransistoriert, vollbeschäftigt, vollentwickelt.

- all-, aller-: allumfassend, allwissend, allbekannt, allerletzte, allerbeste.

- über-: überbreit, überreif, übereifrig, überelegant, überfein, überfrech, überfromm, überheiß, überbürokratisch, überglücklich, überklug, überlang, übersatt, überschwer, übernervös, überempfindlich, überehrgeizig, überfürsorglich, überhöflich, überlaut, überaktiv, überängstlich, überfleißig, übergenau, übergroß, überhart, überindividuell, überschnell.

- stock-: stockdunkel, stockblond, stockdüster, stockfinster, stockbesoffen, stockdumm, stockbetrunken, stockheiser. უარყოფით ელფერს გამოხატავს: stockkonservativ, stockreaktionär, stockkatholisch, stockenglisch.

კვაზიკომპოზიტები, რომელთაც პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად პრეფიქსიოდი აქვთ, ძალიან უახლოვდებიან შედარების გამომხატველ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს. მაგალითად, stocksteif – steif wie ein Stock – sehr steif. ზოგჯერ პერიფრაზირება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება: stockdumm – so dumm, wie ein Stock steif ist.

- brand-: brandneu, brandaktuell, brandeilig, brandheiß. აქაც პერიფრაზირება მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება: brandeilig – so eilig, wie man es bei einem Brand hat.

- tod-: todsicher – so sicher wie der Tod. todbang, todernst, todhungrig, todmüde, todschick, todstill, todblass, todlangweilig, todraurig, todesmatt, todunglücklich, todbleich, todelend.

- grund-: grundehrlich – bis auf den Grund des Herzens, der Seele ehrlich. იგი ხშირად გამოიყენება ზედსართავებთან პოზიტიური შეფასებით: grundanständig, grundgütig, grundgelehrt, grundgescheit, grundsolide. მაგრამ გვხვდება სხვა ზედსართავებთანაც: grundfalsch, grundhässiglich, grundverkehrt, grundverschieden.

- blitz-: blitzgescheit, blitzdumm, blitzböse, blitzeinfach, blitzsauber, blitzblank, blitzschnell.

- blut-: blutjung, blutwenig, blutteuer, blutnötig, blutfremd, blutsauer, blutschlecht, blutmüde.

- hunds-, hunde-: hundserbärmlich, hundsgemein, hundemager, hundsmiserabel, hundemüde, hundeehend, hundematt, hundekalt.

- herz-, herzens-: herzinnig, herzensfroh, herzensgut, herzerfrischend, herzergreifend, herzerschütternd, herzerquickend.

- heiden-: heidenfroh, heidenschwer, heidenschnell.

- kern-: kerngesund, kernbrav, kerndeutsch.

- knall-: knallblau, knallbunt, knallhart, knallgelb, knalleng.

- pudel-: pudelnass, pudelnackt, pudelnüchtern, pudelnärrisch, pudelwohl.

- riesen-: riesengroß, riesenhoch, riesenstark.

- stink-: stinkfaul, stinkfein, stinklangweilig, stinkreich, stinkbesoffen, stinksauer, stinkvornehm.

კომპოზიციები piekfein, pieksauber უკავშირდება ქვემოთგვრმა-
ნულ სიტყვას pük „გამორჩეული“, klammheimlich უკავშირდება
ლათინურს quick „მკვირცხლი“, „ცოცხალი“.

გაძლიერებას გამოხატავს მეორე კომპოზიციური წევრი
-intensiv: arbeitsintensiv, intelligenzintensiv, kostenintensiv,
personalintensiv, lohnintensiv, verkehrintensiv, pflegeintensiv,
zeitintensiv, lärmintensiv. ანალოგიური მნიშვნელობისაა კომპონენ-
ტი -stark: nervenstark, willensstark, charakterstark, gedächtnisstark,
seelenstark, konzentrationsstark, leistungsstark, konditionsstark,
geburtensstarke Jahrgänge.

თხზულ-შერწყმულ ზედსართავეებში მწკრივების წარმომ-
ქმნელად გვხვდება ზმნიზედა viel მნიშვნელობით „sehr“ – „ძა-
ლიან“: vielbefahren, vielbeschäftigt, vielbesungen, vielgelesen, vielzitiert,
vielumworben, vielbenutzt, vieldiskutiert, vielerörtert, vielgebraucht,
vielgenannt, vielgerühmt, vielbewundert, vielbegehrt, vielbesucht,
vielgepriesen, vielumstritten, vieltgereist, vielbesprochen, vielgeliebt,
vielsagend, vielversprechend, vielverheißend.

არსებითი სახელით აღნიშნული სიდიდის ნაკლებობას
გამოხატავენ -schwach მორფემიანი კომპოზიციები: funkions-
schwach – die Funktion ist schwach. ასეთივეა: nervenschwach,
willensschwach, inhaltsschwach, ausdruckschwach, konditionsschwach,

charakterschwach, gedächtnisschwach, konzentrationschwach,
leistungsschwach, einkommensschwach, strukturschwach,
verkaufsschwach.

გრადაციის აღმნიშვნელ კონსტრუქციებში გამოიყოფა ზედსართავები მორფემით halb-, რომლებიც გამოხატავენ არასრულყოფილებას, არასრულფასოვნებას. მაგალითად, halbhoch, halblang, halbrund, halbwild, halbblind, halbreif, halbwach, halbweich, halboffen, halblaut, halbroh, halbnackt, halbtot, halbstarr, halbautomatisch, halbgebildet, halbstark, halbfett, halbvoll.

არარსებულ, მიჩვენებით სიდიდეს, და მაშასადამე, ზედსართავით დასახელებული თვისების შესუსტებას გამოხატავენ კომპონენტები schein-, pseudo- და quasi-: scheinrevolutionär, scheinvernehmes Leben, pseudokollegial, pseudotolerantes Straßentheater, pseudonüchterne Mitteilung, quasikoloniale Abhängigkeit (Fleischer/Barz 1995:234).

პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს გრადაციის ფუნქცია აქვს შემდეგ კომპოზიტებში: mittelmodisch, minderbegabt, medium-rosa, intensiv-grün, თუმცა იგი მრავალრიცხოვანი მწკრივების წარმოქმნით არ გამოირჩევა. ზოგიერთი პირველი კონსტიტუენტის შემთხვევაში გრადაციის გამოხატვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა იგი კომბინირებულია სხვა რომელიმე გარკვეულ კონსტიტუენტთან ან მიმართებით სიტყვასთან. ამის ნათლად წარმოჩენა შეიძლება პერიფრაზირების მეშვეობით:

sattgelber Feuerstein – Feuerstein, der ein sattes/intensives Gelb hat;
reichbegabtes Kind – das Kind, das sehr begabt ist.

გრადაციის გამოხატველ კონოტაციასთან შედარებით სიმპლექსური პირველი კონსტიტუენტის დექსიკური მნიშვნელობა შეიძლება იმდენად სუსტად იყოს აქტუალიზებული, რომ ერთგვარმა „დაძაბულობის მომენტმა“ იჩინოს თავი. მაგალითად, lauffreundlicher Beifall არ უნდა გაეიგოს როგორც *Beifall, der lau (weder ablehnend noch zustimmend) freundlich ist, არამედ იგი ნიშნავს: Beifall, der lau/nur mäßig freundlich ist.

ამ თვალსაზრისით კომპოზიტები, როგორცაა, მაგალითად, glänzend-scharlachrot, hemmungslos-enthusiastisch, grotesk-derbe Züge, hündisch-idiotische Verzückung, არაერთმნიშვნელოვანია და

შეიძლება განხილულ იქნას როგორც გრადაციის, ასევე შეფასება-დახასიათების ასპექტით.

კონსტიტუენტების მნიშვნელობების შეუთავსებლობის ხარისხსა და პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის დემოტივაციის ხარისხს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. მაგალითად, wütend-rote Mündler (Knef) და wütend-sozialkritische Stimme („Sounds“ 1/1982,57).

მოელ რიგ კომპოზიტებში, რომლებიც შედარების გამომხატველ ზედსართავეებს შეიცავენ, უფრო უპრიანია ისეთი ინტერპრეტაცია, სადაც გრადაციაა ხაზგასმული. ამის მიზეზია ის, რომ ისინი მეტაფორულად გაიგება, რითაც მაღალი შეფასების სიგნალიზებას ახდენენ. მაგალითად, samtig-weicher Geschmack, seidig-feiner Jersey, flaumig-leichter Mohairpulli.

პირველი კონსტიტუენტის ბაზისური სიტყვის შინაარსი შეიძლება მხოლოდ ირეალური შედარების სიდიდედ განვიხილოთ მიმართებითი სიტყვით გამოხატულ სიდიდესთან მიმართებაში. მაგალითად, wollig-weicher Schuh – Schuh, der so weich ist, wie wenn er aus Wolle wäre. შესაძლებელია სხვაგვარი პერიფრაზირებაც, რომელიც ნათლად გვიჩვენებს პირველი კონსტიტუენტის გამაძლიერებელ ფუნქციას: sehr weicher Schuh. გაძლიერების გამოხატვას ემსახურება პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი აგრეთვე კომპოზიტებში: arkadisch-paradiesische Urzeit, verschwenderisch-großzügig, engelhaft-schönes Gesicht, formelhaft-feste Wendung, kleinbürgerlich-schlichtes Naturkind.

ზოგჯერ პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი იმ სიდიდეს გამოხატავს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეორე კონსტიტუენტით გადმოცემული ნიშან-თვისების განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არსებობა. ამგვარი კომპოზიტების პერიფრაზირება შემდეგი წინადადებებით შეიძლება:

kochend-heiße Suppe – Suppe, die so heiß ist, als ob sie kocht („მდულარე“).

nervös-genaue Bilder- und Zeichensprache – Bilder- und Zeichensprache, die so genau ist, dass jemand nervös wird.

ასეთივეა: erschütternd-kaputte Memphis-Rock-Nummern („Sounds“ 1/1982,22).

წმინდა გამაძლიერებელი ფუნქცია აქვს პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტს შემდეგ კომპოზიტებში: blühend-gesundes Mädchen, abgrundtiefweicher Sessel, triefend-sentimentales Stimmungsbild, schreiend-blaue Meeresausblicke. ისინი შეესატყვისებიან გამაძლიერებელი მნიშვნელობის მქონე პრეფიქსიდიან კვაზიკომპოზიტებს. მაგალითად, triefend-sentimentales Stimmungsbild – hochsentimentales Stimmungsbild.

აქვე მივუთითებთ რელუპლიკაციის მოვლენაზე, როდესაც ხდება ერთი და იმავე ზედსართავის გამეორება ექსპრესიული გაძლიერების მიზნით. მაგალითად, klein-klein, bravbrav, mit tief-tiefer Sammetbläue (Th. Mann), grau-graue Hemden (Strittmatter), treugetreue Liebe (Schulz), golden-goldene Rolle (Goethe), billig-billig in Portugal drehen („Spiegel“ 44/1981,246), Du mein tieftiefes Leben, breit-breites Band (Strittmatter).

კომპოზიტი klein-klein სპორტულ ლექსიკაში იდიომატური გამოთქმის სახით გვხვდება: klein-klein spielen ნიშნავს sich den Ball auf engem Raum immer wieder zuspieren. მაგალითად, Statt steil über die Flügel wurde immer nur klein-klein im Mittelfeld gespielt (Duden. Redewendungen 1998:388).

ორიგინალურად იყენებენ გრადაციის გამომხატველ კომპოზიტებს გერმანელი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში. მაგალითად, sie ist nicht nur **saulebenslustig** gewesen, **saureich** und **saukatholisch**, sie ist auch **sauschön** (Dürrenmatt).

რაც შეეხება გამაძლიერებელი მნიშვნელობის მქონე გერმანულ პრეფიქსებს, უნდა დავასახელოთ erz- და ur-.

erz- პრეფიქსიანი ზედსართავი დერივატები მცირე რაოდენობით გვხვდება. მათი გამოყენება ძირითადად მე-17 საუკუნეში იწყება. erz- პრეფიქსი უმთავრესად ნეგატიური შეფასების მქონე ზედსართავებს უკავშირდება. ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს როგორც სიმპლექსი, ასევე სუფიქსური დერივატი: erzdumm, erzfaul, erzböse, erzbrav, erkatholisch, erkonservativ, erzreaktionär.

ორიგინალურად იყენებს აღნიშნულ პრეფიქსს თ. მანი თავის ნაწარმოებში „ლოტე ვაიმარში“: eine erzattraktive Frau - „უადრესად, მეტისმეტად მიმზიდველი ქალი“.

ur- პრეფიქსი უკავშირდება როგორც სიმპლექსურ ზედსართავებს, ასევე სუფიქსურ დერივატებს: *uralt, urdeutsch, urewig, urgesund, urkräftig, urkomisch, uramerikanisch, urwienerisch, urplötzlich*. ur- პრეფიქსი გამაძლიერებელი მნიშვნელობით გამოიყენება და მასში იმავედროულად მოცემულია თავდაპირველი მდგომარეობის, დროის თვალსაზრისით დიდი ხნით დაშორებული მოვლენის თვისება: *eine urwüchsige Landschaft, eine urdeutsche Sitte, ein ureigenes Interesse, eine urgemütliche Wirtschaft*.

გერმანულ პრეფიქსებს კონკურენციას უწევენ გაძლიერების მნიშვნელობის მქონე უცხოური პრეფიქსები *hyper-, super-* და *ultra-*.

hyper- პრეფიქსი გაძლიერების სემას შეიცავს, მაგრამ იგი პეიორატიული ელფერით ნორმისაგან გადახრას გამოხატავს, ნიშნავს „მეტისმეტად“, „ზედმეტად“: *hyperfein, hyperkritisch, hyperkorrekt, hypermodern, hypernervös, hyperlegant, hypersensibel, hypermondän, hypermystisch, hyperenergisches*. ეს კონსტრუქციები ირონიულ ელფერს ატარებენ, ისინი გადაჭარბების, გაზვიადების კომპონენტს შეიცავენ და ამიტომ ერთგვარ ნეგატიურ ფორმებად აღიქმებიან.

super- პრეფიქსიც გაძლიერების სემას შეიცავს და ძირითადად გერმანულ თვისობრივ ზედსართავებს უკავშირდება. იგი პოზიტიური შეფასების გამომხატველია: *superfein, superklug, superbreit, superelegant, supermodern, superstark*. ეს პრეფიქსი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ახალგაზრდა თაობის მეტყველებასა და სპეციალურ დარგობრივ ლექსიკაში: *eine superscharfe Disko, superschnelle Züge, superleichte Stoffe, superschneller Meteoritenaufschlag*.

გაძლიერების სემას შეიცავს აგრეთვე პრეფიქსი *ultra-*. *super-* პრეფიქსის მსგავსად, ისიც ნორმისგან გადახრას გამოხატავს და ნიშნავს „მეტისმეტად“, „ექსტრემალურად“: *ultrakonservativ, ultrareaktionär, ultralinke, ultrarechte, ultraradikal, ultraschnell, ultralang, ultrademokratisch, ultraliberal, ultrarevolutionär*. ამ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს *ultra-* პრეფიქსი ნეგატიური შეფასების ელფერს სძენს, თუმცა სპეციალურ დარგობრივ ტერმინოლოგიაში მას ეს ნიუანსი არ გააჩნია: *ultrakalte Neutronen, ultraviolette Strahlen*.

თვისების შეზღუდვა-შესუსტების გამოსახატავად გამოიყენება სხვადასხვა დერივაციული მოდელები, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები სემანტიკური დიფერენციაციით.

ერთ-ერთი მათგანია -lich სუფიქსიანი სიტყვაწარმოებითი მოდელი. ზედსართაული ბაზისის მქონე დერივატებს ხშირად ბაზისთან შედარებით შესუსტებული მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად, *ältlich, ärmlich, dümmlich, schwächlich, säuerlich, kränklich, länglich, rundlich, süßlich, dicklich*. ამგვარი წარმონაქმნები კინობით სეგმენტს ქმნიან. მათში შეიძლება უარყოფითი შეფასების ნიუანსიც იგრძნობოდეს, მაგალითად, *eine säuerliche Miene, eine rundliche Gestalt, kränkliche Blässe, schwächliche Konstitution*.

ამრიგად, გრადაციის სისტემა გერმანულ ენაში მრავალფეროვანი სიტყვაწარმოებითი მოდელებით არის წარმოდგენილი.

თაზი V

5. კრეატიული ასპექტი ზედსართაულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში

5.1. ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ლექსემად მიჩნევისათვის გადამწვევტია მისი ლექსიკალიზება და, აქედან გამომდინარე, მისი ინტერსუბიექტური შესატყვისობა. ამასთან, ლექსიკალიზება და დემოტივაციის ტენდენცია, როგორც წესი, ერთმანეთის განმსაზღვრელი მომენტებია. როცა დემოტივაცია იმდენად შორსაა წასული, რომ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის მნიშვნელობა არანაირად არ ინდიცირდება უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების სახით, მაშინ ლექსემა მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციად. სრული დემოტივაციის შემთხვევები შედარებით იშვიათია. ბევრად უფრო ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება აიხსნას კონსტიტუენტთა მნიშვნელობებისა და სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის შეჯერების გზით. რადგან ენის მატარებლებში დიდი ინდივიდუალური განსხვავებები არსებობს ენისა და სავნობრივი ცოდნის მხრივ, ხოლო ცოდნა განაპირობებს ახალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის გაგებას, ამიტომ ამან შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული „სპონტანური სემანტიზება“ და ამის შედეგად კომპლექსური სიტყვების მოტივაციის ხარისხის განსხვავებული გაგება.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ოკაზიონალური და უზუალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ურთიერთმიმართების პრობლემა. ოკაზიონალურ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს არა აქვთ ლექსემის სტატუსი მინიჭებული, თუმცა მათი ღირებულების ხარისხი გარკვეულ ტექსტებში საკმაოდ მაღალია. ბელეტრისტიკაში, პუბლიცისტიკასა და ყოველდღიურ კომუნიკაციაშიც გვხვდება ამგვარი ტექსტთან დაკავშირებული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების დიდი რაოდენობა, როგორცაა novemberöde, schmutzigfarben, blutverkrustet, schafsgesichtig, sommertrocken და ა.შ. გერმანულ ენაში არსებობს ანდაზა:

Wunderkinder werden selten Wundermenschen (Beyer 1989:338). Wundermensch გერმანული ენის არც ერთ ლექსიკონში არ არის დაფიქსირებული.

გაზეთის ტექსტში წარმოდგენილი რთული სიტყვების ერთი მესამედი არ არის ლექსიკონებში შეტანილი. ამასთან, ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები დიდ როლს თამაშობენ არა მარტო გერმანული ენის პრაქტიკულ გამოყენებაში, არამედ შემოქმედებით ასპექტზეც მეტყველებენ (Motsch 1981:94), რაც ყველა ენის საერთო თვისებას წარმოადგენს (Chomsky 1969:16): ადამიანი სწავლობს არა საკუთრივ ენას, არამედ სწავლობს, თუ როგორ იყოს იგი ამ ენაში „შემოქმედებითად დასაქმებული“, ე.ი. იგი აცნობიერებს ენის გამოყენების განმსაზღვრელ ნორმებს, მითითებებს, სისტემის მახვენებლებს, რომლებიც მან შემდგომში სრულიად ახალი გამოთქმისათვის უნდა გამოიყენოს (Coseriu 1975:58).

ყველა ოკაზიონალიზმი არ მკვიდრდება ხმარებაში. მათი ლექსიკალიზება გარეენობრივად არის განპირობებული და, კერძოდ, იმაზეა დამოკიდებული, არსებობს თუ არა კომუნიკაციურ გარემოში შესაბამისი აღნიშვნის საჭიროება და მისადებია თუ არა ესა თუ ის სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია.

ენას უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს, თუკი სათქმელი სწორად შერჩეული ფორმით არის გამოხატული, თუკი იგი მკითხველის ან მსმენელის გულამდე ძალდაუტანებლად აღწევს. გამონათქვამის ღამაზად გაფორმება, მისი ესთეტიკური ღირებულების წარმოჩენა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამის ჩინებულ მაგალითს გვაძლევენ ცნობილი მწერლები, რომელთა ნაწარმოებები ენობრივი სილამაზის, მხატვრული სტილის შედევრებად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ აქ შემთხვევით არ გვისენებია სილამაზე. მხატვრულ ლიტერატურას გერმანულად *schöne Literatur* ანუ „ლამაზი ლიტერატურა“ ეწოდება. მისი სინონიმი „ბელეტრისტიკაც“ „ლამაზის“ აღმნიშვნელ ფრანგულ სიტყვას შეიცავს – *belle*. მაგრამ ღამაზად წერა ადვილი არ არის. მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს სიტყვის ხელოვნების უდიდეს ოსტატებსაც კი ადვილად მიეღწიოთ თავიანთი შემოქმედებითი მწვერვალებისათვის. მოვიყვანთ ციტატას შილერის გოეთესადმი მიწერილი წერილიდან, რომლიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ

კაზმული სიტყვის კორიფეებს აზრის გამოხატვის საუკეთესო ფორმის, ყველაზე მეტად შესაფერი სიტყვის მიგნება: „Wüssten es nur die allzeit fertigen Urteiler und die leicht fertigen Dilettanten, was es kostet, ein ordentliches Werk zu erzeugen“.

სიტყვის როლი და მნიშვნელობა განუზომელია. მის გამოყენებაში ჩანს სიტყვაშემოქმედი ხელოვანის ბუნებრივი დამოკიდებულება ენისადმი, რაც მას უფლებას აძლევს თავისი მიზნების შესაბამისად, საჭიროებისამებრ შექმნას ახალი აღნიშვნა, რომელიც შეიძლება ლექსიკონში არ იყოს დაფიქსირებული. ასეთი აღნიშვნები კი უპირატესად ტექსტში წარმოიქმნება.

სიტყვაწარმოების არსი მთელი სიცხადით ტექსტში ვლინდება. ტექსტი შედგება წინადადებებისაგან, წინადადება – სიტყვებისაგან. წინადადება არის ტექსტის ძირითადი კომპონენტი, ხოლო წინადადების ძირითად საშენ მასალას სიტყვა წარმოადგენს (Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2004:60). სიტყვა შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნა და ა.შ., რომლებიც თუმცა უფრო დაბალი იერარქიის, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულებია, რომლებსაც ტექსტში თავიანთი ფუნქციები აქვთ.

ტექსტისა და სიტყვაწარმოების ურთიერთკავშირი დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იქცევს (Шабуришвили 1983; Швед 1985). გამოკვლევებში წინა პლანზე იწვევს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ფუნქციები ტექსტში, მათი ტექსტური სპეციფიკა, სტილისტიკური სიტყვაწარმოების მიმართება ტექსტთან (შდრ. Eichinger 2000b:145). სიტყვაწარმოებითი საშუალებები ტექსტის ფორმალური და სემანტიკური ორგანიზების სპეციფიკურ საშუალებებს მიეკუთვნება (შდრ. Sommerfeldt 1986:162). როგორც ტექსტის ბმულობის ანაფორული თუ კატაფორული საშუალებები, ერთნაირფუძიანი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები მონაწილეობენ ერთიანი სტაბილური ტექსტის შექმნაში, მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ტექსტის ბმულობაში, კომპლექსური სტრუქტურების გამოყენებაში (Gataullin 1990:240). ტექსტი არის არა მარტო მედიუმი, რომელშიც სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ფუნქციონირებენ და თავიანთი დენოტატიური თუ კონოტატიური მნიშვნელობის რეალიზებას ახდენენ. ტექსტი ამავე დროს არის მედიუმი, რომელშიც ახალი სიტყვაწარმოები-

თი კონსტრუქციები წარმოიქმნება. ყოველი ახალი სიტყვა გარკვეულ ტექსტსა თუ კომუნიკაციურ სიტუაციას უკავშირდება (Schroder 2004:253). ტექსტი ახალ სიტყვებს ხელმისაწვდომს ხდის (Peschel 2002:106), სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ტექსტში თავიანთი „არსებობის გამართლებას“ პოულობენ. ამიტომაც ტექსტი უშუალო გავლენას ახდენს ოკაზიონალიზმების წარმოქმნასა და მათ ლექსიკურ აქტუალიზებაზე. ტექსტის ჩარჩოებში იზრდება სიტყვაწარმოებითი მოდელების აქტივობა.

ტექსტი მნიშვნელოვან წინაპირობად გვევლინება კონტექსტუალური კომპოზიტებისა და დერივატების წარმოქმნისათვის (Eichinger 2000a:177), რომლებიც ხშირად გვხვდება ბელეტრისტიკაში და რომელთა გამოყენება ზოგჯერ აუცილებელიც კია. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების წარმოქმნა უმეტესწილად წარიმართება სისტემური მოდელებისა და წესების მიხედვით, ტექსტის ფარგლებში იგი შეიძლება კონტექსტუალური კანონზომიერებებით მიმდინარეობდეს. ამგვარი კომპოზიტები და დერივატები მხოლოდ ტექსტში, კონკრეტულ სიტუაციაში ხდება გასაგები. ე. კუბრიაკოვა მსგავს შემთხვევებში კომუნიკაციურ სიტუაციურ მნიშვნელობებზე მსჯელობს (Kubrākova 1982:10). ამავე აზრს იზიარებს პ. ცარევი, რომელიც აღნიშნავს, რომ კონტექსტუალური სიტყვების სემანტიკა უმეტესწილად კონტექსტის შინაარსზეა დამოკიდებული (Царев 1982:6). ვ. დრესლერი აგრეთვე მიუთითებს, რომ კონტექსტუალური კონსტრუქციების მნიშვნელობა დეტერმინირებულია ანაფორული და კატაფორული მიმართებებით, ისე რომ ისინი „ტექსტის სემანტიკის მატარებლად“, „მთავარი თემატიკის კრისტალიზაციად“ იქცევიან (Dressler 1981:101).

როდესაც ვმსჯელობთ სიტყვაწარმოებითი ასპექტის როლზე ტექსტის ორგანიზებაში, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცნობილი გერმანისტის, ვ. ფურცელაძის მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით. სინტაქსურად და მორფოლოგიურად პუანტირებული ტექსტების გვერდით მეცნიერი საგანგებოდ განიხილავს სიტყვაწარმოებითი საშუალებებით პუანტირებულ ტექსტებს თავის წიგნში „ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება“ (ფურცელაძე 1998:30). არსებობს პუანტირებული ტექსტები, რომლებშიც ენობრივი საშუალებები გამოკვეთილია და ტექსტს თავის დაღს ასვამს. სიტყვაწარმოე-

ბითი საშუალებებით პუანტირებულ ტექსტებში წინა პლანზე სწორედ უჩვეულო სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები წამოიწევს. ვ. ფურცელაძე შენიშნავს, რომ „სიტყვაწარმოებითი საშუალებებით პუანტირებული ტექსტების ინტერპრეტაცია საკმაოდ ძნელია იმის გამო, რომ ისინი უადრესად ინდივიდუალურია, აუცილებლად მოითხოვს ფსიქოლოგიური მომენტის მოშველიებას. ...ბევრი პოეტური ტექსტი ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსისა და ავტობიოგრაფიული მომენტების განხილვის გარეშე ძნელად გასაგები და გაუგებარიც კია იმ მკითხველისათვის, ვისაც სათანადო წინარეცოდნა არ გააჩნია“ (ფურცელაძე 1998:31). მეცნიერის ყურადღებას იპყრობს გეორგ თრაკლი, „რომელიც, თავისი პოეტური ხედვის შესაბამისად, ისეთ ნაწარმოებებს ქმნის, რომ მათი ინტერპრეტაცია საჭიროებს სპეციალურ ჰერმენევტიკულ მიდგომას იმ ლიტერატურული მრწამსის თავისებურებების გათვალისწინებით, რომლის პრინციპებსაც ავტორი აღიარებს“ (იქვე). ვ. ფურცელაძე აანალიზებს „სამ უჩვეულო სიტყვას“ ვ. თრაკლის შემოქმედებიდან: die Junglingin, die Fremdlingin, die Mönchin და ასკვნის, რომ „სიტყვაწარმოებითი ელემენტების ინტერპრეტაცია ამ საშუალებებით პუანტირებულ ტექსტში უფრო დიდ სიძნელეებს აწყდება, ვიდრე ორდინარულ ტექსტებში. ... განხილული პოეტური ტექსტები მათი ავტორის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის გამო აუცილებლად მოითხოვს სიტყვაწარმოებითი ინტერპრეტაციის დაკავშირებას ფსიქოლოგიურთან“.

კონსტიტუენტთა ერთმანეთთან დაკავშირების წესები, დერეგაციული შეზღუდვები ტექსტში ხშირად ირღვევა. მაგრამ შედეგად ვღებულობთ ოკაზიონალიზმებს, რომელთა ინტერპრეტაცია კონტექსტში, ძირითადად, სირთულეს არ წარმოადგენს. სისტემური სიტყვაწარმოების კანონზომიერებების დარღვევა იმაში გამოიხატება, რომ ერთი შეხედვით სემანტიკურად შეუთავსებადი კონსტიტუენტები კონსტრუქციად ერთიანდებიან, ეს კი ზოგჯერ ტექსტში პრაგმატული თვალსაზრისით თვალშისაცემი ხდება. მოვიყვანოთ მაგალითს ე. შტრიტმატერის ნაწარმოებიდან „Grüner Juni“: „Ich bin immer **landhungrig** gewesen ... Die Bemerkungen meiner Mutter über die Landverteilung machen meinen **Landhunger** frisch“.

კონსტიტუენტებს შორის სემანტიკური ვალენტობის დარღვევისას კომპოზიტები ზოგჯერ მხოლოდ კონტექსტის საშუალებით შეიძლება „სწორ“ სიტყვებად ჩაითვალოს: Ich richtete Hunde von Kaufleuten ab, machte sie **leinführig** und **schutzhundfähig** (Strittmatter). არაკომბინირებადი ელემენტების კომბინაციის შედეგად წარმოიქმნება ძლიერ ექსპრესიული ოკაზიონალიზმები, რომელთა ექსპრესიულობა გაცემის ეფექტს ემყარება.

ჩვეულებრივი კომპოზიციური წევრების გამოყენებით, ამა თუ იმ მოდელის ანალოგიის მიხედვით მწკრივებად წარმოიქმნება ოკაზიონალური კომპოზიტები, რომლებიც ტექსტში ასევე ადვილად გაიგება: Sie war, wie man das heute nennen würde, **modebewusst** ... Daheim musste ich leider darauf achten, dass wir als Familie auch **kochkäse-, quark- und pflaumenmusbewusst** bleiben (Strittmatter).

ამგვარი სიტყვაწარმოებითი ელემენტები, რომლებიც უზუალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების წარმოქმნისათვის გამოიყენება, ხშირად გვხვდება ოკაზიონალურ კომპოზიტებშიც. ისინი ანალოგიური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების მთელ მწკრივებს აწარმოებენ. მაგალითად, die schwarze Masse der Leiber, **biervoll, geldvoll, schuldvoll, bösheitsvoll** (Broch); Algensorten ... sollen **salat- und eintopftauglich** sein („Spiegel“ 1994, Cosmas).

ანალოგიის მიხედვით მიღებული ოკაზიონალური კომპოზიტები უკავშირდებიან ტექსტის შინაარსსა და ორგანიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კონსტრუქციები მოდელის მიხედვით არიან შექმნილი, კონტექსტის გარეშე ისინი არა მარტო კარგავენ თავიანთ გამომხატველობით ძალას, არამედ ხშირ შემთხვევაში გაუგებარიც კი არიან.

ზოგჯერ ოკაზიონალური კომპოზიტები პროდუქტიული მოდელების მიხედვით არის წარმოქმნილი, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ თვალში საცემი არ არის და მათი იდენტიფიცირებისათვის მეტი დაკვირვებაა საჭირო. მაგალითად, Max Ernst malte **geschichtsleere** Landschaften nach der Sintflut („Die Zeit“ 1997, Cosmas); **werbestarke** Markenartikler wie Ferrero („Die Zeit“ 1996, Cosmas); erschien ein Roman von ihm mit dem direkt **bestsellerstarken** Titel „Und keiner weint mir nach“ („Die Zeit“ 1996, Cosmas).

ტექსტის განსაკუთრებული სემანტიკური სტრუქტურა ერთგვარად „ამზადებს“ მკითხველს ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის გაგებისათვის. მაგალითად, Die Liebe spricht trotz aller Sprachbarrieren ... eine weltweite und zeitweite Sprache; denn sie ist unserem Wesen zeitlos angeboren – und sie allein zeugt seine Zeitlosigkeit (Schwarz). სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია zeitweit შექმნილია სიტყვების weltweit, zeitlos ანალოგიით.

იმისათვის, რომ მკითხველს ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის აღქმა გაუადვილდეს, ტექსტის ავტორი ხშირად მიმართავს მეტაენობრივ საშუალებებს, ყველაზე ხშირად კი ბრჭყალებს. მაგალითად, Die Landschaft der Pfützen und Hügel wurde planiert, an ihre Stelle Rasen gesät, ferner sind auf Sand „**kinderfeste**“ Bohlen- und Palisadenkonstruktionen errichtet worden (Степанова/Фляйшер 1984:190).

ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები მელიორატიული ან პეიორატიული შეფასების მიზნითაც იქმნება. ამ შემთხვევაში კომპოზიტებს შეფასებითი ელემენტი ახლავს თან. მაგალითად, Er war **dorffremd**, aber die Leute grüßten ihn (Seghers); **eifersuchtszermürbt** (Fuchs); Das liegt vor allem an der **fußnotenfleißig verschachtelten** Dramaturgie („Die Zeit“ 1996, Cosmas); Das große Talent, **dribbelstark** und **pfeilschnell** („Frankfurter Allgemeine Zeitung“ 1995, Cosmas); die **mitsingtaugliche** Bierstimmung („Tageszeitung“ 1992, Cosmas).

მიუხედავად იმისა, რომ ოკაზიონალური კომპოზიტები ხშირად ენაში გავრცელებული მოდელების მიხედვით წარმოიქმნება, ბევრი მათგანი მკითხველში „სიახლის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ ეს მოდელები ერთგვარად მოდიფიცირებული და ლექსიკურად შევსებულია. მაგალითად, während Pavarotti sich **dianagrammbeugt** von zwei Bodyguards hereintragen ließ („Tageszeitung“ 1997, Cosmas); durch **stolperschwellenstrotzende** Straßen (Barnes).

ახალი ნომინაციური ერთეული, რომელსაც ავტორი ოკაზიონალური კომპოზიტის სახით ქმნის, არც თუ იშვიათად უკვე არსებული აღნიშვნის ვარიანტს წარმოადგენს. მაგალითად, Bücher, die warm und freundlich sind, **brüllkomisch** und **tränentreibend**

sentimental; der **krachdürre** Busch [Afrikas] ringsum, alles beginnt unwirklich zu glühen (Donalies 2005:79).

რა თქმა უნდა, პროდუქტიული მოდელების მიხედვით წარმოქმნილი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები უნდა განვასხვაოთ შედარებით იშვიათი, ექსპრესიული ხასიათის კომპოზიტებისაგან, რომლებიც ხშირად ერთ ავტორს ან სულაც ერთ რომელიმე კონკრეტულ ტექსტს უკავშირდება. მაგალითად, **zubeißbereite** Zähne (Broch), **dämmerdumpfe** Feindschaft (Wohmann); ließest die Kindlein **irgendstraßenfern** (Huchel), **seifenglanznasse** Ärmchen (Frisch), **sprungfederkrankes** Sofa (Knef), **grübchenkrauses** Gelächel (Kunert), **sonnenverträumte** Vogelscheuche (Strittmatter), **weltherzdurchglühtes** Gestein (Celan), **bombensplitterzerlöcherter** Pullover; **fliegendurchsummte** Himbeerschläge (Nöstlinger), **veränderungstiefe** Augen (Wohmann), **fensterschmale** Hoffnung (Wohmann), **geheimnistiefe** Gleichnisse (Müller), **winterlangweilige** Farben (Höllner), **wappengezierte** Kutschen (Wolfe).

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები ლიტერატურული ენის ნორმებში არ ჯდება და ლექსიკონებში არ არის აღნუსხული, ავტორს შეუძლია ისინი საჭიროებისამებრ შექმნას და გამოიყენოს. არ არსებობს ესთეტიკა, რომელიც ლიტერატორს მიმართულებას მისცემს და დახმარებას გაუწევს. ყველაფერი ინდივიდუალურ სტილზეა დამოკიდებული.

ე. შტრიტმატერი თავისი რომანის „Der Laden“ მეორე ნაწილში აღწერს მოვლენებს, რომლებიც მას, როგორც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს გადახდა. იგი მოგვითხრობს ცირკის მსახიობებზე, ჯამბაზეებზე და ლილიპუტთა ვარიეტებზე. ჩვენ აქ უჩვეულო სიტყვას წავაწყდით: Auf dem Pfortenplatz sehe ich in meiner Grodker Zeit auch die **Kleinste Mensch der Welt**, und ein so kleines Fräulein sehe ich nie wieder in meinem langen Leben. (Strittmatter 1989:213) (Kleinste ორიგინალში დიდი ასოთი წერია. – ი. ყ.). ავტორი ვერანაირი სხვა სიტყვით ასე ზუსტად ვერ გამოხატავდა სათქმელს. მას რომ ეთქვა kleinste Frau ან kleinstes Fräulein, აღნიშვნას დამატებითი სემანტიკური ელფერი ექნებოდა, კერძოდ, უნდა გვეგულისხმა მოწიფულობა ან პირიქით. არც მამრობითი სქესის ფორმა kleinster Mensch გამოდგებოდა, რადგან მას „პატარა კაცის“ (kleinster Mann) სემანტიკური დატვირთვა ექნებოდა. გ. ტრემპელმანი ამასთან დაკავშირებით Mensch სიტყვის ისტო-

რიულ განვითარებას განიხილავს (Trepelmann 1990:36), რაც ჩვენ ფ. კლუგესთან გადავამოწმეთ. Mensch არა მარტო გრამატიკულად, არამედ მნიშვნელობითაც მამრობითი სქესის სახელია. არსებითი სახელიდან Mann (ძველი ზემოგერმანული man „კაცი“, „ადამიანი“) -isch სუფიქსის დამატებით (გერმანიკული -iska, ძველი ზემოგერმანული -isc) თავდაპირველად წარმოიშვა ძველი ზემოგერმანული ზედსართავი mannisc/mennisc – „zum Manne gehörig, vom Manne abstammend“ – „კაცისათვის დამახასიათებელი, კაციდან მომდინარე“ (ახალი ზემოგერმანული männisch). შემდგომ აქედან სუბსტანტივიზაციის შედეგად მივიღეთ Mensch. ძველი ზემოგერმანული mannisco/mennisco – „der zum Manne Gehörige, vom Manne Abstammende.“ (Kluge 1975).

მამრობითი სქესის ფორმას Mensch ე. შტრიტმატერი თავის რომანში მრავალგზის იყენებს, ხოლო Menschin მხოლოდ ერთხელ გვხვდება. ამ სიტყვის გამოყენებაში ჩანს მწერლის ბუნებრივი დამოკიდებულება გერმანული ენისადმი, რაც მას უფლებას აძლევს თავისი მიზნების შესაბამისად შექმნას ახალი აღნიშვნა, თუნდაც იგი ლექსიკონში არ იყოს შეტანილი.

Menschin კიდევ ორ სხვა ავტორთან გვხვდება არსებით სახელთან Kraft კომბინაციაში: Kraftmenschin. პირველი შემთხვევა არის გაბრიელ გარსია მარკესის რომანი „Die Liebe in den Zeiten der Cholera“, რომელიც ესპანურიდან გერმანულად თარგმნა დაგმარ პლოტცკმ. აქ Kraftmenschin დიდი ფიზიკური ძალის მქონე ქალს აღნიშნავს: Gegend Abend nahmen sie in Puerto Nare eine Frau an Bord, die grösser und robuster war als der Kapitän und von umwerfender Schönheit, nur der Bart fehlte ihr noch, um sich im Zirkus engagieren lassen zu können. Sie hieß Zenaida Newes, aber der Kapitän nannte sie Meine **Kraftmenschin** (Marquez 1988:481).

ხოლო მეორეგან Kraftmenschin ერთ-ერთ უურნალში გვხვდება: Nackt, mit Lehm beschmiert vom Kopf bis zu den Zehen, Brüste und Bauch mit schwarzen Mustern bemalt: als archaisch anmutende **Kraftmenschin** zeigen diese Bilder Luisa Francia als eine aus allen Zeiten und Räumen gefallene Ur-Frau („Zeitmagazin“ 1988. 14).

აქ ლაპარაკია ჰომეოპათიით დაკავებულ ახალგაზრდა ქალზე. სიტყვაში Kraftmenschin ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მაინცდამაინც დიდი ფიზიკური ძალა. Kraft უკავშირდება მა-

გიურ ძალას. მაშასადამე, აღნიშნული ქალი არის Menschin, რომელსაც მაგიური ძალა აქვს.

ფრანგულის მიბაძვით წარმოიშვა Lieblingin, რომლითაც ე. შტრიტმატერი ხსნის თავისი უჩვეულო მდედრობითი სქესის სახელთა გაღერვას რომანში „Der Laden“: Ich weiss damals noch nicht, dass ich der Mensch bin, den seine Lieblingin später den niederschlesischen Neurotiker nennen wird (Strittmatter 1989:49). ჩვენ გადავამოწმეთ ეს სიტყვა გრიმების „გერმანულ ლექსიკონში“, რომლის მიხედვითაც Lieblingin წარმოადგენს ფრანგული სიტყვის favorite ადეკვატს (Grimm J. und W. 1965:973).

გარდა აღნიშნული სიტყვებისა ე. შტრიტმატერთან გვხვდება ისეთი არაორდინარული ნაერთები, როგორიცაა Schneiderlehrlingin, Schauspiellehrlingin, Zwillingin, Liebstin, Gästin, Jemandin, Gefährtinnenschwarm, Schneiderinnenspiegel, Schülerinnen-respekt და სხვა.

მოყვანილი ნიმუშები ცხადყოფენ, თუ როგორ საინტერესოდ წარმოიქმნება ოკაზიონალური სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები გერმანულ ენაში. ზოგჯერ აღნიშვნა სიტყვაწარმოებითი ელემენტებისაგან არის შექმნილი ამა თუ იმ მოდელის მიხედვით, მაგრამ არც ელემენტებისა და არც სიტყვაწარმოებითი მოდელის ცოდნა არ არის საკმარისი მოცემული მნიშვნელობის აღსაქმელად. წარმოიქმნება ახალი სიტყვა, რომელიც ლექსიკონში არ არის დაფიქსირებული და რომელსაც ავტორი თავისი ხედვის შესაბამისად ქმნის. ოკაზიონალურ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებში ნათლად ვლინდება ავტორის კრეატიულობა და ინდივიდუალობა.

5.2. სიტყვათა თამაში სიტყვაწარმოების ფარგლებში

ენის ლექსიკური მარაგის კვლევისას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს კრეატიულ ასპექტსაც. აქ იგულისხმება ენობრივი მასალის წინასწარ გამოიზნული, სახალისო ცვლილება ან კომბინაცია, ანუ სიტყვათა თამაში, კალამბური. „სათამაშო“ მასალად გამოიყენება არა მარტო სიტყვები, მათი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები ან ცალკეული მორფემები, არამედ სიტყვაწარმოების მთელი მორფოლოგიურ-სტრუქტურუ-

ლი და სემანტიკურ-ფუნქციონალური არსენალი, კერძოდ, ენაში არსებული სიტყვაწარმოებითი ელემენტები, სიტყვაწარმოების ხერხები და სახეობები, სიტყვაწარმოებითი ნიმუშები და პარადიგმები, მორფოლოგიურ-სემანტიკური მოტივაცია და სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობები. „თამაშის წესებსაც“ თავად ენა ადგენს საკუთარი ენობრივი კანონზომიერებების შესაბამისად. სიტყვათა თამაში ხორციელდება მხოლოდ ენაში გაბატონებული სტრუქტურების, ფუნქციებისა და ნორმების მიხედვით.

მეტკლერის ლექსიკონის მიხედვით სიტყვათა თამაშის ცნება ენის ზოგადი გამოყენების ფარგლებში განიხილება, როგორც ერთგვარი თეორიული აღნიშვნა, რომელიც გულისხმობს სახალისო, სახუმარო, მახვილგონივრულ, სარკასტულ მიდგომას ომონიმური, ომოგრაფიული და ომოფონიური სიტყვებისა თუ გამოთქმებისადმი (Glück 2000:697). პ. შიფკო სიტყვათა თამაშის ცნებას უფრო მასშტაბურად განიხილავს, კერძოდ, როგორც კომუნიკაციურ თამაშს ან სულაც სემიოტიკურ თამაშს და ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ შეიძლება „თამაშო“ ნებისმიერი ენობრივი ერთეულით და ნებისმიერი რაკურსით (Schifko 1987:71). პ. ბუსმანი გვთავაზობს სიტყვათა თამაშის ყველაზე გავრცელებულ ხერხებს: 1) ბგერების ან მარცვლების გადანაცვლება. მაგალითად, Du bist – Buddhist, Martin Luther – lehrt in Armut, Leckt schmecker; 2) სიტყვების მორფოლოგიური ან სემანტიკური ცვლილება, მაგალითად, Spaß bei Seide, SchreIBMaschine; 3) ლექსიკური შეჯვარება ანუ კონტამინაცია. მაგალითად, Unruhestand, Demokratuur, Qualverwandtschaften (Bußmann 2008:800).

სიტყვათა თამაშს სიტყვაწარმოების კრეატიულ სახეობად მიიჩნევს ე. დონალიზი. მისი აზრით, ენაში უკვე არსებული სიტყვაწარმოებითი პროდუქტების ანალოგიით წარმოიქმნება ირონიულ-სახუმარო სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. მაგალითად, Untertan-ის მიხედვით შეიქმნა Obertan, Lebewesen-ის მიხედვით – Klebewesen. ამგვარ წარმონაქმნებს სახალისო ეფექტი, რა თქმა უნდა, მაშინ აქვთ, როცა მკითხველისათვის ან მსმენელისთვის საწყისი, ამოსავალი პროდუქტი ნაცნობია (Donalies 2005:152).

ის ფაქტი, რომ სიტყვებით, მათი სტრუქტურებითა და მნიშვნელობებით თამაში შეიძლება, ჯერ კიდევ ანტიკურ რიტორიკაში

იყო ცნობილი. მასში აღწერილი სისტემური კატეგორიები, როგორცაა გადანაცვლება (transmutatio), გამოტოვება (detractio), დამატება (adiectio) და აზრის შეცვლა ან ჩანაცვლება (immutatio) უძველეს ენობრივ ნიმუშებს განეკუთვნება. მათ ზოგადსაყოველთაოდ რეპრეზენტაცია აქვთ, ისინი ყველა ენისათვის დამახასიათებელია, მაგრამ მათი რეალიზება დამოკიდებულია ცალკეული ენის სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებზე.

ანტიკური რიტორიკის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სიტყვათა თამაშს როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს. ეს შეიძლება იყოს პარონომაზია ანუ Annominatio, რომელიც თვითმყოფად რიტორიკულ ფიგურას წარმოადგენს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის გარეგნული ფორმა იცვლება გამეორების გზით, რასაც ხშირად თან ახლავს სიტყვის მნიშვნელობის მოულოდნელი ცვლილება. მაგალითად, Nicht rasen, reisen! განსაკუთრებულ სახეობად გვევლინება ე.წ. Figura etymologica, რომლის დროსაც ხდება ერთი და იმავე ფუძის გამეორება. მაგალითად, sein Leben leben; einen schweren Gang gehen; eine Grube graben; betrogenen Betrüger; Mäßig – aber regelmäßig; zwangloser Zwang.

პარონომაზიის შედარებით დამოუკიდებელ ვარიანტად განიხილება პოლიპტოტონი, რომლის დროსაც ხდება ფლექსიურ-მორფოლოგიური განსხვავებების თამაშში სიტყვის სხვადასხვა ფორმის ფარგლებში. მაგალითად, Stadt missachtete beim Fest der Feste eigene Regel; Kein Mensch muss müssen.

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ანტითეზის ფორმალური გაძლიერება ხორციელდება სიტყვაწარმოებითი ანტონიმის, სინონიმის ან სიტყვაწარმოებითი ელემენტების გამეორების გზით. მაგალითად, Die einstige Superschwimmerin macht ergebnistechisch nur Rück- statt Fortschritte; Der Fahrstuhl im Landgericht ist ein „Standstuhl“; Eine Gesellschaft, die ... die Klamottendiktatur ... propagiert, stärkt nicht das Ego, sondern fördert den Egoismus; Es gibt erfülltes Leben – trotz vieler unerfüllter Wünsche (Poethe 2002:25).

პარალელური სიტყვათა სტრუქტურებით მიიღწევა ანტიმეტაბოლა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის კომპოზიციაზე (Weltbilder – Bilderwelten) და დერივაციაზე (fremde Vertrautheit –

vertraute Fremdheit). ოქსიმორონში ორი საპირისპირო ცნების პარადოქსული, ერთი შეხედვით უაზრო შეერთებით შეიძლება მიღწეულ იქნას განსაკუთრებული სტილისტიკური ეფექტი. მაგალითად, schaurig schön; beredtes Schweigen.

საკმაოდ გავრცელებულია ფუძეებით თამაშის ემოციურ-ექსპრესიული მოდელი, რომლის დროსაც ხდება თავიკიდური თანხმონის მონაცვლეობა. მაგალითად, Kuddelmuddel, Schickimicki, Hokuspokus, Techtelmechtel. ამგვარი მოდელი უპირატესად ზეპირ მეტყველებაში გვხვდება. ე.წ. „აბლაუტური გაორმაგების“ დროს კი ადგილი აქვს -i- და -a- ხმოვნების ვარირებას: Schnickschnack, Singsang, Mischmasch, Wirrwarr. ამ სახის ორმაგ სტრუქტურებს უმეტესად ნეგატიური, პეიორატიული ხასიათი აქვს.

სიტყვათა შეჯვარება, რომლის დროსაც ორი ლექსიკური ერთეული ერთმანეთშია გადახლართული, სიტყვაწარმოების სპეციფიკურ სახეობად განიხილება: Formularifari მიღებულია ორი სიტყვიდან – Formular + Larifari. ასევეა vorwiegend: überwiegend + vorherrschend; angeheitert: angetrunken + aufgeheitert. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ორი მეტ-ნაკლებად კომპლექსური სეგმენტი ერთმანეთს გადაფარავს, ამასთან კონსტიტუენტები არანაირ სემანტიკურ მიმართებას არ ავლენენ. მაგალითად, affenteuerlich: Affe + abenteuerlich (Heine). თუმცა ამგვარი წარმოქმნა თვითნებურად არ ხორციელდება, იგი გარკვეულ წესებს, უპირველეს ყოვლისა კი ფონემურ-ფონეტიკურ რეგულარობებს ემორჩილება. საწყისი სიტყვების რომელიმე ნაწილი შეიძლება ამოვარდეს ან მეორე ნაწილს შეერწყას. სიტყვათა შეჯვარება ძირითადად არსებითი სახელისა და ზედსართავის კლასს შეეხება, ზმნებში ის ნაკლებად არის გავრცელებული. წარმოქმნის აღნიშნული ხერხი დამახასიათებელია ტექსტის გარკვეული ქანრებისათვის, პრესისა და რეკლამის ენისათვის. მას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ რეკლამებში იმ მიზნით, რომ სიტყვათა უჩვეულო შეერთებით მომხმარებელთა ყურადღება შეაჩერონ გარკვეულ პროდუქტსა თუ მოვლენაზე. მაგალითად, Milka: Milch + Kakao; Nescafé: Nestle + Café; Persil: Perborat + Silikat; Feurika:

Feuer + Paprika; Globiläum: Globus + Jubiläum (Jubiläum einer gleichnamigen Supermarktkette).

ზოგჯერ სიტყვათა შეჯვარების უკან ირონია და სატირა იმალება: Medizyniker: Medizin + Zyniker; akadämlich: akademisch + dämlich (Lohde 2006:44). იშვიათად გვხვდება ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები საყოველთაო მოხმარების ენაში ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების სახით. მაგალითად, verschlimmbessern: verschlimmern + bessern; instandbesetzen: instand setzen + besetzen; jein: ja + nein; fahradiesisch: Fahrrad +paradiesisch; Liger: Löwe + Tiger. მთელი რიგი ამგვარი ნაერთებისა აღმოცენდა არა გერმანულში, არამედ ნახესხებია სხვა ენებიდან, ძირითადად ინგლისურიდან. მაგალითად, Moped; Motel; Telex: teleprinter + exchange; Transistor: trasfer + resistor; Smog: smoke + fog; Brunch: breakfast + lunch; Stagflation: stagnation + inflation (Fleischer/Barz 1995:47). ოკაზიონალური სახუმარო და სატირული წარმონაქმნების პარალელურად, როგორცაა Promillionär, Komprommissgeburt, არსებობს უკვე უზუალურად ქცეული დასახელებები: Kurlaub, Schiege, Infotainment, Mechatroniker. სპეციფიკური სახის ნომინაციური მოთხოვნის საფუძველზე ვღებულობთ დასახელებას, რომელიც არსებითად წარმოადგენს ორი ცნების ნარევს, ნაზავს.

ფაქტის ხაზგასმა მისი საპირისპირო ცნების უარყოფის გზით ხორციელდება un- პრეფიქსით: nicht ganz unzufrieden. კინობითი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ხშირად ირონიას ამბავრებენ. თუკი დიმიზიტიური სუფიქსი კომბინირებულია რაიმე დიდის, ღირსეულის და საპატიოს აღმნიშვნელ ცნებასთან, მაშინ ამგვარი კონტრასტი უკვე სტრუქტურულადაც ირონიის სიგნალიზებას ახდენს, მაგალითად, eine alte Hofdame des regierenden Häuschens von Haßlau (Jan Poll). ირონიული ეფექტი მიიღწევა აგრეთვე დეტერმინატიულ კომპოზიტიში, ატრიბუტთან მიმართებაში დარღვეული წესის შედეგად: vierköpfiger Familienvater.

სიტყვათა თამაშის ესთეტიკური, პოეტური ზემოქმედება მაშინ არის თვალსაჩინო და ხელშესახები, როცა მხატვრულ ლიტერატურაში მთელი სისრულით და გაცნობიერებულად არის გამოყენებული სიტყვაწარმოებითი პოტენციალი, იქნება

ეს სხვა სტილისტიკურ ელემენტებთან კავშირში თუ გარკვეული სიტყვაწარმოებითი ნიმუშებიდან, სიტყვაწარმოებითი ელემენტებიდან, სახელდების მოტივაციიდან, სტრუქტურული და სემანტიკური ომონიმიიდან გამომდინარე.

გარკვეული ლიტერატურული ეპოქებისა და მიმდინარეობებისათვის სიტყვათა თამაში მეტად დამახასიათებელ სტილისტიკურ საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად, ექსპრესიონიზმში, სადაც წინა პლანზე ცალკეული სიტყვაა წამოწეული, მას გვერდს ვერაფრით ვერ აუვლით. სიტყვის, განსაკუთრებით კი კომპლექსური სიტყვის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინოს მელოდიური, რიტმული და ხატოვანი ზემოქმედება. კონკრეტულ პოეზიაში, რომელიც მთლიანად კონცენტრირებულია ენაზე, როგორც ტექსტის შექმნის საშუალებაზე, ფორმალური ექსპერიმენტისათვის მოხმობილია ენობრივ ნიშანთა ერთმანეთთან დაკავშირების ამოუწურავი შესაძლებლობები.

ესთეტიკური ფუნქციის პარალელურად სიტყვათა თამაშს ხშირად პრაქტიკული და მეტად მნიშვნელოვანი კომუნიკაციური ფუნქციაც აქვს. პ. შიფკოს აზრით, კონკრეტული ეფექტებია: მხიარულება, კომიზმი, გართობა, მანიპულაცია, ესთეტიკა, გაუცხოება, სიურეალიზმი, ემანსიპაცია, ირონია, დაცინვა, აგრესიულობა, ენობრივი და საზოგადოებრივი კრიტიკა (Schifko 1987:70). ამასთან, სასიამოვნო ეფექტი მაშინ არის განსაკუთრებით დიდი, როდესაც სიტყვათა თამაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული, ფაკულტატიური მანიპულაციებით, არამედ როცა ის სემანტიკურად მნიშვნელოვანი დატვირთვით მთლიანი ტექსტის ან დისკურსის ფარგლებში ჯდება, ან კიდევ თვითონ არის მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელი.

ზემოქმედებითი მიზნების გარდა ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ტექსტის ლინგვისტიკურ და სტილისტიკურ ასპექტებს, რომელთაც ბ. ზანდიგი მოიხსენიებს ტერმინებით: „ტექსტის სტილისტიკურ-სტრუქტურული პროლეუცირება“, „ტექსტური ნიმუში“ და „სტილისტიკური ნიმუში“. მას სიტყვათა თამაში ერთგვარ ტექნიკად მიაჩნია, რომლის საშუალებითაც, მაგალითად, სტილისტიკური ნიმუში – „სახუმარო-სახალისოდ წარმოჩენა“ – ტრადიციულად რეალიზდება (Sandig 1986:150). თუმცა თვით მეთოდი ტრადიციული და, მაშასადამე, მოსალოდნელია, მაგრამ კონკრეტული ენობრივი ფორმა არაპროგნოზირებადი

და შესაბამისად, ყოველთვის ორიგინალურია. ამგვარი ფორმულირების ფუნქცია, გარდა ინფორმაციულობისა და შეფასებითი განზრახულობისა, არის რეციპიენტში საკუთარი ინტერპრეტაციის სურვილის აღძვრა, განსაკუთრებით კი სტილისტიკური თვითწარმოჩენა. ტექსტის შემქმნელი იმპლიციტურად ახდენს საკუთარი თავის პრეზენტაციას ენის გამოყენების მისეული ხერხებით. იგი თავის თავს წარმოაჩენს როგორც გონებამახვილი, ხუმარა, ენობრივად მოქნილი, ენაკვიმატი, ნაკითხი, განათლებული, კრეატიული ადამიანი და, ამავდროულად, იძლევა სტილისტიკურ ინფორმაციას ენისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. ამგვარ შესაძლებლობას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ჟურნალისტები თავიანთ ინდივიდუალურ სტატიებსა და რეპორტაჟებში. კაბარეს მსახიობისათვის სიტყვათა თამაში ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ასე მაგალითად, ჰ. შტენგელის, რომელიც თავის თავს „ენის აკრობატს“ უწოდებს, აქტუალურ პროგრამას ჰქვია Transrapid und andere Transzendenzen („Leipziger Volkszeitung“. 24.11.1999). ასევე სცენის მიღმაც გვხვდება მსგავსი ეფექტები, როგორც მაგალითად, ლაიფციგელი კაბარეს მსახიობი 1999/2000 წლების მიჯნაზე ერთ-ერთი აქტუალური გამოკითხვის დროს აცხადებს: „Bald bricht das Jahr 2000 an, und viele haben Angst vor diesem Anbruch – wegen eines eventuellen Einbruchs. Andere kauen immer noch am Umbruch. Ich wünsche mir Hals- und Beinbruch beim Aufbruch, einen kreativen Ausbruch und dann den Durchbruch. Also: Lasst uns aufbrechen!“ („Leipziger Volkszeitung“ 31.12.1999). ერთსა და იმავე ძირზე ავიქსის დართვით სხვადასხვა მეტყველების ნაწილს ვღებულობთ და სხვადასხვა შინაარსის გამოხატვაა შესაძლებელი.

საბავშვო ლიტერატურაში ენისადმი „თამაშით“ მიდგომა გართობასა და გახალისებაზე მეტად შეფარვით დიდაქტიკურ მიზნებს ემსახურება და მეტაენობრივ მოსაზრებებს წარმოშობს. საქვეყნოდ ცნობილია, მაგალითად, ფ. ფიუმანისა და ჰ. შტენგელის წიგნები, რომელთა თემას, ამავდროულად, ენა წარმოადგენს. ფ. ფიუმანის წიგნის სათაური „Die dampfenden Hälsen der Pferde im Turm von Babel“ მეტად პოეტური და იდუმალებით მოცულია. იგი მკითხველში უეჭველად დიდ ინტერესს აღძრავს. მას მოსდევს არანაკლებ დამაინტრიგებელი და მრავლისმთქმელი ქვესათაური „Ein Spielbuch in Sachen Sprache. Ein Sachbuch der

Sprachspiele. Ein Sprachbuch voll Spielsachen“ (Fühmann 1984). ენის სახელმძღვანელოებში სიტყვაწარმოებითი საშუალებებისადმი სახალისო მიდგომით თვალსაჩინოდ შეიძლება სიტყვაწარმოების სწავლება და მოსწავლეთა ენობრივი კრეატიულობის განვითარება.

სიტყვათა თამაშის მეორადი ფუნქცია იქიდან გამომდინარეობს, რომ ნორმალური და სპონტანური კომუნიკაციისაგან განსხვავებით, ენის „თამაშით“ გამოყენებისას სწორედ ნორმიდან გადახვევის გამო მთელი ყურადღება გამახვილებულია თავად ნორმაზე და, შესაბამისად, ენის ფორმალურ სტრუქტურასა და ფუნქციონირების ხერხებზე; ამ გზით ხდება მათი მეტნაკლებად გაცნობიერება (Schifko 1987:69). რასაც რეციპიენტი დიდი ძალისხმევის შედეგად იმპლიციტურ მეტაენობრივ რეფლექსიამდე, სემიოზის უმაღლეს საფეხურამდე მიჰყავს, შეიძლება დიდაქტიკურ განზრახვებსაც დაეუკავშიროთ. პ. შიფკო საზღასმით მიუთითებს სიტყვათა თამაშის დიდაქტიკური გამოყენების ჩინებულ შესაძლებლობებზე, რათა ფილოლოგიური მიმართულების სტუდენტებს ლინგვისტიკის და კომუნიკაციური თეორიის საფუძვლები, მათი ძირითადი პრინციპები გააცნოს.

ფუნქციებს, მიზანდასახულობასა და პოტენციურ ზემოქმედებას მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციის სფეროები და ტექსტის ჟანრები. გარკვეულ ტექსტებში მოლოდინიდან გადახვევა და ენის სისტემაში არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება დიდ როლს თამაშობს. ზოგიერთი ჟანრისთვის ტიპურ გამომსახველობით საშუალებას ენობრივი ფორმების და მნიშვნელობების თამაში წარმოადგენს, მაგალითად, აფორიზმი, სენტენცია, გამოცანა. ხანდახან საბავშვო ლექსებში თვალშისაცემია სიტყვაწარმოებითი საშუალებებისა და მოდელების უწვეულო გამოყენება, რაც ამ ჟანრის სპეციფიკად იქცევა როგორც დიდაქტიკური თამაშის გამოხატულება. ასევე კომუნიკაციის სხვა სფეროებშიც, რომლებშიც გაცნობიერებული და ინოვაციური ენობრივი ფორმებით ხდება რეციპიენტებზე ზეგავლენის მოხდენა, დასაშვებია ენობრივი ელემენტებისადმი სახალისო, ენობრივი ნორმების „შემლახავი“ დამოკიდებულება. ის ფაქტი, რომ ნორმიდან გადახვევა ხდება, უკვე გაცნობას აღარ იწვევს, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ, რა გზით ხდება გა-

დახვევა, ვინაიდან ამის შესაძლებლობები მეტად მრავალმხრივი და ამოუწურავია.

საქმიანი ინფორმაციისა და, ამავდროულად, სტილისტიკური ეფექტების შემჭიდროებულად გადმოცემის, ასევე ზემოქმედების მოხდენის უნარის გამო სიტყვათა თამაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საგაზეთო და სარეკლამო ტექსტებში, კერძოდ, საგაზეთო სტატიის სათაურებში, სარეკლამო სლოგანებში, კედლის ლოზუნგებში. ასე მაგალითად, მარგარინის მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა იყენებს სლოგანს: *Weil's läßt schmeckt*; „შპიგელის“ ყოფილი მთავარი რედაქტორის ე. ბიომეს მიერ შედგენილ გლოსეების კრებულს ჰქვია „Bonbons“ (Poethe 2002:30); ე. ვოლფის ერთ-ერთი წიგნის სათაურია „Phänomenologie des Kitsches“ (Wolf 1980). ზოგიერთი ბეჭდვითი ორგანოსათვის, როგორცაა, მაგალითად, „Spiegel“, „Die Zeit“, „Frankfurter Allgemeine Zeitung“, „Tageszeitung“, ტრადიციულ იმიჯს წარმოადგენს ის, რომ ინტელექტუალური აღქმა სხვა ხერხებთან ერთად განსაკუთრებული ენობრივი საშუალებებითაც ხორციელდება.

ჟურნალისტურ ტექსტებში, როგორებიცაა კომენტარი, ესე, ფელეტონი, რომლებშიც ძირითადი აქცენტი აზრის გადმოცემაზე კეთდება და რომლებშიც ინდივიდუალური სტილისტიკური შტრიხები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება, ასევე ხშირად გვხვდება სიტყვათა თამაშები. მაგალითად, *Aber in Frage steht mittlerweile die Verfasstheit der Republik – und nicht mehr nur die Verfassung der Union* („Leipziger Volkszeitung“. 27.01.2000); *dass das Fahr- meist ein Stehzeug ist* („Die Zeit“, 1995. Cosmas); *Dschihad wird von Ideologie beherrscht, McWorld von Videologie* („Die Zeit“, 1997, Cosmas); *Nur gehen sie von dort meistens an die sogenannte Leibwäsche – Gehirnwäsche trage ich nicht, ich bin leidlich abgehärtet* (Hildesheimer); *ein Beitrag zum Dumbbau zu Babel und zum Untergang des Abendlandes; Kein Pointen spuckender Witzbold..., eher schon ein witziger Ernstbold* (Donalies 2005:153). ინფორმაციულად დატვირთულ, საქმიან ახალ ამბებშიც კი ვაწყდებით ამგვარ სახალისო სიტყვათა თამაშებს: *In Sektbranche herrscht Sektlaune* („Leipziger Volkszeitung“ 31.12.1999); *Geschäfte bei Florena Cosmetic florieren* („Leipziger Volkszeitung“ 28.01.2000); *Alles frischobello am S-Bahnhof Buckower Chaussee [zu picobello]* („Tegeszeitung“ 1999, Cosmas). სიტყვათა თა-

მაშის სახალისო ნიმუშები მეტად შთამბეჭდავად გამოიყენება მღაზია-დაწესებულებების ორიგინალური სახელწოდებების აღსანიშნავად, მაგალითად, კაფე-რესტორნების დასახელებები: Seitensprung, Weibewirtschaft.

სიტყვაწარმოებითი ელემენტებით თამაში სულ უფრო მეტად გამოიყენება სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული კომუნიკაციის სფეროში, მაგალითად, „Das Undenkbare denken“ (კონსტანცელი ფილოსოფოსის იურგენ მიტელშტრასის საუნივერსიტეტო მოხსენების სათაური); „Betriebslinguistik und Linguistikbetrieb“ (კრებულის სახელწოდება); „Klangfarbe – Farbenklang“ (ფერთა თეორიის საფუძვლებისადმი მიძღვნილი ღონისძიების სახელწოდება).

სამეცნიერო საქმიან პროზაში ტექსტის სტრუქტურის განსაკუთრებულად რელევანტურ ადგილებში ხშირად გამონათქვამის მნიშვნელობის ხაზგასმა ხორციელდება ფორმალურად თვალშისაცემი ენობრივი საშუალებებით, როგორცაა მორფემების გამეორება სიტყვის სტრუქტურებში. შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ელემენტების ხაზგასმა, რაც სიტყვაწარმოების საშუალებით მიიღწევა, კიდევ უფრო მეტად ამახვილებს დედა-აზრზე ყურადღებას. თვალშისაცემი სიტყვათსტრუქტურები მკითხველს ნაკლებად გამორჩება მხედველობიდან, ვიდრე თვალშისაცემი წინადადების სტრუქტურები, ხოლო სიტყვისა და წინადადების სტრუქტურის კომბინაცია განსაკუთრებულ სტილისტიკურ პოტენციალს შეიცავს. გ. ჰელბიგი თავისი ერთ-ერთი ნაშრომის დასკვნით ნაწილში წერს: „Insofern kann von einer lexikonfreien Grammatik ebensowenig die Rede sein wie von einem grammatikfreien Lexikon“ (Helbig 1997:12).

სიტყვებისადმი სახალისო დამოკიდებულების წინაპირობები მოცემულია სიტყვაწარმოებითი პროდუქტების სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებში, ასევე უზუალობისა და ოკაზიონალობის ურთიერთმიმართებაში. თუმცა ზემოქმედების პოტენციალი არ შეიძლება ცალსახად უზუალო ან ოკაზიონალურ მიმართებას დაეუქვემდებაროთ. უზუალო წარმონაქმნებითაც შესაძლებელია სტილისტიკური ეფექტების მიღწევა, ხოლო, მეორე მხრივ, ოკაზიონალურ შენაერთებს ხშირად არ ძალუძთ განსაკუთრებული ზემოქმედების მოხდენა. ოკაზიონალური წარმონაქმნები, უპირველეს ყოვლისა, მაშინ არ არის

თვალშისაცემი, როცა ისინი ტექსტით განპირობებული და ადვილი მისახვედრია და ინტერნული ასოციაციებით არის მოტივირებული. თვალშისაცემი ოკაზიონალიზმები, რომლებიც ხშირად ინოვაციურ წარმონაქმნებს წარმოადგენენ, თავიანთ განსაკუთრებულ ზემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკურად შეუთავსებადი კონსტიტუენტების შეერთებით (მაგალითად, *Schwein ade – die Fischwurst erobert den Grill*) ან კიდევ არაპროდუქტიული სიტყვაწარმოებითი ნიმუშებისა თუ ნაკლებად აქტიური კონსტიტუენტების გამოყენებით ახდენენ (მაგალითად, *Sind wir eine Gesellschaft der Ichlinge?*) (Poethe 2002:32).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკეული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ანალოგიით შექმნილი ჰოლისტური წარმონაქმნები. ამ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი პროდუქტი წარმოადგენს ერთიან ინდივიდუალურ ნიმუშს ახალი ანალოგიური შენაერთის წარმოსაქმნელად. მაგალითად, *Likörelle, offenhörlich, knäckoladig*. ამგვარი ოკაზიონალიზმების ფორმალური და ფუნქციონალური კონოტაციაა: „ორიგინალურად შექმნილი“.

სიტყვაწარმოებითი პროდუქტების უმეტესობას უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების სტრუქტურა აქვს, ეს კი კონსტიტუენტების სტრუქტურით თამაშის საუკეთესო საშუალებაა. უნვეულო, არაორდინარული სეგმენტირებით გასაოცარი ეფექტების მიღება შეიძლება, მაგალითად, *Antrags-teller, Freischwimmerzeugnis, Gene-sender, Uran-fang; Allgemeinheit: böses Verhalten im Kosmos; Urheber: Sportler der Vorzeit; Nachteile: nächtlicher Bewegungsdrang* (Ulrich 1995:143).

კონსტიტუენტების სინტაქსურად და სემანტიკურად სახეცვლილი გამეორების შედეგად ვლენობით ფრიად შთამბეჭდავ ფორმულირებებს, როგორიცაა, მაგალითად, სლოგანი: *Durch Vorsorge vor Sorge geschützt*, ან რეკომენდაცია ერთ-ერთი ბანკის სარეკლამო განცხადებაში: *Mit Fondssparen fangen Sie am besten an, indem Sie schon beim Kauf des Fonds sparen*.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის სემანტიკური თავისებურებები „თამაშის“ ეფექტს აღწევენ მოტივაციით, რემოტივაციითა და მოტივაციის შეცვლით. ახლადწარმოქმნილი სიტყვები ზოგადად მათი შექმნის მომენტში მორფემულ-სემანტიკურად

მეტნაკლებად მოტივირებულია, ე.ი. მათი მნიშვნელობა შეიძლება აიხსნას შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობებიდან. თანდათან დემოტივაციის პროცესი იჩენს თავს, რომელიც შეიძლება სრულ იდიომატიზებად მივიდეს. სემანტიკური ევოლუციები მიიღწევა, როცა თავდაპირველი მოტივაცია ისევ ცოცხლდება ან ახალი მოტივაცია ჩნდება, რისი სიგნალიზებაც ხშირად გრაფიკულად დეფისით ხორციელდება. უკვე უზუალურ ნაერთად იქცა მაგალითად Hoch-Zeit. მოტივირებული წარმონაქმნებიც კი ყოველთვის არ არის მთლიანად გამჭვირვალე, რადგან შესაბამისი შესიტყვების ყველა ნაწილი სიტყვაწარმოებით პროდუქტში არ ჩანს და სემანტიკური მიმართებები ექსპლიციტურად არ არის გამოხატული. ზოგჯერ შეიძლება უზუალური მოტივაციური მნიშვნელობისაგან განსხვავებული მნიშვნელობაც იყოს წარმოჩენილი, რაც სიტყვათა თამაშის ერთგვარი ალტერნატივაა. ასე მაგალითად, Leipziger Zoo hat 1999 neben dem Eintrittspreis einen Löwenanteil zum Erhalt der traditionellen Löwenzucht erhoben. იმპლიციტურ-კონსტექსტუალურად, უბრალო განლაგებით ან ექსპლიციტური პერიფრაზირებით შესაძლებელია იმ მოტივაციური სტრუქტურების დაშვება, რომლებიც აშკარად წინააღმდეგობაში მოდიან ლექსიკალიზებულ მნიშვნელობასთან ან ერთდროულად უზუალური და ოკაზიონალური მნიშვნელობის აქტუალიზებას ახდენენ. განსხვავებული პერიფრაზირებით ახალი მოტივაციური მნიშვნელობა მიიღება: Sparbücher sind Bücher, die man sich sparen kann. (დრეხდენის ბანკის რეკლამა). თუკი საერთო სათაურის – „Obstschüssel“ ქვეშ ისეთ სიტყვებს გავაერთიანებთ, როგორცაა Augäpfel, Fingerbeeren, Glühbirnen, Ohrfeigen და Kopfnüsse, მაშინ ამგვარი ლექსიკალიზებული წარმონაქმნები იმპლიციტურად მეტაენობრივ განხილვას მოითხოვენ (Poethe 2002:33).

სიტყვაწარმოების სხვადასხვა სახეობის არსებითი მახასიათებლები მრავალფეროვან სპეციფიკურ შესაძლებლობებს გვთავაზობენ ენის სახალისო გამოყენებისათვის. განსაკუთრებით ნაყოფიერია კომპოზიცია და რედუქცია, ისევე როგორც რიტორიკულ ფიგურად მიჩნეული სიტყვათა შეჯვარება. საკმაოდ ხშირად გამოიყენება აგრეთვე დერივაციული მოდელები და კონვერსია. ბაზისისა და კონვერსიის პროდუქტის ფორმალური

იღენტურობიდან გამომდინარე გამეორების ეფექტი აძლიერებს ზემოქმედებას: Einfach beim Sparen sparen. თუკი სიტყვაწარმოებითი პარადიგმებით ხდება თამაში, მაშინ მასში შეიძლება მონაწილეობდეს სიტყვაწარმოების ყველა სახეობა.

სიტყვათა თამაშისათვის ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს კომპოზიცია უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების დამოუკიდებლობისა და შედარებით მცირე დისტრიბუციული შეზღუდვების გამო. ამას ემატება ასევე სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობების ფართო სპექტრი. კომპოზიციას გერმანულში არსებითი სახელისა და ზედსართავის წარმოებისათვის უამრავი საშუალება აქვს (Blumenrath 2003:56). კომპოზიტები ძირითადად ორშემადგენლიანია, ხშირია აგრეთვე სამ და მეტ კომპონენტისანი წარმონაქმნებიც. გერმანელები ამ თემაზე ხშირად ხუმრობენ, აგრძელებენ რა – რამდენადაც ეს ასე თუ ისე შესაძლებელია – ხელოვნურად სიტყვებს. აი თუნდაც ეს ერთი „კლასიკური“ მაგალითი (ე.წ. სიტყვა-მონსტრი): *Donaudampfschiffahrtsgesellschaftskapitänswitwenröstervereinsvorsitzendenstellvertreter* (გვენცაძე 2009:147). მაგრამ სიტყვაში *Rindfleischetikettierungsüberwachungsaufgabenübertragungsgesetz* არ იგრძნობა ირონიული ელფერი.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების იერარქიული სტრუქტურა, კომპოზიტების წარმოქმნისას გერმანული ენის სპეციფიკური მიდრეკილება მრავალმხრივი განშტოებებისაკენ მკაფიოდ არის ილუსტრირებული ფ. ფიუმანის ერთ-ერთ პატარა მოთხრობაში „Am Schneesee“. მოვიყვანო ერთ პატარა მიკროტექსტს ამ მოთხრობიდან: „Es war einmal ein See, der war immer voll Schnee, darum nannten ihn die Leute nur Schneesee. Um diesen Schneesee wuchs Klee, der Schneeseeklee, der wuchs rot und grün, und darin äste ein Reh, das Schneeseekleereh, und dieses Schneeseekleereh wurde von einer Fee geliebt, die fast so schön war wie Scheherezade, der überaus anmutigen Schneeseekleerehfee. Diese Fee hatte, wie alle Feen dieser Gegend, sechsundsechzig Zehen, fünfundsechzig zum Gehen und einen zum Drehen, und dieser sechsundsechzigste Zeh war natürlich der Schneeseekleerehfeedrehzeh...“ (Fühmann 1984:13).

გრძელი კომპოზიტების პრინციპზე შეიძლება მთლიანი ტექსტი იყოს აგებული, როგორც მაგალითად, კ. გუმპენბერგის

პაროდია „Sommermädchenküssetauschelächelbeichte“ (Den Wortkopplern gewidmet):

„An der Murmelrieselplauderplätscherquelle
saß ich sehnsuchtstränentropfeltrauerbang;
Trat herzu ein Augenblinzseljunggeselle
in verwegnem Hüfteschwingschleudergang,
zog mit Schäkerehrfurchtsbittegrußverbeugung
seinen Federbaumelriesenkrämpenhut –
gleich verspürt' ich Liebeszauberkeimeneigung,
war ihm zitterjubelschauerherzensgut!...“ (Alles
Unsinn 1974:176).

ზედსართაული სიტყვაწარმოების პროდუქტიულ მოდელებს კრიტიკულად უდგება დ. ე. ციმერი შემდეგ ტექსტში:

„Während Soziologen **wertneutrale** Formulierungen für **erklärungsbedürftige** Zusammenhänge suchen, während **erfolgsorientierte** Bürokraten **bereichsspezifische** und **planungsrelevante** Daten erheben, um **bürgerbezogene** und möglichst **kostenneutrale flächendeckende** Maßnahmen für **strukturschwache** Gebiete einzuleiten, waltet die **grippegeschädigte** Hausfrau **pillenmüde** in **lauffestem** Schuhwerk, **fersenverstärkten** Strümpfen und **hautenger, atmungsaktiver** und auch noch **pflegeleichter** Kleidung **qualitätsbewusst** mit ihrem **reinigungsaktiven** und hoffentlich **umweltfreundlichen** Waschpulver inmitten der **reparaturanfälligen** Geräte ihres **schadensträchtigen** und leider nicht **idiotensicheren**, noch nicht einmal **babyleichten** Haushalts und setzt sich zwischendurch, eine Tasse **röstfrischen** und **aromastarken** Kaffees zu trinken. **Angstfrei** ist sie nicht, denn **naturbelassen** ist noch nicht einmal der Salat, und all die **kochtopffertigen** Eßwaren, die ihr **medienadäquat** angepriesen worden waren, könnten auf **unerwünschte** Weise **geschmacksintensiv** sein. Und was dann?“ (Hoberg 1990:77).

დეტერმინატიულ კომპოზიტში უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მეარი თანმიმდევრობითა და მათი გადანაცვლებით მიღებული სემანტიკური შედეგებით ხდება თამაში ანტიმეტაბოლამი: Weltbilder – Bilderwelten.

ერთგვარ უხერხულობას ქმნის ერთნაირი ელემენტების ზედიზედ ერთმანეთის მიყოლებით გამოყენება. შესაბამისად, კომპოზიციურ წვერთა გამეორების ეფექტიც ჩვეულებრივი მოლოდინისაგან განსხვავებულია, იგი რეციპიენტის ყურადღებას

ამბაფრებს და, უპირველეს ყოვლისა, გაღიზიანებას, დაბნეულობას იწვევს, მაშინაც კი, როცა შესაბამისი განმარტებისას მნიშვნელოვანი რაციონალური მიმართება იკვეთება, მაგალითად, Kandidaten- Kandidaten, Erwartungserwartungen (კონსტიტუენტების ზუსტი გამეორება) ან Heckenhexe mit der Hackenhexen (ბგერითი სტრუქტურის გამეორება).

სიტყვაწარმოებით პარადიგმებში სიტყვაწარმოებითი ბუდეები ფორმალური და სემანტიკური ნათესაობის და ასევე სიტყვაწარმოების სხვადასხვა ხერხებში მონაწილეობის გამო განსაკუთრებით დიდ პოტენციალს ავლენენ სიტყვაწარმოების პროდუქტების ეფექტური გამოყენების მხრივ. სიტყვებს შორის კავშირი მყარდება არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარის მორფოსემანტიკური მოტივაციის, არამედ ასევე ფორმალური გამოხატულების მეშვეობით. თვალშისაცემი ეფექტი მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, სიტყვაწარმოებითი ბუდის წევრების ხშირი გამოყენებით ან მათ შორის მცირე დისტანციით. იშვიათად წავაწყდებით ისეთ ტექსტს, რომელიც აგებულია მხოლოდ ერთადერთ სიტყვაწარმოებით ბუდეზე: „Verfolger verfolgen die Verfolgten. Verfolgte aber werden Verfolger. Und weil Verfolgte Verfolger werden, werden aus Volfolgten verfolgende Verfolgte und aus Verfolgern verfolgte Verfolger...“ [14,141]. აქ თამაში ხორციელდება სიტყვაწარმოებითი ბუდის verfolg- ელემენტებით და შესაბამისი გრამატიკული ფორმებით. მთლიან ტექსტში, რომელიც 187 სიტყვისაგან შედგება, 96-ჯერ გვხვდება მორფემული კომბინაცია verfolg-. სხვა ავტოსემანტიკური სიტყვები მასში ძალიან მცირეა. სხვადასხვა სინტაქსური კომბინაციებით ყოველ ჯერზე ახალი აზრობრივი მიმართება მიიღწევა, მაქსიმალური სიმჭიდროვე განსაკუთრებულ წვდომას და აღქმას უზრუნველყოფს.

ამგვარი ეფექტი უფრო ხშირად გამოიყენება ტექსტის ცალკეული ადგილების ხაზგასმისათვის: „Nur die Wirklichkeit wirkt wirklicher“; „Sprache, Sprachwissen, Sprachwissenschaft“; „Unsere postmoderne Moderne“.

სიტყვაწარმოებით მწკრივში საერთო აფიქსით პარადიგმატულად ურთიერთკავშირებული სიტყვები ზოგადად ბაზისის განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის გამო არ ავლენენ მჭიდრო სემანტიკურ კავშირს, რომელიც აბსტრაქტული სიტ-

ყვაწარმოებითი მნიშვნელობის ფარგლებს სცილდება. თუკი სიტყვაწარმოებითი მწკრივის სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი პროდუქტი საგანგებოდ გვერდიგვერდ გამოიყენება, მაშინ ერთიდაიგივე სტრუქტურის გამეორებით შეიძლება განსაკუთრებული ეფექტი იქნას მიღწეული: Schnurlos wunschlos glücklich (ტელეკომის რეკლამა). დიდი ეფექტი მიიღწევა ასევე რამდენიმე პარადიგმატული მიმართების ერთობლიობით: Auf 100 Besserwisser kommt ein Bessermacher (სარეკლამო განცხადება).

როგორც კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროდან და განსხვავებული უნრების ტექსტებიდან აღებულია მაგალითებმა გვიჩვენა, სიტყვაწარმოებითი პროცესების კანონზომიერებები, ასევე სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ზოგადი სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებები განაპირობებენ და ერთგვარად ხელს უწყობენ მათდამი კრეატიულ დამოკიდებულებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამოუწურავი კომბინაციური შესაძლებლობები, სიტყვაწარმოებითი ელემენტებისა და, საერთოდ, ენობრივი სტრუქტურების პოლისემია, სიტყვაწარმოებით პროდუქტში მხოლოდ იმპლიციტურად გამოხატული სემანტიკური მიმართებები, რომლებიც ინოვაციური წარმონაქმნების შექმნისაკენ გვიბიძგებენ და ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. საოცარ მომხიბველობას ქმნის არა ზოგადად სიტყვაწარმოებითი ნიმუშის უჩვეულობა, არამედ მისი თვალშისაცემი ლექსიკური შემადგენლობა, თვალშისაცემი სიხშირე ან ყოველდღიურობაში ესოდენ ნაცნობი ენობრივი კანონზომიერებების სახეცვლილება. სიტყვათა თამაშის განსაკუთრებული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტი სახალისო, სახუმარო, ორიგინალური, მოქნილი, სხარტი, ორაზროვანი ხდება, ჩახლართული მოვლენები მარტივად გადმოიცემა, ცნებები შეძლებისდაგვარად მცირე სიტყვათა მასალით ეკონომიურად უკავშირდება ერთმანეთს და ერთდროულად ხორციელდება რამდენიმე მოქმედება. შესაბამისად, მისი ფუნქციებია: ინფორმირება, კომენტირება, ირონიზება, პაროდირება, აპელირება, ემოციონალიზება.

საერთო ღასკვნება

1. სიტყვაწარმოების თეორიის კომპეტენციაში შედის წესებისა და მოდელების დადგენა, რომელთა მიხედვითაც ხდება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების წარმოქმნა და იმ ხელისშემწეობი თუ ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზემოქმედებენ წარმოქმნის პროცესზე. ლექსიკის ინტენსიური შევსების პროცესი, რომელიც ესოდენ თვალსაჩინოა გერმანული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მოითხოვს სიტყვაწარმოებითი მოდელების ინტერპრეტაციისათვის საჭირო პრინციპებისა და სათანადო მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას. თეორიული დებულებების მართებულობა უნდა შემოწმდეს სიტყვაწარმოებითი ინვენტარის, ბაზისური ერთეულების ფორმალური და სემანტიკური კლასიფიკაციის, მათი პროდუქტიულობისა და აქტივობის ხარისხის დადგენის გზით. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის როგორც საბაზისო ერთეულის პოსტულირება საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს ის პროცესები, რომლებიც თან სდევს ლექსიკის შევსებას, და გამჭვირვალეს ხდის სიტყვაწარმოებითი ერთეულების განვითარების დინამიკას სიმპლექსიდან დერივატამდე. გერმანულ ლექსიკოლოგებს სიტყვაწარმოების მეცნიერული შესწავლა აქტუალურ საკითხად მიაჩნიათ. სტატისტიკა მოწმობს, რომ ამ მხრივ ზედსართავების რაოდენობა ზმნების რაოდენობას უსწრებს კიდევ.

სიტყვაწარმოება უშუალოდ უკავშირდება ენის ლექსიკურ და გრამატიკულ სისტემას და ქმნის შუალედურ დონეს მათ შორის. სიტყვაწარმოებით კონსტრუქციაში აირეკლება მეტყველების ნაწილების გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტიკური და ტექსტური პოტენციები.

2. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია წარმოადგენს სიტყვაწარმოების საბაზისო ერთეულს, რომელიც არის აზრობრივი სტრუქტურების ენობრივი რეალიზების ერთ-ერთი სახეობა შესიტყვეებისა და სიმპლექსის გვერდით. იგი ორი სახით მანიფესტირდება: როგორც ზოგადი ერთეული, რომელსაც აქვს კონსტრუქციის ყველა სახისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, ისე კერძო ერთეული, რომელშიც აისახება ცალკეული

მეტყველების ნაწილების თავისებურებანი. ასე მაგალითად, კომპოზიციისა და დერეივაციის ძირითადი სიტყვაწარმოებითი მოდელები არსებითი სახელისა და ზედსართავის სფეროში იდენტურია ზოგადი პარამეტრების მიხედვით, მაგრამ ისინი განსხვავდებიან სიტყვაწარმოებითი საშუალებების ფორმალური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ფუნქციური და სემანტიკური სტრუქტურების მხრივ.

3. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია უშუალოდ არის დაკავშირებული მეტყველების ნაწილებთან და ასიმილირდება მათი ფორმალური და სემანტიკური პარამეტრების შესაბამისად. ზედსართავულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ გერმანული ენის ლექსიკურ სისტემაში. ატრიბუტული, პრედიკატიული და ადვერბიალური ფუნქციით ზედსართავების მრავალმხრივი გამოყენება ადასტურებს მათ როლს შესიტყვევისა და სიმპლექსის გვერდით. რთულ ზედსართავ სახელებს დიდი წვლილი შეაქვთ თანამედროვე გერმანული ენის განვითარების ზოგადი ტენდენციების რეალიზებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, ითქმის სინტაქსის სფეროზე. წინადადების სტრუქტურათა შემჭიდროების ტენდენცია იწვევს წინადადების წევრთა ატრიბუირების ზრდას და ზედსართავული სიტყვაწარმოებითი მოდელების განვითარებას. თანამედროვე გერმანულ ენაში მრავლად არსებობს ისეთი ზედსართავული წარმონაქმნები, რომლებიც კონდენსირებულად გამოხატავენ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ მრავალმხრივ მიმართებებს. ისინი ხშირად ცვლიან რთულ სინტაქსურ შენართებს.

4. ზედსართავული სიტყვაწარმოების განვითარება, ისევე როგორც სუბსტანტიურისა და ზმნურისა, ნაკლებად ხასიათდება ახალი მოდელებისა და საშუალებების წარმოქმნით. ის უფრო მეტად უკვე არსებულ შესაძლებლობათა სახეცვლილ გამოყენებას, ენობრივ საშუალებათა ახლებურ კომბინაციებს და კონსტიტუენტთა დამოუკიდებლობის ხარისხში ცვლილებას ემყარება. ზედსართავის სფეროში განსაკუთრებით თვალშისაცემია თავისუფალ კომპოზიციურ წევრთა გადასვლა პრეფიქსიოლთა და სუფიქსიოლთა საშუალებით პრეფიქსებსა და სუფიქსებში. ეს აქ უფრო სწრაფად ხდება და მეტ ელემენტებს მოიცავს, ვიდრე არსებითი სახელის სფეროში.

5. კომპოზიტების ანალიზისას პირველი ნაბიჯი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების დადგენაა. პოსტულირებულია, რომ უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები ბინარულ სტრუქტურებად ნაწილდება. დაყოფისათვის მთავარია სემანტიკური კრიტერიუმი, რომელიც ემყარება დისტრიბუციულს. ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქცია ორმაგი ინტერპრეტაციის საბაზს იძლევა, რაც იმით აიხსნება, რომ ერთსა და იმავე კონსტრუქციას ორი განსხვავებული სიტყვაწარმოებითი მოდელი შეიძლება მიესადაგოს. რამდენადაც კომპოზიტში მეორე ანუ ბოლო უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი განსაზღვრავს მთელს კონსტრუქციას როგორც მეტყველების ნაწილს, ზედსართაულ კომპოზიტში მეორე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი ყოველთვის არის ზედსართავი ან გაზედსართავებული პარტიციპი. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი მეტყველების ნაწილი.

სემანტიკური მიმართებების თვალსაზრისით ზედსართაული კომპოზიტები მრავალფეროვანია. მათში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი სიტყვაწარმოებითი სემა: ლოკალური, ზომა-წონის აღმნიშვნელი, ტემპორალური, ინსტრუმენტალური, ფინალური, ორნატიული, შეზღუდვით-მიმართებითი, შედეგობრივი, მიზეზობრივი, შედარების, გრადაციის, ნიუანსირების, ფერის აღმნიშვნელი.

6. ზედსართავის სფეროში თხზულ-შერწყმული ფორმები წარმოადგენენ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს, რომელთაც მეორე უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად აქვთ პარტიციპი. პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნიზედა, რიცხვითი სახელი. თხზულ-შერწყმული ზედსართავების მნიშვნელობები ადვილად ამოიკითხება, რადგან ისინი წარმოადგენენ სინტაქსური შესიტყვებების სემანტიკურად იდენტურ კონსტრუქციებს. მათში გამოიყოფა შემდეგი სემები: ორნატიული, ინსტრუმენტალური, ლოკალური, მასალის აღმნიშვნელი, მიზეზობრივი, ტემპორალური, შეზღუდვით-მიმართებითი, მოდალური, ფერის აღმნიშვნელი.

7. თხზულ-წარმოქმნილ ზედსართავებს პირველ უშუალო შემადგენელ კონსტიტუენტად ხშირად აქვთ რიცხვითი სახელი, ზმნიზედა, ზედსართავი, ნაცვალსახელი. მათი მნიშვნელობა

შეესაბამება სინტაქსური შესიტყვებების მნიშვნელობას, რომლებისგანაც ისინი არიან მიღებული. გამოიყოფა შემდეგი სემე-ბი: ლოკალური, ტემპორალური, მოდალური.

8. აფიქსოიდებს შუალედური პოზიცია უჭირავთ კომპო-ზიციური წევრიდან აფიქსისკენ გადასვლის პროცესში, რომე-ლიც თანდათან, საფეხურებრივად ხორციელდება. ელემენტებს თავიდან მხოლოდ მეტ-ნაკლებად აქვთ სიტყვაწარმოებითი აფიქსის ნიშნები, ვიდრე საბოლოოდ არ ჩამოყალიბდებიან აფიქსებად. კომპოზიციურ წევრსა და აფიქსოიდს შორის გამო-იყოფა კიდევ ერთი საფეხური – სუბაფიქსოიდები, ხოლო აფიქ-სოიდსა და აფიქსს შორის – სუბაფიქსები. აფიქსად ჩამოყალი-ბების პროცესი დასრულებულია, თუ არსებობს სრული ომონი-მია სიტყვაწარმოებით ელემენტსა და თავისუფალ მორფემას შორის. კომპოზიციური წევრიდან აფიქსად განვითარების პრო-ცესი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ჯაჭვის სახით:

კომპოზიციური წევრი→სუბაფიქსოიდი→აფიქსოიდი→სუბა-
ფიქსი→აფიქსი.

ზედსართაულ კვაზიკომპოზიტებში გამოიყოფა შემდეგი სე-მები: გაძლიერების, ნეგატიური შეფასების, ტემპორალური, არ-სებობა/არარსებობის, უნარის, შესატყვისობის გამოხატველი.

9. გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი სისტემა საშუა-ლებას აძლევს უცხოურ ანუ ნასესხებ სიტყვებსა და მორფე-მებს, ადვილად დამკვიდრდნენ ენის სისტემაში. ამის საუკეთე-სო მაგალითია ჰიბრიდული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციე-ბი. ამგვარი სიტყვების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ხდება გერმანული ენის ინტერნაციონალიზაცია. ზედსართაული სიტ-ყვაწარმოებითი კონსტრუქციების რაოდენობა, რომელთაც უც-ხოური კონსტიტუენტები აქვთ, ბოლო დროს საკმაოდ გაიზარ-და. თუკი ადრე ისინი მხოლოდ ტექნიკურ და სამეცნიერო ლექ-სიკაში გვხვდებოდა, დღესდღეობით მათ აქტიურად იყენებენ ზეპირ მეტყველებაში და ასევე სხვადასხვა სფეროში: ეკონომი-კაში, პოლიტიკაში, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში, რეკლამებში, პრესასა და ტელევიზიაში.

10. კომპოზიტებში შედარების ხარისხები გამოიხატება ან პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის სახით, ან მთელი კონსტრუქცია შედარების ხარისხების ფორმებით არის წარმოდგენილი. შედარების ხარისხების ფორმების არსებობა

უტყუარი ნიშანია იმისა, რომ სიტყვების კომპოზიტებად ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულია.

11. ანალიზის მეთოდი უნდა ესადაგებოდეს ობიექტის არსს, წარმოაჩენდეს და ნათელყოფდეს მისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. შინაარსზე ორიენტირებული ენათმეცნიერული მიმდინარეობა გვთავაზობს ასეთ მეთოდს, რომელიც XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა გერმანული ენის სისტემის სხვადასხვა დონეების აღწერაში. ამ ენათმეცნიერული მიმდინარეობის დამფუძნებელმა ლ. ვაისგერბერმა ეს მეთოდი სიტყვაწარმოების კანონზომიერებების დასადგენადაც გამოიყენა, რითაც საფუძველი დაუდო შინაარსზე ორიენტირებული კვლევის მეთოდის დამკვიდრებას სიტყვაწარმოებაში. ზედსართაული დერივატები ამ მეთოდით გაანალიზებული არ ყოფილა, ამდენად, გამართლებულია მათი შესწავლა ამ რაკურსით. ჩვენს მიერ გაანალიზებულია 1600-ზე მეტი ზედსართაული დერივატი, ნიშების საერთო რაოდენობა 43-ს შეადგენს, ხოლო ბლოკებისა 14-ს. ამგვარი შინაარსზე ორიენტირებული კვლევის მეთოდის გამოყენება დერივატების კლასიფიკაციისათვის მეტად პრაქტიკული და მოსახერხებელია. დერივატებში გვხვდება ტემპორალური, ორნატიული, ლოკალური, შეზღუდვით-მიმართებითი, კნინობითი, წარმომავლობის, მასალის, მრავალჯერადობის, შედარების, მიდრეკილების, კუთვნილების, შესაძლებლობის, აუცილებლობის, არარსებობის, იდენტურობის, გაძლიერების, უარყოფის, პოზიციური მიმართების, სივრცობრივი და დროითი ორიენტაციის აღმნიშვნელი სემები.

12. უდიდესი წვლილი ზედსართაულ დერივაციაში შეაქვს -ig, -isch და -lich სუფიქსებს. ისინი ძალიან პროდუქტიულია და მათ მიერ წარმოქმნილი დერივატების რიცხვი ათასებს შეადგენს. ისინი საყოველთაო სუფიქსებადაც იწოდებიან (Allerweltsuffixe) იმის გამო, რომ სხვადასხვა ბაზისს უკავშირდებიან და თითქმის ყოველგვარ წარმოქმნის ნიმუშში მონაწილეობენ. მათ პარალელურად არსებობს, ერთი მხრივ, გერმანული და, მეორე მხრივ, უცხოური სუფიქსები. ამა თუ იმ სუფიქსიანი ყველა შესაძლო დერივატი შესაბამის ნიშაში ერთიანდება და სეგმენტებად ნაწევრდება, რაც მათი შემდგომი კლასიფიკაციის წინაპირობას ქმნის.

13. ზედსართაული პრეფიქსული დერივატის ფუნქცია მდგომარეობს ზედსართაუის ძირითადი მნიშვნელობის მოდიფიკაციაში. სუფიქსური დერივატებისაგან განსხვავებით პრეფიქსულ დერივატებს ბაზისად მხოლოდ ზედსართაუი აქვთ. პრეფიქსი ნაწილობრივ ცვლის ბაზისური სიტყვის მნიშვნელობას. ყველა პრეფიქსს აქვს მეტნაკლებად მკაფიოდ გამოხატული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი მნიშვნელობა. გამოიყოფა შემდეგი სემები: უარყოფის, გაძლიერების, პოზიციური მიმართების, სივრცობრივი ორიენტაციის, დროითი ორიენტაციის.

14. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ისეთი ზედსართაუები, რომლებიც ცირკუმფიქსით არიან წარმოქმნილი. ეს კომბინატორული დერივატები ზედსართაუის სფეროში შედარებით ნაკლებად გვხვდება. გამოიყოფა სამი ნიშა: ge-...-ig, ge-/be-...-t და un-...-lich/-bar/-sam, რომლებიც შესაბამისად მიდრეკილების, ორნატიულ და უარყოფის ბლოკებში ერთიანდებიან.

15. ტექსტი სიტყვაწარმოებითი პროცესების განვითარების ადგილი და წყაროა. მასში ფიქსირდება პროდუქტიული და არაპროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელები, წარმოიქმნება ახალი სისტემური კონსტრუქციები, რომლებიც კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვან საგნებს, მოვლენებს, მოქმედებებსა თუ თვისებებს აღნიშნავენ. მაგრამ ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების წარმოქმნა სისტემური სიტყვაწარმოების კანონზომიერებათა გვერდის ავლითაც ხდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი შეხედვით სემანტიკურად შეუთავსებადი კონსტრუქციები კონსტრუქციად ერთიანდება. ამ კონსტრუქციების გაშიფვრა და გაგება დიდ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული, რადგან კონსტრუქციების სემანტიკური გამჭვირვალობა მთელი კონსტრუქციის ინტერპრეტაციას აიოლებს. ტექსტის დონეზე არარელევანტური ხდება ზედსართაუების სიტყვაწარმოებითი სხვაობა. აქ ყველა ზედსართაუის ერთი და იგივე ფუნქცია ეკისრება: გამოკვეთოს ავტორის ინდივიდუალური სტილი. განსაზღვროს ტექსტის რეგისტრი (Stilzüge) და ობიექტური სტილისადმი მიკუთვნილობა, განახორციელოს ტექსტის დისკრეტული ერთეულების უშუალო და დისტანციური ბმულობა.

16. სიტყვაწარმოების კანონზომიერებების, ხერხებისა და საშუალებების ცოდნა ხელს უწყობს არა მარტო ამა თუ იმ ენის ლექსიკის მთელი სპექტრის მიმოხილვას თეორიულ ასპექტში, არამედ მას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით უცხოური ენის სწავლებაში.

გერმანული ენის განვითარებისათვის დამახასიათებელი ლექსიკის შევსების ძლიერი ტენდენცია, რომელსაც შედეგად მოსდევს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების მოზღვავება, კვლავაც წარმოშობს მათი აღწერისა და სისტემაში მოყვანის საჭიროებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების განვითარების რეგულარული პროცესებისა და მათი დინამიკის ძირითადი მახასიათებლების დადგენა ემპირიული მასალის მოხმობისა და ანალიზის საფუძველზე.

IRINA KRUASCHWILI

**ENTSTEHUNGSTENDENZEN DER ADJEKTIVBILDUNGEN
IM DEUTSCHEN
(KURZFASSUNG)**

1. Mit der enormen Zustrom der lexikalischen Einheiten in die Lexik und Ausweitung des deutschen Wortschatzes wächst auch die Intensität der Wortbildungsforschung, wovon zahlreiche sprachwissenschaftliche Arbeiten zeugen, die dieser Problematik gewidmet sind.

Die Wortbildungstheorie beschäftigt sich unter anderem auch mit der Erforschung der Gesetzmäßigkeiten, nach denen die Wortbildungskonstruktionen (WBK) gebildet werden. Sie ermittelt Hilfs- und Gegenfaktoren, die auf den Wortbildungsprozess wirken. Der Prozess der intensiven Wortschatzerweiterung, der so kennzeichnend für die deutsche Gegenwartssprache ist, erfordert Erarbeitung der Prinzipien und methodischen Empfehlungen, die für Aufdeckung der Wortbildungsprozesse ausschlaggebend sind. Die Richtigkeit der theoretischen Abhandlungen ist aufgrund der Ermittlung des Wortbildungsinventars, die Feststellung seines Produktivitäts- und Aktivitätsgrades zu überprüfen. Die Bestimmung der WBK als Basiseinheit der Wortbildung ermöglicht die Hervorhebung der Begleitprozesse der Wortschatzerweiterung und macht die Entwicklungsdynamik der Wortbildungselemente von Simplicia über Komposita bis zu Derivata durchsichtig.

Die Wortbildung als Mittel der Erweiterung des Wortbestandes wird durch mehrere Faktoren bedingt: 1) Entstehung neuer lexikalischen Einheiten nach den in der Sprache vorhandenen Modellen; 2) Starker Zufluss von Entlehnungen, insbesondere der terminologischen Lexik; 3) Wirken des Verdichtungsprozesses, das seinen Ausdruck in der Bildung von semantisch umfassenden, zusammengesetzten sprachlichen Einheiten findet. Oft werden in Gebrauch die WBK genommen, deren semantische Explikation mehrere Sätze erfordert.

Ungeachtet dessen, dass die Benennungsbedürfnisse nach der Kategorie „Merkmal/Eigenschaft“ geringer sind als die nach der Kategorie „Gegenständliches“, haben doch adjektivische WBK bedeutenden Anteil an der Erweiterung des Wortschatzes.

Den Wortbildungsproblemen sind zahlreiche Untersuchungen gewidmet, doch ist eine diesbezügliche Spezialarbeit, die die adjektivischen WBK global in der Dynamik erforscht hätte, soweit uns bekannt ist, in der georgischen Sprache nicht veröffentlicht worden. Die Aufklärung der Besonderheiten dieser lexikalischen Einheiten und Beschreibung ihrer Funktionen gehört zu den aktuellen Problemen der germanistischen Sprachwissenschaft.

Schwerpunkte der Untersuchung können folgendermaßen skizziert werden: die Bestimmung des Stellenwerts der adjektivischen Wortbildung im gesamten Wortbildungssystem der deutschen Sprache; das Aufzeigen der Entstehungs- und Entwicklungsdynamik der adjektivischen WBK vom Simplex über Kompositum bis zum Affix; die Feststellung der Kompositions- und Derivationsgesetzmäßigkeiten; die Beschreibung der internen Struktur der Modelle und ihrer Verwendungsmöglichkeiten.

Entsprechend dem Untersuchungszweck werden als konkrete Aufgaben der vorliegenden Arbeit folgende Punkte hervorgehoben: 1) Überblick über die Fachliteratur und Abgrenzung des Forschungsgebietes; 2) Bestimmung des Standortes der Wortbildung unter den sprachwissenschaftlichen Disziplinen; 3) Erarbeitung der strukturell-semanticen Kriterien und Beschreibung der adjektivischen Abarten der WBK; 4) Begründung der Auswahl der Analyseverfahren; 5) Feststellung der strukturell-semanticen Besonderheiten der Kompositionsarten mittels der UK-Analyse; 6) Formal-semantiche Analyse der Derivationsmodelle mittels der inhaltbezogenen Methode.

Die Neuheit der Arbeit besteht darin, 1) a) den Standort der Wortbildung in der Hierarchie der sprachwissenschaftlichen Disziplinen näher zu bestimmen und ihr den Status der Ebene zuzuweisen, die zwischen der lexikalischen und der grammatischen Ebenen liegt; b) die Rolle der adjektivischen Wortbildung im Wortbildungssystem der deutschen Sprache zu bewerten; 2) die Entwicklungsdynamik der adjektivischen WBK vom Simplex über Kompositum bis zum Affix zu zeigen, ihre strukturell-semanticen Wandlungen aufzudecken, die Entwicklungsetappen der Komponenten abzustufen; 3) die interne Struktur und Semantik der adjektivischen Komposita zu ergründen; 4) Quasikomposita als eine Schicht zwischen den Komposita und den Derivaten anzusehen; 5) das Inventar der Derivate möglichst vollzählig aufzulisten, nach formalen und semanticen Parametern zu gruppieren und als Wortnischen und Wortstände darzustellen; 6) das Korpus der adjektivischen Komposita mit den

adjektivischen Stichwörtern in Wörterbüchern der deutschen Sprache zu vergleichen und die Einheiten herauszusuchen, die in den Wörterbüchern nicht eingetragen sind; 7) ungefähr 4500 adjektivische WBK der Analyse zu unterziehen, die aus den lexikographischen Quellen, Zeitschriften, der schönen Literatur und unterschiedlichen funktionalen Stilen ermittelt worden sind.

Die Untersuchungsergebnisse dürften einerseits als theoretisches Material für einen Spezialkurs in der Wortbildung und andererseits als Lehrstoff im praktischen Unterricht an den Fakultäten mit Fachrichtung Germanistik dienen. Die Prinzipien der strukturell-semanticen Klassifizierung der Komposita und Derivata, Ansätze und praktische Empfehlungen, die der Klassifizierung zugrunde liegen, könnten die für die Wortbildung Interessenten bei ihrer Arbeit an den Problemen der Wortbildung zu Hilfe nehmen. Es besteht auch die Möglichkeit, die in der Beilage aufgelisteten adjektivischen WBK als bereitgestellten Stoff in die Lehr- und Übungsbücher aufzunehmen.

Die Monografie beruht vorwiegend auf den theoretischen Arbeiten der bekannten deutschen Sprachwissenschaftler und den deutschen lexikographischen Quellen. Von den Sprachforschern, deren theoretische und methodologische Grundsätze der vorliegenden Arbeit zugrunde liegen, sind zu nennen: I. Barz, M. Dokulil, J. Erben, W. Fleischer, W. Henzen, G. Inghult, I. Kühnhold/O. Putzer/H. Wellmann, W. Motsch, P. Eisenberg, B. Naumann, S. Olsen, H. Ortner/L. Ortner, H. Paul, T. Schippan, G. D. Schmidt, W. Schmidt, W. Schneider, M. Schröder, W. Seibicke, K. E. Sommerfeldt, M. D. Stepanova, H. Weinrich, L. Weisgerber, W. Wilmanns, E. S. Kubrjakova, S. Karbelaschwili, K. Schaburischwili u. a. m. Das Korpus der adjektivischen WBK ist anhand folgender lexikographischen Quellen zusammengestellt worden: Wörterbücher von M. D. Stepanova, Wahrig, Duden, G. Helbig/W. Schenkel, F. Hübner, G. Kempke, R. Klappenbach/W. Steinitz, F. Kluge, Langenscheidt, E. Mater u. a. Einige Materialien sind aus dem Internet erhoben.

2. Die vorliegende Arbeit behandelt das Problem der Identifikation der Komposita, charakterisiert formale sowie semantische Unterschiede zwischen dem Kompositum und der syntaktischen Wortgruppe, begründet die Rolle der Ermittlung der UK bei der Analyse der Komposita, beschreibt die strukturellen und semantischen Besonderheiten der adjektivischen Komposita.

Das adjektivische Kompositum ist als eine Abart der WBK charakterisiert, die tatsächlich als Variante desselben aktualisiert ist. Unter dem Begriff „Variante“ verstehen wir die mögliche konkrete Realisierung des Wortbildungsmodells. Zu den Varianten gehören: Determinativ-, Kopulativ-, Possessivkomposita, Zusammenrückungen, Zusammenbildungen und Quasikomposita. Die UK-Struktur der Komposita ist immer binär. Da im Kompositum die zweite bzw. letzte UK die Wortart der ganzen WBK bestimmt, ist im adjektivischen Kompositum die zweite UK immer ein Adjektiv oder adjektiviertes Partizip, als erste UK aber kann jede beliebige Wortart auftreten.

3. Wir behandeln die adjektivischen Determinativkomposita mit dem Substantiv, Adjektiv, Verbstamm bzw. Pronomen als erste UK. Etwa 40% der adjektivischen Komposita hat substantivisches Determinans. Bei den Adjektivischen Komposita, deren erste UK ein Substantiv ist, sind folgende Formativstrukturen möglich: 1) Beide UK sind Simplicia (*feldgrau*), 2) Die erste UK ist selbst ein Kompositum (*kornblumenblau*), 3) Beide UK sind Suffixderivate (*witterungsbeständig*), 4) Eine der beiden UK ist ein Präfixwort (*arbeitsunfähig*), 5) Beide UK enthalten Fremdelemente (*systemimmanent*), 6) Eine der beiden UK ist Affixoid (*brandeilig*).

Viele Sprachforscher weisen darauf hin, dass die semantischen Beziehungen zwischen den Kompositionsgliedern viel komplizierter sind als beim Attribut (W. Wilmanns, H. Paul). Ungeachtet der Meinungsunterschiede werden bei den adjektivischen Komposita mit dem substantivischen Erstglied durchschnittlich folgende Wortbildungsbedeutungen abgesondert: 1) lokal (*augenkrank*), 2) maßgebend (*brusthoch*), 3) temporal (*nachtblind*), 4) kausal (*arbeitsmüde*), 5) final (*diensttauglich*), 6) limitativ-relationell (*funktionsgleich*), 7) konsekutiv (*erwägungswichtig*), 8) instrumental (*maschinenwaschbar*), 9) komparativ (*butterweich*), 10) Gradation (*nervenschwach/-stark*), 11) Farbbezeichnung (*rubinrot*).

Die WBK mit dem Adjektiv als erste UK bilden ein Strukturtyp – „adjektivisches Attribut + adjektivisches Bezugswort“, wobei beide UK Simplicia sind. Adjektivische Bestimmungsformen dienen häufig dazu, die Bedeutung eines Adjektivs mehr oder weniger fein zu skalieren. Die Farbbezeichnung wird durch Nuancierung realisiert. Hier werden die Morpheme – *dunkel-*, *hell-*, *zart-*, *fahl-*, *bläss-*, *matt-* – verwendet: *hellblond*, *zartgelb*. Als folgende Wortbildungsbedeutung ist die Gradation

(*halboffen*) zu nennen. Die WBK mit der temporalen Bedeutung sind verhältnismäßig gering (*frühreif*).

Adjektivische WBK mit dem Verbstamm als erste UK kommen oft in der Sprache der Technik und Reklame vor. Der verbale Charakter des Bestimmungswortes bedingt folgende Wortbildungsbedeutungen: 1) konsekutiv (*tropfnass*), 2) kausal (*röstfrisch*), 3) limitativ-relationell (*denkfaul*).

Die WBK mit dem Pronomen als Erstglied sind verhältnismäßig gering. Dabei handelt es sich um die Pronomina, die in der kontextuellen Nachbarschaft mit dem Adjektiv eine bestimmte lexematische Bedeutung gewinnen. Am aktivsten ist das Pronomen „selbst“: *selbstherrlich*, *selbstkritisch*, *selbstzufrieden*. Ein beträchtlicher Teil solcher WBK ist idiomatisiert: *selbstverständlich*, *selbstständig*.

4. Das Thema folgenden Abschnitts ist die Charakterisierung der adjektivischen Kopulativkomposita. Diese sind in eine Wortgruppe mit „und“ paraphrasierbar und die erste und zweite UK, der gleichen Wortart angehörend, sind ohne wesentliche semantische Differenzierung untereinander vertauschbar. Es werden immer zwei Eigenschaften genannt, beide UK bewahren ihre eigentliche Bedeutung: *taubstumm*, *nasskalt*. Besonders produktiv ist dieser Typ im Bereich der Farbadjektive. Das geht auf die Farben der Nationalflagge zurück: *schwarzrotgolden*, *blauweiß*. Heutzutage verwendet man solche Koordinativ-Komposita auch dann, wenn das unvermischte Nebeneinander mehrerer Farben zu bezeichnen ist: *ein rotweiß gestreiftes Vorhängchen*. Kopulativkomposita werden häufig mit dem Bindestrich geschrieben: *schwarz-rot-golden*, diese Tendenz ist aber nicht kodifiziert.

5. Von uns werden auch Possessivkomposita behandelt, die nach ihrer Bezeichnung in der altindischen Grammatik „Bahuvrihi“ heißen. Sie dienen meist zur Kennzeichnung von Lebewesen nach dem Prinzip „Pars pro toto“: der zweite Bestandteil des Kompositums ist die Bezeichnung eines Körperteils, der durch das Determinans näher bestimmt wird. Ein Relikt im Wortbildungssystem des Deutschen stellen die adjektivischen Possessivkomposita *barfuß*, *barhaupt* und *lauthals* dar.

6. Ganz speziell behandeln wir die Verschmelzung einer syntaktisch verbundenen Wortgruppe zu einem Wort, die sog. Zusammenrückung. Solche Bildungen weisen noch Merkmale einer syntaktischen Wortgruppe auf, in ihnen sind die Flexionselemente erhalten. Dieser Sonderfall des Kompositums ist vorwiegend in der Sphäre des Substantivs vertreten:

Vaterunser, Dreikäsehoch. Im adjektivischen Bereich finden sich die Zusammenrückungen in Form der Konstruktionen, die infolge unmittelbarer Nachbarschaft eines Substantivs oder Adjektivs mit einer Partizipialkonstruktion entstanden sind: *preisgesenkt(e Waren) - im Preis gesenkt(e Waren)*. Ähnliche Struktur haben auch die WBK mit dem Partizip I oder II als Zweitglied, deren erste UK ein Adverb, ein Pronomen oder ein Numerales ist: *obengenannt, selbstgebacken, vierbespannt*.

Die Bildungen mit einem Partizip als zweite UK zeigen größere Mannigfaltigkeit der Kombinationsmöglichkeiten. Adverbien, die bei einem Verb erscheinen, können in Verbindung mit dem Partizip als erste UK einer adjektivischen Zusammensetzung auftreten, auch wenn sie in Verbindung mit einem „eigentlichen“ Adjektiv selten begegnen oder überhaupt fehlen: *weitreichend, fernbeheizt, schwerwiegend*.

Adjektivische Zusammenrückungen bilden in hohem Maße semantisch identische Alternativkonstruktionen zu den syntaktischen Fügungen. Ihre Wortbildungsbedeutungen entsprechen im wesentlichen den syntaktisch-semantischen Beziehungen der alternativen syntaktischen Verbkonstruktionen. Bei Zusammenrückungen sind folgende Wortbildungsbedeutungen hervorzuheben: 1) ornativ (*staubbedeckt*), 2) instrumental (*batteriebetrieben*), 3) material (*holzgeschnitzt*), 4) lokal (*knieverletzt*), 5) kausal (*angstbebend*), 6) temporal (*herbstentlaubt*), 7) komparativ (*zebragestreift*), 8) limitativ-relationell (*traditionsverhaftet*), 9) konsekutiv (*hochglanzpoliert*), 10) modal (*hart-/weichgekocht*), 11) farbbezeichnend (*braungebrannt*).

7. Die Adjektivischen Zusammenbildungen betrachten wir als Übergangsstufe zwischen Komposition und Derivation. Die Zusammenbildung ist eine WBK, die nach einer Ableitungsart gebildet ist, bei der aber das Suffix nicht an ein freies Morphem, sondern an eine nur syntaktisch verbundene Wortgruppe angefügt wird: *diesjährig=dies Jahr + -ig*.

W. Fleischer/I. Barz bezeichnen solche WBK als explizite Derivate und verzichten auf den Terminus „Zusammenbildung“. Sie begründen das damit, dass die Basis dieser WBK eine Wortgruppe ist, an die ein Derivationsuffix angehängt wird. Unseres Erachtens ist doch zweckmäßig, ähnlich strukturierte adjektivische WBK als Zusammenbildungen abzusondern. Für explizite Derivate halten wir die WBK, deren Basis keine Wortgruppe, sondern ein freies Morphem ist.

Bei den adjektivischen Zusammenbildungen sind folgende Wortbildungsbedeutungen hervorzuheben: 1) lokal (*krummbeinig*), 2) temporal (*zweistündig*), 3) modal (*klein-/großkalibrig*).

8. Von uns werden auch Quasikomposita bzw. Komposita mit Affixoid behandelt. Der Status der Kategorie von Affixoiden ist in der Fachliteratur umstritten. In der traditionellen Grammatik wird dieses Wortbildungselement als Bestandteil des Kompositums angesehen ungeachtet dessen, dass sein wortbildender Sondercharakter nicht abzuerkennen ist. In jüngeren Konzepten zeichnen sich zwei Richtungen aus. Die erstere betrachtet die semantische Entfernung der bestimmten Elemente (wie z. B. *-werk*, *-weise*) von den Basislexemen als ein Mittel der Entstehung neuer Affixe, die andere aber – als eine Übergangszone, eine relativ selbstständige Wortklasse im Wortbildungssystem. Alle Konzepte betonen, dass es sich hier um ein offenes System handelt, dessen Elemente sich in ständiger Bewegung befinden. G. D. Schmidt aber bezweifelt „die Notwendigkeit und Brauchbarkeit eines beliebigen Zwischenbegriffs der Wortbildung“, des Affixoids unter dem Vorwand, dass seine eindeutige Bestimmung Schwierigkeiten bietet und „damit die Möglichkeiten eines allgemeinen Konsenses bei der praktischen Zuordnung unnötigerweise weiter verschlechtert werden“. Theoretisch kann solche Vereinfachung gerechtfertigt werden, aber aus diesem Grund eine ganze Klasse der sprachlichen Einheiten abzuerkennen und ihrem Status zu entziehen, wäre ungerechtfertigt um so mehr, als es in der deutschen Sprache Phänomene gibt, die zur Doppeldeutung Anlass geben.

Die Wörter als Konstituenten von Komposita werden desemantisiert, sie büßen ihre semantische Selbständigkeit ein und erwerben damit vor allem kategoriale Bedeutung. Je stärker der Grad ihrer Idiomatisierung und Desemantisierung ist, desto mehr nähern sich diese Elemente den Affixen. Die Umwandlung der Kompositionsglieder in Affixe kann sehr lange dauern und die Wörter können dauerhaft in der Kategorie der Affixoiden bleiben. Dieser Prozess kommt nur dann zum Schluss, wenn die Homonymie zwischen dem wortbildenden Element und dem freien Morphem sichtbar wird.

Adjektivische Präfixoiden werden in folgenden semantischen Gruppen gegliedert: 1) Verstärkung (*riesen-*, *blitz-*, *stock-*, *stein-*, *brand-*, *blut-*, *tod-*, *hoch-*, *über-*, *all-*, *aller-* u. a.); 2) Negation (*sau-*, *scheiß-*), 3) Temporal (*nach-*).

Adjektivische Suffixoide drücken Vorhandensein, Fehlen, Nichtvorhandensein, Fähigkeit, Eignung, Entsprechung aus. 1) Zum Ausdruck einer allgemeinen Relation – „etwas betreffend, einer Sache entsprechend, in der Art von etwas“ werden genutzt: *-gerecht, -gemäß*; 2) Zum Ausdruck des „Vorhandenseins des in der Basis bezeichneten Inhalts (in hohem Maße)“ dienen: *-reich, -voll*; 3) Zum Ausdruck des „Nichtvorhandenseins“ stehen: *-arm, -leer, -frei*; 4) Zum Ausdruck vielfältiger modaler Grundbedeutungen (Fähigkeit, Eignung, Möglichkeit, Notwendigkeit, Wahrscheinlichkeit) dienen: *-fähig, -tüchtig, -wert, -würdig*.

9. Die Steigerungsstufen des Adjektivs werden als Konstituenten der Komposita behandelt. Hier werden zwei Momente hervorgehoben: 1) Innerhalb des Kompositums gibt es Steigerungsstufen, d. h. Erstglied ist Komparativ oder Superlativ. Solche Fälle werden als interne Formen bezeichnet: *höherwertig, höchstzulässig*. 2) Die ganze WBK gibt die Steigerungsstufen an: *allerbeste, scharfdenkendst, schöngefärbtest*. Obwohl die Steigerungsstufen auf der morphologischen Ebene Flexionselemente oder Suppletivformen darstellen, haben sie auf der Wortbildungsebene eine wortbildende Funktion.

10. Adjektivische Derivate werden im Lichte der inhaltbezogenen Wortbildung behandelt. Es wird betont, dass beim Adjektiv die wichtigste Wortbildungsart explizite Derivation ist im Unterschied zur Komposition, die beim Substantiv vorherrschend ist.

Unter der expliziten Derivation werden Suffixderivation, Präfixderivation und kombinatorische Derivation verstanden ungeachtet dessen, dass die Frage, ob Präfixbildungen zur Derivation gehören oder eine spezielle Wortbildungsart darstellen, umstritten ist. H. Marchand betrachtet Präfigierung und Komposition als Expansion, bei der sich die Wortart nicht verändert im Gegensatz zur Suffigierung (Derivation), einer Art der Transposition, durch die ein Wort in eine andere Wortart oder eine andere semantische Klasse transponiert wird. Somit wird die Derivation der Komposition und Präfigierung gegenübergestellt.

Anders entscheidet W. Schmidt, der davon ausgeht, dass sowohl bei der Präfigierung als auch bei der Suffigierung auf der ersten Analyseebene nur eine UK ein Wort, die zweite ein Affix ist. Er stellt die Affigierung der Komposition gegenüber. Ähnliche Meinung vertreten sowjetische Germanisten, die die Präfixbildung als Unterart der Ableitung neben der Suffigierung betrachten nicht aber als eigenständige Wortbildungsart (M. D. Stepanova/I. I. Černyševa).

W. Fleischer sieht in seinen früheren Arbeiten in der Präfixbildung eine selbständige Wortbildungsart. Später aber in seiner Zusammenarbeit mit I. Barz betrachtet er Präfigierung als explizite Derivation. In unserer Arbeit wird Präfixbildung im Rahmen der Derivation betrachtet. Die Zusammenfassung von Suffigierung und Präfigierung unter dem Oberbegriff der expliziten Derivation lässt den gemeinsamen Affixcharakter von Präfixen und Suffixen als Wortbildungselementen zutage treten.

11. Theoretische Grundlage für semantisch-wortbildenden Kategorien ist in den Arbeiten von L. Weisgerber gegeben. Er sondert Wortnischen in den Wortbildungsmodellen einer und derselben Wortart und vereinigt die Wortnischen zu Wortständen.

„Wortnische“ ist die Bezeichnung für semantisch zusammengehörige formal gleich gebildeter Ableitungen, die als inhaltlich eng miteinander verbundene Gruppen abgesondert werden. Innerhalb einer Wortnische gibt es Untergruppen, die wir Segmente nennen. Neben den konkreten Merkmalen bringen die Segmente auch allgemeine Inhalte zum Ausdruck.

Eine solche systematische Durchprüfung der Ableitungstypen auf die Nischen hin ist zwar noch lautbezogen, insofern sie ihr Material aus formalen Gruppen gewinnt, aber sie ist nicht nur in sich bereits recht aufschlussreich, sondern sie bahnt auch den Weg zu einer inhaltbezogenen Betrachtung. Wie kann man zu einer angemessenen Bestimmung des Inhalts abgeleiteter Wörter kommen? Ein Derivat wird durch einen doppelten Bezug bestimmt: den zum Grundwort und den zur Ableitungsweise. In den beiden formalen Bestandteilen des abgeleiteten Wortes ist der Hinweis auf zwei inhaltliche Komponenten enthalten. Von diesen ist die erste grundsätzlich mit dem Bezug auf das Grundwort gegeben; z. B. für *rötlich* kann nicht nur formal, sondern auch inhaltlich der Stamm von *rot* vorausgesetzt werden. Wie steht es aber mit der zweiten Komponente? Die Ableitungssilben sind Lautungen, die nicht als selbständige Bedeutungsträger in der Sprache vorkommen. Sie können also auch keinen bereits ausgeprägten Wortinhalt mitbringen. Wie können sie dann zum inhaltlichen Aufbau eines Wortes beitragen? Genau das ist das Kernproblem der inhaltbezogenen Wortbildungslehre. L. Weisgerber meint, dass die Ableitungssilben Trägerinnen bestimmter Funktionen sind, sich mit dem Gehalt des Grundwortes verbinden und diesen in bestimmter Weise abwandeln. Nach L. Weisgerber gehen die Ableitungstypen immer eine Vielzahl von Wörtern an und das Gemeinsame an ihnen ist die inhaltliche Komponente. Aber man darf dieses Gemeinsame nicht einfach in der

